# ზაზა ხატიაშვილი მობილიზაციას აცხადებს 17

N5/733/ 1-7 თებერვალი 2016 წ. PRESS ფასი 2 ლ
ორშაბათი ქრონიკა

შემდეგი ნომერი გამოვა „ყოველკვირეული ალიას“ სახელწოდებით!

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE
გამოდის 2003 წლიდან

რომელი სილამაზის სალონები დაიხურება?



25

ვის რამდენით დაუფინანსებენ ძუძუს კიბოს მკურნალობას და ვინ ვერ მოხვდება ახალ პროგრამაში?




24

წლობით დაუსრულებელი და ექსპლოატაციაში მიუღებელი კორპუსები, მობინადრეებისგან წინასწარ აღებული თანხების ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანა, იაფფასიანი და უხარისხო მასალების გამოყენება მშენებლობაში.

ეს „აქსისია“! დაგეგმილი, დროში გაწერილი „თეთრსაყელოიანი დანაშაულის“ თანაავტორები?

5

„ირაკლი ღარიბაშვილი მტკიცედ ამბობდა, რომ ქალისა და კაცის ერთობაა ოჯახი და სანამ პრემიერი ვარ, ასეც იქნებაო და ამიტომაც გადააყოლეს ამ ამბავს!“



14

„კვირიკაშვილამდე ნორმალურ ადამიანებს არ პატიჟებდნენ, შიშის ფაქტორი იყო“

გია კორკოტაშვილი:

„მე პირადად და ჩემზე უფრო მაგარი ქართველები დავანგრევთ ყველაფერს! ფუი, იმ კაცს, ვინც სახლში დაჯდება და გარეთ არ გამოვა!“



29

## „ტაქსის მძღოლებს ნუ შეგვეხებიან, კისერში ხელს ნუ წაგვიჭერენ, თორემ დიდ ამბებს დავატრიალებთ!“

„ჩვენზე არავინ არ ფიქრობს, თვითონ ხომ არიან გასუქებულები და ღაბაბებით? ასატრინის მწვადს რომ ჭამენ, მე ერთხელ ვჭამ დღეში და ისიც სუპს“




ტაქსისტი ალექსანდრე:

— ხოდა, ავდგები და ბიძინას ჟირაფს დავუკლავ! ეს მთავრობა მოსაშორებელია და ჩვენს თავს თვითონ მოვუვლით! ლამის ნაციონალები გაგვიხდა სანატრელი!

10

## როგორ გაათახსირა გალოტებულმა „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლიდან ლარი!




ეკონომიკის ექსპერტი, პაატა შეშელიძე:„ვერც ერთი თეთრი ვერ გამოვა მიმოქცევაში, თუ ის არ იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისი რაოდენობის დოლარით. ეს უნდა იყოს ერთი-ერთზე. სხვა ნებისმიერი მექანიზმი არის განწირული“

12

## გიორგი კვირიკაშვილი:

## „ყველანი ციხეში!!!“



30

კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## 8 კოდი მობილური ტელეფონისთვის: როგორ უნდა მიხვდეთ, რომ გისმენენ



გთავაზობთ 8 საიდუმლო კომბინაციას მობილური ტელეფონებისთვის, რომლებზეც არაფერს გეტყვიან სატელეფონო ოპერატორები. ამ კოდების კომბინაციით შეგიძლიათ, გაარკვიოთ, გისმენენ თუ არა.

კოდი ***№06№**

ამ კომბინაციის საშუალებით შესაძლებელია ნებისმიერი სმარტფონის **IMEI**-ის უნიკალური კოდის გაგება.

კოდი ***№21№**

ეს კომბინაცია საშუალებას იძლევა მივიღოთ ინფორმაცია ჩართულ გადამისამართებაზე. გაარკვიეთ, თქვენ გარდა, სხვაც ხომ არ იღებს თქვენს ზარებს ან სხვა მონაცემებს.

კოდი ***№62№**

ეს კოდი საშუალებას იძლევა, გაიგოთ, რომელ ნომერზე ხდება თქვენი ზარების გადამისამართება. თუ **iPhone**-ი გამორთულია ან აქტიური ზონის გარეთ იმყოფება.

კოდი **№№002№**

ამ კომბინაციით შესაძლებელია ზარების გადამისამართების გამორთვა. მისი გააქტიურების შემდეგ მხოლოდ თქვენ მიიღებთ ზარებს.

კოდი ***№30№**

ეს კომბინაცია გაძლევთ შემომავალი ფარული ნომრის გაშიფვრის საშუალებას.

კოდი ***№33№**

ეს კოდი იძლევა გამავალი სერვისების – ზარები, მესიჯები და სხვა, ბლოკირების ინფორმაციის გარკვევის საშუალებას.

კოდი ***№43№**

ეს კომბინაცია გვეხმარება მოლოდინში მყოფი ზარების შესახებ ინფორმაციის გაგებაში.

კოდი ***777№ (უკრაინისთვის)**

ამ კომბინაციას გამოჰყავს მიმდინარე ბალანსი, ასევე, საინფორმაციო ოპერატიული მენიუ, გააჩნია ოპერატორს, რომელიც გემსახურებათ.

## თურქეთში საქართველოს 3 მოქალაქე მოკლეს

თურქეთში, შირნაკის პროვინციაში, სამართალდამცველებმა ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში სამი ადამიანის ცხედარი იპოვეს. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, სამივე გარდაცვლილია და ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან – მათ ყელი აქვთ გამოჭრილი. დადასტურებული ინფორმაციით, სამივე მათგანი საქართველოს მოქალაქეა და ისინი მარნეულში ცხოვრობდნენ.

დებს – ემა და ელნაზ შარიპოვებს და ერთ-ერთი ქალბატონის შვილიშვილს, 19 წლის საჰიპ შარიპოვს, მარნეულში გადმოასვენებენ. შარიპოვები თურქეთში სამუშაოდ იყვნენ წასულები. (პირველი რადიო)

# ინაშვილმა ხიდაშელს გადასარევი „კლიჩკები" მოუგონა — „მიშა 2" და „თინიკო გამყალბებელი", მაგრამ ბიძინა ივანიშვილი რომ დუმს ამ ყველაფერზე, ეგ როგორ გავიგოთ?!

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



„ჩვენი კანტორის ხალხიც" ბლომად მისულა „პატრიოტთა ალიანსის" ყრილობაზე, რიგითი პარტიელებიც „შავი ლაკი ტუფლებითა" და „კასინკებით", თუმცა ერთი კია, ვერ დაუხვდა ტუშით „ქორთიარდ მერიოტი" და ადგნენ და ყრილობა ღია ცის ქვეშ ჩაატარეს – იმდენი ვართ (ღმერთმა გვამრავლოსო), ზამთარი, სიცივე და „ე ხალათი დაგვიჭერსო?!"

ისე, კარგი და გადასარევია, როცა პარტიას იმდენი წევრი ჰყავს, ყრილობისთვის დაქირავებულ ფართში რომ ვერ ეტევიან, მაგრამ რომელი დარბაზი ჰქონდათ საამისოდ არჩეული „პატრიოტთა ალიანსის" წევრებს „ქორთიარდ მერიოტში", მაგაზე ვერაფერს გეტყვით...

როგორც გაირკვა, ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარის ხელახალი არჩევა მოხდა – „პატრიოტთა ალიანსის" თავმჯდომარე მომდევნო 3 წლის განმავლობაში დავით თარხან-მოურავი იქნება.

ყრილობაზე პარტიის ლიდერებმა პარტიული საქმიანობა შეაჯამეს და სამომავლო გეგმები დასახეს:

**„2016 წელი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი წელი, ჩვენი გამარჯვებისთვის აუცილებელია, გავერთიანდეთ. უნდა ვიბრძოლოთ, რომ ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ სამართლიან, ბედნიერ საქართველოში, სადაც ახლა 76 000 ბავშვი შიმშილობს და ჩინოვნიკები კი 60 000-იან პრემიებს იღებენ. უნდა ვიბრძოლოთ, რომ აღარ განმეორდეს ის, რაც მოხდა საგარეჯოში. ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს არის ქვეყანა, სადაც გამარჯვებულ კაცს დამარცხებულად აცხადებენ... ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ ძველი გამოცდილება და ვებრძოლოთ ახალ „მიშა 2"-ს, თინა ხიდაშელს და მის პოლიტიკურ ოჯახს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება", — განაცხადა სიტყვით გამოსვლისას პარტიის ლიდერმა ირმა ინაშვილმა.**

**ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარემ საპროტესტო აქციებიც დააანონსა. დავით თარხან-მოურავის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში არ შეიცვლება საარჩევნო გარემო და კანონმდებლობა, დაიწყება მასშტაბური და პერმანენტული ხასიათის შიმშილობის აქციები.**

ცუდია შიმშილობა, ხალხო, ცუდი და საშიში, მით უმეტეს ისეთი, რომელსაც შედეგი არ მოაქვს – არ უდარდია დიდად „ოცნებას" თქვენი წინა შიმშილობა და მომავალშიც თუ იშიმშილებთ, რას მიიღებთ გაუთავებლად ოღრაშობებზე გადასული ხელისუფლებისგან? ნუ, ჰო, წონაში დაიკლებთ და ეგ კარგია, მაგრამ დანარჩენს რომ ფეხებზე იკიდებს „ოცნება", არ გაგიგიათ, ვერ ხედავთ? თუმცა თქვენი საქმის თქვენ იცით - იქნებ ახლა მაინც გამოვიდეს რამე...

ჰო, ახლა მთავარი. ირმა ინაშვილმა, – უნდა ვიბრძოლოთ, რომ ჩვენმა შვილებმა სამართლიან, ბედნიერ და გაბრდღვიალებულ საქართველოში იცხოვრონო...

ეეჰ, ქალბატონო ირმა, მასეთი დაპირება იმდენი მოგვისმენია ოღრაშობაზე გადასული „ქართული ოცნებისგან", ხალხის მწამებელი და გამაუპატიურებელი „ნაციონალური მოძრაობისგან", ვითომ „პატრიოტთა ალიანსი" არ დაიწყებს პირველ რიგში საკუთარი შვილების ფუფუნებაზე ზრუნვას? სამწუხაროდ, როგორც გითხარით, მწარე გამოცდილება მოსვენებას არ გვაძლევს და შესაბამისად, თქვენი ეს მოწოდება უემოციოდ უნდა გავატაროთ.

ახლა უფრო მთავარი. ირმა ინაშვილმა, – ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს არის ქვეყანა, სადაც გამარჯვებულ კაცს დამარცხებულად აცხადებენო...

ზუსტად მანდა ვართ, თქვენ შემოგევლეთ – რომ გაიმარჯვეთ, მერე რომ იშიმშილეთ და ფეხებზე დაიკიდა „ქართულმა ოცნებამ" ეს ყველაფერი, მარტო თინა ხიდაშელს რატომ ლანძღავთ, ბიძინა ივანიშვილს რა, არ შეეძლო ამ ამბებში ჩარევა და სიტუაციის გამოსწორება, გამარჯვებულისთვის დაფნის გვირგვინის თუ არა, თანამდებობის მირთმევა? უფრო მეტიც, რეგიონებში მოშიმშილეებსაც კი დაერივნენ და მაინც მარტო „თინიკო გამყალბებელს" ხვდება, ბიძინა ივანიშვილს კი – არა! რატომ?

და ყველაზე მთავარი. ირმა ინაშვილმა, – უნდა გავითვალისწინოთ ძველი გამოცდილება და ვებრძოლოთ ახალ „მიშა 2"-ს, თინა ხიდაშელს და მის პოლიტიკურ ოჯახს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ხელისუფლებაო...

არც ერთხელ ბიძინა ივანიშვილს (არც ძველ და ახალ პრემიერ-მინისტრებს) ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია, – ნწ, ნწ, ნწ, ეს რა უქნა თინა ხიდაშელმა ირმა ინაშვილს, როგორ წაართვა საგარეჯოში გამარჯვებაო.

რატომ დუმს ივანიშვილი „თინიკო გამყალბებლის" მიერ არჩევნების „გაიმასქნებაზე"? ბევრს არა, მაგრამ რამდენიმე ვერსიას ჩამოგიყრით და თავად აირჩიეთ ყველაზე უფრო მისაღები ვარიანტი:

ა) იმდენად ფეხებზე დაკიდა „ქართულ ოცნებაში" და ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, რომ დუმს;

ბ) რაღაც ისეთს უმზადებს „მიშა 2" „თინიკო გამყალბებელს", რომ შესაფერის დროს ელოდება;

გ) მხოლოდ იმაზე ფიქრობს, მიწასთან გასწორებული ლარი ფეხზე როგორ წამოაყენოს;

დ) წუხანდელი ღამენათევია, ჩაეძინა და ვერ მოასწრო;

ე) „ჩორტ ივო ზნაეტ"

და ასე შემდეგ...

**P.S. შიმშილობას მაინც არ გირჩევთ, მაგას სჯობს, სხვა რამე მოიფიქროთ, რაღაც საქმე მაინც გააკეთოთ, სანამ პარლამენტში შეხვალთ, თორემ მერე თქვენც დანარჩენებივით ფეხებზე დაიკიდებთ ყველა დაპირებას და მარტო საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვას მიჰყოფთ ხელს...**










კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## მარიამ საჯაია ამომრჩევლის პირად ჰიგიენაზე საუბრობს და მათ და კულტურას აკრიტიკებს

„ნაციონალური მოძრაობის" წევრი მარიამ საჯაია გარდაბანში ჩატარებულ არჩევნებს ეხმიანება და სოციალურ ქსელში წერს:

– ვუყურებდი და ვაკვირდებოდი ამ კუმისის უბანს. რამდენნაირი ფიქრი არ იყო. ამჯერად აპოლიტიკურს გამოვყოფ – ორ კატეგორიად შეიძლება დაყოფა: ამომრჩეველი და კომისიის წევრები.

ამომრჩეველი! რაც მე ვნახე, იყო ჩემთვის შოკზე მეტი.

დაჩაჩანაკებული და დაჩიავებული ხალხი (მეგრულად არის ასეთი სიტყვა „ჩიჩიე" – შეესაბამება ზუსტად), წერა-კითხვის, პირადი ჰიგიენის, კულტურის პრობლემის ასეთი სიმკვეთრე... არ მინდა მძიმე მაგალითების დასახელება, მრცხვენია ძალიან. დამძიმებული ვარ. მგონი, ბევრია ჩვენს ქვეყანაში ასეთი, მგონი, უმრავლესობა არიან და 1 ადამიანი = 1 ხმას. შეგნებულად აღარ გავაგრძელებ, მიჭირს. აღშფოთებულიც ვარ. ეს არის ჩემი წუხილი. ვერავის ვერ დავაბრალებ, ვერც ამ ხალხს გავაკრიტიკებ.

მეორე ნაწილზე გადავალ – კომისიის წევრები! აშკარა და თვალშისაცემი ქცევა ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებით – ამომრჩეველი რომ შეთხელდებოდა, ატყდებოდნენ ხოლმე.

ქალების ფარული ხუმრობები, ერთმანეთთან შეხუმრებული ფრაზები, კაცების არარსებობაზე მითითებები და ჰიპერაქტიური ნევროსტენიკობა დაგარწმუნებს, რომ ყველა გზა სექსთან მიდის, ეს უკანასკნელი კი რაოდენობრივად და ხარისხობრივად არადამაკმაყოფილებელია.

თუნდაც კარებში თქმული რა გვარი ხარ-ზე გაცემული პასუხი „ბო**შვილიო" რად ღირს.

ანაც კომისიის წევრის „აი კიბეზე რო დგახარ, იფ რა კაია ხან ზემოთ რომ ხარ, ხან ქვემოთ" და კიდევ „თუ გახდას აპირებ, გეხვეწები, ბოლომდე არ გაიხადო". ეპიკური იყო „ცხოვრებაში არავისთვის მიმიცია".

რა ვქნა, ხუმრობის უნარი დავკარგე, მგონი, და ვიტყვი: თქვენ კარგად იყავით, მე პერსონალურ მეტეორს მოვითხოვ.

მე მომკლეს, ბაბუ, – წერს მარიამ საჯაია. (mpress.ge)

## გერმანია საქართველოს მოქალაქეებს თავშესაფარს აღარ მისცემს?

„დოიჩე ველეს" ინფორმაციით, ბავარიის მთავრობის ინიციატივას, ბუნდესტაგმა საქართველო უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანოს, ის შედეგი მოჰყვება, რომ გერმანია საქართველოს მოქალაქეებს ქვეყნის ტერიტორიაზე თავშესაფარს აღარ მისცემს.

საქართველოს გარდა, სიაში შესაძლოა, სომხეთი, უკრაინა და მოლდოვა მოხვდეს. (პირველი რადიო)

## გიორგი ჩხარტიშვილმა, იმავე მაცაცომ, ბერად აღკვეცის გადაწყვეტილებაზე უარი თქვა და

სკანდალებით ცნობილი ქართველი ტრანსსექსუალი გიორგი ჩხარტიშვილი, იგივე მაცაცო, გათხოვდა და სულ მალე ქორწილიც ექნება. როგორც ჩხარტიშვილი ამბობს, საყვარელი ბიჭის გამო ცხოვრების წესზე, მათ შორის ცირკთან სექსმუშაკად მუშაობასა და ბერად აღკვეცის გადაწყვეტილებაზე უარი თქვა. ასევე, თავისი უძრავ-მოძრავი ქონება ჩუქების აქტით მეუღლეს გადაუფორმა. მაცაცოდ ცნობილმა გიორგიმ გადაწყვიტა, რჩეულთან, 18 წლის ახალგაზრდასთან თანაცხოვრების ხელშეკრულება გააფორმოს და უახლოეს მომავალში საცხოვრებლად ერთ-ერთ სოფელში გადავიდეს. მანამდე კი ქორწილს გადაიხდიან.

როგორც გიორგი ამბობს, მეუღლე, შარშან, ბათუმში დასასვენებლად ყოფნისას გაიცნო და უკვე თითქმის ოთხი თვეა, ერთად ცხოვრობენ.

– ჩვენ ერთმანეთი შარშან, ბათუმში, ზღვაზე გავიცანით, როდესაც მე იქ დასასვენებლად ჩავედი. მაშინ საქართველოს გარემოს დამცველი ვიყავი და შვებულება მქონდა. ის 17 წლის, ძალიან საყვარელი ბავშვი იყო. რადგან არასრულწლოვანი იყო, მოვერიდე მასთან სექსუალური კავშირის დამყარებას, მაგრამ მოგვიანებით ძალიან დავუახლოვდი და შეგვიყვარდა ერთმანეთი. როგორც მერე გავარკვიეთ, თითქმის მეზობლები ვიყავით. ამის შემდეგ საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდა და უკვე 3-4 თვეა, ერთად ვცხოვრობთ.

ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, მასაც განსაკუთრებით ვუყვარვარ. ახლა ის თურქეთში იმყოფება და ერთ კვირაში ჩამოვა. ველოდები. როგორც კი ჩამოვა, ქორწილს გადავიხდით. სტუდენტია, მაგრამ ამავდროულად, პატარა ბიზნესი დაიწყო. მე მას ძალიან დიდი მხარდაჭერა აღმოვუჩინე. ჩუქების ხელშეკრულება გავუკეთე და ჩემი მოძრავ-უძრავი ქონება, თითქმის ყველაფერი, ჩემი ქონება, რაც კი გამაჩნდა, მათ შორის ორგანიზაციები და წილები, გადავეცი. ახლა ქორწილს ველოდებით, რასაც ასევე ხელშეკრულებით დავაგვირგვინებთ. ჩვენ ურთიერთთანაცხოვრების ხელშეკრულებას გავაფორმებთ. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ჩემი გარდაცვალების შემდგომ ჩემი ქონება დარჩება მას.



გარკვეული მიზეზების გამო, ცოტა ხნით დაშორებულებიც ვიყავით, რაც ჩემს განცხადებებს და პოზიციას უკავშირდებოდა. შერიგების შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩვენი ურთიერთობა სხვა ეტაპზე გადაგვეყვანა და ქორწილის გადახდის გადაწყვეტილება მივიღეთ.

ერთი თვეა, ცირკთან აღარ ვდგავარ. ჩვენ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება, რომ, თუ დავქორწინდებით, ოფიციალურად ერთად ვიცხოვრებთ, ამ შემთხვევაში მე ვანებებ თავს ყველა აქტივობას.

მას მშობლები არ ჰყავს. სამწუხაროდ, მარტოა. მისი მშობლები გარდაცვლილები არიან. დანარჩენი ნათესავები მას არ აინტერესებს. ჩემმა ნათესავებმა საკმაოდ კარგად მიიღეს ეს გადაწყვეტილება და მოხარულები არიან, – ამბობს გიორგი ჩხარტიშვილი. (kvira.ge)



## გარდაცვლილთაგან ყველაზე პატარა 19 წლის, დიდი კი 27-ის იყო — შემზარავი ავარია სამეგრელოში




სამეგრელოში 28 იანვარს მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაშავებულთა მდგომარეობა მძიმეა. ორი მათგანი – გიორგი გერგედავა და გურიკა ქარდავა თბილისში გადმოიყვანეს. 4 ახალგაზრდა ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

ჯვარი-ზუგდიდის მონაკვეთზე მომხდარი ავტოავარიისას სულ 11 ადამიანი დაშავდა. აქედან 4 ადგილზე დაიღუპა. გვიან ღამით კიდევ ერთი ახალგაზრდა ოპერაციის მიმდინარეობისას გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილთა შორის ყველაზე დიდი 27 წლისაა, პატარა – 19.

გარდაცვლილები არიან: ციმინტია გიორგი, შონია ბაჩანა, ბერიშვილი დათო, მატუა ლევანი და ქუხილავა დათო.

ჯვარი-ზუგდიდის მონაკვეთზე ერთმანეთს „ოპელისა“ და „ფორდის“ მარკის ავტომანქანა შეეჯახა.

როგორც შსს-ში განაცხადეს, საქმეზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის უსაფრთხოების ზომების დარღვევას გულისხმობს, რამაც 2-ზე მეტი ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია.

რაც შეეხება ავარიის გამომწვევ მიზეზს, ამ დროისთვის ორი ვერსია განიხილება. ერთ-ერთის მიხედვით, ავარიის მიზეზი უამინდობა და გადაჭარბებული სიჩქარე გახდა.

მეორე ვერსიის თანახმად, ავტომობილების მძღოლები ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, რაც ექსპერტიზის შედეგების შემდეგ გახდება ცნობილი. (ნიუპოსტი)

## როგორ გადაარჩინა ირაკლი ღარიბაშვილმა ქალბატონი თვითმკვლელობას

ბექა მჭედლიშვილი სოციალურ ქსელში გულისამაჩუყებელ პოსტს აქვეყნებს:

– ერთი ამბავი უნდა მოვყვე იმ ბევრი ამბიდან, რომელიც არავინ არ იცის. დაახლოებით ნახევარი წლის წინათ მომწერა ჩემთვის უცნობმა ქალბატონმა, რომ თავის მოკვლის ზღვარზე იყო, ფინანსური პრობლემების გამო, ჰყავდა ავადმყოფი შვილი და სახლსაც უყიდდნენ მევახშეები.

მოკლედ, ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც არ ვიცოდი, ვის შეეძლო მისი დახმარება, ირაკლი ღარიბაშვილის გარდა.

ჰოდა, ავდექი და ამ ქალბატონის მონაწერები სწორედ მას გავუგზავნე. რა თქმა უნდა, დაინტერესდა. დეტალებს არ მოვყვები, უბრალოდ, იმას ვიტყვი, რომ დღეს ეს ქალბატონი თავის სახლში ცხოვრობს და მისი შვილი გამოჯანმრთელდა. (exclusivenews.ge)

## ილია მეორე: ჟენევაში გადაწყდა, საქართველოს ეკლესია ძველი სტილის კალენდარზე რჩება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ჟენევაში ჩატარებული მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების შეხვედრის შესახებ ისაუბრა:



– ერთი კვირის განმავლობაში იყო შეხვედრები და კამათი და კიდევ ერთხელ გამოვლინდა, რომ მართლმადიდებლობა არის ერთადერთი გზა სასუფევლისკენ. მართლმადიდებლობა არის ის ეკლესია, რომელიც ატარებს რწმენასა და ტრადიციებს, განუყოფელი სამოციქულო ეკლესიისა და ამით გადაწყვიტეს, რომ ივლისში ჩატარდება მართლმადიდებელი ეკლესიების საეკლესიო კრება. აქ იქნება განხილული ზოგიერთი საკითხი, ის საკითხები, რომლებიც იწვევს განსხვავებულ აზროვნებას და მიდგომებს, რათა არ იქნეს განხილული, მაგალითად, კალენდარი. ზოგიერთი ეკლესია ძველ სტილზეა, ზოგი ახალზე, მაგრამ ეს არ არის დოგმატი. ამიტომ ეს დასაშვებია. ჩვენ როგორც ვიყავით ძველი სტილით, დავრჩებით ძველ სტილზე.

უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი სიმტკიცე მართლმადიდებლობის ერთგულებისა გამოიჩინა საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ.

მე კიდევ ერთხელ მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს ეკლესია იყო, არის და იქნება მართლმადიდებლობის ერთგული, აწ და მარადის. საქართველოს ეკლესია ის ეკლესიაა, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი ერი ნგრევისგან და მომავალშიც ჩვენი ეკლესია იქნება მართლმადიდებლობის სადარაჯოზე, – ბრძანა პატრიარქმა. (ipress.ge)



## ლაშა ბუღაძე: ჰომოსექსუალებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ქორწინებისა და ბავშვის აყვანის ისეთივე უფლებები, როგორიც ყველა დანარჩენს



ლაშა ბუღაძე: „თუ გვინდა, ცივილიზებული სამყაროს ნაწილი გავხდეთ, ერთსქესიანთა ქორწინება უნდა დავაკანონოთ. ამას უნდა ვაცნობიერებდეთ! არ არსებობს ლიბერალური დემოკრატია თანასწორობის პრინციპის გარეშე. თანასწორობა კი ცალსახად ნიშნავს, რომ უმცირესობებსა და მათ შორის, სექსუალურ უმცირესობებს, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ქორწინებისა და ბავშვის აყვანის ისეთივე უფლებები, როგორიც ყველა დანარჩენს“. (postad.ge)

## „ეს რაღა უბედურებაა? იტალიის ყველა არხზე ორი დღეა გადმოსცემენ, რომ ვიღაც ქართველი მომვლელი სცემდა ცნობილ ინვალიდ რეჟისორს“



მსოფლიოში აღიარებული ოპერის მომღერალი, ნანა მირიანი (ქავთარაშვილი) იტალიაში გახმაურებულ ფაქტზე „ფეისბუკში“ წერს:

– ეს რაღა უბედურებაა? იტალიის ყველა არხზე ორი დღეა ინტენსიურად გადმოსცემენ, რომ ვიღაც ქართველი მომვლელი ძალიან ცუდად ექცეოდა და სულ სცემდა ცნობილ ინვალიდ რეჟისორსა და მსახიობს, ფრანჩესკო ნუტის.

ძალიან საეჭვოა ქართველმა მომვლელმა იასონმა, ერთი წლის განმავლობაში, იტალიის ცნობილი რეჟისორი, ინვალიდი ფრანჩესკო ნუტი, რომელსაც ლაპარაკიც კი არ შეუძლია, სცემოს, აწამოს და ამ რეჟისორმა არც მნახველს არასოდეს შესჩივლოს და არც ნათესაობას.

როცა ქართველმა მომვლელმა ერთი კვირით დასვენების დღეები აიღო, რატომღაც ახალ მომვლელს გამოჩენისთანავე გადასცა წერილი, – მიშველეო, მცემს და ტერორში ვყავარო.

ეს საქმე გამოსაძიებელია! არ არის გამორიცხული, რომ ახალმა მომვლელმა თავის სასარგებლოდ მოაწყო ეს ამბავი.

მე არავის არ ვიცავ იმიტომ, რომ ქართველია. დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ აქ რაღაცა საეჭვო ამბავია, სიმართლე უნდა გაირკვეს! სხვა თუ არაფერი, ხელფასს ხომ უხდიდნენ ამ ქართველს? ესე იგი რეჟისორს პატრონიც ჰყავდა და მნახველიც.

რაღა ამ ლათინო-ამერიკელს, ახალ მომვლელს შესჩივლა და არა სხვას? როგორც გადმოსცეს ტელევიზიით, რეჟისორს ფსიქიკური პრობლემებიც ჰქონია და ადრე სუიციდიო, თავის მოკვლაც უცდია. სამწუხაროა, რომ იტალიის ტელევიზია ყოველ არხზე აცხადებს ამ საშინელ და სამარცხვინო ამბავს! (news.ge)

## ხალხსაც ძალიან უნდა შენი დაბრუნება, მიშა — ბევრი, ძალიან ბევრი რამისთვის გაქვს პასუხი საგები!!!




– ძალიან მინდა საქართველოში დაბრუნება, – ასე უპასუხა ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა ტელეწამყვან დიმიტრი გორდონის შეკითხვას: „დაბრუნდებით საქართველოში?“

მიხეილ სააკაშვილი:

– ძალიან მინდა საქართველოში დაბრუნება, მაგრამ იცით, რა არის? ამავდროულად უნდა გვესმოდეს, ჩემი უკრაინაში ყოფნის მთავარი მიზეზი და მიზანი რა არის. თუკი უკრაინაში დალაგდება და აეწყობა ყველაფერი, იგივე მოხდება საქართველოშიც. საქართველოს, მოლდოვას, აზერბაიჯანის, სომხეთისა და კიდევ ბევრი ქვეყნის ბედი ახლა უკრაინაში წყდება.

უკრაინას რუსეთის არ ეშინია, იცის, რომ სახიფათოა, მაგრამ არ ეშინია. სხვა არც ერთი ქვეყანა არ მეგულება, რომელსაც არ ეშინია რუსეთის, თუმცა, ჩემი მმართველობის დროს, საქართველოში არც ჩვენ გვეშინოდა, – განაცხადა ოდესის გუბერნატორმა. (ipress.ge)

# უნდა გავახუროთ თუ არა ძრავი — საავტომობილო ექსპერტები თემას ეხმაურებიან

„უნდა გავახუროთ თუ არა ძრავი“ – ამ თემასთან დაკავშირებით ინტერნეტში ყოფილი მრბოლელის, საინჟინრო დარგში დოქტორისა და ატმოსფერული ძრავების სპეციალისტის სტივენ კიატის კვლევები გავრცელდა, სადაც დასაბუთებულად იყო ახსნილი, რატომ არ სჭირდება ძრავს ზამთარში ადგილზე გახურება:

**„როდესაც ძრავი გახურების რეჟიმში, სიჩქარეზე დაკიდების გარეშე, ანუ ე.წ „ხალასტოიზე“ მუშაობს, თანაც სიცივეში, მოიხმარს იმაზე მეტ საწვავს, ვიდრე მას სინამდვილეში ესაჭიროება, რაც საბოლოოდ ძრავის სერიოზულ დაზიანებას იწვევს. რადგან ძრავი მუშაობს, ხოლო ავტომობილი ადგილიდან არ იძვრის, ძრავში არსებული ზეთი ვერ ასწრებს, სწრაფად მიეწოდოს დგუშსა და ცილინდრებს. ანუ, ფაქტობრივად, ძრავი ზეთის გარეშე მუშაობს, რაც დაუშვებლად დიდ დატვირთვასა და შემდგომში ადვილად ცვეთას იწვევს.**

**ახლა კი მარტივი განმარტება — ყინვაში მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ზეთი უფრო სქელი ხდება, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. შესაბამისად, ძრავის, ფაქტობრივად, გაორმაგებული მუშაობის პირობებში ვერ ასწრებს ძრავის შიგნით მდებარე რკინისგან დამზადებული დეტალების შეზეთვას, რაც, საბოლოო ჯამში, მათ დაზიანებას იწვევს. შესაბამისად, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ავტომობილი აუცილებლად უნდა გახურდეს, მხოლოდ და მხოლოდ გამოგონილი მითია. სინამდვილეში უკეთესია, თუ ძრავს დაქოქვისთანავე დავძრავთ“.**

თემამ მოსახლეობაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ერთნი მოსაზრებას ეთანხმებიან, სხვები კი ამბობენ, რომ მოყვანილი არგუმენტები სიცრუეა და სიმართლეს არ შეესაბამება.





ქართველი საავტომობილო ექსპერტი ზურა ბეჟაშვილი აღნიშნავს, რომ ახალი თაობის ძრავებს გახურება არ სჭირდება.

საკუთარ „ფეისბუკის“ გვერდზე ამ თემას საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ოგბაიძეც გამოეხმაურა.

**ზურა ბეჟაშვილი:**

– თანამედროვე ძრავებს არ სჭირდება გახურება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სიბლანტის ზეთი ასხია ძრავში. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სანამ ძრავი არ გათბება, არ უნდა დავტვირთოთ ძლიერად, ანუ არ უნდა ვამუშაოთ მაღალ ბრუნზე. მოსაზრება, რომ ადგილზე გახურების დროს ძრავი ზიანდება, სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეგვიძლია, მთელი სიმძლავრით ვამუშაოთ ავტომობილი.

ძველი თაობის ძრავებს, აუცილებლად სჭირდება გახურება, რადგან ღრეჩო (ზაზორი) დიდია დგუშსა და ცილინდრს შორის. გათბობის შემდეგ დგუში სიგანეში იმატებს და ღრეჩო მცირდება. დიდი ღრეჩო სახიფათოა ცივ ძრავზე დატვირთვის დროს, ცივ ძრავზე მაღალი ბრუნით მუშაობამ, შეიძლება დგუშის დაზიანება გამოიწვიოს.

რაც შეეხება თანამედროვე ძრავსა და მოძველებულ ძრავს შორის განსხვავებას, ამის განსაზღვრის უბრალო მეთოდი არსებობს. თუ მწარმოებელი ქარხანა მოითხოვს, რომ თქვენ გამოიყენოთ **10w40** სიბლანტის ზეთი, ესე იგი ეს ძველი ტიპის ძრავია და თუ ითხოვს **0w20,5w20,5w50** და ასე შემდეგ, ესე იგი საქმე გვაქვს უახლეს ტექნიკასთან.

**შალვა ოგბაიძე:**

– სჭირდება თუ არა ავტომობილის ძრავს „გახურება“?

ამ კითხვით ძალიან ბევრმა მომმართა და გადავწყვიტე, მცირე კომენტარი გავაკეთო მათთვის, ვისთვისაც სულ ერთი არ არის საკუთარი ფინანსები, ავტომობილის ძრავის რესურსი და გარემოს დაცვა.

მაშ ასე, მცირეოდენი „თეორია“:

თანამედროვე შიგაწვის ძრავების ოპტიმალურ სამუშაო რეჟიმად ითვლება ის მდგომარეობა, როდესაც გამაგრილებელი სითხის ტემპერატურა 92-95 გრადუსს მიაღწევს. უფრო დაბალ ტემპერატურაზე არსებულ რეჟიმს „ცივ ძრავას“ უწოდებენ.

დავიმახსოვროთ: ცივ მდგომარეობაში ძრავს ელემენტები უცვდება და მნიშვნელობა არ აქვს, ავტომობილი ადგილზე დგას თუ დადის. მთავარია, როგორი ბრუნთა რიცხვი აქვს ძრავს, ანუ ე.წ. „აბაროტი“. ცვეთის ინტენსივობა დამოკიდებულია არა დატვირთვაზე (დადის თუ დგას), არამედ რა ბრუნთა რიცხვი აქვს ძრავას.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ცივი ძრავი (ეს განსაკუთრებით ძველი მოდელის მექანიკურ ჰაერმისაფარიან ძრავებზე ითქმის) მოიხმარს „მდიდარ“ სამუშაო ნარევს, რაც ხელს უწყობს ცილინდრის კედლებზე არსებული ზეთის აფსკის ჩამორეცხვას, რაც, თავის მხრივ, ზეთის გათხელებას (და შესაბამისად, სწრაფად „დაძველებას“) იწვევს, რაც, თავის მხრივ, ძრავას მოხახუნე დეტალების (განსაკუთრებით ცილინდრისა და დგუშ-ბარბაცას ჯგუფის) რესურსის შემცირების წინაპირობაა.

**რა ვქნათ?**

ავტომობილს დილით რომ „დავქოქავთ“, უფრო გამართულად რომ ვთქვათ – „გავუშვებთ“, მხოლოდ ის დროც, რაც საჭიროა უსაფრთხოების ღვედების შესაკრავად, ელექტროხელსაწყოებსა და მაჩვენებლებზე თვალის გადასავლებად, სრულებით საკმარისია, რომ თითქმის „უგაზოდ“, დაბალი სიჩქარით და რაც მთავარია, დაბალი ბრუნთა რიცხვით დავიწყოთ მოძრაობა, – აცხადებს შალვა ოგბაიძე.

შესაბამისად, თუ ექსპერტების რჩევებს დავუჯერებთ, არ არის სავალდებულო ავტომობილის დაქოქვიდან 5-10 წუთი უმოძრაო მდგომარეობაში დგომა. რამდენიმე წამიც კი საკმარისია იმისთვის, რომ ავტომობილი ძალდაუტანებლად, დაბალი ბრუნვის ე.წ. „აბაროტის“ პირობებში ვამოძრაოთ, ხოლო როდესაც წყალი საჭირო ნიშნულს მიაღწევს, თავისუფლად შეგვეძლება ძრავის დატვირთვა გავზარდოთ. (autoradio.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა

## კმაყოფილია გვარამია მცირეწლოვანი გოგონების გაუპატიურების საქმეში ქართველი ჯარისკაცების სახელი კიდევ ერთხელ რომ გაჟღერდა...



„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია „ფეისბუკის“ გვერდიდან თავდაცვის მინისტრს მიმართავს და ურჩევს, ტელეკომპანიას ბოდიში მოუხადოს. საქმე ეხება თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც სამხრეთ აფრიკაში ქართველ ჯარისკაცებთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე დაწყებული გამოძიების დასრულებამდე, 6 პირს უფლებამოსილება შეუჩერდა. უწყების გადაწყვეტილება მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის, ზეიდ რაად ალ ჰუსეინის ინფორმაციით, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ქართველმა სამხედროებმა მცირეწლოვანი გოგონების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობა განახორციელეს.

გვარამია ხიდაშელს რამდენიმე თვის წინ გაკეთებული სიუჟეტის გამო ტელეკომპანიის გაკრიტიკებას ახსენებს:

„გახსოვთ, ქალბატონო მინისტრო, რა ლაფი ასხით „რუსთავი 2“-ს, რამდენიმე თვის წინ ამას რომ ვამბობდით? ვყოფილვართ მართალი? თუ ჩვენ მოგონილ დეზინფორმაციას დაეყრდნო გაერო თავის ანგარიშში? მგონი, არ იქნება ურიგო, ბოდიში მოუხადოთ რ2ს“, – წერს გვარამია „ფეისბუკის“ პირად გვერდზე.

კომენტარში ტელეკომპანიის დირექტორს თავად მინისტრმა უპასუხა: „სხვათა შორის, სრულიად არაფერ შუაშია ეს ორი ამბავი ერთმანეთთან. თქვენ რაც დაგვაბრალეთ, იქ ჩვენები არაფერ შუაში რომ არ იყვნენ, ეს უკვე დადასტურებულია. კალენდრის ამბავია, მესმის, ალბათ, ამასთანაც პრობლემა გაქვს, როგორც, ზოგადად, ფაქტებთან. დღეს, ასევე, არაფერია დადასტურებული. თუმცა, ისევე როგორც მაშინ, ახლაც გავარკვევთ, მოვიკვლევთ და გამცნობთ. მაშინ ამას, უბრალოდ, 24 საათი ეყო, იმიტომ, რომ საერთოდ არ ვიყავით მისიაში, როცა გვაბრალებდით. ეხლა უფრო რთული გამოსაძიებელია. არ არის საჭირო ნიშნის მოგებით საუბარი, მით უფრო, როცა არ ხარ მართალი. აბა, ჰე, შენ იცი აწი“, – წერს თინა ხიდაშელი კომენტარში.

„უბრალოდ, როგორი ვნებითაც დაგვასხი, კეთილგონიერი ადამიანი უკან მაინც წაიღებდა იმავე თუ არა, ნაკლები ვნებით“, – წერს გვარამია პასუხად. (ambebi.ge)

## „გარდაბნის არჩევნები „ქართული ოცნების“ კანდიდატმა სამმაგი უპირატესობით მოიგო“




„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, არსებული მონაცემებით, გარდაბნის არჩევნები „ქართული ოცნების“ კანდიდატმა სამმაგი უპირატესობით მოიგო.

– ამ არჩევნებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ასახავს არა მხოლოდ გარდაბნის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის განწყობას. ყოველი ჩვენგანი ამ არჩევნებს განვიხილავდით, როგორც გენერალურ ტესტს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. გარდაბნის არჩევნებმა აჩვენა, რომ „ქართული ოცნება“ რჩება დომინანტ პოლიტიკურ ძალად პოლიტიკურ სივრცეში. „ნაციონალური მოძრაობა“ არის გაკოტრებული პოლიტიკური ძალა, – განმარტა ირაკლი კობახიძემ. (kvira.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის

## თურქეთის სამხედრო საჰაერო ძალების ბაზებზე განგაშია გამოცხადებული



თურქეთის სამხედრო საჰაერო ძალების ავიაბაზებზე განგაშის მომატებული – „ნარინჯისფერი“ დონე გამოცხადდა. ამის შესახებ ადგილობრივი სააგენტო „ანადოლუ“ წერს.

სააგენტოს ინფორმაციით, ავიაბაზებზე განგაშის მომატებული დონე ითვალისწინებს „ყველაფრისადმი სრულ მზადყოფნას“ და პილოტების დაუყოვნებლივ რეაგირებას მეთაურებთან შეთანხმების გარეშე.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გვრცელებული ინფორმაციით, 29 იანვარს რუსეთის „სუ-34“-მა თურქეთის საჰაერო სივრცე დაარღვია. (ინტერპრესნიუსი)

## არჩევნებზე „ნაცებსა“ და „ქოცებს“ ერთმანეთის გაძუყვნა უფრო ძვირი დაუჯდებათ



პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრს ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დაწესებული სასჯელის გადახედვის ინიციატივით მიმართა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, ძალიან ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში ფიზიკური შეურაცხყოფისთვის უფრო მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული. პრემიერ-მინისტრმა თეა წულუკიანს ოქტომბრის არჩევნებამდე ამ კუთხით გარკვეული პრევენციული ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდა.

– იუსტიციის მინისტრს მინდა ვთხოვო, გადახედოს, რას ითვალისწინებს ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ჩვენი კოდექსი. რამდენადაც მე ვიცი, არის ფულადი ჯარიმები და საკმაოდ მსუბუქი სასჯელი. მე არ მინდა რაღაც უკიდურესობაში გადავიდეთ, მაგრამ ძალიან ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში, ფიზიკური შეურაცხყოფისთვის უფრო მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული და იქნებ ამ კუთხით გარკვეული პრევენცია გაგვეკეთებინა არჩევნებამდე, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. (pia.ge)

## ე.წ. ღორის გრიპით საქართველოში კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა



ე.წ. ღორის გრიპით საქართველოში კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, შემთხვევა 30 იანვარს მოხდა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2015-2016 წლების გრიპის სეზონზე, სულ ლაბორატორიულად გამოვლენილია ე.წ. ღორის გრიპის 186 შემთხვევა, აქედან 7 ლეტალურად დასრულდა. (ინტერპრესნიუსი)

## „ბავშვებს დედა მოუკლა, აყურებინა, როგორ იცლებოდა ნინო სისხლისგან“

ვარკეთილში, შუამთის ქუჩაზე მდებარე ავარიული კორპუსი, სადაც ოდესღაც სკოლა იყო, ამჟამად კი მიუსაფართა თავშესაფარია, აქამდე ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ყოფას ასახავდა, ამჟამად კი შემზარავი ტრაგედიის ადგილადაც იქცა. კორპუსიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით რამდენიმე გასროლას ახალგაზრდა ცოლ-ქმრის სიცოცხლე ემსხვერპლა – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის მცხოვრებმა, 30 წლის გიორგი დოლიძემ 28 წლის მეუღლე ნინო კილასონია, ფაქტობრივად, 2 მცირეწლოვანი შვილის თვალწინ მოკლა, ცოტა ხანში კი თავი მოიკლა.

თვე-ნახევრის წინ სოფელ ქვიანიდან ქმარს გამოქცეული ნინო კილასონია, 11 და 8 წლის შვილებთან ერთად, სწორედ ხსენებულ თავშესაფარში მცხოვრებ დის ოჯახს აფარებდა თავს; გაუსაძლისი სულიერი თუ მატერიალური მდგომარეობის ფონზე ის გამუდმებით ეძებდა სამსახურს, 2 კვირის წინ კი ამავე ტერიტორიაზე მდებარე ხატების საამქროში დაიწყო მუშაობა. როგორც თავად, ასევე, მისი შვილებიც მოუთმენლად ელოდნენ, როდის აიღებდა დედა პირველ ხელფასს, რომელიც დაახლოებით 400 ლარს შეადგენდა.

დღეს ბავშვების მდგომარეობა, რომელთაც ნორმალურ საზოგადოებაში დაუყოვნებლივ დაუნიშნავდნენ ფსიქოლოგს, უმძიმესია. უბედურებას ისიც ემატება, რომ კილასონიების მშობლიური სახლი აბაშაში, ნინო კილასონიას მკვლელობიდან 3 დღით ადრე ისე დაიწვა, რომ იქიდან აღარაფერი დარჩა.

**გარდაცვლილის და ქეთი კილასონია, რომელთანაც გარდაცვლილი იყო თავშეფარებული, მომხდარზე გვესაუბრა:**

– ენით აუწერელი უბედურება დაგვემართა, არ ვიცი, სად არის ჩვენი საშველი. სახლიც აღარ გვაქვს, სადაც ჩემს დას ბოლო დღეებში დავასვენებდით. სიზმარში მგონია თავი. წარმოშობით აბაშელები ვართ; 6 და-ძმა ვიყავით, 16 წლის ძმა გამოგვაკლდა ავადმყოფობით და იმის სიკვდილი ვერ მოგვენელებინა, მასზე დარდმა დედაჩემი სიმსივნით დააავადა, ახლა ეს საშინელება კიდევ, როგორ უნდა გადავიტანოთ ან ჩვენმა უბედურმა დედამ, ან ჩვენ?!

ეს რა გაგვიკეთა მკვლელმა, 16 წლის რომ გაიტაცა, იმის შემდეგ, 11 წლის განმავლობაში, ხომ სულ შიშსა და ცემაში ჰყავდა ისიც და მისი შვილებიც, მაგრამ ამის მიუხედავად ჩემი საცოდავი და მაინც ლამაზი და კეთილი დარჩა. მიხაროდა, სადისტ ქმარს, ბოლოს და ბოლოს, რომ



გამოერიდა, ვფიქრობდი, როგორი ყოჩაღია, სამსახურს ხალხი წლობით ეძებს, მან კი ერთ თვეში ნახა; თურმე ტყუილად მიხაროდა, მაინც მისი წერა გახდა...

**— თქვით, რომ 11 წლის განმავლობაში ცოლ-ქმარს გართულებული ურთიერთობა ჰქონდათ, ამდენი ხნის განმავლობაში რატომ არ გამოერიდა, იქნებ, ეს ტრაგედია არ მომხდარიყო...**

– შვილების გამო. ნებისმიერი დედა მარტო თავის თავზე არ ფიქრობს და შვილებზე დარდობს, ცდილობს, რომ შვილებს მამა შეუნარჩუნოს, თუკი ეს შესაძლებელია. ამბობდა, – გოგოები მყავს, მამა სჭირდებათო; თანაც ქმარი ზოგჯერ თავის საქციელს ნანობდა, გამოსწორებას ჰპირდებოდა, ნინოსაც იმედი ჰქონდა, – ეგება, მართლა გამოსწორდესო; ოჯახის ტვირთი თავად ჰქონდა აღებული, მის ქმარს სიცოცხლეში არ უმუშავია, ამიტომ მთელი ოჯახის რჩენა ჩემი დის კისერზე იყო,



ძროხაც ჰყავდა და ბოსტანიც ჰქონდა... ალბათ, იმასაც ფიქრობდა, 2 შვილით კარზე ვის მივადგეო... მრავალშვილიან ოჯახში გავიზარდეთ და დიდად არ გვილხინდა. არც ახლა გვილხინს, აბაშიდან თბილისში თავის სარჩენად წამოვედით და თავს ვაი-ვაგლახით ვირჩენთ კიდეც, მაგრამ სახლ-კარი არც ერთს არ გვაქვს. მეც ქმარ-შვილით ყოფილი სკოლის სარდაფში ვცხოვრობ, სადაც ცხოვრების არანაირი პირობები არ არის; სოციალურ კმაყოფაზე ვარ, მაგრამ როცა ნინომ მითხრა, – ჩემს ქმართან ცხოვრება აღარ შეიძლება, საკუთარი დედა ცემით სიკვდილამდე მიიყვანა და უკვე ბავშვებსაც სცემსო, მაშინვე ვუთხარი, – ამ წუთშივე ადექი და ჩამოდი, ყველა დაგიდგებით გვერდში-მეთქი. ჩემი და წამოვიდა და ისიც თან გამოჰყვა; მეორე დღესვე; ერთი თვე ნაქირავებში იცხოვრა, მერე ნათესავებთან გადავიდა, ფული რომ შემოელია, ყოველდღე ურეკავდა ჩემს დას, ემუქრებოდა, – მოგკლავო. ბავშვები მამას დასანახად ვერ იტანდნენ.

**— წინასწარ ჰქონია ყველაფერი დაგეგმილი. შესაბამისი ზომები რატომ არ მიიღეთ?**

– სხვა ზომები როგორ უნდა მიგვეღო, პოლიციას შევატყობინეთ, ხელწერილი დაადებინეს, რომ არც ცოლსა და არც შვილებს ახლოს არ მიეკარებოდა, არ დაურეკავდა და არც შეაწუხებდა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაგიჟდა; მეზობლებმა რამდენჯერმე მითხრეს, – შენი სარდაფის ფანჯრებზე თავი ჰქონდა მიდებული და შიგნით იყურებოდაო. სანადირო თოფი ლანჩხუთიდან ჰქონია ჩამოტანილი და დაშლილს სულ თან დაატარებდა, ქურთუკის შიგნით.

აღარ ვიცი, როგორ უნდა დაგვეცვა მისგან ნინო?! ნორმალური სახელმწიფო რომ გვქონდეს, ასეთ ადამიანს ცოლ-შვილის ნახვას აუკრძალავდნენ კი არა, მის იზოლირებას მოახდენდნენ! ჩვენ ხომ არ დავაპატიმრებდით ამ ადამიანს, რა გამოსავალი გვქონდა?! ჩვენ იმით ვიცავდით, რომ სამსახურში დილით მივყვებოდით და როცა მუშაობას დაამთავრებდა, დავხვდებოდით და სახლში მოგვყავდა... მხოლოდ იმ საშინელ სიკვდილის დღეს არ წავყოლივართ; თუმცა რომ წავყოლოდით, ორ გარდაცვლილს მესამეც დაემატებოდა, ალბათ. დაგვლუპა... ბავშვებს დედა მოუკლა, აყურებინა, როგორ იცლებოდა ნინო სისხლისგან... გონზე ვერ მოგვყავს ბავშვები... ისეთი ტრაგედია დაემართათ, აღარ ვიცი, როგორ უნდა აეწყოს მათი ცხოვრება... თითქოს გულმა ცუდი მიგრძნო, დავურეკე, – მალე მოხვალ-მეთქი? მიპასუხა, – 15 წუთშიო. სახლიდან 50 მეტრში, საღამოს რვის ნახევარზე ესროლა... ბავშვები კივილის ხმაზე გარეთ გაცვივდნენ და მიწაზე დაგდებულ დედას თავზე წაადგნენ.

**— თვითონაც იქვე მოიკლა თავი?**

– დაახლოებით ერთ საათში, ჯერ პოლიციაში მისულა და უთქვამს, – ერთ ქალს მანქანამ გადაუარა, მიეშველეთო და უკან წამოსულა. ჩვენ წივილ-კივილში თოფის გასროლა აღარ გაგვიგონია, მაგრამ მეზობლებმა გაიგონეს, – ჩემი და კორპუსის წინა მხარეს მოკლა, თავად უკანა მხარეს გასულა და იქ უსვრია. ყველაზე მეტად ბავშვებზე ვდარდობ. არ ვიცი, რა მოვუხერხო, რით ვანუგეშო, როგორ შევუმსუბუქო ეს ტკივილი.

ბავშვებს – ფსიქოლოგი, ოჯახს კი მატერიალური თანადგომა სჭირდება, მათი ყველა ნათესავი მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს; გამოიჩინეთ სიკეთე და დაეხმარეთ დაობლებულ პატარებს:

„თიბისი ბანკი“, ანგარიში:
**GE34TB7354645061100001**

კოდი: **TBCBGE22.** მიმღები შორენა ჭანტურია. ტელეფონი: **595293944** (kvirispalitra.ge)

# ეს „აქსისია“? დიახ, გისმენთ!

უმეტეს შემთხვევაში ასე იწყება ურთიერთობა „აქსისთან“!

რომელიც არასდროს აღარ მთავრდება!

ეს სარეკლამო სლოგანი იქნებოდა, სამწუხაროდ, ცუდი გამოცდილება რომ არ ახლდეს თან!

ცუდიც არის და ცუდიც!!!

„კომპანიამ ქვეყანაში შემოიტანა თანამედროვე არქიტექტურის, მენეჯმენტისა და მომსახურების სრულიად ახალი მიდგომა.

ჩვენი პროექტები გამოირჩევა თავისი მასშტაბებით, მრავალფეროვნებით, ინოვაციური მიდგომებით, თანამედროვე არქიტექტურითა და რაც მთავარია ხარისხით“.

„ჩვენი მიზანია გარემოს განვითარება, რომელიც მოიტანს თითოეული ჩვენგანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ეს არის მთავარი იდეა. ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ ისეთი პროდუქტი, რომელიც ცხოვრების სტილის სრულიად ახალ სტანდარტსა და მოთხოვნებს დანერგავს საქართველოში“.

ეს ციტატები სამშენებლო კომპანია „აქსისის“ ოფიციალური ვებგვერდიდანაა... რომელიც უტიფრად აწარმოებს სარეკლამო კამპანიას უძრავი ქონების ბაზრის „პატიოსანი მოთამაშის“ სახელით.

კომპანიის ეს ფილოსოფია როგორ აისახება ჩვეულებრივ ადამიანებზე, მასზე, ვინც ამ კომპანიაში ფართებს ყიდულობს?

არც ისე ჩვეულებრივად, როგორც ეს ძველ ლათინებს ჰქონდათ, მათი გაგებით, ეს სიტყვა (აქსისი) ღერძს ნიშნავდა, ხოლო რას ნიშნავს ეს სიტყვა დღევანდელი გაგებით იმ თბილისელი მომხმარებლისთვის, რომელმაც სრულად გადაუხადა თანხა საცხოვრებელი ფართის და ავტოფარეხის მისაღებად და უკვე 5 წელიწადია, ელოდება კომპანიის მიერ ისეთი თანამდევი სამუშაოების დასრულებას, როგორიცაა, მაგალითად, სადარბაზოს მოწესრიგება?

ეს უკვე დღევანდელი 21-ე საუკუნის ქართული კომპანიაა, რომლის მთავარი ღირებულებაა მომხმარებლისგან თანხების ამოღება. ამ კომპანიის ზოგიერთი დეპარტამენტი ისეთი კეთილგანწყობით ხვდება პოტენციურ კლიენტს, რომ მას თავი საკუთარ ოჯახში ეგონება და ასეთი დამოკიდებულება გრძელდება, სანამ თანხას გადაიხდის...

გინდათ, საუკეთესო დამოკიდებულების შენარჩუნება? თანხა ნაწილ-ნაწილ უნდა იხადოთ და არაფერი თქვათ სამშენებლო სამუშაოების ტემპზე ან/და ხარისხზე...

თუ მომხმარებელმა მთელი თანხა სრულად გადაიხადა და სამშენებლო სამუშაოების დასრულების დაგვიანებისათვის რაიმე სახის სანქცია მოითხოვა, დამოკიდებულება მყისვე იცვლება.. მაგრამ ეს არაფერი... ძველ ეგვიპტეში პირამიდებს უფრო სწრაფად აშენებდნენ, ვიდრე 21-ე საუკუნეში „აქსისი“ 10-სართულიან სახლს... სახლის აშენებას შეიძლება მოვესწროთ, მაგრამ სადარბაზოს მოწესრიგებაზე კი ნოტარიუსს უნდა მივმართოთ, რომ შთამომავლობას ანდერძად დავუტოვოთ ის ისტორიული მეხსიერება, რაც „აქსისთან“ ჩვეულებრივ ურთიერთობას მოჰყვა...

მრავალი წამოწყებული ობიექტი, დაუსრულებელი და ექსპლოატაციაში მიუღებელი კორპუსები, მობინადრეებისგან წინასწარ აღებული თანხების ერთი ობიექტიდან მეორეზე გადატანა, იაფფასიანი და უხარისხო მასალების გამოყენება მშენებლობაში, აქცენტები კომერციული ფართების მაქსიმალურ ფასად რეალიზაციაზე მაკლერების მეშვეობით, მოუწესრიგებელი სადარბაზოები და ეზოები და ძალიან ბევრი სხვა რამ... ეს „აქსისის“ ხელწერაა, რომელმაც ქვეყანაში შემოიტანა „თანამედროვე არქიტექტურის, მენეჯმენტისა და მომსახურების სრულიად ახალი მიდგომა“.

და რა უნდა ქნას ამ დროს „აქსისისგან“ დაზარალებულმა უამრავმა მობინადრემ? სასამართლოს მიმართოს თუ „აქსისის“ მენეჯმენტში ახლობლები ეძიოს?

სხვათა შორის, ცალკე არც ერთი ხერხი არ ამართლებს! საჭიროა, როგორც კომუნისტები იტყოდნენ, კომპლექსური მიდგომა.

ისე, კომპლექსური მიდგომა დროულად გაგვახსენდა... თუ წინა საუკუნის 80-იანი წლების მშენებლობის პერიპეტიებს გავიხსენებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ სამშენებლო ბიზნესი დღეს ბევრ მახასიათებელს იმეორებს... მოკლედ, ტრადიცია „აქსისის“ ნიშანია!

თითქმის ყველა უბანში წამოწყებულია მასშტაბური მშენებლობები, რიგდება ლამაზი სარეკლამო ბუკლეტები, ხოლო მათ უკან დაწყვეტილი ნერვები და მაცხოვრებელთა ფინანსური რესურსები დგას, რომელსაც „აქსისის“ მენეჯმენტი საკმაოდ თავისებურად განაგებს... ისე, საინტერესო კი არის კომპანიის და მომხმარებლის ასე მოდერნიზებული ურთიერთობა და ამ უკანასკნელის ინტერესების იგნორირება რა ზღვრამდე გაგრძელდება?

დამოკიდებულება წლებია, არ იცვლება, „აქსისი“ კი ვითარდება...

არ არის ცნობილი ეგვიპტის პირამიდების მშენებელი „კომპანიის“ სახელი... სამაგიეროდ, კარგად ვისწავლეთ „აქსისი“, რომელიც პირამიდების მშენებლობას ჯერ არ შედგომია, არადა იქნებ ამის პოტენციალი აქვს? ყოველ შემთხვევაში, თავის მომხმარებელს ის ისე ექცევა, რომ ამის ნიშნები ნამდვილად ჩანს...

ამ წერილის უკან უამრავი მაცხოვრებლის კონკრეტული პრობლემები დგას... მათი იმედები, რომ ორი ათას რომელიღაც წელს ახალ საცხოვრებელ ფართში შევიდოდნენ ან მას კომერციულ ბრუნვაში ჩაუშვებდნენ, ჯერჯერობით კვლავაც აუსრულებელია...

ამიტომ გინდათ პრობლემები და მოგაკლდათ თავის ტკივილი?

დაუკავშირდით კომპანია „აქსისს“!

საკითხავია, ეს ასე გაგრძელდება?

პირამიდები მარტო მატერიალური გამოსახულების არ არის, ფინანსური სახის პირამიდებიც გვსმენია...

გაწბილებულ და მოტყუებულ მობინადრეებს კი ისღა დაგვრჩენია, კანონით გათვალისწინებული ყველა მეთოდი გამოვიყენოთ, რათა დროზე აღვკვეთოთ „თეთრსაყელოიანთა“ თარეში, დავანახოთ უცხოელ ინვესტორებს მოსახლეობის ჯიბეებიდან თანხების ამოღების მანკიერი პრაქტიკა და მათი მესვეურების რეალური სახე და დავიბრუნოთ ის თანხები, რომლებიც მათ ანგარიშებზე დიდი ხანია დალექილია.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია, საკუთარი გუნდის მხრიდან თავდასხმის ობიექტი აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ ის შეხვდება მის ქართველ კოლეგას მიხეილ ჯანელიძეს, ნუკრი ქანთარიამ ობიექტური, თუმცა ოპოზიციური აზრი გამოთქვა: „ლავროვთან შეხვედრა ვფიქრობ, რომ აუცილებელია, თუმცა არ ვიცი, ერთი-ერთზე რამდენად წონიანი იქნება ბატონი ჯანელიძე. ის ძალიან ნიჭიერია, მაგრამ სათანადო გამოცდილება არა აქვს, რომელიც სჭირდება ლავროვთან შეხვედრას. საკმაოდ კარგად უნდა ვიყოთ მომზადებული ამ შეხვედრისთვის“. „სწრაფი რეაგირების“ ბატალიონის ხელმძღვანელი, ქალბატონი თინათინი დამაჯერებელი ტონითა და საყურის ქანქარით ქანთარიას უმალ გამოეხმაურა და ჩვეული ტონით ბრძანა, — ცოტა მეტი ფიქრი სჭირდებათ იმ პარტიაში, საიდანაც ეს განცხადებები კეთდება. საკუთარ მინისტრზე ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდნენ, თუ რაიმე კითხვები აქვს ნუკრი ქანთარიას ჯანელიძესთან დაკავშირებით, მას კითხვის დასმის საშუალება ჰქონდა საქართველოს პარლამენტში გასულ წელს. ყველაფერი დანარჩენი არის ბელეტრისტიკა და ძალიან ვწუხვარ, რომ ქანთარია ასეთი ტიპის განცხადებებს აკეთებს საკუთარი ქვეყნის ძალიან პროფესიონალ ახალგაზრდა, ენთუზიასტ და გამოცდილ დიპლომატთან დაკავშირებითო... „კვირის ქრონიკის“ კითხვებს პასუხობს „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, დეპუტატი ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია.**

# რას ამბობს ნუკრი ქანთარია მისი განცხადების შემდეგ ატეხილ სკანდალზე?

## მიხეილ ჯანელიძეს, სავარაუდოდ, გადაიყვანენ ეკონომიკის მინისტრად, ხოლო ეკონომიკის მინისტრს ქუმსიშვილს ფინანსთა მინისტრად დანიშნავენ...



**— თქვენმა განცხადებამ საგარეო საქმეთა მინისტრთან დაკავშირებით განსაკუთრებით თინა ხიდაშელი გააღიზიანა, ცოტა მეტი ფიქრი სჭირდებათ იმ პარტიაში, საიდანაც ეს განცხადებები კეთდებაო. „რესპუბლიკურმა პარტიამ“ მიზეზების ძებნა ხომ არ დაიწყო და შარზე ხომ არ არიან?**

– არა მგონია, ამ ყველაფერს უფრო გაუგებრობას მივაწერ, მე გამოვთქვი ჩემი აზრი, მათ კი თავისი აზრი აქვთ, მე აქცენტი გავაკეთე ჯანელიძის გამოცდილებაზე და საკითხის მომზადებაზე. მიმაჩნია, რომ, თუ საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა შედგება, იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ გვაქვს საქმე მოწინააღმდეგესთან განსხვავებით ევროკავშირთან, ნატოსთან, რუსეთთან მოლაპარაკებებს ექნება გაცილებით მეტი სიმწვავე, რადგან საქმე ეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ამდენად, ეს იქნება მწვავე მოლაპარაკება. ზოგს თუ მიაჩნია, რომ ლავროვი ნაკლებად გამოცდილი დიპლომატია, ან ადვილია მასთან საუბარი, ეს მისი აზრია, მე ასე არ ვფიქრობ, ამიტომ მიმაჩნია, რომ სერიოზული მომზადებაა საჭირო და აუცილებელია გამოცდილი დიპლომატის გაგზავნა. ეს იყო და ეს, ჯანელიძესთან პრეტენზია არ მაქვს, მიმაჩნია, რომ ის კომპეტენტური, უნარიანი და ნიჭიერი ახალგაზრდაა. ვფიქრობ, რომ ის ერთ-ერთი მაღალი დონის დიპლომატი იქნება მომავალში.

**— „კვირის ქრონიკის“ ინფორმაციით, მზადდება ახალი საკადრო გადაადგილება, მიხეილ ჯანელიძეს, სავარაუდოდ, გადაიყვანენ ეკონომიკის მინისტრად, ხოლო ეკონომიკის მინისტრს ქუმსიშვილს ფინანსთა მინისტრად დანიშნავენ, ჯანელიძის ადგილას კი მოიაზრება რამდენიმე გამოცდილი და წონიანი დიპლომატი, ესენი გახლავთ — დავით ზალკალიანი, თედო ჯაფარიძე, სალომე ზურაბიშვილი, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებად სავარაუდოა, დაინიშნოს საგარეო საქმეთა მინისტრად. თქვენ ეს ინფორმაცია იცოდით და ამიტომ გააკეთეთ აქცენტი ჯანელიძის გამოუცდელობაზე? თქვენ ვის ისურვებდით საქართველოს ნომერ პირველ დიპლომატად?**

– შეგნებულად არ დავასახელებ გვარს, ეს არის პრემიერ-მინისტრის პრეროგატივა, თუ ასეთი რამ მოხდა, ვთვლი, რომ პრემიერი კომპეტენტურ გადაწყვეტილებას მიიღებს. ჩვენ რვაწლიანი პაუზა გვაქვს რუსეთთან ურთიერთობის და მათთან მოლაპარაკებისა. თუ გავიხსენებთ, ადრე ვინ ხვდებოდა ლავროვს და რა წარმატებებს მიაღწია მასთან მოლაპარაკებაში, შეიძლება იმის მიხედვით მოხდეს ახალი კანდიდატის შერჩევა, თუკი ეს საჭირო გახდება.

**— პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ გიორგი კვირიკაშვილი დაინიშნა, სწორედ ის იქნება საარჩევნო სიის პირველი ნომერი. პარტიის ყოფილმა თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილმა კი შეწყვიტა პარტიასთან ურთიერთობა. საინტერესოა, რას უნდა დაჰპირდეს გიორგი კვირიკაშვილი და „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს, რომ კიდევ დაგიჯეროთ?**

– ვფიქრობ, ლოგიკურია, თუ გიორგი კვირიკაშვილი იქნება კოალიციის ლიდერი და სიის პირველი ნომერი, აქვე გეტყვით, რომ სიებზე ჯერჯერობით არ არის საუბარი. მოგვიანებით გამოიკვეთება, ვინ იქნება სიბრძნეც აქვს, გამოცდილებაც. არ ვიცი, რას უნდა დავპირდეთ ამომრჩეველს, ალბათ, ეს გადასაწყვეტია.

**— ბატონო ალექსანდრე, რით ხსნით იმ ფაქტს, რომ კვირიკაშვილი გაცილებით გახსნილია, ხვდება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ოპოზიციას, ესწრება პრეზიდენტის მიერ მოწყობილ უშიშროების საბჭოს სხდომას, რასაც არ აკეთებდა მისი წინამორბედი. არადა, ორივე ლიდერის უკან დგას ბიძინა ივანიშვილი, რომლის მთავარი სამიზნე არის პრეზიდენტი მარგველაშვილი.**

– კვირიკაშვილი ცდილობს, არ იყოს კონფრონტაციულ რეჟიმში და ყველასთან დიალოგში შევიდეს, როგორც ოპოზიციასთან, ასევე არასამთავრობო სექტორთან, ეს ნამდვილად არ არის ცუდი. იმ დროს, ქვეყანას სჭირდებოდა ისეთი ლიდერი, როგორიც იყო ირაკლი ღარიბაშვილი, ცოტა ხისტი, სამართლიანი, დღეს სხვა მოცემულობაა, თუმცა კვირიკაშვილის შეხვედრები არ ვიცი, რას მოგვიტანს, პარლამენტის სხდომაზე კვირიკაშვილს კიდეც ვუთხარი, რომ „ნაციონალებთან“ კარგია, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი, ესენი მაინც ვერაფერს გაიგებენ, გისურვებ წარმატებებს-თქო. მე არ მჯერა, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შესაძლებელია რაიმე დიალოგის გამართვა და გარკვეული შეთანხმების მიღწევა, მაგრამ ამ შემთხვევაში პრემიერი უფრო გლობალურად უყურებს მოვლენებს, მისი სტილია ასეთი. ვნახოთ, რა შედეგებამდე მივალთ.

**— ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა იყო კონსტიტუციაში ჩაწერილიყო, რომ ოჯახი, ეს არის ქალისა და მამაკაცის ერთობლიობა, ღარიბაშვილის გადადგომის შემდეგ, „ლგბტ“-ს უფლებადამცველები გააქტიურდნენ და საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, რათა დაკანონდეს ქალისა და ქალის, კაცისა და კაცის ქორწინება. როგორი იქნება ამ თემაზე თქვენი რეაქცია და ღარიბაშვილის ინიციატივას აღასრულებს თუ არა პარლამენტი?**

– წარმოიდგინეთ, როგორი შეიძლება იყოს ჩემი რეაქცია, რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი, ეს გახლავთ მორიგი პროვოკაცია, ჩვენ გვაქვს მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილება და აუცილებლად შევიტანთ კონსტიტუციაში, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. იმედი მაქვს, სწორედ ამ საგაზაფხულო სესიის პერიოდში მოვასწრებთ ცვლილების განხორციელებას, საქართველოს ნამდვილად არ ემუქრება ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება უახლოესი 50 წლის განმავლობაში. არ გამოვრიცხავთ, ასეთი პროვოკაციული მცდელობები გაგრძელდეს, ეს ყველაფერი უკავშირდება არჩევნებს... და რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, უფრო დაიძაბება ვითარება, გარკვეული ჯგუფების მხრიდან იქნება მცდელობა, რომ პროვოკაციები მოახდინონ, შუღლი შემოიტანონ გუნდის შიგნით, რომ საზოგადოებაში არაჯანსაღი დისკუსია გამოიწვიოს.

**— თუმცა დაპირისპირების სურათს ისევე თქვენი გუნდის წევრები ქმნიან. შეგახსენებთ თამაზ მეჭიაურის განცხადებას, რომელმაც „რესპუბლიკელებსა“ და „ფორუმელებს“ მოუწოდა, არჩევნებზე დამოუკიდებლად გასულიყვნენ და ამით ნათელი გახდებოდა, ვის რა რეიტინგი აქვს.**

– ეს არის მეჭიაურის პერსონალური აზრი, აზრის გამოთქმას არავინ არავის უკრძალავს, „რესპუბლიკური პარტიაში“ საკმაოდ ჭკვიანი ხალხია და კარგად იციან, თუ კოალიციიდან გავლენ, შესაძლოა, 5%-იანი ბარიერიც ვერ გადალახონ. „რესპუბლიკელები“ დაინტერესდნენ, რამდენია მათი კვოტა კოალიციაში, მათ წინასწარ სურთ, დეტალურად იცოდნენ, ვფიქრობ, ეს არის მოლაპარაკებების საგანი. მას შემდეგ, რაც აიწონ-დაიწონება ყველაფერი, ამ თვალსაზრისითაც გარკვეული შედეგი დადგება. საუბარი იმაზე, თითქოს მათ კონკრეტული კვოტა მოითხოვეს, არ არის სწორი, თუმცა გეტყვით, რომ მოითხოვეს პასუხი, რამდენია მათი წილი და რა ერგებათ. თუ მათი სურვილები იქნება ჩვენ სურვილებთან თანხვედრაში, მაშინ შევთანხმდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ვერ მოვრიგდით ისე დასრულდება ურთიერთობები, როგორც ამ დროს ხდება, მაგრამ იმედი მაქვს, „რესპუბლიკელები“ არიან პრაგმატულები და რა განსაკუთრებული შეხედულებაც არ უნდა ჰქონდეთ საკუთარ თავზე, რეალობას გაითვალისწინებენ... და თუ კოალიცია ამ სახით დარჩება, ყველას წილი იქნება გათვალისწინებული. მოგეხსენებათ, არჩევნებამდე ჯერ კიდევ დროა დარჩენილი, მარადიული არავინ არის და არავინ იცის, რა შეიძლება მოხდეს. მე არც კოალიციის დაშლას გამოვრიცხავ და არც იმას, რომ ამ სახით წარვდგეთ არჩევნებზე.

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

**მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპონდენტი პარტიულ თუ საგანმანათლებლო სისტემაში აქტიურობით გამოირჩევა, საზოგადოებას თავი არასტანდარტულად დაამახსოვრა, როცა „ნაციონალი“ ნიკა მელია „ჩქმეტაში“ ამხილა.**

**იქნება თუ არა განათლების მინისტრის „დაჩქმეტილი“ ახალგაზრდა მრჩეველი ტყიბულის მაჟორიტარად წარდგენილი, ამაზე „კვირის ქრონიკასთან“ თავად ოთარ აბესაძე საუბრობს:**

# ჩაანაცვლებს თუ არა ელისო ჩაფიძეს ტყიბულში ნიკა მელიას „დაჩქმეტილი“ ოთარ აბესაძე?



**— ოთარ, გავიგეთ, ტყიბულში მაჟორიტარად ელისო ჩაფიძეს ჩაანაცვლებსო, სიმართლესთან ახლოსაა ეს ინფორმაცია?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ საუბარია არა მხოლოდ ტყიბულის, არამედ თერჯოლის მაჟორიტარულ ოლქზე, იმიტომ რომ, უკვე ეს ორი ქალაქი გაერთიანებულია ერთ საარჩევნო ოლქად, რაც შეეხება მაჟორიტარობას, ჯერ ვერ ვიტყვი რომ რაღაცა გადაწყვეტილია, ან არაა გადაწყვეტილი. როგორც გუნდი ჩათვლის საჭიროდ, ისე იქნება. ტყიბულელი ვარ და ეს ვერსიაც ამიტომ წამოვიდა, ალბათ...

**— კოალიციის მომავალ საპარლამენტო სიაზე ბოლო პერიოდში დიდი მითქმა-მოთქმაა, ძნელად მისახვედრი არაა, ვინ ადგენს მას, გუნდის შიგნით ამაზე თუა ღია კონსულტაციები? კოალიციაში შემავალი პარტიები, რესპუბლიკელების წინა პლანზე გადმოწევას აპროტესტებენ უკვე ღიად...**

– კოალიცია, როცა ერთიანად გადის არჩევნებზე, უნდა შეთანხმდეს თამაშის წესებზე. კონსულტაციას გადიან პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელები და კოალიციის დამფუძნებლები. ამაში შედიან, რა თქმა უნდა, ბატონი ბიძინა ივანიშვილი და ყველა რგოლი, რომელიც დღეს „ქართულ ოცნებას“ ხელმძღვანელობს. ივანიშვილი რომ სიებთან დაკავშირებულ კონსულტაციებში მონაწილეობს, ამაში განსაკუთრებული არაფერია, ეს ასეც უნდა იყოს.

**— პრეზიდენტზეც მინდა გკითხო, შენ იყავი მისი მრჩეველი, როდესაც მარგველაშვილი განათლების მინისტრი იყო, გაპრეზიდენტებიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ის „ოცნების“ გუნდიდან ერთგვარად გარიყა მმართველმა გუნდმა, რამდენად სამართლიანი იყო მის მიმართ კოალიცია?**

– მის მრჩევლად დავინიშნე გამინისტრებიდან ძალიან მალე, ახალგაზრდულ-სტუდენტურ საკითხებში. გიორგი მარგველაშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი სახელმწიფოებრივი ხედვით და იდეალური კომუნიკაციით სამთავრობო გუნდთან, შემდეგ გადავედით საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიაში, ვიყავი მისი შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. თუმცა როცა პრეზიდენტი გახდა, გადავწყვიტე განათლების სისტემაში დარჩენა, რადგან ეს სფერო ძალიან კარგად ვიცი და არ გავყევი ადმინისტრაციაში. პირველ რიგში, როგორც პრეზიდენტს, მინდა დავუდასტურო პატივისცემა, ის თავის მოქმედებებში არის დამოუკიდებელი, მისი პოლიტიკური ხედვები კი საზოგადოებამ უნდა შეაფასოს. მიუხედავად იმისა, რომ ის არჩეულია „ქართული ოცნების“ გუნდიდან, მას აქვს დემოკრატიული უფლება, გადაწყვიტოს, რა არის მისი პოლიტიკური სიმპათია და ვის მიცემს საპარლამენტო არჩევნებზე ხმას.

# „შესაძლოა, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა საქართველოში შემოიყვანოს სამხედრო დაჯგუფება და რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად აქციოს?!“

## რა უნდა რუსეთს? — რა იმალება ლავროვის განცხადებაში?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22





**„რუსეთში კლანებს შორის საკმაოდ სერიოზული დატაკებაა, პუტინის კლანს, რუსეთის სამხედროებსა და სხვა კლანებს შორის მიდის გაუთავებელი ომი, ამ არეულობაში მოჰყვა ჩეჩნეთის პრეზიდენტის კადიროვის დაჯგუფება, ლავროვი გახლავთ ე.წ. ლიბერალების დაჯგუფების წარმომადგენელი...“**



**„ბრძოლა მიმდინარეობს საქართველოზე საგარეო გავლენის მოსაპოვებლად, არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენთან სიტუაცია დაიძაბება, სამწუხაროდ, აქ ვხედავ მოლდოვის სცენარის განვითარების პერსპექტივას, როცა მოლდოვაში დაეტაკა ერთმანეთს ორი ძალა — პროევრაზიული და პროდასავლური“**



რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეთავაზებათა პაკეტის შემდეგ ახლა უკვე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახდენს წინადადებათა პრეზენტირებას – რუსეთი საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობს უმაღლეს დონეზე შეხვედრებს როგორც საქართველო-რუსეთის პრეზიდენტებს შორის, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. დღეს ჰაერივით სჭირდება რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობების დალაგება, იმ ფონზე, როცა მწვავდება თურქეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობები, „ოცნების“ ხელისუფლებას უჩნდება ისტორიული შანსი, მიიღოს ყველაფერი, ან არაფერი, თუმცა აქ საჭიროა მომზადდეს ისეთ წინადადებათა პაკეტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ჩიხში არ შეიყვანს. ლავროვის მხრიდან ერთგვარ მუქარად იყო აღქმული მისი პრეტენზია, რომ პანკისის ხეობაში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების გადამზადება მიდის, ეს იყო ერთგვარი შეხსენება, რომ, თუკი საქართველოსთან ვერ გამონახავს საერთო ენას, მაშინ შეუძლია, სამხედრო ძალითაც ესაუბროს და ამისთვის პანკისის ხეობა გამოიყენოს.

**უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ვახტანგ მაისაია „კვირის ქრონიკის“ კითხვებს პასუხობს, თუ როგორია მისი თვალით დანახული რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელების ქმედებები და განცხადებები, რომელიც ბოლო პერიოდში აქტიურ ფაზაში შედის და რას უნდა ველოდოთ მათგან?**

**— ლავროვის განცხადების შემდეგ, თითქოს პანკისი საფრთხეს წარმოადგენს და იქ მზადდებიან „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები, საქართველოს პრეზიდენტი დემონსტრაციულად ჩავიდა ხეობაში და დაამტკიცა, რომ პანკისი არ არის საფრთხე და მსგავს პრეცედენტს ადგილი არა აქვს. რა პოლიტიკური ქვეტექსტები დევს რუსეთის ხელისუფლების განცხადებების მიღმა?**

– ფაქტობრივად, პანკისის ხეობაში იყო უშიშროების საბჭოს გასვლითი სხდომა. რა თქმა უნდა, ეს იყო პასუხი ლავროვის გამოთქმულ ცილისწამებაზე, მაგრამ პანკისში ახლა ისეთი უჩვეულო არაფერი ხდება, რაც არ ხდება საქართველოს სხვა რეგიონებში. პანკისის ხეობაზე აქცენტის გადატანა საზოგადოებისთვის ცოტა უცნაური იყო, განსხვავებით ექსპერტებისგან, ბუნებრივია, პანკისის ხეობის რეგულირებას შეეცდება რუსეთის ხელისუფლება, მაგრამ აქ სხვა უფრო მნიშვნელოვან საფრთხეებზეა საუბარი, ვიდრე პანკისში არსებული ჯიჰადისტებისა და დაიშის, ანუ ე.წ. ისლამური მებრძოლების არსებობა. გასათვალისწინებელია, რა რთული გეოსტრატეგიული მდგომარეობა არსებობს ჩვენს საზღვრებთან, ასევე მსოფლიო არენაზე, ამერიკა-რუსეთს შორის დაპირისპირებამ, ფაქტობრივად, უპრეცედენტო სახე მიიღო, აქ უკვე სამხედრო პროვოკაციებს აქვს ადგილი. რუსული სამხედრო თვითმფრინავები ახორციელებენ იმიტირებულ შეტევებს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებზე, ლიტვინენკოს საქმით ბევრ რამეს ფარდა აეხადა, ამერიკელებმა უკვე ღიად დაიწყეს ლაპარაკი მის კორუფციულ სქემებზე. არ გამოვრიცხავ, სირია გადაიქცეს რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირების არეალად, ფაქტობრივად, ნატო ითვალისწინებს საომარი მოქმედებების სცენარსაც კი. ნატოში აამოქმედეს ბირთვული დაგეგმვის კომიტეტი და სტრატეგიული ბირთვული შეიარაღება მოყვანილია სრულ საბრძოლო მდგომარეობაში. ფაქტობრივად, დაიწყო ბირთვული დაშინების პოლიტიკა, რუსეთმა დაჩქარებული წესით სტრატეგიულ ტრიადაში შემოიყვანა ისეთი კომპონენტი, როგორიც არის „იარსი“, „ტოპოლი-მ“. მინდა მიაქციოთ ყურადღება, რის ფონზე გააკეთა ლავროვმა განცხადება და რატომ არ შეიძლება იყოს იმ დონის საფრთხე პანკისში, როგორც ეს ლავროვმა განაცხადა. მთავარი ფაქტორი გახლავთ ის, რომ ისლამურ სახელმწიფოს არ სცალია კავკასიის რეგიონისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის. რამდენიმე თვის წინ შესაძლოა, „ისლამურ სახელმწიფოს“ რაღაც გეგმები ჩვენთან მიმართებაში ჰქონდა, მაგრამ დღეს რადიკალურად შეცვლილია მდგომარეობა. ფაქტობრივად, დაიშში „ისლამური სახელმწიფო“ კარგავს თავის გავლენებს, ამერიკელები იწყებენ შეზღუდულ სახმელეთო ოპერაციებს დაიშის წინააღმდეგ, შესაბამისად, რუსებიც გააქტიურდნენ ამ მიმართულებით. მიუხედავად რუსეთში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობისა, რუსეთი უკან არ იხევს და მას მიზანში ჰყავს თურქეთი და „ისლამური სახელმწიფო“. პანკისთან მიმართებაში რუსეთი ათამაშებს იგივე კარტს, რაც გაათამაშეს 2001-2002 წლებში, მაშინ მათ განახორციელეს პანკისის ხეობის დაბომბვა, ამერიკელებმა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა დაიწყეს სწორედ პანკისის ხეობის პრობლემის მოსახსნელად, ჩატარდა კონტრტერორისტული ოპერაცია ჯიჰადისტების განსადევნად, მაშინ საქართველო იყო უუნარო და ვერ აკონტროლებდა სიტუაციას პანკისსა და სხვა ტერიტორიებზე, ეს გახლდათ შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდი, მაგრამ ახლა სიტუაცია მეტ-ნაკლებად დალაგებულია. ბუნებრივია, პანკისის ხეობაში არსებობს ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები, პოტენციურად შეიძლება იქ იყო ერთგვარად ასეთი კერა, რაზეც ლავროვი მის განცხადებაში საუბრობს, იყო რამდენიმე პრეცედენტი, როცა დაიშის ხაზით პანკისიდან ხდებოდა ახალგაზრდების გადინება, მაგრამ ეს საფრთხე დღეს ნამდვილად არ არსებობს. ახლა კი მთავარი, რა უნდა რუსეთს? ბრძოლა მიმდინარეობს საქართველოზე საგარეო გავლენის მოსაპოვებლად, არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენთან სიტუაცია დაიძაბება, სამწუხაროდ, აქ ვხედავ მოლდოვის სცენარის განვითარების პერსპექტივას, როცა მოლდოვაში დაეტაკა ერთმანეთს ორი ძალა – პროევრაზიული და პროდასავლური, ფაქტობრივად, ვხედავთ, რა სიტუაციაა დღეს მოლდოვაში, იქ არის საკმაოდ გაურკვეველი, ბუნდოვანი ვითარება, როგორც ჩემი კოლეგებისგან ვიცი, ევრაზიული ძალები ძალიან გააქტიურდნენ. მათ აიღეს პარლამენტის შენობა და ულტიმატუმების ენაზე საუბრობენ, ბუნებრივია, უკრაინაში თანდათანობით იძაბება ვითარება „მინსკი-2“-ის ხელშეკრულებასთან მიმართებაში. ფაქტობრივად, იქ არის საჭირო, რომ განახლდეს სამხედრო ოპერაციები, მიაქციეთ ყურადღება, პანკისის ხეობაზე განცხადება ლავროვმა გააკეთა იმ პრესკონფერენციაზე, რომელიც მიუძღვნა სირიის კონფლიქტს. აშკარა იყო, რომ სირიის კონფლიქტს მიუერთა პანკისი.

**— რუსეთი პანკისის ხეობას გამოიყენებს სამხედრო ინტერვენციის განსახორციელებლად, თუ ეს დასჭირდება?**

– რუსეთში საკმაოდ მძიმე პოლიტიკური ვითარებაა, სამწუხაროდ, ჩვენთან არავინ აქცევს ამას ყურადღებას, რუსეთში კლანებს შორის საკმაოდ სერიოზული დატაკებაა, პუტინის კლანს, რუსეთის სამხედროებსა და სხვა კლანებს შორის მიდის გაუთავებელი ომი, ამ არეულობაში მოჰყვა ჩეჩნეთის პრეზიდენტის კადიროვის დაჯგუფება, ლავროვი გახლავთ ე.წ. ლიბერალების დაჯგუფების წარმომადგენელი, კადიროვი კი გახლავთ რუსეთის ძალოვნების კრეატურა, სწორედ ისინი აფინანსებენ, მფარველობენ, რუსეთის საგარეო საგამოძიებო კომიტეტმა გამოავლინა, რომ ბორის ნემცოვის მკვლელობა განხორციელდა კადიროვის დაჯგუფების წარმომადგენლების მიერ, დაკავებულია 6 ადამიანი, რომლებიც იყვნენ სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ კადიროვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, მეტსახელად „ლორდის“, დაქვემდებარებაში... ბუნებრივია, კადიროვის გარეშე ვერ იმოქმედებდნენ, ასე რომ, კადიროვი სერიოზულ მახეში გაება, ახლა ცდილობს, როგორმე გამოძვრეს სკანდალებიდან და კრემლის ხელმძღვანელს ერთგულება დაუმტკიცოს. იმ დონის დაპირისპირებაა, რომ ლამისაა კრემლის გადატრიალებამდე მივიდა საქმე და ამ ფონზე კადიროვს მოუწევს დაამტკიცოს, რომ ის არ იყო კრემლის გადატრიალების სცენარის მომხრე. კრემლი არ გამორიცხავს, რომ კადიროვმა გამოიყენოს პანკისის ხეობა, რადგან ყოველთვის ემუქრებოდა. კადიროვი პანკისის ხეობას ნებისმიერ შემთხვევაში აიღებდა. ლავროვის განცხადებაში, თითქოს პანკისში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები იმყოფებიან, აქცენტი ახმედ ჩატაევზე გაკეთდა. არ დაგავიწყდეთ, რომ ფაქტობრივად კადიროვს მიმართა, რომ რუსეთი გაუსწორდება ჩატაევს, ეს გზავნილი გაკეთდა რამდენიმე ხნის წინ.

**— რა ლოგიკას ავითარებთ, შესაძლოა, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა საქართველოში შემოიყვანოს სამხედრო დაჯგუფება და რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად აქციოს?**

– კადიროვს ჰყავს საკმაოდ სერიოზული სამხედრო დაჯგუფება, არ გამოვრიცხავ პროვოკაციის მოწყობას. როგორც მიხეილ სააკაშვილს, ასევე კადიროვს ჰყავს სამი ათასკაციანი „სიკვდილის ესკადრონები“, მათ რამდენიმე გავლენიანი ჩეჩენი უფლებადამცველი მოკლეს, ატერორებენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს. გამორიცხავთ, ჩეჩნეთიდან სიკვდილის ესკადრონების რამდენიმე ჯგუფი რომ შემოვიდეს პანკისის ხეობაში, რომ ჰქონდეთ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების სიმბოლიკები. რუსეთისგან ასეთი პროვოკაციები და იმიტაციები კი არ გვიკვირს. ამის საფუძველზე რუსეთი განახორციელებს პანკისის ხეობაში ინტერვენციას. კადიროვი, რომელიც ეჭვმიტანილია კრემლის გადატრიალებაში და მის ზარებს პუტინი აღარ პასუხობს, კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს ერთგულებას პუტინს და პანკისის ხეობაში დესტაბილიზაციის მოწყობით კვლავ მნიშვნელოვანი გახდება პუტინისთვის. ყველა ცუდი სცენარისთვის უნდა მოვემზადოთ. არ ვიცით, რუსეთი როგორ გამოიყენებს პანკისის სცენარს, დღეს რუსეთს სჭირდება სამხედრო-სახმელეთო ტრანზიტი, რუსეთი სირიაში მესამე სამხედრო ბაზის განთავსებას აპირებს, რაც სირთულეებთან არის დაკავშირებული და მას სჭირდება სამხედრო სატრანზიტო დერეფანი საქართველოს სახით. ამის გამოა, რომ ჩვენ რუსეთი თან შემრიგებლური და თან მუქარის ტონით გველაპარაკება.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# ვინ იქნება „ქართული

## — გიორგი კვირიკაშვილი ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრად ინიშნებოდა, როდესაც



**„როცა ურბანი უნგრეთის პრემიერად აირჩიეს, მაშინ მან საპროცენტო განსხვავების გადახდა დააკისრა ბანკებს. ბანკებმა სცადეს, პირი შეეკრათ მის წინააღმდეგ და ქვეყანაში დაძაბულობა შეექმნათ, დაესუსტებინათ ურბანის ხელისუფლება, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, რადგან ძალიან დიდი მხარდაჭერა მიიღო საზოგადოებისგან და ბანკები იძულებულნი გახდნენ, პრემიერის დავალება შეესრულებინათ“**






**ჩვენ მივიღეთ გაუსაძლისი ვითარება, სადაც ბანკირები იქცნენ ყაჩაღებად და კლიენტები სუიციდამდე მიჰყავთ. ნორმალურ სახელმწიფოში კი ასეთი ფაქტები დაუსჯელი არ დარჩებოდა და სახელმწიფო ვალდებულია, თითოეული მისი მოქალაქის სიცოცხლეზე პასუხი აგოს. იყო პრეცედენტი, როცა მოქალაქემ ბანკის წინ თავი დაიწვა და ხელისუფლებამ ეს საკითხი ისე გაატარა, თითქოს ადამიანი კი არა, ჩიტი დაკარგა...**

როგორც მოსალოდნელი იყო, ირაკლი ღარიბაშვილმა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტი დატოვა. კახი კალაძე იმედს გამოთქვამდა, რომ ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ წევრად დარჩებოდა, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ კახი კალაძის განცხადებას ცივი წყალი გადაასხა და თქვა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პარტია „ქართული ოცნებიდან“ წავიდა. ეს ინფორმაცია თავად ღარიბაშვილმაც დაადასტურა, რომ ტოვებს პოლიტიკურ მოღვაწეობას, მიდის როგორც პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტიდან, ასევე პარტიიდან. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გახდა და ეს იმას ნიშნავს, რომ საარჩევნო სიის პირველი ნომერიც ის იქნება. საინტერესოა, როგორ მოახერხებს გიორგი კვირიკაშვილი ფინანსურ კრიზისში მყოფი ადამიანების დარწმუნებას, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ლარი დასტაბილურდება, სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, სამართლიანობა აღდგება და მათხოვრად ქცეული ადამიანები დასაქმდებიან. ქართველი ამომრჩეველი „ოცნების“ ხელისუფლებას აუცილებლად შეახსენებს იმ დაპირებებს, რითაც 2012 წელს მოვიდა ხელისუფლებაში. მათ შორის ერთ-ერთი დაპირება იყო იაფი ფული, დაბალი საპროცენტო განაკვეთი და კრედიტებდამძიმებული ადამიანებისთვის შეღავათის მიცემა. ივანიშვილი პირობას იძლეოდა, რომ მახრჩობელა ბანკებს მოსთხოვდა, ემუშავათ ხალხის ინტერესების მიხედვით. თუმცა სურათი შეიცვალა, სიტყვები მხოლოდ არქივში დარჩა და ჩვენ მივიღეთ გაუსაძლისი ვითარება, სადაც ბანკირები იქცნენ ყაჩაღებად და კლიენტები სუიციდამდე მიჰყავთ. ნორმალურ სახელმწიფოში კი ასეთი ფაქტები დაუსჯელი არ დარჩებოდა და სახელმწიფო ვალდებულია, თითოეული მისი მოქალაქის სიცოცხლეზე პასუხი აგოს. იყო პრეცედენტი, როცა მოქალაქემ ბანკის წინ თავი დაიწვა და ხელისუფლებამ ეს საკითხი ისე გაატარა, თითქოს ადამიანი კი არა, ჩიტი დაკარგა. აი, ეს არის უპასუხისმგებლობა, რაც საზოგადოებაში დაუცველობის შეგრძნებას იწვევს... და ისმება კითხვა – რისთვის ვირჩევთ ხელისუფლებას, რისთვის ვაფინანსებთ მათ, რატომ ვანდობთ ჩვენს ბედს, თუკი ჩვენ გვერდით არ დგას გადამწყვეტ მომენტში და ვერ ვგრძნობთ მათ პასუხისმგებლობას. სამწუხაროდ, ხალხი ამ ხელისუფლების ხელშიც, ფულის შოვნის ინსტრუმენტად იქცა.

**ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე „კვირის ქრონიკასთან“ საუბარში მიმდინარე კვირას აფასებს, სხვათა შორის, ის რამდენიმე დღეა, ბუდაპეშტიდან დაბრუნდა და საინტერესო პარალელს ავლებს, როგორ მოახერხა კრიზისიდან გამოსვლა პრემიერმა ურბანმა და რა უნდა გააკეთოს კვირიკაშვილმა.**

**— ბატონო მამუკა, ძალიან მტკივნეულად მოხვდა მოსახლეობას ლარის დევალვაციის მეორე ტალღა, ვართ თუ არა სოციალური აფეთქების ზღვარზე?**

– როგორც ჩანს, სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, მართალია, ფინანსისტი არ ვარ და არ შემიძლია, სიღრმისეულად ვისაუბრო ამ თემაზე, მაგრამ ჩემი შეფასება გამაჩნია. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ საერთაშორისო კრიზისი მძვინვარებს ჩვენს გარშემო, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნები უაღრესად მძიმე მდგომარეობაში არიან, არც ის მინდა ვთქვა, რომ მხოლოდ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან საბოტაჟს აქვს ადგილი. მე მაინც ვთვლი, რომ მთავრობას სჭირდება ძალიან სერიოზული ეკონომიკური პოლიტიკის შექმნა, ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური ექსპერტები არიან, თუნდაც ემზარ ჯგერენაია, რომლის სახელიც არაერთხელ დამხვდა უცხოეთში ვიზიტისას. მე ვთვლი, რომ სწორედ ამ ადამიანებთან ერთად უნდა შეიმუშაოს ხელისუფლებამ ახალი მიდგომები და ამ კუთხით დიდი იმედი მაქვს პრემიერ-მინისტრის... ვხედავ, ჩემს საახლობლოში მძიმე მდგომარეობაა, დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა იგივეს განიცდის, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც სესხი დოლარში აქვს აღებული, მათი საპროცენტო განაკვეთი იზრდება, ბოლო პერიოდში სუიციდის შემთხვევებიც ვნახეთ, ვინაიდან ადამიანები ვეღარ უმკლავდებიან ფინანსურ პრობლემებს, ამიტომაც სასწრაფოდ სჭირდება ხელისუფლებას კონსოლიდირებული მიდგომების დემონსტრირება და უნდა ჩაერთონ ამ საკითხში ექსპერტები, ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები, ახლახან გახლდით ბუდაპეშტში. პრემიერ-მინისტრ ურბანს ბევრი ავანტიურისტს ეძახის და მისი საგარეო პოლიტიკის გამო აკრიტიკებენ. ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის პრემიერად აირჩიეს, მაშინ მან საპროცენტო განსხვავების გადახდა დააკისრა ბანკებს. ბანკებმა სცადეს პირი შეეკრათ მის წინააღმდეგ და ქვეყანაში დაძაბულობა შეექმნათ, დაესუსტებინათ ურბანის ხელისუფლება, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, რადგან ძალიან დიდი მხარდაჭერა მიიღო საზოგადოებისგან და ბანკები იძულებულნი გახდნენ, პრემიერის დავალება შეესრულებინათ და გადახდის ტვირთი ნაწილობრივ ბანკებს დაეკისრათ. შეიძლება ეს პრინციპი არ იყოს გამართლებული ჩვენს ვითარებაში, მაგრამ ბანკებმა და მომხმარებელმა პასუხისმგებლობის ტვირთი თანაბრად უნდა გადაინაწილონ, სხვანაირად შეუძლებელია ამ ხალხის კრიზისიდან გამოყვანა. ჩვენ ვხედავთ, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ღატაკდება, მდიდრდება კომერციული ბანკები, სახელმწიფო არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დაიცვას ბალანსი და ბანკებმა შეღავათი გაუწიონ კლიენტს. არადა, 2012 წელს, როდესაც ჩვენ ხელისუფლებაში მოსასვლელად ვიბრძოდით, ამ მიმართულებით ხალხს ბევრ რამეს დავპირდით, მათ შორის იყო სესხების გადავადება, ვალების შემცირება და ა.შ. ახლა მაინც გააკეთოს ხელისუფლებამ ის, რასაც მოსახლეობას დაჰპირდა, მით უმეტეს, საარჩევნო წელია, გადადგან ქმედითი ნაბიჯები ისე, რომ არ დაზარალდეს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები და საზოგადოება ნაწილობრივ მაინც დარჩეს კმაყოფილი. ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა იმიტომ, რომ საზოგადოება იყოს მშვიდ მდგომარეობაში. „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო, პოლიტიკური სტაბილურობისთვის მიეღწია. ის, რაც ხდება უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში, მოლდოვაში, არ ხდება საქართველოში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეს სტაბილურობა შენარჩუნდება, თუკი უფრო მეტად დამძიმდება ხალხის მატერიალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რამაც შესაძლოა, სოციალური აფეთქებაც კი გამოიწვიოს.

**— გიორგი კვირიკაშვილის ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნამდე „კვირის ქრონიკასთან“ ინტერვიუში ექსკლუზიურად აცხადებდით, რომ ამ საკადრო პოლიტიკას მოჰყვებოდა კვირიკაშვილის გაპრემიერება და სწორედ ის ჩაუდგებოდა საარჩევნო სიას სათავეში. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ თქვენი პროგნოზი გამართლდა, თუმცა მაინტერესებს, რამდენად რელევანტური იქნება კვირიკაშვილი როგორც საარჩევნო სიის პირველი ნომერი და გაჰყვება თუ არა მას ამომრჩეველი?**

– ლოგიკურიც იყო, რომ ის გახდა პარტიის თავმჯდომარე და შესაბამისად, ის იქნება საარჩევნო სიის პირველი ნომერი, კვირიკაშვილმა გადადგა საზოგადოებისთვის მისაღები ნაბიჯები, რამაც მოწონება დაიმსახურა. მას აქვს დინჯი და გაწონასწორებული საუბარი, შესაძლოა, ვიღაცისთვის უმნიშვნელოა პრეზიდენტის მიერ უშიშროების საბჭოს სხდომის დანიშვნა და პრემიერის იქ დასწრება, მაგრამ როცა საზოგადოება ხედავს, რომ კონსოლიდირებულია მთავრობა, ბევრად დაცულად გრძნობს თავს. პრემიერ-მინისტრმა უნდა გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომ საზოგადოებრივი სიმშვიდე შეინარჩუნოს, დაუძახოს დამოუკიდებელ ეკონომიკურ ექსპერტებს და გაატაროს რეფორმა ამ კუთხით, რათა ადამიანებს შეუმსუბუქონ ტვირთი, რაც მეტწილად განაპირობა ლარის დევალვაციამ. ზოგადად გეტყვით, რომ კვირიკაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს მოახერხა ის, რომ მასზე საერთაშორისო საზოგადოება პოზიტიურად განაწყო, ბუდაპეშტში ნატო-ს ოფისში გახლდით და იქ ვიგრძენი კვირიკაშვილისადმი კეთილგანწყობა, თავისთავად კარგია ხელისუფლების სასტარტო მდგომარეობისთვის, საჭიროა იყოს შენარჩუნებული სტაბილურობა და გაიზარ-

# ოცნების“ სიის ოცეულში?

**გვითხარით, რომ ის გახდებოდა სიის პირველი ნომერი. თქვენი პროგნოზი ახდა...**

**რისთვის ვირჩევთ ხელისუფლებას, რისთვის ვაფინანსებთ მათ, რატომ ვანდობთ ჩვენს ბედს, თუკი ჩვენ გვერდით არ დგას გადამწყვეტ მომენტში და ვერ ვგრძნობთ მათ პასუხისმგებლობას? სამწუხაროდ, ხალხი, ამ ხელისუფლების ხელშიც, ფულის შოვნის ინსტრუმენტად იქცა**





**„ამის გამო ლავროვს აზერბაიჯანში სულ კალანტაროვი და თბილისელი სომეხი ეძახეს“**



**„ქართულმა ოცნებამ“ შეძლო პოლიტიკური სტაბილურობისთვის მიეღწია. ის, რაც ხდება უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში, მოლდოვაში, არ ხდება საქართველოში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეს სტაბილურობა შენარჩუნდება, თუკი უფრო მეტად დამძიმდება ხალხის მატერიალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რამაც შესაძლოა, სოციალური აფეთქებაც კი გამოიწვიოს“**

დოს ხალხის ნდობა, ამისთვის ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. რაც შეეხება საარჩევნო სიაში პირველობას, სხვა ალტერნატივა კვირიკაშვილის გარდა არ ჩანს, მით უფრო, მაშინ, როცა ივანიშვილმა სასტიკი უარი თქვა, ღიად ჩართულიყო პოლიტიკაში, ამას ვვარაუდობდი და დამტკიცდა კიდეც, რომ კვირიკაშვილი იქნება სიის პირველი ნომერი.

**— გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს, ვინ მოხვდება საარჩევნო სიაში, არ არის გამორიცხული, კვოტების გამო სერიოზული შეხლა-შემოხლა ვიხილოთ კოალიციაში. თქვენთვის თუ გახდა ცნობილი, „ოცნებაში“ ვინ შეინარჩუნებს პოზიციებს და ვინ იქნება ახალი სახე?**

– ძნელი სათქმელია, ვინ როგორ განაწილდება, თუმცა ჩანს, რომ სიის პირველი ოცეულის კონფიგურაცია იქნება ასეთი: შევლენ ფრაქციის ხელმძღვანელები, მოადგილეები და მთავრობის წარმომადგენლები. შესაძლოა, ორი-სამი ისეთი ახალი სახე დაემატოს, რომელიც არ ასოცირდებოდა „ქართულ ოცნებასთან“, მაგრამ საზოგადოებას არ შეიძლება მასთან პრეტენზია ჰქონდეს. ეს იქნება ელჩი, ქართველი, რომელიც უცხოეთში მოღვაწეობს, ან აქ მყოფი რომელიმე საინტერესო სახე, მერწმუნეთ, მათი გამოჩენა სასირცხვილო არ იქნება, ისეთ ადამიანებზე გააკეთებენ აქცენტს. ჭიდაობა და დაპირისპირება ასეთი სიების შედგენის დროს ყოველთვის არსებობს, რასაკვირველია, ახლაც იქნება, თუმცა საბოლოოდ რამდენიმე კაცი წყვეტს და ივანიშვილი წერტილს სვამს. ამ შემთხვევაში ფორმალურ მმართველობას ვერავინ დასწამებს, რადგან ის არის პარტიის დამფუძნებელი.

**— ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე პედრო არგამუნტმა კიდევ ერთხელ გააკრიტიკა ხელისუფლება და მიანიშნა, რომ მათ ჰყავთ პოლიტიკური პატიმრები, რაც გაიმეორა „ჰუმან რაიტს ვოჩმა“ ყოველწლიურ ანგარიშში. რამდენად გაუძლებს ხელისუფლება საერთაშორისო ზეწოლას და ხომ არ შეიძლება არჩევნების შემდეგ ციხიდან განთავისუფლებული ვიხილოთ უგულავა, ახალაია და მერაბიშვილი?**

– ასეთი ტიპის ზეწოლა დასავლეთის პოლიტიკოსების მხრიდან სულ არის, ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ კონტრლონისძიება ტარდება. მაგალითად, აშშ-ს წარმომადგენლები თვლიან, რომ სიტუაციის ფორსირება საჭირო არ არის, მეორენი თვლიან, რომ ქვეყანაში არსებობენ პოლიტპატიმრები. თუმცა მთავარია ის, რომ არავის აწყობს ჩვენს ქვეყანაში ვითარების დაძაბვა, არა იმიტომ, რომ განსაკუთრებულად კარგი ხელისუფლება გვყავს, დღევანდელი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მათი მიზანია, ჩვენს რეგიონში იქნეს მშვიდობა შენარჩუნებული. ჩვენს გარშემო სერიოზული კატაკლიზმები ხდება და ჩვენ მაინც ვინარჩუნებთ პოლიტიკურ სტაბილურობას. ახლა ამ ფრაზაზე მკითხველს გაეცინება, მართალიც იქნება, მაგრამ ვიტყვით, რომ ეკონომიკურ სტაბილურობასაც ვინარჩუნებთ, თუმცა ხვალ რა მოხდება, ეს სხვა საკითხია. კარგად ჩანს, რომ ხელისუფლება ვაჭრობს კულუარულად დაპირისპირებულ მხარეებთან – ვაშინგტონთან, ბრიუსელთან, მოსკოვთან და კიდევ, სხვა პოლიტიკურ ცენტრებთან, ამას როგორ ახერხებს, ვერ გეტყვით, ერთი ფრანგი ჩინოსნის გამონათქვამისა არ იყოს, პირად საუბარში მითხრა გაკვირვებულმა, – 2008 წლის შემდეგ დარწმუნებულები ვიყავით, რომ თქვენი საკითხი იყო დახურული, თუმცა საქართველო მაინც ახერხებს პოლიტიკურ ზედაპირზე ტივტივს და წინსვლასო. ამ შემთხვევაში, ძალიან ბევრი საგარეო და საშინაო ფაქტორის თანხვედრაა, თორემ სხვა შემთხვევაში შეიძლება ხელისუფლების ეს ვაჭრობა ყოფილიყო წარუმატებელი. მნიშვნელოვანი გამოსვლა ჰქონდა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს თედო ჯაფარიძეს, მან არგამუნტს მიმართა, რომ საქართველო თავში წამოსარტყმელი არ არის და ჩვენს ქვეყანაში კანონი უზენაესია, მინდა გითხრათ, რომ მისი ეს გზავნილი ყველგან ისე გაიგეს, როგორც საჭიროა. ასევე, მინდა გითხრათ, რომ თედო ჯაფარიძემ გამოაქვეყნა ძალიან საინტერესო წერილი „ნეზავისიმაია გაზეტა“-ში, რაზეც აქ ყური არავინ შეიბერტყა, მაგრამ საკმაოდ რეზონანსული იყო იმ წრეებში, ვისთვისაც ეს წერილი იყო განკუთვნილი. მოსკოვიდან ბრიუსელამდე ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შეიძლება მათი რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ გავლენიანი ხალხია და მათ აბსოლუტურად სწორად გაიგეს ის მესიჯები, რაც თედო ჯაფარიძემ გააჟღერა. „სახალხო პარტია“ სულ ითხოვს უგულავას, მერაბიშვილისა და ახალაიას განთავისუფლებას, მაგრამ არის ისეთი კონტრარგუმენტები, რითაც ეს საკითხი აქტუალური ვერ ხდება.

**— რა ინტერესი დგას რუსეთის გააქტიურების მიღმა, როგორ აფასებთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის განცხადებებს, განსაკუთრებით კი, პანკისზე გაკეთებულ აქცენტებს, რომ თითქოს იქ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები მზადდებიან?**

– უნდა გითხრათ ერთი აბსოლუტური ჭეშმარიტება, პანკისში როგორი სიტუაციაცაა, მოსკოვში ბევრ თბილისელზე უკეთ იციან. ძალიან კარგად იციან, რომ პანკისში არაფერი არ ხდება, პანკისზე უარესი მდგომარეობაა საქართველოს ზოგიერთ სხვა რეგიონში, მაგრამ, სამწუხაროდ, პანკისი არის უარყოფითი ბრენდი, თვითონ რუსების მიერ შექმნილი, რასაც ობიექტურად ჩვენც შევუწყვეთ ხელი. აქ უფრო სხვა რამეშია საქმე, ლავროვის ინტერვიუ გაჯერებული იყო უსაზღვროდ პროქართული ინტონაციებით, უფრო ზუსტად, საქართველოს მიმართ რევერანსებით. მაგრამ თაფლის კასრში ერთი კოვზი კუპრიც ხომ უნდა შეეპარებინათ და ეს გააკეთა ზუსტად, რომ აქ ვილაცას თავში არ ავარდნოდა. ჩვენ მოვისმინეთ ძალიან გამოცდილი დიპლომატის საუბარი, რომელმაც ქიციც იცის და ქიცმაცურიც. ძალიან საინტერესოა, რა რეაქცია მოჰყვა ამას ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად, ამის გამო ლავროვს აზერბაიჯანში სულ კალანტაროვი და თბილისელი სომეხი ეძახეს. აზერბაიჯანში მისი მესიჯები ასე წაიკითხეს, – ლავროვი თბილისთან რევერანსებით ცდილობს, მიაღწიოს იმას, რომ სომხეთთან რკინიგზა გაიხსნას. მაგრამ რუსეთის ამოცანა დღეს არის ასეთი: როგორმე ქართველებთან დიალოგს მიაღწიოს და დასავლეთს უთხრას, ჩვენ ქართველებს ველაპარაკებით, ნორმალური სამუშაო ურთიერთობა გვაქვს და თქვენ რა განერვიულებთ მათ დაკარგულ ტერიტორიებზეო. მე გეტყვით, ყველა ქვეყანაში რუსეთის ელჩებს აქვთ დავალება, რომ მაქსიმალურად საუკეთესო ურთიერთობები დაამყარონ საქართველოს ელჩებთან და მოხდეს ამის დემონსტრირება მსოფლიოს წინაშე, როგორ მეგობრობენ საქართველოს და რუსეთის ელჩები. სადაც გამოცდილი ელჩები გვყავს, მათ ძალიან კარგად იციან რუსეთის ჩანაფიქრი და მიდის მინივაჭრობები, საყოფაცხოვრებო დონეზეც კი. მოკლედ, ლავროვის გზავნილი მსოფლიოს გასაგონად ასეთი იყო: ჩვენ შეგვიძლია საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობები ჩამოვაყალიბოთ, მიუხედავად ტერიტორიების ოკუპაციისა, მაგრამ თუ ქართველებთან ჩვენსას ვერ მივაღწევთ, მაშინ გავიხსენებთ პანკისსაც და სხვა რამეებსაც.

**— კულუარული ინფორმაციით, ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ მიმდინარეობს მზადება რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან შესახვედრად, ლავროვმა მის კოლეგა ჯანელიძეს შემოუთვალა, რომ ის მზად არის მასთან შესახვედრად, მაგრამ ჯანელიძის კომპეტენცია ლავროვთან შესახვედრად საკმარისი არ არის, ამიტომაც მარტამდე მოხდება საკადრო ცვლილებები... ეკონომიკის მინისტრი ქუმსიშვილი დაიკავებს ფინანსთა მინისტრის სავარძელს, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრობისთვის გამოცხადებულია შიდა კონკურსი, ის უნდა იყოს წონადი, გავლენიანი, გამოცდილი დიპლომატი, ასეთად მოიაზრება თედო ჯაფარიძე, ზალკალიანი და სალომე ზურაბიშვილი. რა გსმენიათ ამასთან დაკავშირებით?**

– მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, თქვენი ინფორმაცია რეალობასთან ახლოსაა, ვვარაუდობ, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ბევრად უფრო გამოცდილი და კვალიფიციური დიპლომატის წარდგენა მოხდება, მიხეილ ჯანელიძე გახლავთ ძალიან კარგი კადრი, მან დიდი მუშაობა გასწია ასოცირების ხელშეკრულების მომზადებაში, თუმცა ახლა საჭიროა ამ თანამდებობაზე ისეთი გავლენიანი დიპლომატი, რომელიც ურთულეს მოლაპარაკებებს გაუძლებს. არ ვგულისხმობ მხოლოდ კვალიფიკაციას, ეს ჯანელიძესაც საკმარისი აქვს, მაგრამ ამ ახალგაზრდა კაცს გამოცდილება შეუძლებელია ისეთი ჰქონდეს, როგორც ამ სფეროში დაღვინებულ დიპლომატს.

ნინო ლაზარიშვილი
571 99-92-33

რამდენიმე დღის წინ თბილისის მერიაში ტაქსის სერვისის მიმწოდებელ კომპანიებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც თბილისის ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე, მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი გურგენიძე, ასევე, საკრებულოს დეპუტატები და სპეციალისტებიც ესწრებოდნენ. საუბარი შეეხო ტაქსის მომსახურების სფეროში არსებულ პროცედურის განხორციელება ისე, რომ ეს არ იყოს დაკავშირებული რაიმე დანახარჯებთან და არ დაზარალდეს არც ერთი მხარე. ჩვენი მიზანია, რომ ამ სფეროში არსებული ქაოსი მოწესრიგდეს და უსაფრთხოების ნაწილი იყოს პრიორიტეტული“, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, არც თავად ირაკლი ლექვინაძემ, არც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა და არც შეხვედრაზე მყოფი ტაქსის კომპანიის ხელმძღვანელმა განმარტებები არ გააკეთა – დანარჩენზე ნელ-ნელა ბი?!

„კვირის ქრონიკა“ თბილისის სხვადასხვა უბნებში გავიდა და რამდენიმე ათეულ ტაქსის მძღოლს ესაუბრა. აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ, თუ მერია და მთავრობა დახმარების ნაცვლად მათ მარწუხებს წაუჭერს, კაი ხოშიანი გადატრიალება არ ასცდებათ! ისინი იმასაც ამბობენ, რომ გააჩნია რეგულაციებსაც, ნაწილი ტაქსის ტექდათვალიერების მომხრეა, ნაწილი ამბობს, რომ, თუ ეს სავალდებულო გახდება, მისი ფასი მაღალი არ უნდა იყოს.

პარკები გააკეთონ და მეც ვიმუშავებ იქ. თან ამ მარჯვენასაჭიანებზე რომ ატეხეს ამბავი... ათი ტაქსი რომ გააჩერო, ლამის, ცხრა მარჯვენასაჭიანია და მათი უმეტესობა ახალია და ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა? ჩემი მანქანა ძველი „ხლამია“, ის მარჯვენასაჭიანები კი უმეტესობა ახალია. კი, რაღაც შეფერხებები არის ხოლმე, მარა ესეც ძირითადად ტრასაზე, როდესაც „აზგონს“ აკეთებენ, თორე ქალაქში ამაზე პრობლემა არ აქვთ. „რულს“ რა მნიშვნელობა აქვს? გინდა „ვაზშე“ შუაში ქარხანა გახსნას, ხალხი დაასაქმოს. ელიავაზე რომ 24-საათი დგანან, იმათ რა, ეხალისებათ იქ დგომა? მაგრამ რა ქნან? ამ გაჭირვებამ, დაღუპულობამ გამოიყვანა და დააყენა ქუჩაში.

**— მაინც რომ დაწესდეს თქვენთვის მიუღებელი რეგულაციები?**

– რას ვიზამ? ავდგები და აი, დიდი წრე რომ არის ეგერ (ხელს იშვერს), იმ გზას გადავკეტავთ! ჩამოვყალიბდებით ყველა, მოთხოვნები გვექნება და მოსათხოვს მოვთხოვთ!

**— ანუ ამ ვარიანტზეც უკვე ისაუბრეთ?**

**ნიკო (ყავარჯნიანი ტაქსის მძღოლი):**

– რა უნდა დაარეგულირონ? ვერაფერსაც ვერ დაარეგულირებენ. მე მაგალითად ადრე მთავრობის ტაქსზე ვმუშაობდი, თუ მეორე კლასის მძღოლი არ იყავი, არ მიგიღებდნენ, ახლა კიდე ტრაფარეტს იყიდიან, დაადგამენ მანქანას და მორჩა, ყველა ტაქსის მძღოლია. რაიონებიდან რომ ჩამოდიან, რა ქნან იმათ? შეიძლება ერთი კვირა იდგნენ თავის რაიონში და ერთი მგზავრი ვერ წაიყვანონ და შემოსავალი ხომ უნდათ?

# „ტაქსის მძღოლებს ნუ შეგვეხებიან, კისერში ხელს ნუ

## „ჩვენზე არავინ არ ფიქრობს, თვითონ ხომ არიან გასუქებულები და ღაბაბებით?




**„მე განა არ მინდა ახალ მანქანაზე დავჯდე? მინდა, ბატონო, მაგრამ როგორ? რით ვიყიდო? ასი ლარის მარტო წამლები მჭირდება თვეში“**



**„მთავრობა ტაქსებს კი არ უნდა დაერიოს, სოფლის მეურნეობა და ჩაწერის ინსტიტუტი უნდა დაარეგულიროს, ქარხანა გახსნას, ხალხი დაასაქმოს. ელიავაზე რომ 24 საათი დგანან, იმათ რა, ეხალისებათ იქ დგომა? მაგრამ რა ქნან? ამ გაჭირვებამ, დაღუპულობამ გამოიყვანა და დააყენა ქუჩაში“**

**„ჩემი მანქანა 93-წლიანია და ეს რომ ჩამომართვან წლოვანების გამო, რა ვქნა მერე მე? ხალხი ზურგით ვატარო? ან თავი უნდა მოვიკლა და ცოლ-შვილი დავხოცო?“**

სახურების სფეროში არსებულ ვითარებასა და პრობლემებს, თუმცა პირადად მე, ერთი კითხვა მიჩნდება: ტაქსის კომპანიებს რომ შეხვდა მერია და მხოლოდ მათთან საუბრით იჯერა გული, იმ მინიმუმ, 40 ათას ტაქსისტის მოსაზრებებს ვინ მოისმენს?

შეხვედრაზე ბატონებს აღუნიშნავთ, რომ ტაქსის მძღოლებისთვის აღნიშნული საქმიანობა ხშირად შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს და შესაბამისად, საკითხის გარკვეულ რეგულაციაში მოქცევისას, მათი ინტერესები თურმე მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული: „ძირითადი პრობლემა არის ის, რომ არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, როგორი ტიპის მანქანები მოძრაობს, ვინ არიან მძღოლები და როგორია მათი მდგომარეობა. შესაბამისად, განვიხილეთ მექანიზმები, როგორ შეიძლება აღრიცხვიანობისა და რეგისტრაციის ჩამოვყალიბდებითო, ახლა, უბრალოდ, აღნიშნულ საკითხზე ვისაუბრეთ, გულის დარდები ვუზიარეთ ერთმანეთს, ლამის, პირზე კოცნით დავემშვიდობეთო.

კი ბატონო, კოცნეთ ერთმანეთი და იყავით, მაგრამ იმ ათიათასობით ტაქსის მძღოლს რას უპირებთ, ესაა საინტერესო! რეგულაციებიო, შესაძლოა, რაღაც გადასახადები დაწესდესო, ასეო, ისეო... ქვეყანაში რომ ნორმალური მდგომარეობა იყოს, ხალხს სამუშაო პირობები ჰქონდეს და ლარი რომ დედას არ იქუნქურებდეს, როგორ ფიქრობთ, ამდენი ტაქსისტი გვეყოლებოდა? და რახან ასე მრავლად არიან, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ რეგულაციები და გადასახადები კი არა, სამუშაო ადგილების შექმნაზე, ხალხის დასაქმებაზე და მათ კეთილდღეობაზე ფიქრით უნდა გქონდეთ დაკავებული თავენაწილი კი ამბობს, რომ იმდენად ძველი მანქანა ჰყავთ, ტექდათვალიერებას ვერ გაივლის და დარჩებიან ჰაერში ულუკმაპუროდ გამოკიდებულები!

**მალხაზი (მარცხენა ხელი არ აქვს):**

– ჩვენ მუშაობა გვაცალონ, რაღაცა გადასახადებს ნუ დაგვიწესებენ და რაც უნდათ, ის რეგულაციები თავისთვის მიიღონ. როგორ შეიძლება, კაცო? მანქანა ჩემია, ყველა ხარჯი ჩემია და რაში უნდა გადავუხადო ფული მერიას?

**— ამბობენ, ეს ტაქსების აღრიცხვისთვის გვჭირდებაო.**

– ეგ არის „ბაბუშკას“ ზღაპრები! აღარ იციან, ფული საიდან და რა გზით გააკეთონ, რა, ეგ არის, მეტი არაფერი. თქვენ პატარა ხართ, არ გეხსომებათ და კომუნისტების დროს შვიდი ავტოკოლონა მუშაობდა და ხალხი ჰყავდა დასაქმებული, მარა ის იყო სახელმწიფო. მაშინ ასეთი რაღაც მოიფიქრონ, ტაქსოგაუკეთე, თუ ტარება არ იცი ვერ ატარებ. მერე მეორე: ქალაქი არის პატარა, ყველას აქ აქვს თავი მოყრილი, მე შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, რეალობას ვამბობ. ათი ტაქსიდან სამი ჩამოსულია და მაგალითად, კომუნისტებს ძალიან კარგი, უნიკალური რამ ჰქონდათ: ჩაწერის ინსტიტუტი მუშაობდა. რაიონიდან რომ ჩამოსულიყო ვინმე, აქ სამსახურს ვერ ნახავდა, რადგან ჩაწერაზე იყო დიდი პრობლემა. ამათ სულ მოსპეს ეს ინსტიტუტი. მაგრამ ამაზეც რა გინდა რო თქვა? იმ სოფელშიც არ არის უკვე სამუშაო და იმიტომ ჩამოდის ადამიანი აქ, იქნება ქალაქში მაინც ვიმუშაოო. ყველამ მიატოვა სოფელი. ძროხა, გოჭი, ქათამი რომ იყოლიო, იმას, მის მოვლას ფული უნდა, ფული კიდე იმ კაცს არა აქვს. ამიტომ მთავრობა ტაქსებს კი არ უნდა დაერიოს, სოფლის მეურნეობა და ჩაწერის ინსტიტუტი უნდა დაარეგულიროს,

– რა თქმა უნდა. დილიდან ვარ გამოსული, უკვე ხუთის ნახევარია და შვილებს ვფიცავარ, უკვე ნერვები აღარ მაქვს. წავიდე, ქალაქში ვიწანწალო, არც ამის ნერვები არ მაქვს. ვდგავარ აქ და თუ აქედანაც გამაგდებენ და ხელს შემიშლიან, რას მოვიმოქმედებ, მერე არ ვიცი. აქ რომ ყველაფერი თავის ადგილზე იყოს და ქვეყანაში რომ წესიერი მდგომარეობა იყოს, ხალხი უცხოეთში გაიქცეოდა სამუშაოდ? თქვენ გგონიათ, მეხალისება ან მე, ამ პენსიონერ, ინვალიდ კაცს (გვერდით მდგომ ყავარჯნიან ტაქსისტზე მითითებს. – ნ.ლ.) ტაქსაობა? მაგრამ რა უნდა გააკეთო? და მე და ამას რომ ხელს შეგვიშლი, კარგად დაგელაპარაკები? ეს ყველაფერი არის მაფიოზობა, რასაც ჰქვია. გეფიცები, იტალია მიმიქარავს, რაც საქართველოში ხდება, ამათი გამოსწორება არ იქნება, შანსი არაა!

**— ტექდათვალიერება რომ დაიწყოს, ამაზე რას იტყვით?**

– კი, ბატონო, იყოს, მაგრამ ისეთ ფასებს ნუ დაადებენ, რომ ვერ გადავიხადოთ. ახალი მანქანები თვითონ ჰყავთ, დანარჩენებს ყველას ძველი გვყავს. იშვიათად, რომ აქ ვინმეს 20 წელზე ნაკლებწლიანი ავტომობილი ჰყავდეს. მე განა არ მინდა ახალ მანქანაზე დავჯდე? მინდა, ბატონო, მაგრამ როგორ? რით ვიყიდო? ასი ლარის მარტო წამლები მჭირდება თვეში. დაახლოებით, 40 წელზე მეტია, რაც მძღოლი ვარ, თან პირველი კლასის და ადრე ამის გამო ხელფასზე 30 მანეთი დანამატი მქონდა. ამხელა სტაჟის მქონეს დღეს გადმოგიხტება ვიღაც ლაწირაკი და აქეთ დაგიწყებს ლანძღვას. იმ დღეს ვიღაც გოგო გადმომიხტა, მეო რვა წელია, მძღოლი ვარო. მეთქი მე გუშინ დავჯექი საჭესთან-თქო, რა უნდა მეთქვა სხვა...

**ვაჟა:**

– აქ ვინც ვართ, ტაქსის მძღოლები, ზოგს მანქანა გვაქვს ნაქირავები, ზოგს ბანკები გვაქვს. ხალხს ფული არ აქვს და დილას აქეთია, მზეზე გასაშრობად ვდგავარ აქ. რაც გინდა ის შემოიღონ, ჩვენთვის რა ხეირია? დავუშვათ, იყოს ლიცენზია და ასი ლარი დაჯდეს, როგორ გადავიხადო მე ეს თანხა? საიდან მოვაგროვო? ბანკს ვაძლიო პროცენტი, ლიცენზია ვიხადო, სახლში პური მივიტანო... გასაგებია, ძალიან ბევრი მანქანა დადის რაღაცას, მსჯელობენ, ვინ როგორ დადებს ბალიშზე თავს, მაგრამ იმას არავინ ფიქრობს, მშიერ ხალხს რა ეშველება. ჩემი მანქანა 93-წლიანია და ეს რომ ჩამომართვან წლოვანების გამო, რა ვქნა მერე მე? ხალხი ზურგით ვატარო? ან თავი უნდა მოვიკლა და ცოლ-შვილი დავხოცო? ეს მე და ჩემზე უბედურიც ხომ არის ვილაცა, ყველა ჩემზე მეტი როგორ იქნება, დავიჯერო! ვერაფერს ვერ დაარეგულირებენ, მაშინ უნდა ამოგვწყვიტონ ჩვენ, რა ვიცი. შეზღუდვებს რომ მიწესებს, დრები შედიან და რამხელა ლაბაბები ეკიდებათ მერე. ასატრინის მწვადს რომ ჭამენ, მე ერთხელ ვჭამ დღეში და ისიც – სუპს.

— **რას ეტყოდით მთავრობას?**

– თვითონ ნუ ჭამენ ბევრს და ხალხი დაასაქმონ და რაღაცა უშველონ! იმასაც ვხედავთ, ღამე ახალგაზრდები როგორ იქექებიან ყუთებში, ჩამოიაროს ერთი მერმა დილას, კარდონებს და ყუთებს ვერ ნახავს, აგროვებენ გაჭირვებულები, რომ ჩააბარონ და პური მიიტანონ ოჯახში!

– კი და ძალიან დიდი ამბავი ატყდება ამაზე! ოჯახში რომ მიხვალ, შვილი და შვილიშვილი რომ გეტყვის მშიაო, რა ჭკუაზე დადგები?

**ალექსანდრე:**

– ხოდა, ავდგები და ბიძინას ჟირაფს დავუკლავ! ეს მთავრობა მოსაშორებელია და ჩვენს თავს თვითონ მოვუვლით! ლამის ნაციონალები გაგვიხდა სანატრელი!

**ნუგზარი:**

– ეს ყველაფერი მაშინ უნდა მიიღონ, დადგენილებაა,

– თქვენ რაიონებიდან ბრძანდებით და აქ რატომ ჩამოხვედით? იქ არ არის მუშაობა?

**ალექსანდრე:**

– რა ვქნა, საქონელი ვატარო იქა? ხალხი არ არის და... საქონელი რომ ვატარო, ფულს არ გადამიხდიან. სოფელი პატარაა, მეზობელს ფულს ხომ ვერ გამოართმევ? მერე კიდე სად ვატარო? ძალაუნებურად აქ ჩამოვდივართ და ვტაქსაობთ.

**ნუგზარი:**

– ჩინელი რომ ჩამოდის და

ოჯახი არ არსებობს, სადაც კამათი არ იქნება. იმათ თუ ცუდი ჰქონდათ, კარგიც ხომ ჰქონდათ? რატომ ვუკარგავთ ამას? იმათ ჩვენთან, მცხეთის რაიონში, გზა არ იყო და გააკეთეს. აქ რომ ერთი თვის წინ დააგეს გზა, იმას ისევ ძველი სჯობია, გაიარეთ წერეთელზე ერთი.

— **გარკვეული რეგულაციები, სავარაუდოდ, მაინც დაწესდება.**

– მაინც ვიხოცებით და რაც მალე დავიხოცებით, უკეთესია. ხალხი სიკვდილის პირას არის მისული. დოლარი ავიღოთ: ყველას დოლარში

# ნაგვიჭერენ, თორემ დიდ ამბებს დავატრიალებთ!“

## ასატრინის მწვადს რომ ჭამენ, მე ერთხელ ვჭამ დღეში და ისიც სუპს“



**ალექსანდრე:**
**— ხოდა, ავდგები და ბიძინას ჟირაფს დავუკლავ! ეს მთავრობა მოსაშორებელია და ჩვენს თავს თვითონ მოვუვლით! ლამის ნაციონალები გაგვიხდა სანატრელი!**

**„ბანკიდან ავიღე ფული, რომ ეს მანქანა მეყიდა და სხვა არანაირი შემოსავალი არ მაქვს. ცოცხალი როგორ დავაპურო და მკვდარი როგორ დავმარხო, მითხარით? ოთხი ბანკის ვალი მაქვს, ერთიდან გამომაქვს, მეორეს ვფარავ, მეორიდან გამომაქვს, მესამეს გადავავადებ“**



Giorgi Gogua (RFE/RL)

**„ახლახან ერთი აქ მომუშავე ინვალიდი, უხელო ბიჭი დაიღუპა. იმის ოჯახს ვინ დაეხმარება? ახლა ვფიქრობდი მაგაზე, 5-10 ლარი შევუგროვოთ, რომ მის ოჯახს მივაწოდოთ, ორი ბავშვი დარჩა, კაცო, ობლად“**

და ქალაქში აურზაურია, მაგრამ ისეთი რაღაც მაინც შემოიღონ, რომ მუშაობაში ხელი არ შეგვეშალოს. ბანკიდან ავიღე ფული, რომ ეს მანქანა მეყიდა და სხვა არანაირი შემოსავალი არ მაქვს. ცოცხალი როგორ დავაპურო და მკვდარი როგორ დავმარხო, მითხარით? ოთხი ბანკის ვალი მაქვს, ერთიდან გამომაქვს, მეორეს ვფარავ, მეორიდან გამომაქვს, მესამეს გადავავადებ და ასე იქნება ნახევარი თბილისი. ესეთი რაღაცები უნდა გათვალონ.

— **გამოსავალს რაში ხედავთ?**

– არ ვიცი, როგორ უნდა დაარეგულიროს ეს მერიამ, მთავრობამ? თავიანთი მანქანები უნდა მოგვცენ, მათზე დაგვსვან, თუ რა? მე ნატახტრიდან დავდივარ, ზოგი მუხრანიდან, ალაიანიდან, ფასანაურიდან დადის... თვითონ რას შემოგვთავაზებენ, მაინტერესებს? ჩვენ რა გვეშველება, უბედურებს, თორე ისინი კი ლაპარაკობენ თავიანთთვის პრივილეგიებს თუ მაძლევს რამეს? ხალხსაც არ აქვს ფული, ათი ლარი რომ ღირს გზა, ხუთ ლარს მოგცემო, გეუბნება... ადგნენ მაშინ და ერთნაირი ტაქსები შემოიყვანონ, როგორც ყვითელი ავტობუსები შემოიყვანეს და დაგვასაქმონ.

— **მაინც რომ გადაწყვიტონ ამ რეგულაციების შემოღება?**

– ეგ იქნება უბედურება. გამოვალთ და ხმას ამოვიღებთ, ჩვენც ხალხი ვართ, ამ ქვეყნის შვილები. ნაომარი კაცი ვარ, ორჯერ დავიჭერი აფხაზეთში, ზოგს ხელი არ აქვს აქ, ზოგს – ფეხი. ახლახან ერთი აქ მომუშავე ინვალიდი, უხელო ბიჭი დაიღუპა. იმის ოჯახს ვინ დაეხმარება? ახლა ვფიქრობდი მაგაზე, 5-10 ლარი შევუგროვოთ, რომ მის ოჯახს მივაწოდოთ, ორი ბავშვი დარჩა, კაცო, ობლად. ჩვენზე არავინ არ ფიქრობს, თვითონ ხომ არიან გასუქებულები და ლაბაბებით? ეგენი პარლამენტში შესვლამდე უნდა აწონო ხოლმე, როგორი გამხგაჭირვებაა ქვეყანაში და იმაზე უნდა იფიქრონ, საკუთარ ხალხს როგორ უშველონ, მე კი არ უნდა წამიჭიროს ყელში ხელი და დამახრჩოს?! ჟურნალისტი ბრძანდებით, წაბრძანდით ნატახტარში და მაგათი რესტორნები და ქეიფები ნახეთ, ვინები არიან. თუ ის თავისი ჭკუით ნაშრომს ჭამს, ღმერთმა შეარგოს, ძმაო, თუ არადა, არამი იყოს იმის შვილებზე, რაც ჩემი და სხვების შვილების ლუკმა შეუჭამია!

**ნუგზარი:**

– ეგ ძალიან რთული მოსაგვარებელია ამ პერიოდში, რადგან სამსახურები არ არის, ხალხს ძალიან უჭირს, უფულობაა. გამოდიან და 5-10 მანეთს თუ იშოვიან, ეგ არის მაგათი სამსახური, რომ პური იყიდონ. შენ რომ ამას შეუზღუდავ... 99% ტაქსაობს, რომ ოჯახში რამე შეიტანოს და ამას რომ შეუზღუდავ, რა იქნება, გიფიქრიათ ამაზე?

— **თქვენ თუ გიფიქრიათ?**

კანონია თუ რაც არის – ხალხს რომ ნაწილობრივ მაინც სამსახურებს უშოვიან. ქარხანა იქნება, ფაბრიკა იქნება თუ რაც იქნება, თუ იქ ვიმუშავე, აღარ ვიტაქსავებ, რაღად მენდომება?

— **მარჯვენასაჭიანი მანქანებიც ტაქსაობენ და მათ რომ რამე შეზღუდვები დაუწესდეთ, ამაზე რას ფიქრობთ?**

**ალექსანდრე:**

– მარჯვენასაჭიანები საერთოდ უნდა აიკრძალოს საქართველოში, ან იაპონიასავით, გზა მარცხენა მხარეს გადავიტანოთ მაშინ.

**ჭაღარათმიანი ტაქსის მძღოლი:**

– ისიც არ შეიძლება, 18-19 წლის ბიჭები რომ ტაქსაობენ, სახლში უნდა იჯდნენ, არ არიან გამოცდილები, არ იციან ტარება. უჭირს და იმიტომ ტაქსაობს? ხელობა ისწავლოს რამე, კაცო, ან ელექტრიკობა, ან ხადავიკობა და კი იშოვის რამეს.

აქ პროდუქციას აკეთებს, არ შეიძლება ეს ქართველს გააკეთებინო? დიდ ფაბრიკაში შეიძლება ათასობით ადამიანი დასაქმდეს და მთავრობამ ატრიალოს ეს ბიზნესი, ძმაო, მთავარია, ხალხი დასაქმდეს და ხელფასი მიეცეს. აი, მაშინ რაღაც შვება იქნება და სიტუაცია განეიტრალდება.

**ალექსანდრე:**

– ერთი, ივანიშვილი მოგვიყვანეთ აქა, გაგვცეს პასუხი: რატომ არ ჩამოვიდა ბენზინი ლარზე? დენის ფასი სულ მაღლა-მაღლა წაიყვანა, დენი არ დეენახოს მაგას. სამი წლის წინ 20 ლარს რომ ვიხდიდი, ახლა 75 ლარს ვიხდი.

— **რას ეტყოდით დღევანდელ ხელისუფლებას?**

– ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ!

**ალექსანდრე:**

– მე გეუბნები, რომ დღევანდელი ხელისუფლება იმათზე უარესია. ყველგან ხდება კარგიც და ცუდიც, გვაქვს ბანკიდან გამოტანილი სესხი, წარმოიდგინე 100 დოლარზე რამდენით მეტს იხდი? გაზის ფასმაც აიწია. ყველაფერი გაგვიძვირეს, რა. გადატრიალება მართლა მოხდება, თან სერიოზული! მე მაგალითად პირველი დავდგები იმ რიგებში, რა! სამ-სამი შვილი მყავს, რა ვაჭამო, მითხარი? ვინც ვსუნთქავთ, იმათ ვილაცა გვყავს საზღვარგარეთ წასული. გვიწევს დღე-ღამის გასწორება ნაქირავები მანქანებით. ტაქსებზე ეს მართლა უნდა დაწესდეს – მანქანები უნდა ინახოს, შემოწმდეს, ტექდათვალიერება ჩაუტარდეს და რომელიც უვარგისია, ყველა გამოირიცხოს, ჩემიდან დაწყებული. ზოგი ისეთი მანქანით დადის, თავმოყვარე კატა შიგნით კნუტებს რომ არ დაყრის. რაღაცას როცა აკეთებ და მთავრობა ან მერია გქვია, ისე უნდა გააკეთო, რომ ხალხს მიეხმარო და არა პირიქით – ფეხი დააბიჯო!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# როგორ გაათახსირა გალორებულმა

## ეკონომიკის ექსპერტი, პაატა შეშელიძე: „ვერც ერთი თეთრი შესაბამისი რაოდენობის დოლარით. ეს უნდა იყოს ერთი-

ქართულ ეკონომიკასა და საფინანსო სფეროში ისეთი ქაოსია, მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებს: ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური აცხადებს, რომ ლარის კურსის ვარდნაში მთავარი დამნაშავე არის ფსიქოლოგიური მომენტი და იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაფერზე აკეთებენ კომენტარებს, მოუწოდებს, იყვნენ ზომიერები და დადონ არგუმენტირებული ფაქტები (ეს ძველი „პესნიაა“). პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ არაფერი არ ხდება და ზაფხულის პერიოდში ლარის კურსი ისევ დასტაბილურდება (ესეც ძველი „პესნიაა“). პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, თამაზ მეჭიაური არ გამორიცხავს, რომ ვიღაცას სპეციალურად უნდა სიტუაციის დამძიმება (ესეც დიდი ხანია გვესმის)... როგორც ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დავით ასლანიშვილი ამბობს „ქრონიკასთან“ საუბარში, ეროვნული ბანკის საბჭოს ერთ-ერთი წევრი გახლავთ ყოფილი პროკურორი, რომლის ძმაც მიღებული კაცია ზედა ეშელონებში და თავის დროზე სწორედ ამ ძმამ ჩაუწყო საქმე გიორგი ქადაგიძეს, რომ მისთვის არა მხოლოდ ყველაფერი ეპატიებინათ, არამედ თანამდებობაზეც დაეტოვებინათ. ყველას გვახსოვს, ქადაგიძე დაჭერას რომ ელოდა, მაგრამ ბიძინამ რომ შეუნდო...

რაც ლარის გაუფასურების მეორე ტალღა დაიწყო, უამრავ „სიბრძნეს“ აფრქვევს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზურაბ ტყემალაძე:

„ლარი არ უფასურდება, ლარი დევალვირებას განიცდის დოლართან მიმართებაში. ლარი არ უფასურდება ევროსთან მიმართებაში, სხვა ვალუტებთან მიმართებაში, შეიძლება პირიქითაც არის“.

ნოდარ ხადური ახლა ლაპარაკობს იმაზე, რასაც ჩვენ უკვე მეორე წელია ვწერთ. ეს გახლავთ დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი (უკვე 80 პროცენტამდე ასული):

„დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი საქართველოსთვის მართლაც სერიოზული პრობლემაა, თუმცა, სამწუხაროდ, დოლარიზაციის მაჩვენებელი მაღალია დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მთელ ისტორიაში. ზოგადად, მივდივართ იმ მიმართულებით, რომ საგადასახადო კანონმდებლობა ხელს უწყობდეს დაზოგვას და თუნდაც ის, რომ ჩვენ მოგების გადასახადზე გადავდივართ, რომელიც მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრას გულისხმობს და ნიშნავს იმას, რომ, თუ მოგება იქნება გაუნაწილებელი, ის არ დაიბეგრება, ამით ლარში გაიზრდება დანაზოგები“.

**მოიხედე, ნოდარ! თუკი გაუნაწილებელი მოგება არ დაიბეგრება და მეპატრონე დანაზოგს დოლარში გადაიყვანს, რა ფეხებს მოსჭამ? როდესაც თავად დოლარში ინახავ დანაზოგს, სხვას როგორ დაავალდებულებ, რომ ლარი ამოდოს მუთაქის ქვეშ? მოკლედ, საქმე უკვე ისეა ჩახლართული, როგორც დავით ასლანიშვილი ამბობს, სიტუაციის გამოსწორება კი არის შესაძლებელი, მაგრამ, თუ ამ ტემპით წავედით, უახლოეს ხანში შეიძლება მივიდეთ დეფოლტამდე (ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა):**

**— ბატონო დავით, მას შემდეგ, რაც ლარი შემოვიღეთ, სულ რამდენიმეჯერ იყო ასეთი კრიზისი: პირველი — 1998 წელს, მეორე — 2008 წელს. მეორე გასაგებია, ომი იყო და ამან გამოიწვია კატაკლიზმები,**

მაშინაც ძალიან დაბალი იყო, სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთი ჰქონდათ 200-300 პროცენტი დოლარში, როცა განვითარებულ ქვეყნებში 4-5 პროცენტია. სახელმწიფო ბიუჯეტმა ვერ გადაიხადა ვალები და კირიენკოს მთავრობამ გამოაცხადა დეფოლტი, გაკოტრდა თითქმის ყველა ბანკი და რუსული რუბლი, ფაქტობრივად, განადგურდა. მაშინ ჩვენ რუსეთის დანამატი ვიყავით, ექსპორტი თავისუფლად ხორციელდებოდა და აქედანაც ყველაფერი გადიოდა. ამ ქვეყანაში აორთქლდა არ ელოდა.

**— თქვენ საუბარი მიგყავთ იქით, რომ ახლაც იგივე ხდება?**

– რა ხდება საფონდო ბირჟაზე, ეს არავის აინტერესებს. დახურული სისტემა მოქმედებს ფასიანი ქაღალდების სფეროში. ჩვენ თითქოს შემოვიღეთ „ბლუმბერგის“ სისტემა, მაგრამ რა? ადრე იყო უფრო მეტი გახსნილობა, ყველამ, ვისაც არ ეზარებოდა, იცოდა, რომელმა ბანკმა რამდენი იყიდა და რამდენი გაყიდა. დღეს არავინ არაფერი იცის.

**— სისტემა როდის ჩაიკეტა?**

– სისტემა ჩაიკეტა ქადაგიძის მოსვლის შემდეგ. ნაწილობრივ ჩაიკეტა მის მოსვლამდეც. სააკაშვილის დროს დაიხურა საფონდო ბირჟაც, საფონდო ბაზარი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რასაც უშვებს ფინანსთა სამინისტრო, განკუთვნილი მხოლოდ კომერციული ბანკებისთვის. რომც მოინდომო და შენ გააკეთო განაცხადი, საჭიროა 50 ათასი ლარი. არადა, ამერიკაში ხალხის მოზიდვის მიზნით და, ასევე, გერმანიაში 100 დოლარიც საკმარისია, რომ შეიძინო ფასიანი ქაღალდები. თქვენ ამ ხერხით შეგიძლიათ, სახელმწიფოს ასესხოთ ფული. არა, ჩვენთან ეს სისტემა არ მოქმედებს. ესეც მოხდა სააკაშვილის დროს, მაშინ გახადეს 50 ათასი ლარი და ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ კომერციული ბანკებისთვის. თუნდაც იუსტიციის სახლში უნდა გამოიყოს ერთი ფანჯარა, ამას ყველგან ჰქვია „ხაზინის სახლი“. მსგავსი რამ არსებობდა ვარდების რევოლუციამდე ჩანასახის დონეზე, მაგრამ მერე ეს პროექტი შემოდეს თაროზე. დასვი სადმე ერთი ადამიანი, რომელიც ქუჩიდან მიიღებს განაცხადებს. ესე იგი, ფინანსთა სამინისტრო სესხულობს ფულს კომერციული ბანკებიდან, ეს ფული ამოაქვს მიმოქცევიდან, ნაწილ თანხას იყენებს, ნაწილს დებს „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში და ათავსებს ისევ კომერციული ბანკების ანგარიშებზე, დამტკიცებულ პროექტებს უმცირდებათ საპროცენტო განაკვეთი და ასე შემდეგ, ასე არიან შეთანხმებულები. მაგალითად, შენთვის რომც გაიხსნას ფასიანი ქაღალდები, ამას მოსდევს რისკები, შეიძლება მერე ველარ გაიყიდოს, რადგან ყველა ბერკეტი მაინც კომერციული ბანკების ხელშია. ბანკებს ფინანსთა სამინისტროდან მიაქვთ ეს ქაღალდები, ამჟამად უკვე წაღებულია 2 მილიარდი ლარის და მერე ისევ თვითონვე ამოაქვთ ფული უკან, რაც ორმაგი სიმძლავრით ურტყამს ლარის კურსს. ამ ფულს ბანკები ძირითადად იყენებენ დოლარის შესაძენად. სააკაშვილის პერიოდიდან მოყოლებული, ეროვნული ბანკის საბჭოში არიან ყოფილი პროკურორები. ვინმე თუ დამარწმუნებს, რომ პროკურორებს შეუძლიათ ფინანსური საკითხების გადაწყვეტა, მაშინ ბოდიშს მოვიხდი. რაც არ გისწავლია, იმის გაკეთება შეუძლებელია. მეტიც, ამ საბჭოში რატომ უნდა შეიყვანო ქიმიკოსი და ინჟინერ-ტექნოლოგი? მე და თქვენ რომ დავსხდეთ და ჩინური ენის საკითხებზე ვიმუშაოთ, ამ დარგს ავაყვავებთ?

**— ესე იგი, ჩვენში ხდება ასეთი რამ: გადის დოლარი განუსაზღვრელი რაოდენობით, სად და როგორ, ეს არის გასაიდუმლოებული და გარე ფაქტორებს მაგრამ დღევანდელი სიტუაცია რაღაცით ჰგავს 1998 წლის მდგომარეობას.**

– დავიწყოთ იმით, რომ 1997 წლის ჩათვლით ლარის კურსი იყო ფიქსირებული. შემდეგ აუშვეს, კურსი გახლდათ 1,35. ამ დროს ინდონეზიაში დაიწყო დიდი ეკონომიკური ნგრევა, რაც საკმაოდ წააგავს დღევანდელ ნგრევას, ვგულისხმობ ჩინეთის ეკონომიკის დაცემას. 1998 წლის ზაფხულში ინდონეზიიდან დაიწყო უცხოური კაპიტალის გადინება, ამ ქვეყანამ საერთოდ გააუქმა სავალუტო კურსი და ვნახეთ არნახული კრიზისი. ამ დროს ეკონომიკური ნგრევა დაიწყო რუსეთშიც და გამოცხადდა დეფოლტი. ნავთობის ფასი დოლარი და იაფი პროდუქცია დაიძრა ყველა მიმართულებით, სადაც კი შეიძლებოდა გაყიდვა. ლარის კურსის აშვების დროს აქ სიტუაცია არ იყო მთლად დალაგებული, რეზერვები გვქონდა საკმაოდ მცირე, სადღაც მილიონი დოლარის ფარგლებში, რასაც გვაძლევდა სავალუტო ფონდი. 1998 წლის სექტემბრის ბოლოს მოხდა ასეთი რამ: ვიღაცა შემოვიდა რუსეთიდან, 15-20 მილიონი ლარით დაიწყო დოლარის ყიდვა. კვირა დღე იყო, მიადგნენ სავალუტო ჯიხურებს, შეისყიდეს დოლარის მთელი მასა და 1,35-დან ავარდა 1,90-მდე. შეიქმნა სრული დაბნეულობა, არავინ







„ტყემალაძის კომენტარებზე საერთოდ საუბარი არ მინდა, ეს უკვე სხვა პრობლემაა. არ ვიცი, მართლა ასაკის ბრალია?“

**ვიღაცები იყენებენ ფულის გასაკეთებლად. ლარი კი ყველას ფეხებზე ჰკიდია.**

– სად გადის დოლარი და როგორ გადის, ამის შესახებ სპეცსამსახურებმა ყველაფერი იციან.

**— რა თქმა უნდა, იციან, რადგან სპეცსამსახურებს კანონით მიეცათ უფლება, რომ თანხების მოძრაობა გააკონტროლონ.**

– დიახ, კანონით უფლება აქვთ, ყველა საქმეში ჩაიხედონ, მაშინ რა ხდება? ნებისმიერი ჩვენგანის პლასტიკური ბარათის გაჩხაკუნებაც კი უკვე ცნობილია. დავიჯერო, არხეინად სხედან და არ უყურებენ სიტუაციას? ალბათ, ამ კუთხით მუშაობენ, მაგრამ თუ სიტუაცია ისე გართულდება, რომ ველარ გამოასწორებ, რა აზრი აქვს?

**— ბატონო დავით, სიტუაცია როგორ შეიძლება გავშიფროთ, საქმე გვაქვს უვიცობასთან თუ გამიზნულად ფულის კეთებასთან?**

– ფულს ვიღაცა ყოველ-

# „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლიდან ლარი!

## ვერ გამოვა მიმოქცევაში, თუ ის არ იქნება უზრუნველყოფილი ერთზე. სხვა ნებისმიერი მექანიზმი არის განწირული“







**„რატომ აქვთ პარლამენტარებსა და მინისტრებს, მსხვილ ბიზნესმენებს დანაზოგი გადატანილი დოლარში? შენ თუ ხარ ქვეყანაზე პასუხისმგებელი და გინდა, რომ გაატარო ეროვნული ვალუტის მხარდამჭერი პოლიტიკა, მაშინ კეთილი ინებე და მიეცი მაგალითი მოსახლეობას. გადახედეთ ნებისმიერის დეკლარაციას, ყველას უცხოურ ვალუტაში აქვს დეპოზიტი გახსნილი, რატომ?“**

თვის აკეთებს. საფინანსო სფეროში არსებობს ასეთი ცნება: „ასიმეტრიული ინფორმაცია“. მაგალითად, ამერიკაში სპეციალისტებმა ყველაფერი იციან, ისიც კი, რომელი წონიანი ფინანსისტისა თუ პოლიტიკოსის გამოსვლას რა მოჰყვება საფონდო ბირჟებზე. ჩვენთან არავინ არაფერი იცის რამდენიმე პირის გარდა და საერთოდ, შეუძლებელია რაიმეს განსაზღვრა სამომავლოდ.

**— ესე იგი, ამ „ასიმეტრიულ ინფორმაციას“ ფლობს მხოლოდ რამდენიმე პირი და ამით სარგებლობს?**

– ჩვენთან „ასიმეტრიული ინფორმაციის“ დონე არის სუსტი, მაგრამ რაც არის, ისიც ხელმისაწვდომია რამდენიმე ადამიანისთვის და ისინი აკეთებენ ფულს. რასაკვირველია, მათ იციან, რას აპირებენ ხვალ თვითონვე და შინაურულ წრეში კეთდება ფული. მე და თქვენ რომ ვიცოდეთ, სადამდე წავა ლარის კურსი, სად გაჩერდება, ხვალ რა კურსი იქნება, თავისუფლად გავაკეთებდით ე.წ. ბიზნესს.

**— თუ ეს ყველაფერი გამიზნულია, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ განწირულები ვართ. ფულის მკეთებლებს ისეთი მადა აქვთ, არასოდეს გაჩერდებიან.**

– ამას სახელმწიფომ უნდა მიხედოს, ვისაც ეს საქმე ევალება, სხედან მთავრობაში. 2012 წლის შემდეგ მოხდა 25-პროცენტიანი ფულის მასის ზრდა, ახლა მიმოქცევაშია მილიარდ 900 მილიონი, ანგარიშებზე არის სულ 5 მილიარდ ლარზე მეტი. ალბათ, თქვენც ატყობთ, რომ ხელისუფლებაში არის სრული შეუთანხმებლობა, როგორც ჩანს, გარე და შიდა ფაქტორებმა გარკვეული დეზორგანიზაცია გამოიწვია – ხადური სხვას ლაპარაკობს, ტყემალაძე – სხვას, მექიაური – სხვას. ასე არ შეიძლება, ამერიკაში ასე არავინ არ ლაპარაკობს, იქ არის მარტო ერთი კომპეტენტური ადამიანი, გამოვა, იტყვის და მორჩა. იქ სპეციალისტებმა ყველაფერი იციან. მე არ მახსენდება, ევროკომისარი, ან ვინმე მსგავსი გამოსულიყოს და ფინანსებზე კომენტარები ეკეთებინოს. აქ ვისაც არ ეზარება, ყველა ლაპარაკობს, ყველა თავისას ამტკიცებს. ტყემალაძის კომენტარებზე საერთოდ საუბარი არ მინდა, ეს უკვე სხვა პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ ტყემალაძე ჩემზე რაღაცებს ლაპარაკობს, მაინც პატივს ვცემ, რადგან ძალიან დიდი გამოცდილება აქვს ბიზნესში გოგი თოფაძესთან ერთად. არ ვიცი, მართლა ასაკის ბრალია? ყოველ შემთხვევაში, ვერ დავაბრალებ, რომ არაფერი არ იცის და ვერ ხვდება, საით მივდივართ. ძალიან კარგად ესმის, ძალიან კარგად ააწყო თავისი ბიზნესი, ამას უჭკუო კაცი ვერ გააკეთებდა. მე მესმის, რასაც ამბობს, ლარი კი უფასურდება დოლართან მიმართებაში, მაგრამ ფასები არ იზრდებაო, მაგრამ მოსახლეობას რომ დოლარში აქვს აღებული სესხები, ამას აღარ ლაპარაკობს, სწორედ ეს არის პრობლემა. ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში დოლარიზაციის დონე არ აღემატება 15-20 პროცენტს, ჩვენთან რატომ არის 80 პროცენტი? რატომ აქვთ პარლამენტარებსა და მინისტრებს, მსხვილ ბიზნესმენებს დანაზოგი გადატანილი დოლარში? შენ თუ ხარ ქვეყანაზე პასუხისმგებელი და გინდა, რომ გაატარო ეროვნული ვალუტის მხარდამჭერი პოლიტიკა, მაშინ კეთილი ინებე და მიეცი მაგალითი მოსახლეობას. გადახედეთ ნებისმიერის დეკლარაციას, ყველას უცხოურ ვალუტაში აქვს დეპოზიტი გახსნილი, რატომ? ამას რომ ხედავენ ბანკები, აბა, რას იზამენ? ძალიან ცუდია, როცა ქართული კომერციული ბანკები გარბიან ლონდონის ბირჟაზე, რატომ, აქ ადგილზე არ უნდა იყოს ბირჟა? გასაგებია, წადი ლონდონში, მაგრამ აქაც გააკეთე. რატომ არ შეიძლება, რომ აქვე იყიდებოდეს „თიბისი ბანკის“ აქციები? ეს ხომ ხელს უწყობს დოლარის გადინებას? ნახეთ, ფულს ამ ქვეყანაში აკეთებენ, მოსახლეობიდან მილიარდები ამოაქვთ და მერე გარბიან ლონდონის ბირჟაზე. შენ თუ არაფრად მიგაჩნია საკუთარი ვალუტა, მაშინ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რაც ხდება!

ქართველი ექსპერტების დიდი უმრავლესობა ერთხმად თანხმდება იმაზე, რომ საქმე არის ძალიან ცუდად. თუმცა ისინიც დაყოფილები არიან ჯგუფებად და აქვთ მდგომარეობიდან გამოსვლის სხვადასხვა მიმართულება, ანუ დღევანდელ მთავრობას აძლევენ სხვადასხვა რეცეპტს. მაგალითად, ერთნი ამბობენ, რომ აუცილებელია ლარის მიბმა დოლარზე (როდესაც ვლაპარაკობთ 80-პროცენტიან დოლარიზაციაზე, მეტი რაღა უნდა მივაბათ?). ეკონომიკის ექსპერტი, პაატა შეშელიძე ამ თემას ასე ავითარებს:

„მაგალითად, ლარის კურსი არის 2,47, ხვალ, ზეგ, ერთი წლის შემდეგ იგივე კურსი უნდა იყოს? ვერც ერთი თეთრი ვერ გამოვა მიმოქცევაში, თუ ის არ იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისი რაოდენობის დოლარით. ეს უნდა იყოს ერთი-ერთზე. სხვა ნებისმიერი მექანიზმი არის განწირული“.

რამდენიმე თვის წინ შეშელიძე ამტკიცებდა, რომ ყველაზე ეფექტური იქნებოდა ლარის გაუქმება და მთლიანად დოლარზე გადასვლა. ეს რეცეპტი არა მხოლოდ მთავრობამ, ექსპერტებმაც კი არ მიიღეს. ასევე, არ იღებენ ლარის დოლარზე მიბმის იდეას, რადგან ფიქრობენ, რომ ეს იქნება ეკონომიკური დამოუკიდებლობის სრული დაკარგვა და გაჭირდება ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. დავით ასლანიშვილის თქმით, მაშინ გავაუქმოთ ჩვენი სახელმწიფო და გავხდეთ ამერიკის შტატი.

არიან სახელისუფლებო ექსპერტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გარე ფაქტორებს თავს ვერ ავარიდებდით, მაგრამ შესაძლებელი იყო, მოსახლეობისთვის აგვერიდებინა ზარალი: პირველი – მკვეთრად უნდა შემცირებულიყო სამომხმარებლო სესხების გაცემა დოლარში, მეორე – ადამიანს, რომელსაც შემოსავალი აქვს ლარში, სესხი უნდა მიეცეს ლარში. ექსპერტების ერთი ჯგუფი გამოსავალს ხედავს მხოლოდ ეკონომიკის შეუქცევად განვითარებაში. კი, ბატონო, პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური პრობლემები არის, ყველა ვალუტის გაუფასურება ფაქტია, მაგრამ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ მოკლევადიან პერიოდში? სასწრაფოდ უნდა შემცირდეს სამთავრობო ხარჯები. ეროვნულ ბანკს შეუძლია მონეტარული განაკვეთების გაზრდა, სავალუტო ინტერვენციების გატარება, მაგრამ ეს არ არის ეფექტური. გამოდის, ეროვნული ბანკი მოსახლეობას, ანუ ეკონომიკას ართმევს ფულად საშუალებას და სახელმწიფო ხარჯავს იმდენივეს, რასაც აქამდე ხარჯავდა. ამ ეტაპზე დაუშვებელია, 2012 წელთან შედარებით, სამთავრობო ხარჯების 343 მილიონით გაზრდა. ეს თანხები 2016 წლის ბიუჯეტში უკვე დამტკიცებულია და ზოგიერთი ექსპერტი ითხოვს სეკვესტრს. ამავე დროს, ბიუჯეტში გაწერილია 200 მილიონი სუბსიდია სხვადასხვა დარგებში, ესეც უნდა გაუქმდეს – ბიუჯეტი შესამცირებელია 543 მილიონი ლარით. მაგალითად, პოლონეთში, სადაც ცხოვრობს 38 მილიონი ადამიანი, საჯარო სექტორში დასაქმებულია 123 ათასი ადამიანი, ხოლო ჩვენთან დასაქმებულია 116 ადამიანი. ეს უკვე კატასტროფაა.

ექსპერტებს მოკლედ, ლაკონიურად და „ორიგინალურად“ პასუხობს ეკონომიკის მინისტრი, დიმიტრი ქუმსიშვილი:

„იმისთვის, რომ ჩვენ შევიცვალოთ დამოკიდებულება დანაზოგებისადმი (გულისხმობს იმას, რომ თანამდებობის პირებს დანაზოგები აქვთ დოლარსა და ევროში), ამას სჭირდება თაობები. დღევანდელი ამოცანა სცილდება იმას, რომ ჩვენ ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც დანაზოგებს აკეთებს, დღეს ვუთხრათ, დანაზოგი ერთი ვალუტიდან მეორეში გადაიტანოს. ადამიანები ელემენტარულად დაგვცინებენ და გვეტყვიან, რომ არაადეკვატურები ვართ. ჩვენი ამოცანა დღეს არის ის, რომ საბანკო სექტორში სხვა მექანიზმებით გავაჩინოთ ლარის შესაბამისი მასა, რომლითაც შესაძლებელი იქნება გაცემული სესხების კონვერტაცია ისევ ლარში, ან ახალი სესხების გაცემის შემთხვევაში, ლარის გაცემა და არა დოლარის გაცემა“.

ესე იგი, აქ დგას ორი საკითხი: ბატონ ქუმსიშვილს დეპოზიტების კუთხით ველაპარაკებით, რომ მინისტრებმა და პარლამენტარებმა გამოიჩინონ კეთილი ნება, მაგრამ ის აქეთ გვამუნათებს, ახლა რიგით მოქალაქეებს როგორ ვუთხრათ, როგორ დავავალდებულოთ, რომ ასე მოიქცნენო? აშკარად არ უნდა გაიგოს, რომ აქ საუბარია მაღალჩინოსნებზე და არა რიგით მოქალაქეებზე, ვინ მისცა ამ გაძვალტყავებულ ხალხს იმდენი დოლარი, ბანკში დაყაროს, ან კიდევ ლარი დოლარში გადაიყვანოს და შეინახოს? მეორე – ბატონი ქუმსიშვილი ამბობს, ჩვენი ამოცანაა, მომავალში რომ სესხები გაიცემა, აუცილებლად გაიცეს ლარში და არა დოლარშიო. კი, მაგრამ რაც აქამდე გაიცა კანონის დარღვევით, ყველას უნდა შერჩეს და ხალხი კიდევ ლარის გაუფასურების გამო გაუბედურდეს? ესენი მომავალზე გველაპარაკებიან, როცა აგერ ცხვირწინ ადამიანები მტკვარში ხტებიან!

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დასაშვებად სამართლებრივი ბრძოლა იწყება. სარჩელი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში გასულ კვირაში შევიდა, „ლგბტ“ პირების უფლებების დამცველმა, გიორგი ტატიშვილმა გაასაჯაროვა. ტატიშვილი, რომელიც ტრანსგენდერ „მაცაცოდაა“ ცნობილი, ამბობს, რომ სასარჩელო მოთხოვნაა, საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნოს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმა, რომლითაც განმარტებულია, რომ „ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა“.**

**რომელი პოლიტიკური ძალები დგანან აღნიშნული მოთხოვნის უკან? რა გათვლა აქვთ მათ? დააკმაყოფილებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულ სარჩელს?**

**„ქრონიკას“ „სახალხო კრების“ წევრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრა:**

# „ირაკლი ღარიბაშვილი მტკიცედ ამბობდა, რომ ქალისა და კაცის ერთობაა ოჯახი და სანამ პრემიერი ვარ, ასეც იქნებაო და ამიტომაც გადააყოლეს ამ ამბავს!“





**„თუ არ შეგვიძლია სახელმწიფოს დაცვა და ვირთხების კუთხეში მიყუჟვა, გავნადგურდებით“**



– ანტიდისკრიმინაციულ კანონს რომ იღებდნენ, აი, იმ დროიდან ვამბობდი, რომ ეს ყველაფერი მიდიოდა იქითკენ, რომ ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონებისთვის ბრძოლას იწყებდნენ..

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი უბედურება დღეს გახლავთ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, უზნეო და გათახსირებული ადამიანი – გიორგი პაპუაშვილი. ეს კაცი, დღესაც რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეა, ეს გახლავთ ხალხის ბრალი – რომ არ მიდის და წიხლით არ ასახლებს მაგ ნაძირალას იმ სხვისი ბინიდან, ბათუმში რომ აქვს მითვისებული. ეს გახლავთ ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული საქმის ჩამდენი პირი, რომელიც ყველანაირად ცდილობს, ასიამოვნოს ევროპას, რომ ასე შეინარჩუნოს თანამდებობა. ვაი, მაგის პატრონს და ვაი, ჩვენს პატრონს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი ხალხი მართავს. რა უფლებით მიიღო ვიღაც „პიდარასტის“ ეს განცხადება?! აბა, ერთი მივიდეს ჩამოყალიბებული მამრი, თუ მიიღებენ მის განცხადებას. მიდით, აბა, და ამ „პიდარასტს“ გაჰკარით ხელი, რა ამბავი ატყდება, საერთაშორისო საზოგადოება დაიწყებს ამაზე საუბარს, მაგრამ ქართველ კაცს, ნამდვილ ქართველ მამულიშვილს თუ შეურაცხყოფას მიაყენებ, არავინ ხმას არ ამოიღებს, არც ერთი პოლიტიკური პარტია, არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია. ეს უკანასკნელნი, ხომ ჩვეულებრივი აგენტები არიან, ფულით ნაყიდები, ამერიკა უხდის ამათ ფულს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს?! ასე, ძალიან მალე, ქართველი და საქართველო აღარ იარსებებს. უმძიმესი მდგომარეობაა საქართველოში ისედაც. თუ კავკასიაში ქართველი ხალხი იყო უმრავლესობაში, დღეს უკვე 3 მილიონ 700 ათასი ვართ და აზერბაიჯანელები 9 მილიონ 700 ათასი არიან. 2050 წლისთვის, 28%-ით ნაკლები ვიქნებით, ამას ქადაგებს წინასწარი მონაცემები. გაიაზრეთ, 3 მილიონ 700 ათასს რომ დააკლდება 28% რამდენი ვრჩებით, საერთოდ. ქართული სოფლები ცარიელდება და ქართველების ადგილს უცხოტომელები იკავებენ, აი, ეს არის ამერიკის პოლიტიკა – საქართველოს მოსასპობად და გასანადგურებლად. ამათ ხომ არ აინტერესებთ არანაირი სიწმინდე, ოჯახი, ქართულ ყველა ტრადიციას ანგრევენ, ქართველის მოსპობა უნდათ, როგორც ფიზიკურად, ისე, სულიერად. ერთი რამე ახსოვდეს პაპუაშვილს – რაც არ უნდა მიიღოს, ქართველი ხალხი ამას წერტილს დაუსვამს.

**— ამ სარჩელის ავტორი სარჩელის შეტანას დამოუკიდებლად გაბედავდა? სად უნდა ვეძიოთ ამ იდეის დამკვეთები და „მაცაცოს“ „ზურგის გამმაგრებლები?“**

– დღეს თითქმის ყველა ძალა ამ „ტრაცაცოს“ უჭერს მხარს. მაგნაირი „მაცაცოებითაა“ სავსე ეს ქვეყანა.

**— ვის გულისხმობთ?**

– ესენი არიან – დაწყებული „ნაციონალებით“, დასრულებული „რესპუბლიკელებით“ .

**— გაბედავს საკონსტიტუციო სასამართლო ამ სარჩელის დაკმაყოფილებას?**

– საკონსტიტუციო სასამართლომ, მრავალი გადაწყვეტილების მიღება გაბედა! გაბედა იმიტომ, რომ ქართველი ხალხი ვართ დადებილებული, მივჩერებივართ, რას გვეტყვის კონსტიტუცია და კანონი. უმაღლესი კანონი არის ქართველი ხალხის სიმართლე, რაც უნდა ხალხს, ის არის კანონიერება და, ბოლოს და ბოლოს, ამოვიღოთ ხმა, თორემ, თუ არ შეგვიძლია სახელმწიფოს დაცვა და ვირთხების კუთხეში მიყუჟვა, გავნადგურდებით.

**— თუ მოხდა ისე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო აღნიშნული სარჩელი, ხომ არ უნდა ველოდოთ მორიგ „17 მაისს“?**

– ხალხი მართლაც გამოვა გარეთ, მაგრამ დამპირისპირებელ ძალას ვერ ვხედავ. რამდენი არიან სულ? მაქსიმუმ 1000 კაცი, ხომ?! ჰოდა, ის ათასი კაცი უნდა გადავთელოთ და გადავთელავთ კიდეც!

უნდა ვუთხრა ჩვენს ხალხს, გამოდით ძილქუშიდან! აიმაღლეთ ხმა! სხვა გამოსავალი არ დაგვრჩა, თორემ ხომ ხედავთ, შიგნიდან და გარედან უზნეობის წარლვნა მოდის და თანდათან ძლიერდება.

სამწუხაროა, რომ მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა, ერი, გარდაცვალების პანაშვიდზე მწუხარე სახით ვიდგეთ, მთელი ტელეეკრანები გადავსებულია ათასი უხამსობით. ქალები იმაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, რომელი უფრო მაღლა აიწვეს კაბას და გადმოყრის მომხიბვლელ ბარძაყებს. მთელი ტელევიზიები და მათ შორს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ზედმიწევნით გვინერგავს არანორმალური ავადმყოფების იდეოლოგიას. ამ ყველაფრის დარეგულირებაში, თავად პრემიერი უნდა მონაწილეობდეს. სხვათა შორის, ექსპრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი რადგანაც სწორედ იმას უსვამდა ხაზს, რომ ქალისა და კაცის ერთობაა ოჯახი და სანამ პრემიერი ვარ, ასეც იქნებაო და ამიტომაც გადააყოლეს ამ ამბავს, ამერიკის პოლიტიკის გალაშქრებად ჩაუთვალეს. სწორედ ამერიკამ გადააყენა ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან. არ უნდა შეუშინდეს ამას ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი, უნდა დადგეს ხალხის გვერდით!

**„დღეს თითქმის ყველა ძალა ამ „ტრაცაცოს“ უჭერს მხარს. მაგნაირი „მაცაცოებითაა“ სავსე ეს ქვეყანა“**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# სოსო ჯაჭვლიანი: „ჩემი იდეა კარგია, ყველა პარტია არჩევნებზე გავიდეს ცალკე და მერე შევქმნათ კოალიცია“

**ერთსქესიანთა გააქტიურებამ უარყოფითი ვნებათაღელვა გამოიწვია „ქართულ ოცნებაშიც“. ჯერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაც არ არის ხეირიანად „გადახარშული“ და უკვე გაჩნდა ახალი პრობლემა — თუ საკონსტიტუციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსში ქალისა და მამაკაცის ერთობის მუხლი შეაჩერა, უარესად დაერხევა ისედაც გაკოტრებულ „ოცნებას“. რას ფიქრობენ საპარლამენტო უმრავლესობაში? „ქრონიკას“ დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი ესაუბრება:**



**„სანდრო ბრეგაძე ცდება, ამ საქმისთვის 10 მილიონი კი არა, რატომ 100 მილიონი დოლარი არ არის შემოსული? ბატონო სანდრო, 100 მილიონია შემოსული, გაცილებით მეტი!“**



**„ყველა პარტიამ ცალკე უნდა იყაროს კენჭი და ამის შემდეგ უნდა გაკეთდეს კოალიცია იმის მიხედვით, ვინ რამდენი ხმა მიიღო. ამის შემდეგ უნდა განაწილდეს მინისტრების პორტფელებიც და სხვა თანამდებობებიც“**



**„ევროპაში არის ოთხი ქვეყანა, სადაც კონსტიტუციაში გარკვევით უწერიათ: „ქორწინება არის ქალისა და კაცის თანაცხოვრება“. ახლა ჩვენთან გამზადდება კანონპროექტი“**

აგერაა ოქტომბერი, მოვიდა არჩევნების დრო და ვნახავთ, ვინ რას მიიღებს. ყველა დეპუტატმა უნდა დააფიქსიროს, სად დგას, იქით თუ აქეთ? ტარანი არის თვლით, მე მინდა, შენ გინდა და იმათ უნდათ, ეს ზოგადია, ყველაფერი უნდა გადაწყდეს, როგორც ხალხი და უმრავლესობა იტყვის!

**— თუკი „ელგებეტეები“ გაიმარჯვებენ, რას იზამთ? სანდრო ბრეგაძე ამბობს, საქართველოში მილიონობით დოლარია შემოსული, საუბარია 10 მილიონზე, რათა ეს საქმე „მოაყომარონო“.**

– სანდრო ბრეგაძე ცდება, 10 მილიონი კი არა, რატომ 100 მილიონი დოლარი არ არის შემოსული? ბატონო სანდრო, 100 მილიონია შემოსული, გაცილებით მეტი!

**— მით უარესი.**

– როგორც ვიცი, ევროპაში არის ოთხი ქვეყანა, სადაც კონსტიტუციაში გარკვევით უწერიათ: „ქორწინება არის ქალისა და კაცის თანაცხოვრება“. ახლა ჩვენთან გამზადდება კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ცვლილებები. ჩვენ სამოქალაქო კოდექსში ეს გვიწერია, მაგრამ ახლა იგივე ჩაიწერება კონსტიტუციაში. თუ ევროპას უნდა, რომ ჩვენ ჩავწეროთ საწინააღმდეგო, მაშინ ასეთი ევროპა მე არ მჭირდება! მე ჩემს აზრს ვაფიქსირებ და დავაფიქსირებ ყოველთვის. შენ იცი, რომ ცვლილებების პროექტი მეც მაქვს შეტანილი, ჩვენ უფრო კარგ რაღაცაზე ვჯერდებით.

**— კონკრეტულად რა „კარგ რაღაცაზე“ ჯერდებით?**

– ჩვენ შიგნით გვქონდა კამათი, იყო დიდი ვნებათაღელვა, ახლა კონსტიტუციაში შევა ცვლილება, კონკრეტულად ჩაიწერება, რომ კაცი არის კაცი და ქალი არის ქალი, ხოლო მათი ერთობა არის ოჯახი.

**— სოსო, ამას უნდა 114 ხმა, ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობა, ამდენს მოაგროვებთ?**

– დიახ, ბატონო, საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება, ვინც არ დაგვეთანხმება, – გელა, ხომ იცი, მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია! ამიტომ, ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ. ამაზე „ქართული ოცნება“ თავის აზრს დააფიქსირებს „ჩოტკად“!

**— „ჩოტკად“ რას ნიშნავს?**

– მე დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას „ჩოტკად“, ანუ მოკლედ და კონკრეტულად, გასაგებად. მე მგონი, ხვდები, რასაც გავაკეთებ. დაველოდოთ მოვლენებს!

**— რა ხდება კოალიციაში? ომარ ნიშნიანიძე მეუბნება, რომ უკვე დაიწყო დიდი ვაჭრობა ერთმანეთში.**

– რა ვაჭრობა მიდის, როგორი ვაჭრობა მიდის და ვინ როგორ ფიქრობს, ყველას თავისი გეგმა აქვს, მაგრამ კულუარებში ჯერ ლაპარაკია ერთზე: ხომ უნდა ჩამოყალიბდეს კოალიციაში, ვინ რას იმსახურებს, ვის რამდენი ეკუთვნის, ვის რა ბეგრაუნდი აქვს? აუცილებლად იქნება შიდა დებატები. მოდი, მე ჩემს აზრს მოგახსენებ: საერთოდ, ასეთი საუბრები რომ არ იყოს საქართველოში, უნდა გაკეთდეს ერთი რაღაცა... ახლა დაიწყეს, მე კვალიფიციური ვარ, მე ინტელექტუალი ვარ, მე ისა ვარ, მე ესა ვარ. ასეთი ლაპარაკი რომ დამთავრდეს, ყველა პარტიამ ცალკე უნდა იყაროს კენჭი და ამის შემდეგ უნდა გაკეთდეს კოალიცია იმის მიხედვით, ვინ რამდენი ხმა მიიღო. ამის შემდეგ უნდა განაწილდეს მინისტრების პორტფელებიც და სხვა თანამდებობებიც.

**— ეს ძალიან საინტერესო იდეაა, მაგრამ ამაზე ვინ წავა?**

– პირველად იყო სიტყვა, შემდეგ – საქმე.

**— ეს მხოლოდ შენი აზრია და კოალიციაში საუბარი არ გქონიათ?**

– არა, ეს მხოლოდ ჩემი აზრია, მე დიდი ხანია, მაგ აზრზე ვარ! ცოტა ხნის წინ სპორტსმენებსა და მსახიობებზე ლაპარაკობდნენ, ახლა ჯამარაული რომ აირჩიეს გამგებლად გარდაბანში, როგორაა საქმე?

**— კი, სპორტსმენები აღარ გვინდაო და ამ დროს ჯამარაულმა გაიმარჯვა, ნეტა რატომ?**

– ზოგიერთს არ უნდოდა, მაგრამ ხალხმა აირჩია.

**— ახლა, მხარს ვინ გიჭერს, იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.**

– აბა, რა, მხარს ვინ გიჭერს, მაგას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, მაგრამ მთავარია ის, რასაც ვერასოდეს იყიდი – ამას ჰქვია ხალხის პატივისცემა. ადამიანი ყველაფერს ვერ გააკეთებს, მაგრამ იმის თავიც უნდა გქონდეს, რომ ქვეყანას არ უღალატო.

**— ლევან ბერძენიშვილი კი ამტკიცებს, რომ ყველაზე მაგარი თვითონაა, სოსო ჯაჭვლიანს არც კი დაესიზმრება, იმდენი წიგნი მაქვს ნათარგმნიო.**

– ახლა მე დავიწყო, რამდენი ფილმი მაქვს გადაღებული და რამდენ ფილმში გადამიღეს? ლევან ბერძენიშვილის აზრი ჩემთვის არის მეასეხარისხოვანი, მაგას ერთხელ რაღაცის სჯეროდა, მაგრამ მერე გადათქვა, მაპატიეთ, ასე არ იყო, სხვანაირად ვფიქრობდიო. მერე შევარდნაძის სჯეროდა და ეგეც გადათქვა. სააკაშვილი მოვიდა, იმისიც სჯეროდა და გადათქვა. მერე ივანიშვილი მოვიდა, არ სჯეროდა, ეგ 7 პროცენტს აიღებსო, ბოლოს დაიჯერა... ახლა დაინიშნება დღე, როდის იქნება პარტიის ყრილობა და იქ ბევრი რამე გადაწყდება. მე მგონი, ჩემი იდეა კარგია, ყველა პარტია არჩევნებზე გავიდეს ცალკე და მერე შევქმნათ კოალიცია. ეს იდეა შენც ხომ მოგეწონა?

**— ეს იდეა უტოპიურია, მაგრამ მაინც მომეწონა.**

– არა, საერთოდ სვანები უტოპისტებს ვერ ვიტანთ – განსაკუთრებით სენ-სიმონს, ფურიეს, ოუენს და კაბეს... უტოპისტები ყველგან არიან, მათ შორის სვანეთშიც, მაგრამ მე ვერ ვიტან... ისე, ყველაზე კარგი იქნება, მოსახლეობას ავუხსნათ, რას ნიშნავს პროპორციული სისტემა, რას ნიშნავს მაჟორიტარული სისტემა და შემდეგ ჩავატაროთ რეფერენდუმი.

**— შენ ბოლო დროს იდეებმა შემოგიტია...**

– ჰოდა, ამის მერე მე ვარ კიდევ უტოპისტი? ასე არ უნდა დავწეროთ ჩვენი პროგრამა: „სტაგნაციური სიტუაცია, რომელიც დღევანდელი პლურალიზმიდან ლავირების ფორმაში უნდა გადავიყვანოთ, რაღა მაჟორიტარული შევცვალოთ პროპორციული სისტემით“. ასე არა! უნდა ავუხსნათ გასაგებად, ქართულად, „ჩოტკად“, გლეხურად, მარტივად.

**— ლავროვის განცხადებებთან დაკავშირებით რას იტყვი? თან გავიგე, თურმე ისეთი საგარეო საქმეთა მინისტრი გვყოლია, ლავროვს ვერ შეხვდება, საამისო კომპეტენცია არ აქვს. თუ ასეა, მაშინ რაღას დაამტკიცეთ დიდი ტაშისკვრით?**

– ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი არის ჯანელიძე, რომელიც დავამტკიცეთ. მას სრული კომპეტენცია აქვს, რომ ელაპარაკოს ლავროვს. ვერ გავიგე, ლავროვი ჯორდანო ბრუნოა? საერთოდ, სვანეთში იყო ასეთი წესი: როდესაც მოლაპარაკებაზე ვინმეს გაგზავნიდნენ, მას უცნობ, მაგრამ ჭკვიან ადამიანსაც გააყოლებდნენ ხოლმე. ვაცადოთ, წავიდეს, დაილაპარაკოს, ამხელა თანამდებობა ჩავაბარეთ და ლავროვს რატომ ვერ დაელაპარაკება? იცი, მე რა მიკვირს, თვითონ ამერიკა გვეუბნება, დასხედით და მოილაპარაკეთო, რა ხდება? მე ადრე განცხადებაც გავაკეთე: ამერიკა გვეუბნება, ევროპაც გვეუბნება, რუსებთან ილაპარაკეთო, მაგრამ, როცა მომენტი დგება, რაღაც ძალა ხელს გვიშლის. იგივეს გვეუბნებიან რუსები – ელაპარაკეთ ოსებს და აფხაზებსო. საქმე საქმეზე რომ მიდგება ხოლმე, რაღაცა ხელს გვიშლის. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მაგათთან არავინ არ დაგველაპარაკებს? ამიტომ სასწრაფოდ უნდა დავსხდეთ და ჩვენი ინიციატივით დაველაპარაკოთ. ზოგიერთმა „შტანგისტმა“ ჩემი განცხადება აიტაცა, ჯაჭვლიანმა რუსეთთან შეერთების განცხადება გააკეთაო. რუსეთს სადავო ტერიტორიები აქვს იაპონიასთან, გერმანიასთან და სხვა ქვეყნებთან, აგერ უკრაინა ლამის დაშალეს და დიპლომატიური ურთიერთობა არავის გაუუქმებია, ჩვენ რა, ჭრელი გოჭები ვართ?! ჩვენ რუსებს რატომ ველაპარაკებით „ჩერეზ“ ვიღაცა? ვინც დღეს მოლაპარაკების წინააღმდეგია, ყველა მოსისხლე მტერია საქართველოსი!.. ჩემი ნატვრაა, რომ საქართველო დაწყნარდეს და ჰქონდეს დალაგებული სიტუაცია თავის მეზობლებთან. ვერსად ვერ გადავსახლდებით, ადგილს ვერ გადავცვლით!

# რატომ დებს დასავლეთი ფულს აფხაზეთის განვითარებაში?

## „მთავრობამ განგაში უნდა ატეხოს, თუ აფხაზეთი მონაკო გახდება, ჩვენკენ გამოხედვაც კი აღარ მოუნდებათ!“





„ამ ტერიტორიების დაბრუნების მიზნით, თუ საჭირო გახდა, რუსეთის პარტნიორები უნდა გავხდეთ თურქეთის წინააღმდეგ“



„ჰააგის ტრიბუნალი და ჰააგის სასამართლო სხვადასხვაა. ჰააგის ტრიბუნალმა გაასამართლა მილოშევიჩი. ჰააგის სასამართლოს არ ექვემდებარება რუსეთი, არ არის შეერთებული მას და ხელი არ აქვს მოწერილი. რუსეთის ბრალეულობა რომც დაადასტუროს სასამართლომ, რუსეთის მხარეს ვერ დასჯიან, მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს გაასამართლებენ. არასწორად ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს მალე ვლადიმერ პუტინს ჩაიყვანენ ჰააგაში და მკაცრად დასჯიან, ეს არის მხოლოდ პიარი ვიღაცების გულის გასახარად და სხვა არაფერი“



„გალის ყოფილი გამგებელი, რუსლან ქიშმარია იყო თბილისში სამკურნალოდ ჩამოსული“

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

**რუსეთ-საქართველოს, აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ქრონიკას“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკა მჟავანაძე.**

– ცოტა ხნის წინ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრსა და გაეროს წარმომადგენელს ნილს სკოტს შორის შედგა შეხვედრა. ეს ნილს სკოტი გაეროს მუდმივი კოორდინატორი და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელია საქართველოში. როცა გაერო-ს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩადიან აფხაზეთში, ამ შეხვედრების დეტალური ინფორმაცია, სამწუხაროდ, ჩვენთვის მიუწვდომელია. ვიცით, რომ ნილს სკოტმა განაცხადა, რომ ის, ანუ გაერო, დაეხმარება აფხაზეთს სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის პროექტების ფინანსურად განხორციელებაში. მოკლედ, ფულს მისცემენ აფხაზეთის არალეგიტიმურ ხელისუფლებას. როცა საერთაშორისო ორგანიზაციები ჩადიან აფხაზეთში, ეს შეხვედრები ჩვენთვის ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს, მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი უნდა იყოს დეტალურად საქმის კურსში, მაგრამ მაგას საერთოდ არაფერს ეკითხებიან.

**— საქართველოს გვერდის ავლით ხომ არ შედგა ეს შეხვედრა?**

– აღარ მოინდომებს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას. მე წინააღმდეგი არა ვარ, აფხაზეთს დახმარება გაუწიონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მაგრამ ეს უნდა იყოს სიტუაციის ადეკვატური, საქართველოს ინტერესების შესაბამისი. საქართველო აფხაზეთისთვის მიმზიდველი იმიტომ უნდა იყოს, რომ ჩვენ, მინიმუმ, ერთი კი არა, რამადგნენ და ფინანსურად ეხმარებიან და სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ.

**— ახლა აფხაზები როგორ გაიგებენ მაგ ამბავს, არ იტყვიან, საქართველოს ჩვენი განვითარება, ჩვენი სიკეთე არ უნდაო?**

– აფხაზების სიკეთე და კეთილდღეობა მინდა, მაგრამ ეს საქართველოს შემადგენლობაში უნდა მოხდეს. გაერო-ს ეს ქმედება აფხაზეთის გასახარად და სხვა არაფერი. ჰააგის სასამართლოს გააქტიურების შემდეგ, ერთი რამ მენიშნა. რუსეთის ხელისუფლებამ მანამდე განაცხადა საქართველოსთან უვიზო რეჟიმის დაწესების შესახებ და ამ დროს ჰააგის მთავარი მოსამართლე ფატუ ბენსუდა გააქტიურდა. დამთხვევებისა და შემთხვევითობებისა არ მჯერა, ვფიქრობ, რომ ეს შეგნებულად გაკეთდა.

ზეგავლენა მოვახდინოთ? გეგონება, საქართველოს რუსეთის ტერიტორიები აქვს ოკუპირებული და რუსეთი აქეთ უნდა გვეხვეწოს, დავჯდეთ და დავილაპარაკოთო. როცა ულტიმატუმებს აყენებ, რაღაც მომგებიანი პოზიცია უნდა გქონდეს, რაღაც კოზირი უნდა გეჭიროს ხელში. ამ დროს პირიქით არის. რუსეთს აქვს წაღებული საქართველოს ტერიტორიების 20% და ეს რეალობად იქცა. სიტუაცია შეიქმნა ისეთი, რომ ამას მივაღწიეთ რუსეთის დახმარებით. თუ არ დაველაპარაკებით რუსეთს, თუ ჩავიკეტებით, მაშინ წინსვლა, ტერიტორიების დაბრუნების თვალსაზრისით, საერთოდ არ გვექნება. ჩემთვის, ასევე, გაუგებარია, რატომ არ უნდა აღდგეს საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები. უკრაი-

ეს იყო სტანდარტულ ფორმატში შეხვედრა, მაგრამ აქ სხვა რამ არის მთავარი. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, აფხაზეთის მკვიდრთა კეთილდღეობა რომ გვინდა, ეს სადავო არ არის. აგერ, რუხში კეთდება დიდი საავადმყოფო, რომლითაც აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლებიც ისარგებლებენ, სწორედ ამიტომაც კეთდება რუხში, იქვე, აფხაზეთის ყურის ძირში, საქართველოს ჯანდაცვის სისტემით სეპარატისტები ადრეც სარგებლობდნენ, გალის ყოფილი გამგებელი, რუსლან ქიშმარია იყო თბილისში სამკურნალოდ ჩამოსული, „ცე“ ჰეპატიტის პროგრამაშიც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბევრი მკვიდრია ჩართული, ეს ხალხი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან და ასეც უნდა იყოს... ახლა ამ ამბავზე საქართველოს ხელისუფლებამ განგაში უნდა ატეხოს. თუ ამგვარი უცხოური დახმარებებით აფხაზეთი განვითარდება და მონაკოდ იქცევა, ცხადია, ის დენიმე ნაბიჯით წინ უნდა ვიყოთ განვითარების დონით და ცოტა მეტითაც. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ აფხაზებს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება სურდეთ. ამას წინათ, სომხეთის, კერძოდ, ერევნის საფეხბურთო გუნდი „არარატი“ აპირებდა სოხუმში ჩასვლას და აფხაზეთის ნაკრებთან შეხვედრას, მაგრამ ერთი ამბავი ავტეხეთ, ამის შემდეგ ჩაერთო საქმეში საგარეო საქმეთა სამინისტრო და ეს შეხვედრა ჩაიშალა. კიდევ სხვა პროექტები ჩაიშალა, რომლებიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას უსვამდა ხაზს და ესეც მას შემდეგ, რაც ჩვენ, არასამთავრობოებმა, ავაწრიალეთ ყველაფერი. ამგვარი მიდგომით, აფხაზეთის საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრაცია ხდება და ეს არ შეიძლება. აფხაზეთი არის არაღიარებული სეპარატისტული რეგიონი და შესაბამისად უნდა მოექცნენ მას გაერო-ც და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. იმის ნაცვლად, სანქციებს უწესებდნენ, საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას არ ემსახურება და შესაბამისად, ეს პროექტი არ უნდა განხორციელდეს, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაბლოკოს ისინი. ახლა ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მოგახსენებთ. ყველამ ვიცით, რომ ჰააგის სასამართლომ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების გამოძიება. თავშივე ვიტყვი, რომ ჰააგის ტრიბუნალი და ჰააგის სასამართლო სხვადასხვაა. ჰააგის ტრიბუნალმა გაასამართლა მილოშევიჩი. ჰააგის სასამართლოს არ ექვემდებარება რუსეთი, არ არის შეერთებული მას და ხელი არ აქვს მოწერილი. რუსეთის ბრალეულობა რომც დაადასტუროს სასამართლომ, რუსეთის მხარეს ვერ დასჯიან, მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს გაასამართლებენ. არასწორად ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს მალე ვლადიმერ პუტინს ჩაიყვანენ ჰააგაში და მკაცრად დასჯიან, ეს არის მხოლოდ პიარი ვიღაცების გულის

**— ანუ ჰააგის სასამართლოს გააქტიურებით დასავლეთი შეეცადა რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების ჩაშლას და ურთიერთობის ჩიხში შეყვანას?**

– სავარაუდოდ, ასეა, მაგრამ ამის დამტკიცება ძალიან ძნელია. ლოგიკას აქეთკენ მივყავართ. რუსეთთან ურთიერთობა უნდა დალაგდეს, სხვა ალტერნატივა არ არსებობს, სხვაგვარად ვერ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს. ჩემთვის ძალიან გამაღიზიანებელია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ცალკეული პოლიტიკოსების განცხადებები, რომ რუსეთმა ჯერ დაგვიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები და მერე დავთანხმდეთ მასთან დიალოგზეო. საბავშვო ბაღი გეგონება კაცს. მაინტერესებს, როცა ასეთ პოზიციას აფიქსირებენ, ის ხალხი იმაზე არ ფიქრობს, რაიმე კოზირები გვაქვს, რომ რუსეთი მათზე დავიყოლიოთ? რაიმე ბერკეტები გვაქვს, რომ რუსეთზე კიდევ ულტიმატუმებით ველაპარაკებით.

**— კი, ბატონო, გეთანხმებით. ჩვენი პოლიტიკა, ალბათ, უნდა იყოს ასეთი — ოღონდაც დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შანსი გაგვიჩნდეს და რუსეთთან ურთიერთობაში რაღაცას კიდევ დავთმობთ.**

– კი, ასე უნდა იყოს. სხვა გზა გვაქვს რომ? არა, სხვა გზა არ არსებობს, რუსეთია დომინანტია ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში, იქით გვაქვს სახვეწარი და სიტუაციას ისე ვაჩენთ, რომ თითქოს რუსეთი უნდა გვეხვეწოს. ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. კი, ბატონო, ნებით ტერიტორიებს არავინ აბრუნებს, მაგრამ შესაძლოა, მოხდეს პოზიციების თანხვედრა და რუსეთი ადგეს და დაგვიბრუნოს აფხაზეთიც და ცხინვალის რეგიონიც. თურქეთი ნამდვილად არ ოცნებობდა საქართველოსთვის აჭარის დაბრუნებაზე, მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ნა და რუსეთი დღემდე საომარ მდგომარეობაში არიან, მაგრამ კიევში რუსეთის საელჩო მოქმედებს და მოსკოვში – უკრაინისა, ამ ქვეყნებს დიპლომატიური ურთიერთობები არ გაუწყვეტიათ. კი, ბატონო, ოკუპანტია ეს ოხერი რუსეთი, მაგრამ იქით გვაქვს სახვეწარი და ეს დიპლომატიური ურთიერთობები აუცილებლად აღსადგენია. რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ეს გვაძლევს შანს, რუსეთთან ურთიერთობის დალაგებისა, რუსეთს საქართველო სჭირდება და ამ შანსის დაკარგვა მიუტევებელი დანაშაული იქნება. იმას არ ვამბობ, დავივიწყოთ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, პირიქით. ამ ტერიტორიების დაბრუნების მიზნით, თუ საჭირო გახდა, რუსეთის პარტნიორები უნდა გავხდეთ თურქეთის წინააღმდეგ. თურქეთს საქართველოს ტერიტორიები რომ აქვს წართმეული, რუსეთი მონაგონია და ესეც გავიხსენოთ.

# ზაზა ხატიაშვილი მობილიზაციას აცხადებს

## „ამ ხელისუფლებას აწყობს ეს მურუსიძეები და მისი მსგავსი მოსამართლეები, მაგრამ მე არ გავჩერდები!“



**„100-ზე მეტი ადვოკატი გავათავისუფლე საპატიმროდან, 300-ზე მეტ ადვოკატს დავეხმარე, როცა მას დევნიდნენ. საწყენია, რომ ადვოკატთა უმრავლესობა შორიდან უყურებს ჩემს ბრძოლას და იქით მაკრიტიკებს ადვოკატების უფლებების დაცვის გამო“**



**„ხელისუფლებას მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე ბევრი სადავო საქმე ექნება გადასაწყვეტი და რასაც სამოქალაქო სასამართლოში წააგებს, იმას სააპელაციოში ლევან მურუსიძის კლანი მოაგებინებს“**

**„ევა გოცირიძე რომ მურუსიძეს მისცემდა ხმას, ეს ვიცოდი ნამდვილად. ევა გოცირიძე მინდია უგრეხელიძის მეუღლეა, მინდია უგრეხელიძე მუშაობდა სტრასბურგის სასამართლოში, იქ მუშაობდა იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი და შესაბამისად, რასაც წულუკიანი ეტყოდა მინდია უგრეხელიძის ცოლს, ის ისეც მოიქცეოდა. ლოგიკას აქეთკენ მივყავართ“**





## მურუსიძეები



ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი ლევან მურუსიძის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის წინააღმდეგ ილაშქრებდა, მაგრამ მისმა და საზოგადოების უდიდესი ნაწილის ბრძოლამ შედეგი არ გამოიღო, იუსტიციის საბჭოში „ქართული ოცნების“ კვოტით გასული წევრების წყალობით, სანდრო გირგვლიანისა და სულხან მოლაშვილის საქმეების მოსამართლეს მანტია ისევ მოარგეს, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ დანაშაულზე პასუხი ეგო. ზაზა ხატიაშვილი ბრძოლას არ წყვეტს და ადვოკატთა კორპუსს აქციებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ლევან მურუსიძეზე არანაკლებ კომპრომეტირებული მოსამართლეების დანიშვნას აპირებენ სასამართლო სისტემაში. შეიძლება ითქვას, „ნაცმოძრაობის“ დროს ვინც ქართული მართლმსაჯულება თავდაყირა დააყენა, ვინც უდანაშაულო ადამიანებით ციხეები გაავსო, ისევ ის მოსამართლეები ბრუნდებიან. „ქრონიკას“ **ზაზა ხატიაშვილი** ესაუბრება.

**— ბატონო ზაზა, რას აპირებთ ამ კოლექტიური მურუსიძეების, ამ „ზონდერმოსამართლეების“ შესაჩერებლად?**

– იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო ქვეყანაში არაკანონიერი ნაბიჯების გადადგმა. ლევან მურუსიძე, საზოგადოების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ხომ გაიყვანა და დანიშნეს მოსამართლედ? ახლა სხვა „მურუსიძეების“ მოსამართლეებად დანიშვნას აპირებენ. გადავწყვიტე, რომ ადვოკატთა კორპუსი, ისე როგორც არასდროს, გავაერთიანო და ამ სიმახინჯეს შევებრძოლო. სიმართლე გითხრათ, ადვოკატთა ერთ ნაწილზე ნაწყენიც ვარ, ზოგიერთებს ადვოკატების გვერდით დგომა 4 წელში ერთხელ ახსენდებათ, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის არჩევნების წინ. ორშაბათს, 1-ელ თებერვალს, 11 საათზე, დილმის მასივში, მართლმსაჯულების სახლის წინ (ღუდუშაურის საავადმყოფოს უკანა მხარეს) ვიკრიბებით, რათა გავაპროტესტოთ მურუსიძეების დანიშვნა სასამართლო სისტემაში. კოლეგებო, 6 წელია, თითქმის მარტო ვიბრძვი ადვოკატების დევნის წინააღმდეგ, სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის. 100-ზე მეტი ადვოკატი გავათავისუფლე საპატიმროდან, 300-ზე მეტ ადვოკატს დავეხმარე, როცა მას დევნიდნენ. საწყენია, რომ ადვოკატთა უმრავლესობა შორიდან უყურებს ჩემს ბრძოლას და იქით მაკრიტიკებდნენ ადვოკატების უფლებების დაცვის გამო, მაგრამ არავისთვის პასუხი არ გამიცია. პარადოქსული იყო ის ფაქტი, რომ ის ადვოკატები, რომლებიც მებრძოდნენ, თითქოს მე ვიგონებდი ადვოკატების უფლებების დარღვევას, როცა პირადად გექმნებოდათ პრობლემები, ჩემთან მორბოდით და დახმარებას მთხოვდით (შეგნებულად არ ვასახელებ გვარებს). წელიწად-ნახევარში მე აღარ ვიქნები თქვენი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, მოვიდა დრო თითოეულმა ადვოკატმაც გაითავისოთ, რომ, თუ სასამართლო სისტემაში დარჩებიან მურუსიძეები, ჩინჩალაძეები, კოპალიანები, გოგინაშვილები, სასამართლო სისტემა განადგურდება. რამდენიმე დღეში გასდით ვადა ზაზა მეიშვილსა და თამარ ალანიას, რომლებიც ბრძანდებიან იუსტიციის საბჭოს წევრები. სავარაუდოდ, მოქმედი იუსტიციის საბჭო მათაც გადანიშნავს მოსამართლეებად, ისევე, როგორც ლევან მურუსიძეს. თუ სამოქალაქო საზოგადოება არ დადგა ფეხზე, ამას გააკეთებენ, რადგან ამ ხელისუფლებას ამაზე უარესები გაუკეთებია.

**— ლევან მურუსიძის დანიშვნის წინააღმდეგაც აქტიურად იბრძოდით, მაგრამ მაინც თავიანთი გაიტანეს და დანიშნეს მოსამართლედ. ახლა რის იმედი გაქვთ?**

– მე რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ იუსტიციის საბჭოში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა, გოცირიძემ, თორდიამ და სოფრომაძემ გაათრიეს ლევან მურუსიძე, ეს ქართული მართლმსაჯულების სირცხვილი. როცა ვიძახდი, მურუსიძეს დანიშნავენ მოსამართლედ-მეთქი, მაშინ ამბობდნენ, ეს ზაზა ხატიაშვილი აჭარბებს და აბუქებს საქმეს, მურუსიძეს მოსამართლედ ვინ დანიშნავსო?! აჰა, დანიშნეს კიდეც მურუსიძე და ახლა მასზე უარესებსაც უპირებენ დანიშვნას. ვილაცები კი ისევ ქირქილებენ, ზაზა ხატიაშვილი აჭარბებსო.

**— სანამ ლევან მურუსიძეს იუსტიციის საბჭო მოსამართლედ აირჩევდა, თქვენ მაინც იმედი გქონდათ, რომ საბჭოს „ქართული ოცნების“ წევრები — გოცირიძე, თორდია და სოფრომაძე მას ხმას არ მისცემდნენ. აშკარად, მოტყუვდით.**

– არა, ევა გოცირიძე რომ მურუსიძეს მისცემდა ხმას, ეს ვიცოდი ნამდვილად. ევა გოცირიძე მინდია უგრეხელიძის მეუღლეა, მინდია უგრეხელიძე მუშაობდა სტრასბურგის სასამართლოში, იქ მუშაობდა იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი და შესაბამისად, რასაც წულუკიანი ეტყოდა მინდია უგრეხელიძის ცოლს, ის ისეც მოიქცეოდა. ლოგიკას აქეთკენ მივყავართ. წულუკიანმა უთხრა, მურუსიძეს მიეცი ხმაო და გოცირიძემაც მისცა ეს ხმა. თორდია არის ყოფილი საბჭოთა მოსამართლე და არც მისი იმედი მქონდა დიდად, რომ იუსტიციის მინისტრს წინააღმდეგობას გაუწევდა. ამის მიუხედავად, მაინც მქონდა იმედი, რომ არ გააკეთებდნენ ამ უბედურებას, მურუსიძეს არ დანიშნავდნენ, მაგრამ არც ერთს ამ სამიდან, არ აღმოაჩნდა უნარი, ხელისუფლების ნების წინააღმდეგ წასულიყო. რაც უბრძანეს, ის გააკეთეს.

**— თქვენ აცხადებთ, რომ ლევან მურუსიძეზე უარესი მოსამართლეები უნდა დაინიშნონ სამოქალაქო და სააპელაციო სასამართლოში...**

– მიხეილ ჩინჩალაძე, თამარ ალანია, ზაზა მეიშვილი ნამდვილად არ არიან მურუსიძეზე ნაკლებები. სააკაშვილი ამბობდა, „ნულოვანი ტოლერანტობა“, „ყველანი ციხეში“ და რასაც ამბობდა აკეთებდა, სანამ გააკეთებდა, წინასწარ აცხადებდა, რა უბედურების გაკეთებასაც აპირებდა. ესენი, ანუ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, აცხადებენ, სააკაშვილის ნარჩენებისგან გავათავისუფლებთ ხელისუფლებასო და ამ დროს, ამ სააკაშვილის ნარჩენებს აბრუნებენ თანამდებობებზე. სასამართლო სისტემა ამ ნარჩენებისგან თუ არ განთავისუფლდა, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, არც ეკონომიკას და არც არაფერს. ახლა უყურეთ, როგორ არის საქმე. სამოქალაქო სასამართლოში თუ მიიღეს ნორმალური გადაწყვეტილება, ეს უკვე არაფერს ნიშნავს. სააპელაციოში ზის ლევან მურუსიძე თავისი კლანით და ამ სამოქალაქოს გადაწყვეტილებას, როგორც ქოთანს, ისე შეაბამს ყურს და ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს. ჯემალ კოპალიანი, ეს სამარცხვინო მოსამართლეც იქ ჰყავს მურუსიძეს. მოკლედ, თუ რაიმე სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო სამოქალაქო სასამართლომ, სააპელაციოში მურუსიძის კლანი წალმა შეაბრუნებს ყველაფერს. სააპელაციო სასამართლო იქნება მწმენდავი. სამოქალაქოს გადაწყვეტილებები, რომლებიც არ მოეწონება ამ ხელისუფლებას, გასაჩივრდება სააპელაციოში და იქ ხელისუფლების სასურველ გადაწყვეტილებებს მიიღებენ. ერთ მომენტს დაუკვირდით. სააპელაციო სასამართლოში საჩივრდება არჩევნების შედეგად წარმოშობილი დავები, სააპელაციო ბოლო ინსტანციაა, მისი გადაწყვეტილება არ საჩივრდება. ხელისუფლებას მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე ბევრი სადავო საქმე ექნება გადასაწყვეტი და რასაც სამოქალაქო სასამართლოში წააგებს, იმას სააპელაციოში ლევან მურუსიძის კლანი მოაგებინებს.

მოკლედ, ამ ხელისუფლებას აწყობს ეს მურუსიძეები და მისი მსგავსი მოსამართლეები, მაგრამ მე არ გავჩერდები, მეიშვილის, ჩინჩალაძისა და ალანიას მოსამართლედ დანიშვნას არ დავუშვებ. ეს ხალხი თუ დაინიშნა მოსამართლეებად, ჩათვალეთ, რომ ქართული სასამართლო სისტემა დასამარდება.

კვირის მედია-ქრონიკა



**სერგეი სიდორენკო**, უკრაინელი ჟურნალისტი: „მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ბევრი გენიალურ პოლიტიკოსს უწოდებს, დახურულ სხდომაზე ძალიან მოსაწყენი ნეხვი აღმოჩნდა. არ ვხუმრობ, იმდენად მოსაწყენი, რომ სიტყვები არ მყოფნის“.

კვირის მედია-ქრონიკა



**ირმა ინაშვილი**, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი: „თინიკო-გამყალბებელმა ხელისუფლება სერიოზულად დააზიანა და ხელისუფლებამ ეს გააცნობიერა! საგარეჯოს არჩევნები რომ გაყალბდა, ეს ყველამ ვიცით... მაგრამ თინიკო-გამყალბებელი არ ელოდა, რომ ამას ბრიუსელშიც დაიჯერებდნენ და ვაშინგტონშიც. არადა, დაიჯერეს“.

კვირის მედია-ქრონიკა



**გია ბურჯანაძე**, „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე: „თბილისის მერიის 2016 წლის ბიუჯეტში უპატრონო ძაღლების მოვლა-პატრონობისთვის ყოველწლიურად, საშუალოდ, 3 მილიონია გამოყოფილი მაშინ, როდესაც ანალოგიური პროექტებისთვის მით უმეტეს ბავშვებისთვის, გამოყოფილია 1 მილიონ 800 ათასი ლარი. როგორც ხედავთ, ამ ქვეყანაში ძაღლების უფლებები უფროა დაცული, ვიდრე ბავშვების“.

კვირის მედია-ქრონიკა



**გივი თარგამაძე**, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი: „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად დაიწყო ქურდული სამყაროს გამოღვიძება და გაძლიერება. ქურდულმა ავტორიტეტებმა „ოცნებას“ მაყურებლების მეშვეობით ციხე „დაულაგეს“ და არჩევნებშიც დაეხმარნენ. მოგვიანებით „ქართული ოცნება“ კიდევ უფრო შორს წავიდა და აჭარაში მთავრობამ, პოლიციამ და კრიმინალებმა სრულ სიმბიოზს მიაღწიეს“.

# თსუ-ს პროფესორი ნათელა ხარაძე: „ლადო პაპავამ ბოდიშები იხადა... ბრავო, ბატონო ბიძინა, ბრავო!

## ლადო პაპავა: „მე რომ ხმამაღლა დავიწყო ყველაფერზე

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



„ბრავო, ბატონო ბიძინა, ბრავო! დემოკრატიაც ამას ჰქვია! უნივერსიტეტის კორპორატიულ სალამოზე, რექტორის მიერ, დამსახურებულად ხელისუფლების ლანძღვა, სიტყვა „ოცნებაზე“ ბოდიშის მოხდა, ეს რა სიტყვა წამომცდაო, და მისი „იმედით“ შეცვლა, ხმამაღლა იმის აღიარება, რომ უშიშროებიდან კოლეგის განთავისუფლება სთხოვეს და მან ეს შეკვეთა არ შეასრულა... ბრავო, ბატონო ვლადიმერ!!! ბრავო, ბატონო რექტორო!!! აღარაფერი ვამბობ უნივერსიტეტის ორი წამყვანი ფაკულტეტის მინასთან გასწორებაზე. მიშას დროს ციხე არ ასცდებოდა ასეთ რექტორს, მიზეზს ვერ მოუძებნიდნენ თუ რა? ისე, ხომ ნამდვილად კორპორატიული სალამო იყო? არადა, წვეთი არ დაილევაო“! — ეს წერილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ნატალია ხარაძეს ეკუთვნის. ქალბატონი ნატალია „ქრონიკასთან“ საუბარში ამბობს, რომ რექტორმა ლადო პაპავამ ჩაიდინა ისეთი რამ, რაც იყო სრულიად მოულოდნელი და შოკისმომგვრელი. კაცი, რომელიც იგივე „ოცნების“ მხარდაჭერით გახდა უნივერსიტეტის რექტორი, დღეს ბიძინა ივანიშვილსა და მის პარტიას უკვე საჯაროდ ლანძღავს. მეტიც, ნატალია ხარაძის თქმით, ბატონმა პაპავამ სრული კარტბლანში მისცა ყოფილ რექტორს, გია ხუხუას და კრიმინალ „ნაციონალებს“. მე, როგორც წესი და რიგია, პროფესორ ხარაძის წერილი ელფოსტით გადავუგზავნე ლადო პაპავას და სწორედ ამის შემდეგ შედგა ჩვენი საუბარი:

— ბატონო ლადო, რა ხდება, რა ლანძღვა-გინება იყო კორპორაციულ სალამოზე?

– არაფერი ლანძღვა-გინება არ იყო, ეს გახლდათ ჩვეულებრივი კორპორაციული შეხვედრა, საახალწლო, რომელსაც აღვნიშნავთ ხოლმე ყოველ წელს. რაც რექტორი ვარ, უკვე მესამედ ჩატარდა და სიმბოლურად ვუძღვები მე, როგორც თამადა. ეს არის მხიარული სუფრა, სადაც მონაწილეობენ ჩვენი უნივერსიტეტის მოცეკვავეები, მომღერლები, იკრიბება სადღაც 200-250 კაცი. გვყავს ხოლმე მოწვეული ასევე სტუმრები. მე საკმაოდ იშვიათად ვსვამ, მაგრამ, თუკი ვთამადობ, არც ისე ვთვრები, რომ თავს კონტროლი ვერ გავუწიო. ავრცელებენ ჭორებს, თითქოს მე იქ ორი ფაკულტეტი გამოვლანძღე, მსგავსი არაფერი ყოფილა. ერთი ფაკულტეტი არ ესწრებოდა ამ სალამოს, არც ერთი წარმომადგენელი არ მოვიდა. მიზეზი ნამდვილად არ ვიცი, შეიძლება ინფორმაცია ვერ მიიღეს.

— **რომელ ფაკულტეტზეა საუბარი?**

– ეს არის იურიდიული ფაკულტეტი. მე გულისტკივილი გამოვთქვი, როგორც თამადამ, რატომ არ მოვიდნენ-მეთქი? პრინციპში, ეს ნებაყოფლობითია, ვისაც სურვილი აქვს, მოვა. როგორც მითხრეს, მთლად ინფორმაციულად ვერ იმუშავა სისტემამ, ვერ გაიგეს, მაგრამ, როცა ამ ფაკულტეტის წარმომადგენლები ვერ დავინახე, უკმაყოფილება გამოვთქვი. რაც შეეხება მეორე ფაკულტეტს, ეს არის ჩემი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სადაც ასევე ვარ პროფესორი. როდესაც სუფრა მთავრდებოდა, ამ ფაკულტეტის რამდენიმე ქალბატონი მოვიდა ჩემთან, დამემშვიდობა და თბილად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. თან ვუთხარი, შეცდომა გაქვთ დაშვებული, კარგი იქნება, თუ ამას აღარ გაიმეორებთ-მეთქი. არავინ მინასთან არ გამისწორებია, მე რომ ხმამაღლა დავიწყო ყველაფერზე ლაპარაკი, მინასთან გასწორება მერე ნახონ. მე ზომასა და კონტროლს არ ვკარგავ ხოლმე.

— **ლადო პაპავამ „ოცნება“ ახსენა და თან ბოდიში მოიხადა, „იმედი“ უნდა მეთქვაო.**

– არა, „ქართული ოცნება“ საერთოდ არ მიხსენებია... კარგად გამიგეთ, ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი. „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ შეიქმნა სიტუაცია, როდესაც შესაძლებელი გახდა დამოუკიდებელი არჩევნების ჩატარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მე მივიღე მონაწილეობა ამ არჩევნებში, ჩემს ზურგს უკან არ იდგა არავინ და ასე ჩვეულებრივად გავიმარჯვე. რატომ? იმიტომ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა ის გარემო ქვეყანაში, სადაც უნივერსიტეტზე ზეწოლა არ იყო. ახლა, ამ განცდის კაცს „ქართული ოცნება“ უნდა ელანძღა? არც უშიშროება მიხსენებია და არც არავის არაფერი დაუვალებია, მავანი სამსახურიდან გაუშვიო, ეს ყველაფერი არის სიცრუე!

— **არავინ ამბობს, „ქართული ოცნება“ ხელშეუხებელია, კრიტიკა არ შეიძლებაო, პირიქით. მაგრამ თქვენ გდებენ ბრალს, რომ ამავე დროს „აგულავებთ“ „ნაციონალებს“.**

– მე ვთქვი ასეთი რაღაცა: ის მთავრობა, რომელიც განათლებასა და მეცნიერებას დააფასებს, ღირსი იქნება, რომ კიდევ მოვიდეს ხელისუფლებაში. თუ ეს ვიღაცამ „ქართული ოცნების“ კრიტიკად აღიქვა, ჩემი ბრალი არ არის. ამ თემაზე საჯაროდაც მილაპარაკია და ახლაც გავიმეორებ: ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს სჭირდება საბიუჯეტო დაფინანსება. ასევე, უნივერსიტეტებში წარმოებულ კვლევებს სჭირდება საბიუჯეტო დაფინანსება, ეს ყველაფერი არ უნდა იყოს ჩამოკიდებული სტუდენტის ჯიბეზე. მე ვთქვი, იმ მთავრობას გაუმარჯოს, რომელიც განათლებასა და მეცნიერებას ჯეროვნად დააფასებს-მეთქი. თუ ეს ვიღაცამ მოთარგმნა „ოცნების“ საწინააღმდეგოდ, ამაზე ვერაფერს ვიტყვი, უბრალოდ, გული მწყდება, რომ სუფრაზე მოდიან ჩასაფრებული ადამიანები. სუფრა იყო ჩვეულებრივი, რაიმე ექსცესი არ ყოფილა და შესანიშნავად მახსოვს, რაზე ვსაუბრობდი. ამ თემაზე ყოველთვის ვილაპარაკებ, პრობლემა არ არის. თუ ვარ უკმაყოფილო, ვიტყვი... რომ უნდა შეიცვალოს ლომაიას მიერ დამკვიდრებული საბიუჯეტო დაფინანსების სისტემა, რექტორობამდეც ვიძახდი და ახლაც ვიძახი. სამწუხაროდ, ეს სისტემა არ შეცვლილა. აი, სწორედ სისტემის შეცვლის მიმართულებით იყო ყველაფერი ნათქვამი. მაგალითად, ჩვენ გვყავს 22 ათასამდე სტუდენტი, ბევრად უკეთესი იქნება

გაგრძელება ოცდამესამე გვ.



**„მე ვთქვი, იმ მთავრობას გაუმარჯოს, რომელიც განათლებასა და მეცნიერებას ჯეროვნად დააფასებს-მეთქი. თუ ეს ვიღაცამ მოთარგმნა „ოცნების“ საწინააღმდეგოდ, ამაზე ვერაფერს ვიტყვი“**



ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ხევი, რომელშიც მდინარე მიედინება
2. მეჩეთის კოშკი
3. მდინარე პარიზში
4. მაჟორი და ...
5. სახელმწიფო აფრიკაში
6. ჩანჩქერი აშშ-ში
7. მეკარე (მოძვ.)
8. მწერალი ჭაბუა ...
9. ძველი ასურეთის დედაქალაქი
10. მეტყველების ორგანო
11. მსახიობი შონ ...
11ა. ... პუგაჩოვა
12. კოსმოდრომი ყაზახეთში
13. ბარდი ვლადიმერ ...
14. ერთგვარი ხვლიკი
15. შტატი აშშ-ში
16. საბერძნეთის დედაქალაქი
17. მეცნიერება მღვიმეების შესახებ
18. საფა-რიკაო იარაღი
19. ვაქცინაცია
20. ექს-პრეზიდენტი ბილ ...
21. მსხვილი ნაწლავის ანთება
22. რენტგენით სურათის გადაღება
23. ფრანგი მხატვარი
24. ღრმული წყნარ ოკეანეში
25. აზზინდის არაყი
26. მსახიობი ჟან-ლუი ...
27. მიმდინარეობა იტალიურ კინოში
28. ერთგვარი სამკითხაო კარტი
29. კვერცხის შემადგენელი პროდუქტი
30. მხ/ფ „სიყვარულის ფორმულა“ გრაფი ...
31. კედელში ჩადგმული კარადა
32. სანელებელი
33. სინთეზური ვანილი
34. შხამიანი გველი
35. მსახიობი სერგო ...
36. მსახიობი ვერონიკა ...
37. მსახიობი ჯუდ ...
38. მსახიობი ... ნოლტი
39. მსახიობი ვივიენ ...
40. სოფიკო ჭიაურელი ფილმში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“
41. ოტელოს ეროვნება
42. მსახიობი ... ლეინსი
43. მსახიობი ... ვენტურა
44. მსახ. ... ჯიგარხანიანი
45. მისი დედაქალაქია ლონდონი
46. ამფიბია
47. გველის შხამი
48. მწერალი ვიტალი ...
49. მდგომარეობა კრივში, დავარდნა
50. მსახ. ... ფიორენტინო
51. ბალახი
52. მომღერალი ... დიასამიძე
53. ყურძნის ჯიში
54. ფიზიკოსი ... ნიუტონი
55. საბურავის ზედაპირი
56. მსახიობი ... ბერიმორი
57. მსახიობი ... ბრანდო
58. მომღერალი ... ჯაბუა
59. თვალის ბუდე
60. ... ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო
61. მონღოლი დიდებული
62. „ბითლზი“ რინგო ...
63. ერთგვარი ნაქსოვი ქუდი
64. პერსონა ... გრატა
65. ერთ-ერთი თითი
66. ... ფონ ბისმარკი
67. პოეტი ... ბარტო
68. მოქანდაკე ... ბუონაროტი
69. ვაზის ტოტი ორი მტევნით
70. შექსპირი „მეფე ...“
71. ჩანთო-სანი დათვი
72. მამაკაცი ძია
73. კოშში
74. ფუტკრების სახლი
75. რუსული თოჯინების თეატრის გმირი
76. „რომეო და ჯულიეტა“ პერსონაჟი
77. ძვ. თბილისური მიმართვა
78. ერთ ფეხზე ხტუნვა
79. შენობის მუყაოს მოდელი
80. მსახიობი ... ბლუმი
81. ნაბოკოვის რომანი
82. მსახიობი ... კერტისი
83. ორსახა ღმერთი
84. ბოსტნეული
85. ქალაქი იტალიაში
86. ... თათქარიძე
87. ხეზე ფიგურული ჭრა
88. კოსმონავტიკის „მამა“
89. მოხარშული ზეთი
90. პროვინცია ესპანეთში
91. ანბანი, ანუ ...
92. მსახიობი ... ლონგორია
93. მთამსვლელი
94. ფედერიკო ფელინის ფილმი
95. კაქტუსის სახეობა
96. ჩონჩხის ნაწილი
97. კონტინენტი
98. წლოვანება
99. ბავშვის საჭმელი
100. ძიძა
101. კუნძული ინდონეზიაში
102. იაპონური თეატრი
103. ქალთა უფლებების დამცველი
104. წყალქვეშა კლდე
105. მსახიობი ... სინიორე
106. მედიკამენტი, ანუ ...
107. სანელებელი
108. დავით ნარინი და დავით ...
109. წყლის ძუძუმწოვარი
110. გამის ნოტი
111. ჯუჯა ცხენი
112. მუხის ნაყოფი
113. დადებითი ელექტროდი
114. იაპონური ჭიდაობა
115. რუსი ილუზიონისტი
116. ცხენის სამართავი ღვედი
117. მას ჰქონდა ჯადოსნ. ლამპარი
118. დეფო. „... ფლენდერსი“
119. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
120. კურორტი ბულგარეთში
121. წყვილი ერთიანი ხარდში
122. საბაჟი აჭარაში
123. გაშლილი თეფში
124. შებოლილი ხორცი
125. მესია ... ქრისტე
126. მდინარე აფხაზეთში
127. მსახიობი ... ტაილერი
128. მსახიობი პენელოპე ...
129. ადამიანის ფიგურა ვიტრინაში
130. ... არაბეთს როსტევან
131. კარგი ამინდი
132. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
133. ბილიარდის ჯოხი
134. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
135. ... ცეცხლს მუა
136. მსახიობი ... ჰეპბერნი
137. დავით კლდიაშვილი. „... ბედნიერება“
138. ნიკულინი, მორგუნოვი, ...
139. ამოთხრილი ადგილი
140. იაპონური ჭადრაკი
141. ყვავილი
142. გოგოლის მოთხრობა

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სვიფტის ჯუჯა
2. ფოლადის სადნობი ღუმელი
3. თეატრალური ქუჩა ნიუ-იორკში
4. გიგანტ. ხე სავანაში
5. მსახიობი გივი ...
6. ნიშნავს ცოცხლას
7. ქალაქი ფლორიდაზე
8. ქურციკი
9. ნახ. კუნძული აზიაში
10. სახლი, ანუ ...
11. „კაცი რომელიც იცინის" პერსონაჟი
12. მწერალი ჯეიმს ...
13. ერნესტო ... გევარა
14. მგალობელი ფრინველი
15. მსახიობი ... ხაფავა
16. ანტიკურ საბერძნეთში: ალექსანდრე ...
17. თავის ტკივილი
18. რკინის საგანი ცხენის ფლოქვზე
19. სირაქლემას სახეობა
20. მსახიობი ერიკ ...
21. ... და ობელიქსი
22. იტალიის დედაქალაქი
23. პირის ნაცვალსახელი
24. გზის აღმნიშვნელი ხაზი
25. წყალქვეშა ნავი
26. ქალაქი აშშ-ში
27. მისი დედაქალაქია ოტავა
28. იაპონური მულტიპლიკაცია
29. მართკუთხედში გავლებული ხაზი
30. სავაჭრო ცენტრი ... მოლი
31. ქალაქი ავსტრალიაში
32. თეთრგვარდიელი გენერალი
33. ძაღლის ჯიში
34. განმუხტვა ღრუბლებში
35. ავგაროზი
36. მსახიობი ... ჰეპბერნი
37. მომღერალი მუსლიმ ...
38. ნაგებობა მდინარეზე
39. ... ხაიამი
40. ... შეჯდა მწყერი ხესა
41. კოშკი პარიზში
42. ქვისმთლელთა ორგანიზაციის წარმომადგენელი
43. ნასესხები ფული
44. მსახიობი ... არდანი
45. დავით ულუ და დავით ...
46. პირის ღრუს გაგრძელება
47. ... მღაღადებლისა უდაბნოსა შინა
48. ლუდის მასალა
49. სარძევე ჯირკვლების ანთება
50. რეჟისორი ალფონსო ...
51. ჩაით გაშენებული ადგილი
52. სოფელი რაჭაში
53. მსახ. ... ვარდალოსი
54. ... და ენგელსი
55. მკითხავი
56. მსახიობი ... ზელვეგერი
57. ათოსის მოსამსახურე
58. სამკურნალო მცენარე
59. მწერალი ... დე მოპასანი
60. მსახიობი ... წულაძე
61. მშობიარობის დამხმარე
62. ბიზეს ოპერა
63. კბილის ექიმი
64. ინის საპირისპირო
65. მსახიობი ... ლი ჯონსი
66. ხმა გურულ სიმღერაში
67. ზამბახი
68. ნაბიჯი ბალეტში
69. ადამიანის წინაპარი
70. ყვავილი
71. მსახიობი ... ჯიროტი
72. დონ კიხოტ ...
73. სასახლე ფლორენციაში
74. სიმინდის ყვავილედი
75. ზევსის სამფლობელო მთა
76. ციხესიმაგრე დუშეთის რაიონში
77. სოფოკლეს ტრაგედია
78. ეგვიპტის ფარაონი
79. მდინარე აღმ. საქართ.
80. მსახიობი სილვესტერ ...
81. მსახიობი ბრუნო ...
82. „შენ ... ვენახი"
83. სისხლნაკლებობა
84. მერიმე. „... ფალკონე"
85. მთათა სისტემა ...-შანი
86. ივლისის ხალხ. სახელწ.
87. მსახიობი ... ჩურიკოვა
88. ძაღლის პირის ასაკრავი
89. მწერალი მაქსიმ ...
90. მსახიობი ... კახიანი
91. ჩრდილოეთის ირემი
92. ქვევრი
93. შხამიანი ბაყაყი
94. „... და მშვიდობა"
95. ლეპრა
96. რბილი ლითონი
97. მსახიობი მონიკა ...
98. სასიმინდე
99. მან აავო კიდობანი
100. მსახიობი ... მუტი
101. ... ნასრედინი
102. ... შვარცენეგერი
103. შურისძიება სიცილიურად
104. მატონიზირებელი სასმელი
105. კოცონი. ეშინიათ ჭინკებს
106. ჩოგბურთელი ... შარაპოვა
107. მხ/ფ „... ბროკოვიჩი"
108. მდინარე ქართლის მხარეში
109. ცეცხლსასროლი იარაღი
110. მსახ. ... ბესინჯერი
111. მხ/ფ „ცივი ..."
112. ღია მიშენება შენობაზე
113. ჭამის სურვილი
114. მომღერალი ... კუპერი
115. ლურჯი მინერალი
116. რაგბიში დადებული გოლი
117. გულმკერდის ძვალი
118. გადაშენებული ფრინველი
119. განთიადი
120. შამპანურის ჭიქა
121. ბრაზილიელი ფეხბურთელი
122. კომპიუტერული ტექნიკა
123. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
124. მწერალი ... ბრაუნი
125. შეზღუდული კვების რეჟიმი
126. ხის ჯიში
127. ... ხეთაგუროვი
128. გაუშლელი ყვავილი
129. გაზი, ანუ ...
130. მსახიობი ... დურბინი
131. რაჯ კაპური ფილმში
132. მსახ. ... კალატოზიშვილი
133. ქალაქი ესტონეთში
134. ფოლგა
135. მწერალი ... ტვენი
136. იაპონური ორთაბრძოლა
137. ერთგვარი პალმა
138. მომღერალი ... ლავინი
139. მხ/ფ „... შემოდგომისა"
139ა. ორიანი ნარდში
140. საყანედ გაჩეხილი ტყე
141. ...-კლარჯეთი
142. ხელის საგრილებელი
143. მომღერალი ... კუტუნიო
144. სასულე ინსტრუმენტი
145. მტაცებელი ფრინველის ფრენა
146. ბარაქა
147. ჰუნების ბელადი
148. სტადიონი ერევანში
149. მეტყველების ორგანო
150. სისხლისმწოველი მწერი
151. მსახიობი ... ტაილერი

პასუხები: 1. ლილიპუტი; 2. მარტენი; 3. ბროდვეი; 4. ბაობაბი; 5. ბერიკაშვილი; 6. ბიო; 7. მაიამი; 8. ჯეირანი; 9. ინდოჩინეთი; 10. ბინა; 11. დეა; 12. ოლდრიჯი; 13. ჩე; 14. იადონი; 15. ბერტა; 16. მაკედონელი; 17. შაკიკი; 18. ნალი; 19. ემუ; 20. ბანა; 21. ასტერიქსი; 22. რომი; 23. მე; 24. ტრასა; 25. სუბმარინა; 26. პლიმუტი; 27. კანადა; 28. ანიმე; 29. დიაგონალი; 30. ლილო; 31. სიდნეი; 32. ვრანგელი; 33. ლაბრადორი; 34. ელვა; 35. თილისმა; 36. ოდრი; 37. მაგომაევი; 38. ხიდი; 39. ომარ; 40. არა; 41. ეიფელი; 42. მასონი; 43. ვალი; 44. ფანი; 45. ნარინი; 46. ხახა; 47. ხმა; 48. ალაო; 49. მასტიტი; 50. არაუ; 51. პლანტაცია; 52. ირი; 53. ნია; 54. მარქსი; 55. მარჩიელი; 56. რენე; 57. გრიმო; 58. ალოე; 59. გი; 60. ბაადურ; 61. მეანი; 62. „კარმენი"; 63. სტომატოლოგი; 64. იანი; 65. ტომი; 66. კრიმანჭული; 67. ირისი; 68. პა; 69. ნეანდერტალელი; 70. ია; 71. მასიმო; 72. ლამანჩელი; 73. უფიცი; 74. ტარო; 75. ოლიმპო; 76. ანანური; 77. „ანტიგონე"; 78. ტუტანხამონი; 79. ლიახვი; 80. სტალონელ; 81. ოია; 82. ხარ; 83. ანემია; 84. მატეო; 85. ტიან; 86. მკათათვე; 87. ანი; 88. ალიკაპი; 89. გორკი; 90. იმედა; 91. მარალი; 92. ჭური; 93. აგა; 94. ომი; 95. კეთრი; 96. კალა; 97. ვიტი; 98. ნალია; 99. ნოე; 100. ორნელა; 101. მოლა; 102. არნოლდ; 103. ვენდეტა; 104. ჩაი; 105. ჭიაკოკონა; 106. მარია; 107. ერინ; 108. მაშავერა; 109. „ვალტერი"; 110. კიმ; 111. მთა; 112. აივანი; 113. მადა; 114. ელის; 115. ლაზურიტი; 116. ლელო; 117. ნეკნი; 118. მოა; 119. ალიონი; 120. ბოკალი; 121. კაკა; 122. პლანშეტი; 123. დევი; 124. დენ; 125. დიეტა; 126. ტირიფი; 127. კოსტა; 128. კოკორი; 129. აირი; 130. დინა; 131. „ავარა"; 132. ნანკა; 133. ტარტუ; 134. კილიტა; 135. მარკ; 136. კარატე; 137. რაფია; 138. ავრილ; 139. მზე; 139ა. დუ; 140. ახო; 141. ტაო; 142. მარაო; 143. ტოტო; 144. ჰობოი; 145. ირაო; 146. ხვავი; 147. ატილა; 148. რაზდანი; 149. ენა; 150. კოღო; 151. ლივ. იკითხება: ლეონარდო დიკაპრიო.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00




1. მთათა სისტემა ამერიკ. კონტინენტზე
2. სანელებელი
3. მწვანილი
4. ქოქოსის გული
5. დახვეული ნამცხვარი
6. მსახიობი კლინტ ...
7. რუსული რევოლუც. გაზეთი
8. იტალიელი კომპოზიტორი
9. ნატვრის ხე" პერსონაჟი

ამბობენ ყოველ ქართველში პოტენციური

ზისო. თუ არ გჯერათ, იმგზავრეთ თუნდაც მარშრუტკით და ამაში უმალ დარწმუნდებით. ეს პოლემიკაც ერთ მარშრუტკაში მოვისმინე

10. აკრძალვა ეპიდემიის დროს
11. ხის ჯიში
12. ... ხართან რომ დააბა
13. რუსი ილუზიონისტი
14. მსახიობი ... მონტანი
15. მზის ღმერთი ეგვიპტეში
16. რომაელი იმპერატორი
17. ძვ. თბილისური მიმართვა
18. ვირას საპირისპირო ბრძანება
19. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
20. ... აბრაამის ბატკანი
21. ... ურჩევნია მამულსა
22. შიიზმის მიმდევარი
23. მეკარე ... იაშინი
24. მწერალი ... ტვენი

რომელი ხედიც არ მოეწონება, აუშენებს წინ კედელს, კედელზე კიდევ აყვავებული საქართველოს ხედებს დაახატვინებს. ასე არ ჯობია?

არ გვინდა პანორამა-თბილისიო რომ გაიძახიან, არ ესმის ამ ხალხს! ეს ხომ თბილისის ვატიკანი იქნება: სახელმწიფო ქალაქში. გადმოგვეხედება მერე იქიდან



25. მახრჩობელა გველი ამაზონში
26. ზუთხის ლორი
27. სასულე ინსტრუმენტი
28. ნიშნავს საშუალოს
29. კუნძული ინდონეზიაში
30. "... და მშვიდობა"
31. პორტი საფრანგეთში
32. ნიშნავს ცივს
33. გადაშენებული ფრინველი
34. ალუმინის სასმელი
35. საკლუბო კრება



პო, ის კედელი თურმე

36. მსახიობი ... დიკაპრიო
37. ხერხემლის ძვალი
38. იმპერატორი ... პაფი
39. ბალახოვანი მცენარე. ამზადებენ მწნილს
40. კომპოზიტორი ... ყანჩელი
41. მწერალი ... პირანდელო
42. საგალობელი "... მარია"

ყოფილა, დღეაშენებენ, ღამეინგრევა. იმ კორპუსის მაცხოვრებლებს აბრალებდნენ, მაგრამ, ის ხალხი იფიცება, ერთი სული გვაქვს როდის დაინახავს ჩვენი თვალები საქართველოს ყვავებით, უი, ბოდიში, აყვავებულ საქართველოსო.

43. ზევსის მეუღლე
44. ტენორი ... ბელიაშვილი
45. უბედური ბების სიმბოლო
46. ქალაქი ავსტრალიაში
47. დეკორატიული ყვავილი
48. დედამიწის თანამგზავრი
49. ბრონტე "... ჯეინ"
50. წერილობითი თხოვნა
51. მწერალი ალფონს ...
52. ძაღლის ჯიში

თურმე ოპოზიციის სპორტსმენისთვის მოუმართავს და შევარდნაძის სული გამოუძახია,- კედლის დანგრევა გეზრუნებოდა და იქნებ ეს კედელიც დაგვენგრიოო. შევარდნაძის სულს კიდევ უარი უთქვამს: ოღონდ მაგ კედელს ნუ დაამტვრევინებთ და გაირიდებით



53. უკრაინის პარლამენტი
54. პლატონ სამხრეველის მამა
55. მხ/ფ "ჩვენი ..."
56. მამითადი
57. მამათა დიდი მონასტერი
58. რეჟისორი სტივენ ...
59. თამაში: ...-პონგი

აღარ ამოვაო

60. მეტყველების ორგანო
61. მომართვა ფრანგთა მეფისადმი
62. ყვავილი
63. საზამთროთი დათესილი ადგილი
64. ქალაქი იაპონიაში
65. ქალაქი ყირიმში
66. მსახიობი ... პაჩინო



ბერლინის კედელი, ჩინეთის დიდი კედელი, ახლა კიდევ თბილისის კედელი!

უნდა გვეჭიროს და ხელდაკაპიწებულები უნდა ვმუშაობდეთ, მაგრამ რად გინდა? არ ესმის ხალხს, შეაყარე კედელს ცერცვი!

67. საშუებელი ნარევი
68. მოჭადრაკე ქეთევან ...
69. ცხენის ჯიშის გარნი
70. მონღოლი დიდგვარი
71. შხამიანი გველი
72. რეჟისორი ... პოვარდი
73. ქალაქი ყირიმში
74. მოწაფის მაგიდა
75. მხ/ფ "... ხვიტია"
76. გადამდები ... კარაქი
77. მომღერალი ... კალასი
78. ... ძადუნი
79. კუდიანი ვარსკვლავი
80. მწერლები ... და პეტროვი
81. კათოლიკე მღვდელი

-ხოო, ტყემლით მაინც სულ სხვაა!

ამბობენ, ზურაბ ტყემალაძეს ვერ პოულობენ, ხომ არ გაგიგიათ რამე? -შეშინებულია და იმალება, მაგ კედელში სურამული ზურაბივით არ



82. ცხენის კვალი ქსოვილზე
83. მთის გამოძახილი
84. ყვავილი
85. მდინარე იტალიაში
86. დავით ულუ და დავით ...
87. ფრანგის "დიდი ფული"
88. ხუთიანი ნარდში
89. გრძელი ჯოხი
90. მოცეკვავე ჩრდილოეთ ამერიკაში
91. ისტორიის მუზა
92. მსახიობი ... უიზლი
93. მომღერალი ... ქერი
94. მსახიობი ... გიბსონი
95. ცხენის შუამდგომ. ფრანგ. პორტი
96. ნიშნავს სწავლებას
97. მსახიობი ... დიზელი
98. ბერძნ. ანბანის ბოლო ასო
99. თვალის ბუდე



მარშრუტკა დანიშნულების ადგილზე მივიდა, პოლემიკაც დასრულდა, მე კი, როგორც ერთ კაცს ეკითხებოდნენ, შევეკითხეთ

?

100. ბადიში
101. მსახიობი ... რაიანი
102. ბუდისტი მღვდელი
103. ყვავილი
104. "... ხარ ვენახი"
105. "... ქუჩისაგან"

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. უმაღლესი ხარისხის ბროლი
2. დედამიწის თანამგზავრი
3. არქიმედეს შეძახილი აბანოში
4. მსახიობი ბრიუს ...
5. ძვირფასი ლითონი
6. მომღერალი რაფაელა ...
7. მსახიობი ... რიშარი
8. ცვილის ძელაკი პატრუქით
9. სანკტ-პეტერბურგი ძველად
10. კონტინენტი
11. სიგრძის ერთეული ასტრონომიაში
12. მიმართვა ქალისადმი იაპონიაში
13. ციებცხელება
14. მსახიობი სილვესტერ ...
15. თევზის ჯიში
16. რადიოტალღების მიმღები ძელი
17. ბრონტე. „ჯეინ ...“
18. რუსი მხატვარი
19. პაპის რეზიდენცია
20. გულმკერდის ძვალი
21. გორკი. „... ჩუდრა“
22. ცეცხლსასროლი იარაღი
23. ჯაშუში ქალი ... ჰარი
24. ჯუჯა კამეჩი
25. სავაჭრო ცენტრი თბილისში
26. მსახიობი ... არდანი
27. ბეკინა სამანიშვილის სიძე
28. ქალაქი იმერეთში
29. ქალაქი ლატვიაში
30. ზღვაოსანი ფერნანდო ...
31. მრგალძირა ქვაბი
32. წონის ერთეული ძველ რომში
33. ოთარ იოსელიანის ფილმი
34. მოტორიანი სწრაფი ნავი
35. ზღვა იტალიასთან
36. ტაბლეტი
37. ხატმწერი ... რუბლიოვი
38. მით. მედუზა გველის თმებით
39. სპილოს ცხვირი
40. სახელმწიფო ევროპაში
41. მსახიობი ... ჟიროტი
42. „ანა ... დღიური“
43. ზურიკელა სულხან-ლიანის ბებია
44. კედლის შანდალი
45. ქოქოსის გული
46. სლავური ანბანი
47. იაპონელი მწერალი ... აბე
48. უმაღლესი განათლების მოწმობა
49. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
50. მსახიობი ... ფლინი
51. ქართული ფილმი
52. თვალის ნაწილი
53. მსახიობი ... ლონგორია
54. მსახიობი ჟან-ლუი ...
55. სანთლებიანი ნამცხვარი
56. ადამიანი-ღამურა
57. მთამსვლელი
58. ძვირფას ქვაზე ჭრის ტექნიკა
59. მსუბუქი ლითონი
60. მსახ. ... სილვერსტოუნი
61. რეკომენდაციის გაწევა
62. პოეტი ... გრიშაშვილი
63. დიდი გარმონი
64. ბილიარდის ჯოხი
65. ფეთქებადი ნივთიერება
66. მსახიობი რასელ ...
67. მსახიობი ... რურკი
68. გოგრა. ბრტყელი ყაბაყი
69. ურემი ... გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო
70. გამარჯვების ქალღმერთი
71. ბულგარული ფულის ერთეული
72. სახელმწიფო ევროპაში
73. მეჩეთის კოშკი
74. თოვლის კაცი
75. მდინარე თერგის ხეობა
76. 1000კგ
77. ინერტული აირი
78. ექსპრეზიდენტი ჰარი ...
79. იაპონიის ძველი დედაქალაქი
80. ლეშისმჭამელი ფრინველი
81. ჰიტლერული გერმანიის სამხედრ. დაზვერვა
82. დიუმა. „... დე მონსო-რო“
83. გამოუსვლელი, ხიხო
84. მსოფლიოს საოცრება როდოსის ...
85. ინის საპირისპირო
86. შეხვედრა, ანუ ...
87. თივით გატენილი ცხოველის ტყავი
88. შოუ: „იღბლიანი ...“
89. ძვ. ქართ. სამიჯნურო პოემა
90. განმუხტვა ღრუბლებს შორის
91. მთიდან არეკლილი ხმა
92. მონეტების შემგროვებელი
93. „ილიადა“ ქალაქი
94. წყლის შინაური ფრინველი
95. კაკლის საბერტყი ჯოხი
96. აბრეშუმის მტკიცე ქსოვილი
97. ვირას საპირისპირო ბრძანება
98. ქალაქი საფრანგეთში
99. შიიზმის მიმდევარი
100. ქალაქი რაჭაში
101. „... და ქილა ერბო“
102. ღრმული წყნარ ოკეანეში
103. სახელმწიფო ევროპაში
104. მწერალი ერიხ მარია ...
105. მომყოლი (ანატომიური)
106. ექიმ აიბოლიტის მაიმუნი
107. „... და იზოლდა“
108. ჯუჯა ცხენი
109. ნადირობის ქალღმერთი
110. ბირმის დღევანდელი სახელწოდება
111. მხატვარი ალბრეხტ ...
112. შენობა. წურავენ ყურძენს
113. ნიშნავს საწინააღმდეგოს
114. კონტურული მონახაზი
115. წამალი საცხი
116. სემი, ქამი და ...
117. მომღერალი მარიკა ...
118. მდინარე ციმბირში
119. მაჰმადიანთა სულიერი მოძღვარი
120. „ნატვრის ხე“ კოლელიშვილი
121. ესაძე ფილმში „ქალაქი ...“
122. ეთიოპიის ძველი სახელწოდება
123. მწერალი დენ ...
124. მსახიობი სტივ ...
125. მსახ. ... მაკგრეგორი
126. შოტლანდიური ნაგაზი
127. გადაბრუნებული ასო დელტა
128. დაბალი ხე. შემოდგომაზე ისხამს წვრილ წითელ ნაყოფს
129. რიგის მიკროავტობუსი
130. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში
131. ფიზიკის ნაწილი
132. ანჩხლი
133. რეჟი-სორი ... ღოღობერიძე
134. შინაური ცხოველი
135. მსახიობი ... ჩურიკოვა
136. მხ/ფ „... და კლაიდი“
137. ... დე-ჟანეირო
138. რიცხვი 3,14
139. კომპოზიტორი ... კვერნაძე
140. კუტიურიე ჯორჯო ...
141. განთიადი
142. უფულოდ ნაღებული საქონელი

**კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა**



**ტრისტან წითელაშვილი,** ყოფილი პოლიტპატიმარი: „ციხეებიდან გამოშვება არაფერს ნიშნავს, რადგან ჩვენ ვიმყოფებით ისევ იმ მდგომარეობაში, როგორშიც პატიმრობის დროს ვიყავით. არ გვაქვს სამსახურები, რაც ჩამოგვართვეს, არაფერი ჩვენთვის არ დაუბრუნებიათ და მთლიანობაში ვართ ღირსებაშელახული ადამიანები... ჩვენი ღირსების დასაცავად თავს შევაკლავთ".

**კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა**



**გია კორკოტაშვილი,** საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული მისიის" ლიდერი: „ბევრს ეგონა, „ნაციონალებს" კოჰაბიტაციას გამოვუცხადებთ და შაშვებივით გალობას დაიწყებენო, მაგრამ არ გამოვიდა ეგ საქმე. მაგათთან საერთო ენა სამი წლის განმავლობაში ვერავინ გამონახა და ახლა კვირიკაშვილი გამონახავს? გამოდის, ახლა იწყება კოჰაბიტაციის მეორე ეტაპი, დამნაშავეები კვლავ არ დაისჯებიან..."

**კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-**



**ზურაბ კუკულაძე,** „აფბას" ანალიტიკოსი: „ონლაინ კაზინოებში დახარჯული ფული არ რჩება ეკონომიკაში, განსხვავებით, სხვა ბიზნესში დახარჯული ფულისგან. ასე გადის საქართველოს ეკონომიკიდან ძალიან ბევრი მილიონი. 2015 წელს 2 მილიარდამდე ავიდა ონლაინკაზინოებში თანხის ბრუნვა".

**კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-**



**ზურაბ ჯორბენაძე,** ადვოკატი: „საქართველოში კორუფცია არის კი არა, მძვინვარებს. კორუფცია მარტო ქრთამის აღება არ არის. ნებისმიერი ქმედება, რომელიც ძალაუფლების საშუალებით მიიღწევა, საკუთარი კომფორტის მოსაწყობად — არის კორუფცია. არ ცხოვრობენ ფუფუნებაში?"

*მეთვრამეტე გვერდიდან*

ხარისხი, თუ ამ რაოდენობას შევამცირებთ 17-18 ათასამდე. შემცირება უნდა მოხდეს არა მყისიერად, არამედ თანდათანობით, ეტაპობრივად გამოვაცხადებთ ნაკლებ მიღებას, მაგრამ ამით ვკარგავთ 10-12 მილიონ ლარს, როგორ ოვს მეტ ხარჯს.

**— სწავლის გადასახადის გაძვირებას ხომ არ აპირებთ?**

– სწავლის გადასახადს არეგულირებს მთავრობა, ამაში უნივერსიტეტი არ ერევა. აქ კიდევ ერთი მომენტია: დღეს საქართველოს მოსახლეობა ძალიან არის გაჭირვებული, ჩემთან ყოველდღიურად შემოდის უამრავი წერილი, სტუბაზე და არა ფულის შოვნაზე. აი, ეს არის ჩემი დამოკიდებულება და ყოველთვის ვიტყვი. ჩემი პოზიციის შესახებ იციან ყველგან, პარლამენტშიც და მთავრობაშიც.

**— ბატონო ლადო, ერთია თქვენი პოზიცია და მეორეა ის, რომ სტუდენტებიც და პროფესორებიც ლაპარაკობენ, თურმე სახელმწიფო უნივერსიტეტი გადაიქცა „ნაციონალების" ბუნაგად,** გავხდე? ამას ნამდვილად არ ვაპირებ.

**— მეორე ხუბუად კი არ უნდა იქცეთ, თავად ხუბუა არ უნდა გყავდეთ დაბრძანებული საპატიო ადგილზე. ამას ითხოვენ თქვენგან.**

– მე სიტუაციას ვუყურებ ასე: აკადემიური პერსონალი არის კონკურსის წესით არჩეული. „ნაციონალების" დროს ტორობის პერიოდში 50-მდე ძველი თანამშრომელია დაბრუნებული უნივერსიტეტში.

**— რომელი ძველი, სააკაშვილის დროს რომ გაყარეს?**

– კი, ხუბუამ რომ გაყარა უნივერსიტეტიდან.

**— თვითონ ხუბუა რა თანამდებობაზე გყავთ?**

– ხუბუა არის 2012 წელს არჩეული პროფესორი. მე რექკითხულობდეს ლექციას ისე, როგორც საჭიროა, შეიძლება დისციპლინას არღვევდეს, ლექციებს აცდენდეს და ასე შემდეგ. უნივერსიტეტში არსებობს ეთიკის კომისია, მიდის მსჯელობა და ამის მიხედვით ვმოქმედებთ მე და კანცლერი. სხვა უფლება ჩვენ არ გვაქვს. ასევე, მივიღეთ აკადემიური ეთიკის დარღვევის დებულება – როდესაც პროფესორები და მკვლევარები პლაგიატში არიან მხილებულნი, უნივერსიტეტი გაიწმინდება მათგან. რა თქმა უნდა, ამასაც უკმაყოფილება მოჰყვა, მაგრამ მხარდაჭერა მქონდა ჯანსაღი პროფესორებისგან.

**— აი, ამ ეთიკის დებულების მიხედვით ვინმე დაისაჯა?**

– კი, ბატონო, დაისაჯა, ერთი პროფესორი განთავისუფლდა პლაგიატორობის გამო, ხოლო მეორე თანამშრომელმა იცოდა, რომ მისი საკითხი გა-

# ხელისუფლება ლანძღა, „ოცნების" ხსენებაზე დემოკრატიაც ამას ჰქვია!"

## ლაპარაკი, მიწასთან გასწორება მერე ნახონ!"





**— რაშიც წლების განმავლობაში ხუბუას ვაკრიტიკებდი, რომელიც ერთპიროვნულად ყრიდა უნივერსიტეტიდან თანამშრომლებს, მე იგივე მეთოდები გამოვიყენო? ხუბუა ნომერი 2 გავხდე? ამას ნამდვილად არ ვაპირებ.**

**— ბატონო ლადო, მეორე ხუბუად კი არ უნდა იქცეთ, თავად ხუბუა არ უნდა გყავდეთ დაბრძანებული საპატიო ადგილზე. ამას ითხოვენ თქვენგან.**

დავკარგოთ? თუ ავიღებთ ბიუჯეტის სტრუქტურას, სადღაც 75 პროცენტი მიდის ხელფასებზე. ასევე, მიდის თანხები კომუნალურ გადასახადებში, რომელიც ლარის გაუფასურების გამო გაზრდილია. ჩვენ ბინებს ვქირაობთ სტუდენტებისთვის და პროფესორებისთვის, როდესაც უცხოეთიდან ჩამოდიან გაცვლითი პროგრამებით. ახლა ჩამოსულებისთვის რომ ვქირაობთ ბინებს, დღეს თბილისში ვინმე ლარში აქირავებს? ჩამოსულები ითხოვენ გადახდას დოლარში, რაც ბიუჯეტში მოითხდენტები, რომლებსაც არ აქვთ საგრანტო დაფინანსება, ითხოვენ განვადებას, დახმარებას და ასე შემდეგ. უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს, ყველას ხელი შეუწყოს, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობებიც არის განსაზღვრული. ამიტომ, ჩვენ უნდა გვქონდეს ისეთი სისტემა, როგორიც არის ბევრ ევროპულ ქვეყანაში – შენი ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც სწავლობს ქართულენოვანი პროგრამით, არ უნდა ჰქონდეს საფიქრალი ფულზე. ის უნდა ფიქრობდეს სწავლა-განათლე**ლექციებზე მიდის კლანური პროპაგანდა, შეტევაა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ და ასე შემდეგ.**

– უნივერსიტეტი არის ასახვა ზუსტად იმისა, რაც ხდება მთელ ქვეყანაში. რა კანონებიც მოქმედებს მთელ ქვეყანაში, რა გადაწყვეტილებებიც მიიღება, ჩვენ ამას ვასრულებთ პირნათლად. ჩვენ არ გვაქვს თვითშემოქმედების უფლება და მეტიც, რაშიც წლების განმავლობაში ხუბუას ვაკრიტიკებდი, რომელიც ერთპიროვნულად ყრიდა უნივერსიტეტიდან თანამშრომლებს, მე იგივე მეთოდები გამოვიყენო? ხუბუა ნომერი 2 კანონი იყო სხვანაირი, ხელმძღვანელს უფლება ჰქონდა, ვინც უნდოდა, გააგდებდა. ახლა ასე აღარ არის, შრომის კოდექსი შეიცვალა და დასაქმებულების უფლებები არის დაცული. აქედან გამომდინარე, როგორც მომეპრიანება, ისეთ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ. ჩემი რექტორობის დროს სამჯერ შევიტანე ცვლილება არჩევნების წესში, შევქმენი უფრო გამჭვირვალე სისტემა. ახლა უნივერსიტეტში მასობრივი კონკურსები არ ჩატარებულა, მაგრამ ჩემი რექტორი გავხდი 2013 წლის აგვისტოში. გიორგი ხუბუას ვადა გასდის 2018 წელს. სხვათა შორის, ჩემი სამიზნე არ არის ხუბუა, ჩემი სამიზნეა ის, რომ უნივერსიტეტი იყოს ჯანსაღი.

**— ჯანსაღი როგორ იქნება, როცა „ნაციონალები" თავიანთ იდეოლოგიას ატარებენ და ლექციებზე მიდის პირდაპირი ზეწოლა სტუდენტებზე?**

– ჩვენ გვაქვს მიღებული ეთიკის კოდექსი, როგორც კი ასეთი ფაქტები დგინდება, ტარდება შესაბამისი ღონისძიება. შეიძლება ლექტორი არ დიოდა, რამდენიმე დღით ადრე თვითონ დაწერა განცხადება წასვლის თაობაზე. თუ სტუდენტებს პრეტენზიები აქვთ, მითხრან, მე ყოველ სემესტრში მაქვს მათთან შეხვედრები. ახლა სათითაოდ კონტაქტი შეუძლებელია, გადატვირთული ვარ, მაგრამ, თუ პრობლემები აქვთ, შევხვდები და ყველაფერი გაირკვევა, მე მზად ვარ. რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრმა თქვა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ განათლებასა და მეცნიერებასო, თუკი ასე იქნება, მივესალმები.

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური უპრეცედენტო პროგრამის განხორციელებას აპირებს. კერძოდ, საუბარია ძუძუს ადრეული კიბოს მკურნალობის დაფინანსების ქვეპროგრამაზე, რომლის ბიუჯეტიც 3 მილიონი ლარია და მისი მიზანია, ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და მკურნალობის კურსის ჩატარება. როგორც ცნობილია, პროგრამა ითვალისწინებს ძვირადღირებული პრეპარატის – „ჰერცეპტინის“ დაფინანსებას და პროგრამა შეეხება თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეებს... ერთი შეხედვით, კარგი პროექტია, თუმცა კითხვები მაინც ჩნდება.

**ამ თემაზე „ქრონიკა“ ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს ესაუბრა:**

**— დაავადების რომელ სტადიას გულისხმობს ძუძუს ადრეული კიბო?**

– პირველ, მეორე და მესამე სტადიას, ყოველ შემთხვევაში, ქვეპროგრამაში ასე გვაქვს, ოღონდ დაავადებულს უნდა ჰქონდეს ჰეროარ დადებითი, ანუ „ჰერცეპტინით“ ასეთი დიაგნოზის მქონე პაციენტები დაფინანსდებიან.

**— რას ნიშნავს ჰერორ დადებითი? ანუ ძუძუს კიბოს სხვა სახეობებიც არსებობს?**

– დიახ, სხვადასხვა სტადიები, სხვადასხვა დიაგნოზებია და ამ შემთხვევაში, ჰეროარ დადებითის მქონეები დაფინანსდებიან.

**— კარგით, ცოტა გაუგებარი ტერმინია, მაგრამ მაშინ ასე ვთქვათ: ძუძუს კიბოს შემთხვევების სტატისტიკა რომ ავიღოთ, დიაგნოზის უმრავლესობა თუ მოიცავს ამ ჰერორ დადებითს, რომელიც უნდა დაფინანსდეს?**

– დიახ, რადგან დაფინანსება მოიცავს პირველ, მეორე, მესამე სტადიის მქონე პაციენტებს, ანუ ეს უმეტესი, ძირითადი ნაწილია.

**— პროგრამა ითვალისწინებს ძვირადღირებული მედიკამენტის — „ჰერცეპტინის“ დაფინანსებას. რატომ მაინცდამაინც ეს პრეპარატი? ხომ შეიძლება, რომ ძუძუს კიბოთი დაავადებულ პაციენტს ექიმმა სამკურნალოდ სხვა პრეპარატი დაუნიშნოს?**

– ჰეროარ დადებითი ძუძუს კიბოს შემთხვევაში, ეს პრეპარატი 2006 წლიდან არის ამერიკისა და ევროპის ონკოლოგთა ასოცირების მიერ რეკომენდებული და მისი გამოყენების შედეგად, რეციდივის რისკი, საშუალოდ, 50 პროცენტამდე მცირდება. იმდენად, რამდენადაც ეს ძვირად ღირებული პრეპარატია, საქართველოში აქამდე არ იყო სახელმწიფოს მიერ მისი დაფინანსების პრეცედენტი. პრეპარატი საკმაოდ ეფექტურია და ადრეულ სტადიებზე განკურნებას განაპირობებს.

**— ვინ არის ამ პრეპარატის მწარმოებელი და შემომტანი?**

– ეს არის ფარმაცევტული კომპანია „როში“, რომელმაც საკმაოდ კარგი დისქაუნთი გაგვიკეთა და აღნიშნულ მედიკამენტს კარგ ფასში გვაძლევს. ჩვენ როგორ ვაკეთებთ, იცით? სოციალურად დაუცველების შემთხვევაში, ვისაც სარეიტინგო ქულა 150 ათასი და ნაკლები აქვს, 100 პროცენტით ვუფინანსებთ. დანარჩენებს კი – 80 პროცენტით. თითო ადამიანს ერთწლიანი კურსი დაუფინანსდება და 100-პროცენტიანის შემთხვევაში, 35 100 ლარით ვუფინანსებთ მთლიანად, დანარჩენებს კი 28 080 ლარით. პირადად ჩემმა ბიძაშვილმა გამოიყენა ეს წამალი სამი წლის წინათ და ბინის გაყიდვა მოუწია, 12-13 ფლაკონი სადღაც 60 ათასი დაუჯდა.

**— როდიდან დაიწყება აღნიშნული პროგრამის განხორციელება? ანუ როდიდან შეეძლებათ მოქალაქეებს მომართვა?**

– ეს საკრებულომ უკვე დაამტკიცა და როგორც კი საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდება, სადღაც ორშაბათი-სამშაბათიდან (ინტერვიუ ჩაწერილია 29 იანვარს. – ნ.ლ.) უკვე დავიწყებთ განცხადებების მიღებას და პირების დაფინანსებას.

**— ერთი პირისთვის ერთწლიანი სამკურნალო პროგრამის დაფინანსება საკმარისი იქნება, მის საბოლოო გამოჯანმრთელებამდე?**

– როგორ არის, იცით? შეიძლება ვიღაცას 8 ფლაკონი ეყოს, ვიღაცას შეიძლება სრული ერთი წლის სამყოფი მედიკამენტის დაფინანსება დასჭირდეს. მკურნალობის მეთოდს ექიმები გაუწერენ და პრეპარატის რაოდენობაც იმის მიხედვით განისაზღვრება. უნდა მოიტანონ ფორმა 100, ექსპერტების დასკვნა...

**— აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი 3 მილიონი ლარია და ეს მიმდინარე წლის ბიუჯეტი იქნება? საიდან განსაზღვრეთ ეს ციფრი?**

– დიახ, ეს არის მხოლოდ 2016 წლის ბიუჯეტი, 2017 წელს უკვე სხვა ბიუჯეტი იქნება, თუმცა არ არის გამორიცხული, ამ წელსვე მოხდეს კორექტირება და დამატების შემთხვევაში, ბიუჯეტი გადანაწილდეს.

**— „ჰერცეპტინის“ დაფინანსების გარდა, აღნიშნული პროგრამის მიხედვით, სხვა პროცედურებიც ან წამლებიც ხომ არ ფინანსდება ძუძუს ადრეული კიბოს მკურნალობის შემთხვევაში?**

– კი, რა თქმა უნდა. ჩვენ გვაქვს, ასევე, სხვა სოციალური დახმარებების პროგრამა, რომლითაც ონკოლოგიური პაციენტების შემთხვევაში, მათ გამოკვლევებს ვუფინანსებთ და თერაპიის კურსების თანადაფინანსებაშიც შევდივართ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან. ეს კონკრეტული პროგრამა კი მხოლოდ „ჰერცეპტინის“ დაფინანსებას გულისხმობს.

**— ხომ არ იცით, როგორია ძუძუს კიბოთი დაავადებულთა სტატისტიკა? ანუ ის 3 მილიონი ყველას ეყოფა, ბევრია თუ ცოტა?**

– ჯერ სტატისტიკა არ არსებობს და როგორც აღნიშნული პროგრამის პრეზენტაციაზე გაცხადდა, რამდენადაც ვიცით, 4 თებერვალს დაავადებათა ეროვნული ცენტრი აპირებს გარკვეული სტატისტიკის წარმოდგენას. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ეს ჩვენი პროგრამაც, ერთგვარად, წლის ბოლოს ამ თემის ირგვლივ სტატისტიკას მოგვცემს, რაც აქამდე არ ყოფილა...

# ვის რამდენით დაუფინანსებენ ძუძუს კიბოს მკურნალობას და ვინ ვერ მოხვდება ახალ პროგრამაში?









**ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი: „პირადად ჩემმა ბიძაშვილმა გამოიყენა ეს წამალი სამი წლის წინათ და ბინის გაყიდვა მოუწია, 12-13 ფლაკონი სადღაც 60 ათასი დაუჯდა“**

ლაურა აბრამია
591 97-67-09



# 13 ივლისს წყალდიდობისას დაღუპული დები ზარანდიების საფლავი გაძარცვეს

13 ივნისის სტიქიის ღამეს დაღუპული დები ზარანდიების საფლავი მშობლიურ ხობში, გურიფულის თემის სასაფლაოზეა. მათი საფლავი გზიდან ჩანს. გოგონები, ისევე როგორც დანარჩენი დაღუპულები, მთელმა საქართველომ დაიტირა და იგლოვა, მათ საფლავთან დღემდე ჩერდებიან უცხო ადამიანები, ნაცნობ-უცნობები და პატივს მიაგებენ. გოგონების დედამ ქალბატონმა ნანიმ გვითხრა ამ ზაფხულს, ერთ დღეს მანქანა გაჩერდა, გადმოვიდა ქალბატონი და ხმით დაიტირა ჩემი შვილებიო, თან მოგვმართა, ტყუილად ნუ მიყურებთ, თქვენ მე არ მიცნობთ, არც გიჟი გეგონოთ, ესენი მთელი ქართველი დედების შვილები არიანო, ტელევიზიით შევიტყვე და მოვედიო...

როცა გოგონების საფლავზე ვიყავი, მათ სურათებთან მომცრო ზომის ფაიფურის სტატუეტები შევნიშნე, ანგელოზის გამოსახულებით. გოგონების დედამ თქვა, რომ არ იცოდა, ვინ მოიტანა ისინი. ორი ცალი იყო, ერთი ინდირას საფლავზე იდო, მეორე ლიზის, თითქოს სიმბოლო ამ მართლაც ანგელოზებივით დების უკვდავსაყოფად მოტანილი... ამას წინათ სრულიად შემთხვევით წავაწყდი უცნობი ადამიანის მიერ სოციალურ ქსელში დადებულ შემდეგ ტექსტს:

„უკვე ყველაფერს კადრულობენ საქართველოში, ამ ულამაზესი გოგოების საფლავიდან ფაიფურის ქანდაკებები მოიპარეს, რომელიც ჩემმა დისშვილმა მათთვის ჩამოიტანა მინსკიდან!.. სულ მოკლე ხანში სოფიკო ისევ გამოგზავნის მათთვის ისეთსავე ანგელოზის ქანდაკებებს, დავდებთ ინდირასა და ლიზას საფლავზე! ...ცუდია ასეთი საქციელი!“

გოგონების ბიძამ სატელეფონო საუბარში თქვა, რომ ასეთი ფაქტი მართლა მოხდა, თუმცა გოგონების დედა თვლის, რომ ეს, ალბათ, უცხო ბავშვებმა გაუაზრებლად გააკეთეს, სასაფლაოსთან ახლო მაცხოვრებლებს იმ დღეებში შეუნიშნავთ მართლაც უცხო ბავშვები, სავარაუდოდ, მაწანწალები, მათ შორიახლო უფროსებიც მოჰყვებოდნენო. ოჯახის წევრები, რა თქმა უნდა, გულისტკივილით შევხვდით ამ ამბავს, შოკირებულები ვიყავით, ასეთ რამეს ვერ წარმოვიდგენდით, მთელმა საქართველომ იცის, ვისი საფლავია ეს. გოგონების დედამ განსაკუთრებულად




განიცადა, მაგრამ ღმერთს სთხოვა, შეუნდოს ამის ჩამდენსო, – გვითხრა ნუკრი ზარანდიამ.

# რომელი სილამაზის სალონები დაიხურება?

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



სტომატოლოგიური კლინიკებისა თუ სილამაზის სალონების დიდი ნაწილი ყოველგვარი სანიტარიული ნორმების დარღვევით მუშაობს. ამის შესახებ თავად რეგულირების სააგენტოს მიერ გაკეთებულ დასკვნაშიც კარგად ჩანს. თუმცა სტომატოლოგიური კლინიკებიც და სილამაზის სალონებიც დღემდე აგრძელებენ მუშაობას. ჯერჯერობით გაუგებარია, დაიხურებიან თუ კვლავ გააგრძელებენ მუშაობას? ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო რეგულირების სააგენტო ამის შესახებ არ საუბრობს. არადა, ერთმა უნებლიე და გაუფრთხილებელმა ნაბიჯმა, სტილისტების დაუდევრობამ, თუ სტომატოლოგის მიერ ჩატარებულმა პროცედურებმა პაციენტი შესაძლოა, დაასნებოვნოს.

**„ქრონიკის“ კითხვებს პასუხობს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე:**

**— ბატონო პაატა, რამდენად საშიშია სილამაზის სალონები და სტომატოლოგიური კლინიკები თუნდაც ცე ჰეპატიტით დასნებოვნების კუთხით?**

– სადაც წესებს არ იცავენ, ყველგან საშიშია, სახლშიც კი, მაგალითად, ერთი მაკრატელი თუ აქვს ყველას და არ ადეზინფიცირებენ.

**— სახლში გასაგებია, მაგრამ სალონებსა და სტომატოლოგიურ კლინიკებში ამას ვინ გააკონტროლებს?**

– მთავრობის დადგენილება სალონებზე 1-ლი იანვრიდან შევიდა ძალაში, სტომატოლოგიურებს დიდი ხანია, ჯანდაცვის სამინისტრო აკონტროლებს, ყველაზე კარგი კონტროლი კი გათვითცნობიერებული კლიენტია.

**— თქვენი აზრით, ის, ვინც ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტებს, დაიხურება?**

– კლინიკების კონტროლი ბოლო წლებში უკვე მიმდინარეობს, დეტალები რეგულირების სააგენტომ იცის, ჩვენ და სტომატოლოგთა ასოციაციამ, დამატებითი ტრენინგები ჩავუტარეთ შარშან სტომატოლოგებს. ვინც მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს ჯერ ვადას აძლევენ გამოსასწორებლად, მერე აჯარიმებენ, მერე დახურავენ. ისე, როგორ წარმოგიდგენიათ თითო სტილისტზე 3 კონტროლიორი? ამიტომაა მთავარი, რომ კლიენტი არ მივიდეს იქ, სადაც არ იცავენ წესებს. კლიენტმა უნდა მოსთხოვოს ჰიგიენური ნორმების დაცვა პერსონალს. დასნებოვნების არც ისე მაღალი რისკია, მაგრამ მაინც არის.

**სადეზინფექციო სამსახურ „სანიტარში“ აცხადებენ, რომ აპირებენ სალონებისა და სტომატოლოგიური კლინიკების შემოწმებას. თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდება დარღვევები, ამ შემთხვევაში დახურავენ სალონებს და სტომატოლოგიურ კლინიკებს. სადეზინფექციო სამსახურმა „კვირის ქრონიკასთან“ ასეთი კომენტარი გააკეთა:**

– კონტროლს რაც შეხება, სალონები არ კონტროლდება და ჩვენ ვაპირებთ, დავიწყოთ ზედმიწევნით შემოწმებები ასეთი დაწესებულებების, რაც, სავარაუდოდ, ეპიდემიების გავრცელებას ხელს შეუშლის.

**— როდის აპირებთ სალონების კონტროლის დაწყებას? თუ ვერ დააკმაყოფილებენ ნორმებს, ამ შემთხვევაში ეს სალონები დაიხურება, თუ გააგრძელებენ მუშაობას?**

– მოხდება აღწერა, ფოტოკოლაჟის გაკეთება და შემდეგ გადაეცემა ჯანდაცვის სამინისტროს მართვის ცენტრს, სადაც ისინი მიიღებენ შესაბამის ნორმებს, სავარაუდოდ, პირველ შემთხვევაზე დაიწერება გაფრთხილება და მეორეზე ჯარიმა და ამის შემდეგაც თუ იგივე განმეორდება, ალბათ, დაექვემდებარება დახურვას.

**— რაც შეეხება სტომატოლოგიურ კაბინეტებს?**

– ანალოგიური ბედს გაიზიარებენ კლინიკებიც.

**ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო რეგულირების სააგენტო სტომატოლოგიურ კლინიკებში კონტროლის გამკაცრებასთან დაკავშირებით „კვირის ქრონიკასთან“ ასეთ კომენტარს აკეთებს:**

– სტომატოლოგიური კლინიკების კონტროლი გამკაცრებულია და არეგულირებს „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის 359-ე დადგენილება. კონტროლი ხორციელდება პერმანენტულად, როგორც თბილისში ასევე, რეგიონებში. 2015 წელს შემოწმდა სტომატოლოგიური პროფილის 417 დაწესებულება (80 შემოწმების მომენტში არ ფუნქციონირებდა), 223-ე დაწესებულების მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი: საქართველოს ასკ 447-1 მუხლით (ტექნიკური რეგლამენტის პირობების დარღვევა) – 185; საქართველოს ასკ 448 მუხლით (შეტყობინების გარეშე საქმიანობა) – 38; საქართველოს ასკ 442-3 მუხლით (უკანონო საექიმო საქმიანობა) – 3;

გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები: დეზინფექციისა და სტერილიზაციის (მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო იარაღების, საგნებისა და მასალებისთვის) სათანადო რეჟიმითა და აღრიცხვით უზრუნველყოფა არ ხდებოდა დადგენილი წესის შესაბამისად – 183 შემთხვევაში (29%); არ ხდებოდა სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო სეგრეგაციის, შეგროვების, შენახვის, გატანის, უტილიზაციის ან/და განადგურების კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფა – 154 შემთხვევაში (25%); სამედიცინო და სტატისტიკური დოკუმენტაციის წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესი დარღვეული იყო – 102 შემთხვევაში (16%); ინფრასტრუქტურა და საშუალებები პირადი ჰიგიენის დაცვის, შენობის დასუფთავებისა და დეზინფექციისთვის (წყალმომარაგება, საპირფარეშო, ჰიგიენისა და სადეზინფექციო საშუალებები არ შეესაბამებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს) – 89 შემთხვევა (14%).

**თუ რომელ სტომატოლოგიურ კლინიკებს შეუჩერდებათ ლიცენზია, ამის შესახებ რეგულირების სააგენტო ჯერჯერობით ხმამაღლა არ საუბრობს... რას ფიქრობს თავად პერსონალი, ამის გასაგებად რამდენიმე „მანიკურშას“ ვესაუბრე:**

**ნათია:**

– ამბობენ, სალონების დიდი ნაწილი დაიხურებაო, დახურვაზე კი არ უნდა იფიქრონ, არამედ ადამიანების დასაქმებაზე. თუ სანიტარიულ ნორმებს ვერ დავაკმაყოფილებ, დამხურონ, მე თავად წავალ სახლში. თუმცა ასე ხელაღებით ლაპარაკი არ შეიძლება. რაღაც კაპიკებზე ვმუშაობთ და ისიც რომ დახურონ... მაინტერესებს, ხელისუფლებას დასაქმების რაიმე გეგმა აქვს? გაუმჯობესების ნაცვლად, ისედაც უარესდება ადამიანების ყოფა. დღეში 3-4 კლიენტი გვყავს. ფართის, დენის და წლის გადასახადს ძლივს ვიხდით. თუ მოგება არ გვექნება, სჯობია, დავხუროთ. ახლა კიდევ ახალი რეგულაციები და კონტროლი. როგორ ვიმუშაოთ? რითი ვიყიდო ძვირად ღირებული აპარატურა? ვინმე მიწევს შეღავათს? მე რაღა გავაკეთო?

**ნანა:**

– სალონში იარაღების დამუშავებას სტერილურად ვახდენ. თუმცა რამდენიმე ხნის წინ შენიშვნები მივიღეთ და გამოვასწორეთ კიდეც. სხვაგან რა ხდება, ვერ გეტყვით, ჩვენთან კი ჰიგიენურ ნორმებს ვიცავთ. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ცე ჰეპატიტით დაავადებული ადამიანი შემოვიდეს სალონში.

**სალომე, კლიენტი:**

– ყოველთვის საკუთარი იარაღებით დავდივარ, რადგანაც არ ვენდობი. ძალიან დიდი რისკია, მაგრამ უკვე რამდენი წელია, ნაცნობთან დავდივარ. ასეთი საქმეები სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს. მე მივესალმები.



**„ახლა კიდევ ახალი რეგულაციები და კონტროლი. როგორ ვიმუშაოთ? რითი ვიყიდო ძვირად ღირებული აპარატურა? ვინმე მიწევს შეღავათს? მე რაღა გავაკეთო?“**



**„ამბობენ, სალონების დიდი ნაწილი დაიხურებაო, დახურვაზე კი არ უნდა იფიქრონ, არამედ ადამიანების დასაქმებაზე“**

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19





თეა თუთბერიძე

**თეა თუთბერიძე: „იმ ადამიანებს კი, ვინც იმუქრებიან და მუშტებს იღერებენ ღმერთის, ეროვნული ტრადიციების დაცვის თუ მსგავსი საფუძვლებით, მინდა ვუთხრა, რომ, ბატონებო, დამშვიდდით. რამდენიც არ უნდა იყვიროთ, იხტუნოთ და რაც არ უნდა ქნათ, გარწმუნებთ, გლობალიზაცია მაინც თავისას იზამს. განათლებას, ცივილიზაციასა და განვითარებას, გაუნათლებლობა და განუვითარებლობა ვერ აჯობებს ვერასდროს. ჩვენი შვილები იცხოვრებენ ისე, როგორც მათ ენდომებათ, და არა როგორც ჩვენ, ან ჩვენს მეზობელ ციალას, როზას, გივის, განოს და ჯუმბერის უნდა, რომ მათ იცხოვრონ“**

# პატრიარქის მოძღვარი: „ვინც ასეთ ხალხს მხარს

ბოლო დღეებია, სოციალური ქსელი და სრულიად საზოგადოება ერთსქესიან წყვილთა შესაძლო ქორწინების დაშვების შესაძლებლობამ ისტერიაში ჩააგდო. ხალხი აქციებითაც კი იმუქრება.

საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც საკონსტიტუციო სასამართლოში „ლგბტ“ პირების უფლებების დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტმა გიორგი ტატიშვილმა (წარსულში ტრანსგენდერმა, მეტსახელად მაცაცომ, რომელზეც უფრო ვრცლად სტატიის ბოლოს მოგიყვებით) შეიტანა სარჩელი „ქორწინებისა და ოჯახის დეფინიციის“ განსაზღვრასთან დაკავშირებით. დღეს მოქმედი კანონით, ოჯახი განისაზღვრება ქალისა და მამაკაცის ერთობით, რისი შეცვლაც უნდა ამ სარჩელით. „რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვითხოვთ ერთსქესიანთა ქორწინებას, მაგრამ შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ამ მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯი“, – განმარტავს ტატიშვილი და ზეწოლაზეც საუბრობს:

„სარჩელის შეტანის შემდგომ ჩემს მიმართ განხორციელდა არაერთი ზარი და მუქარა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან, კერძოდ, პრემიერის ადმინისტრაციის მხრიდან, რაც პირდაპირი სახის ზეწოლაა ჩემი, როგორც უფლებადამცველის საქმიანობაზე, როგორც საქართველოს მოქალაქეზე და როგორც მოსარჩელეზე“.

„ქრონიკამ“ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთისგან განსხვავებული აზრის მქონე რამდენიმე რესპონდენტი შეარჩია. გთავაზობთ მათ პოზიციებს ყოველგვარი კომენტარის გარეშე,

**ზვიად ტომარაძე, „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ის დირექტორი:**

„საკონსტიტუციო სასამართლოს არანაირი საფუძველი არ გააჩნია, ძალადაკარგულად ცნოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი, სადაც საუბარია, რომ „ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი“, რადგან ეს მუხლი წინააღმდეგობაში არ მოდის კონსტიტუციასთან. მართალია, კონსტიტუციაში (36-ე მუხლში) განმარტებული არ არის ქორწინების სუბიექტები, მაგრამ ეს არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ანტიკონსტიტუციურად ჩაითვალოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი. ჩემი აზრით: 1. ტრანსგენდერი „მაცაცო“ ამ ყველაფერს მარტო ვერ გაბედავდა, ის უბრალო შემსრულებელია, მთავარი დამკვეთი ულტრალიბერალურ პოლიტიკურ ორგანიზაციაში უნდა ვეძებოთ. 2. მათი გათვლა მარტივია, კერძოდ, ყველაზე რეალურია სიტუაცია შემდეგნაირად განვითარდეს. როგორც კი საკონსტიტუციო



სასამართლო საქმეს წარმოებაში მიიღებს, 1106-ე მუხლის მოქმედება შეჩერდება. რის შემდეგაც მათ არ გაუჭირდებათ ერთსქესიანი წყვილის მონახვა (თუნდაც არაქართველების), რომლებიც მიაკითხავენ ქორწინების სახლს ხელის მოსაწერად, რა თქმა უნდა, იქიდან მათ უარით გამოისტუმრებენ. ამის შემდეგ ეს წყვილი სარჩელს შეიტანს სასამართლოში სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციის მოტივით, სადაც მათ სასამართლო გაამართლებს, რადგან სამოქალაქო კოდექსი შეჩერებული იქნება, ხოლო პარლამენტის მიერ შარშანწინ მიღებული ანტიდისკრიმინაციულ კანონში შავით თეთრზე წერია, რომ დაუშვებელია დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. 3. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის პოლიტიკურ წარსულს და მათ ბოლოდროინდელ „საქმიანობას“ გავითვალისწინებთ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ „მაცაცოს“ სარჩელი დააკმაყოფილოს, თუმცა ნაკლებსავარაუდოა. 4. გამოსავალი: სამართლებრივად ადვილად შეიძლება ამ ყველაფრის მოგვარება, ამისთვის კონსტიტუციაში უნდა განიმარტოს, რომ ქორწინება არის მამაკაცსა და ქალს შორის კავშირი. ამ საკითხზე საკანონმდებლო მუშაობა ჯერ კიდევ ნოემბერში დავიწყე, თუმცა ამ ეტაპზე გარკვეულ მიზეზთა გამო, ამის მეტს ვერაფერს ვიტყვი“.



ზვიად ტომარაძე

**ზვიად ტომარაძე: „სამართლებრივად ადვილად შეიძლება ამ ყველაფრის მოგვარება, ამისთვის კონსტიტუციაში უნდა განიმარტოს, რომ ქორწინება არის მამაკაცსა და ქალს შორის კავშირი“**

**ტარიელ სიკინჭილაშვილი, პატრიარქის მოძღვარი და საგურამოს წმინდა ილია მართლის მონასტრის წინამძღვარი:**

„ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ წინ აღვუდგეთ ამ ყველაფერს, ხელი შევუშალოთ ამის დაკანონებას და დაგეგმვას, რადგან ეს გარყვნის მეტი არაფერი არ არის. ეს იქნება მართლმადიდებლობის, ქრისტიანობისა და ქართველობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი და ვალდებული ვარ, ასეთ დროს დავდგე იქ, სადაც მართლმადიდებლობა, ქართველობა, ქრისტიანობა, სინდისი და ნამუსია. ვინც რა უნდა, ის ქნას თავის ოთახში და თავის საწოლში, ჩვენ არავის არ ვუვარდებით და არც ვქექავთ მის საქმეს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეკლესიაში დადიან „ასეთი“ ადამიანები, რომლებიც ხმამაღლა არ ყვირიან, რცხვენიათ, ასეთი წესით ცხოვრობენ და ისინი სულაც არ ამაყობენ ამით, პირიქით, განიცდიან ამას, როგორც ცოდვას... კონსტიტუციაში თუ არ წერია ხაზგასმით, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, ეს არის მათი დანაშაული, ვინც კონსტიტუციას ადგენს და ამოწმებს, მათი ცოდვაა, რომ იქით მიჰყავთ საქმე, ჯერ იყო და ქართველობა ამოშალეს პირადობიდან, მერე, მგონი, სქესიც და ასე გრძელდება. თუ სპეციალურად გააკეთებენ, რომ ასეთ ხალხს მხარი დაუჭირონ, ყველას საშინელი განსაცდელი ელოდება“.

**არჩილ გამზარდია, საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი:**

„ე.წ. „ლგბტ“-ს სარჩელს რაც შეეხება, მგონია, რომ ეს გარკვეული განხილვის საგანი უნდა იყოს. პირადად მე მიმაჩნია, რომ რაკილა „ლგბტ“ ადამიანების ურთიერთობა კანონგარეშე ურთიერთობად

არ არის მიჩნეული, მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული იურიდიული ნორმის, ანუ ურთიერთობის ფორმალიზაციის საშუალება, ამ მხრივ, მე პარტნიორობის რეგისტრაციაზე ვსაუბრობ და არა ზოგადად, ქორწინების კვალიფიკაციაზე, ე.წ. „პარტნიორობის რეგისტრაცია“ გარკვეულ შეზღუდულ უფლებებს ანიჭებს წყვილს, რაც მათ შორის სამემკვიდრეო, ქონებრივი დავის თუ ა.შ. შესაძლებლობებს ქმნის, ასევე წყვილს უქმნის ვალდებულებას ერთმანეთისადმი ერთგულების და სარჩელის რეალიზაციის პერსპექტივებზე ვერაფერს გეტყვით, თავად სარჩელის მოთხოვნა სრულიად განსხვავდება ჩემი პოზიციისგან, სარჩელში მოთხოვნილია ოჯახის სტატუსი არ ჰქონდეს ქალსა და მამაკაცს შორის ერთობლიობას, რასაც მე ვეწინააღმდეგები, რადგან მეც მიმაჩნია, რომ ოჯახის კვალიფიკაცია სხვაგვარად უნდა ხდებოდეს და იყოს გარკვეული ფასეულობებიც და საზოგადოებრივი ხედვაც გათვალისწინებული ისე, როგორც აქამდე იყო, „პარტ-

**პატრიარქის მოძღვარი და საგურამოს წმინდა ილია მართლის მონასტრის წინამძღვარი ტარიელ სიკინჭილაშვილი:**

**„ვალდებული ვარ, ასეთ დროს დავდგე იქ, სადაც მართლმადიდებლობა, ქართველობა, ქრისტიანობა, სინდისი და ნამუსია. ვინც რა უნდა, ის ქნას თავის ოთახში და თავის საწოლში, ჩვენ არავის არ ვუვარდებით და არც ვქექავთ მის საქმეს“**


ტარიელ სიკინჭილაშვილი

# დაუჭერს, ყველას საშინელი განსაცდელი ელოდება!“

ა.შ. ჩემი ამოსავალი წერტილი ისაა, რომ ისედაც დათიშულ საზოგადოებაში, სადაც გარკვეული სუბიექტები უმრავლესობის ხედვას ძირითადად ძალადობრივად წარმოაჩენენ ხოლმე, გარკვეული ინტეგრირების საშუალება გაჩნდეს, პირადად მე სრულიად არ ვიზიარებ „ლგბტ“ ადამიანების არც ცხოვრების წესს და არც მასთან დაკავშირებულ პროცესებს, რამდენადაც ტრადიციული საზოგადოების ნაწილი ვარ, ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ მიუღებელსაც უნდა ჰქონდეს გარკვეული უფლებები, თუკი კანონს მიღმა არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, მოცემულობა ასეთია, ან „ლგბტ“ ცხოვრების წესი უნდა იყოს კრიმინალად წარმოდგენილი, როგორც ზოგიერთ ქვეყანაშია, ან მათ უნდა მიეცეთ ნომინალური უფლებები ურთიერთობებისა და თვითრეალიზაციისთვის, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ე.წ. „პარტნიორობის რეგისტრაცია“ ამ ადამიანებისთვის ოპტიმალურ პირობებს შექმნის და აღარ იქნება წარმოდგენილი როგორც დისკრიმინირებული სეგმენტი. ეს რთული თემაა, მით უმეტეს, ჩვენი საზოგადოებისთვის, ამიტომაც ნიორობის რეგისტრაცია“ კი არ გულისხმობს ოჯახის კვალიფიკაციას, ის არეგულირებს თავად პარტნიორებს შორის კომუნიკაციას და მის ფორმალურ მხარეს“.

**თეა თუთბერიძე, „თავისუფლების ინსტიტუტელი“:**

„ვფიქრობ, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან რთული საქმე იქნება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. ალბათ, ეს იქნება ტესტი, რომელსაც, მინდა ვიქონიო იმედი, რომ ჩავაბარებთ. მე ჯერ არ ვიცი, რამდენად სწორად, ან საერთოდ როგორ არის ეს სარჩელი შედგენილი და დაწერილი, მაგრამ, თუ ვსაუბრობთ იმაზე, უნდა ჰქონდეთ, თუ არა, „ლგბტ“ პირებს ოჯახის შექმნისა და ოფიციალური ქორწინების უფლება, გეტყვით, რომ უნდა ჰქონდეთ. უმცირესობისა და უმრავლესობის უფლებები კონსტიტუციით თუ სხვა საკანონმდებლო ნორმებით, ერთნაირად უნდა იყოს დაცული და დარეგულირებული სახელმწიფოში. არ შეიძლება ვსაუბრობდეთ დემოკრატიის მშენებლობაზე და ამ დროს ქვეყანაში განსხვავებული უფლებები ჰქონდეთ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს, იქნებიან ესენი „ლგბტ“, ჰეტეროსექსუალი თუ რელიგიური ჯგუფები. რაც შეეხება საერთოდ ქორწინებას და მასთან სახელმწიფოს კავშირს, ეს, ჩემი აზრით, ცალკე მსჯელობის საკითხია. მე კითხვას ასე დავსვამდი – რამდენად არის სახელმწიფოს საქმე ორ ადამიანს შორის რა სახის ურთიერთობა – გარიგება იქნება? ამას სახელმწიფოს რეგულაციების გარეშე ვითომ ვერ დავარეგულირებთ ზრდასრული ადამიანები? მე ვფიქრობ, რომ ორი ადამიანის ურთიერთობაში სახელმწიფოს არაფერი ესაქმება და ეს ხელმოწერა – ოფიციალური ქორწინება, სისულელე მგონია. მაგრამ, თუ აქვს ერთ ჯგუფს უფლება, შევიდნენ ამ ტიპის გარიგებაში, მსგავსი უფლება უნდა ჰქონდეს სხვა ჯგუფებსაც, ამ შემთხვევაში უმცირესობაში მყოფ „ლგბტ“ პირებს.

პროცესები, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში მიდის, მიმდინარეობდა და გაიარა ცივილიზებულმა და განვითარებულმა სამყარომ ათწლეულების წინათ. ასე რომ, ჩვენც გავივლით. იმ ადამიანებს კი, ვინც იმუქრებიან და მუშტებს იღერებენ ღმერთის, ეროვნული ტრადიციების დაცვის თუ მსგავსი საფუძვლებით, მინდა ვუთხრა, რომ, ბატონებო, დამშვიდდით. რამდენიც არ უნდა იყვიროთ, იხტუნოთ და რაც არ უნდა ქნათ, გარწმუნებთ, გლობალიზაცია მაინც თავისას იზამს. განათლებას, ცივილიზაციასა და განვითარებას, გაუნათლებლობა და განუვითარებლობა ვერ აჯობებს ვერასდროს. ჩვენი შვილები იცხოვრებენ ისე, როგორც მათ ენდომებათ, და არა როგორც ჩვენ, ან ჩვენს მეზობელ ციალას, როზას, გივის, ვანოს და ჯუმბერის უნდათ, რომ მათ იცხოვრონ. მე ზუსტად ვიცი, რომ ჩემი შვილი გაიზრდება თავისუფალი ადამიანი და თავის ცხოვრებას საკუთარი შეხედულებებით აიწყობს. მე კი, როგორი არჩევანიც არ უნდა ჰქონდეს მას (გარდა კრიმინალური ცხოვრებისა, რომელიც სხვებს აყენებს ზიანს), პატივს ვცემ მის ნებისმიერ არჩევანს, მომეწონება ის, თუ არა. თქვენც იგივეს გირჩევთ. დღეს ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. თქვენ კი რისთვის იბრძვით? იმისთვის, რომ არ დაუშვათ „ლგბტ“ პირებისთვის ოფიციალური ქორწინების უფლების მინიჭება? ორი ადამიანის პირადი ცხოვრების საკითხში ცხვირის ჩაყოფა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, ვიდრე სახელმწიფოს ინტერესების დაცვა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა? მგონი, გავიწყდებათ, რომ ქვეყნის 25%-ზე მეტი რუსების მიერ ოკუპირებულია, ხოლო პუტინის მონებს დღეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში, სურთ, კვლავ „გაზპრომი“ დაგვასვან თავზე და ამით საბოლოოდ გახადონ ქვეყანა რუსეთზე დამოკიდებული და მოაქციონ მისი გავლენის ქვეშ“.



რაც შეეხება ქართული სარჩელის ავტორს, რომელიც ამჟამად საზოგადოებას გიორგი ტატიშვილის სახელით წარუდგა, გაგახსენებთ რამდენიმე საინტერესო დეტალს მისი ცხოვრებიდან, ე.წ. ბათუმელი ტრანსგენდერი მაცაცო, იგივე ვახტანგ ოქროპირიძე, 17 წლის ასაკში დაიჭირეს პირველად, თაღლითობის გამო (100 000 დოლარის გამოტანა ბანკიდან თაღლითური სქემით. საკუთარი სატელევიზიო აღიარებიდან), რამდენიმეჯერ კი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვისაა ნასამართლევი... ოქროპირიძემ საჯაროდ არაერთხელ დასდო ბრალი ვლადიმერ ბედუკაძეს სექსუალურ ძალადობაში. მისი მტკიცებით, ეს 2010 წელს ხდებოდა, გლდანის ციხეში, ე.წ. ფუქსში.

2014 წელს მან შეიცვალა სახელი და გვარი და გიორგი ჩხარტიშვილად დარეგისტრირდა, ერთ წელში კი კვლავ გამოიცვალა გვარი და ტატიშვილი გახდა. საბოლოოდ კი ორიენტაციის შეცვლაზე გააკეთა ხმამაღალი განცხადება, რელიგიურად ცხოვრება გადაწყვიტა და სულ ახლახან, ნათლისღებას მართლმადიდებლად მოინათლა.


არჩილ გამზარდია

**არჩილ გამზარდია: „ან „ლგბტ“ ცხოვრების წესი უნდა იყოს კრიმინალად წარმოდგენილი, როგორც ზოგიერთ ქვეყანაშია, ან მათ უნდა მიეცეთ ნომინალური უფლებები ურთიერთობებისა და თვითრეალიზაციისთვის“**

# ხალხი შიმშილობს, გუბერნიები „გულაობს“!

**რამდენათასლარიანი „დანამატები“ დაირიგეს გუბერნიის თანამშრომლებმა, როგორ დაიჯილდოვეს თავი ბარბარობას, ნიკოლოზობას, საახალწლოდ და შობას?**





**რას პასუხობს „ქრონიკას“ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე?**

ლაურა აბრამია
591 97-67-09

რამდენიმე თვის წინ „ალიაში“ ვწერდით სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში წინასაალდგომოდ და მერე პრემიებისა და სახელფასო დანამატების კოლოსალურად დიდი რაოდენობით გაცემაზე, მაშინ როცა ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა... ასევე, ვწერდით, რომ მიუხედავად ჩვენი მრავალჯერადი მცდელობისა, არც ერთმა პასუხისმგებელმა პირმა სამხარეო ადმინისტრაციიდან განმარტების გაკეთება არ ინება ამ საკითხის გარშემო, მათ შორის გუბერნატორმა ბატონმა ლევან შონიამ ცინიკური პასუხი გვესროლა – ამ საკითხზე კომენტარს არ ვაკეთებო... აბა, რას გვეტყოდა, როცა ისევ აპირებდა თურმე ჩვენს ხარჯზე „გაგულავებას“. მოკლედ, წინასაახალწლოდ ისევ გვარიანად მსუყედ წახალისებულან ბიჭები და გოგოები. მონაცემებით, რომელიც ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა, სახელმწიფო რწმუნებულებისა და გუბერნატორების ადმინისტრაციებში მთლიანობაში პრემიებისა და სახელფასო დანამატების სახით 1 114 928 69 ლარი გაცემულა, აქედან პრემია 463 817 5 ლარი, ხოლო სახელფასო დანამატი 680 111.19 ლარი. ამავე მონაცემებით, 2012-2014 წლებთან შედარებით, შემცირებულია პრემიების ოდენობა და გაცემის სიხშირე, სამაგიეროდ 2015 წელს სახელფასო დანამატების მაჩვენებელი და ოდენობაა მნიშვნელოვნად გაზრდილი.

ასევე, ნიშანდობლივია, რომ სახელფასო დანამატების სახით სხვა გუბერნიებთან შედარებით, ყველაზე დიდი თანხები სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაშია გაცემული, თანხა 167 712, 28 ლარს შეადგენს. ზემოხსენებული ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, 2015 წელს გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების თანხის ოდენობით სწორედ სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაა პირველ ადგილზე.

ახლა ვნახოთ, რა ხდებოდა ამ მხრივ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. გამგეობის მოსამსახურეებზე, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურზე, გამგებლის წარმომადგენლებზე, შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემია საახალწლოდ, დეკემბერში და შობის დღესასწაულისთვის, იანვარში გაიცა. ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, სახელფასო ანაზღაურების ოდენობით გაცემულმა პრემიამ დეკემბერში – 213 700 ლარი შეადგინა, ხოლო იანვარში – 261 850 ლარი.

გამგეობის მსგავსად, პრემია ორჯერ გასცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომაც. აქ დეკემბერ-იანვარში როგორც პრემია, ასევე ფულადი „წახალისებაც“ გაიცა. საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 14 დეკემბრით დათარიღებული ბრძანებით, ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით წაახალისეს საკრებულოს აპარატის სამი თანამშრომელი – საქმის წარმოებისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილების ორი მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში დავით ჭანტურია, გიგა ფარულავა და ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში მედეა გვაჯაია. წახალისების მიზეზი გახდა წლის განმავლობაში „განსაკუთრებული საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვა და კეთილსინდისიერი სამსახური“, რისთვისაც ბიუჯეტიდან 2 700 ლარი დაიხარჯა.

ამავე საბაბით, 2015 წლის 28 დეკემბრის ბრძანებით, ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით წაახალისეს საკრებულოს სამანდატო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაიზერ ნანავა, საკრებულოს აპარატის საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკურ საკითხთა განყოფილების უფროსი ნინო ქაძანია, საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი მაგდალინა თოდუა და ამავე განყოფილების წამყვანი სპეციალისტი თამუნა ჯიქიაც. ჯამში ბიუჯეტიდან 4 950 ლარი დაიხარჯა.

რაც შეეხება პრემიებს, 2015 წლის 16 დეკემბრის ბრძანების თანახმად, პრემიები გაიცა საკრებულოს თანამდებობის პირებზე, აპარატის თანამშრომლებსა და საკრებულოს აპარატში ხელშეკრულებით აყვანილ მოსამსახურეებზე ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, სულ 53 ათას 500 ლარი. საფუძველი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ლაშა გოგიას ხელმოწერილ ბრძანებაშია აღნიშნული, ბარბარობისა და ნიკოლოზობის დღესასწაულები იყო.

საკრებულოს თანამდებობის პირებზე, აპარატის თანამშრომლებსა და საკრებულოს აპარატში ხელშეკრულებით აყვანილ მოსამსახურეებზე პრემია ერთი თვის სახელფასო ანაზღაურების ოდენობით 2016 წლის 6 იანვარს გამოცემული ბრძანების საფუძველზეც გაიცა, შობის დღესასწაულთან დაკავშირებით. ჯამში, 62 ათას 200 ლარი.

სულ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებზე გაცემული წახალისებისა და პრემიების ოდენობამ 598,900 ლარი შეადგინა.

საკითხის განმარტებისთვის ამჯერად სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველ მოადგილეს კობა ქანთარიას დავურეკეთ. გაიგო რა თუ რა საკითხზე გვქონდა შეკითხვები, – გენაცვალე, ერთი კვირაა, ვირუსი და სიცხე მაქვს, ამიტომ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ და ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ ამ საკითხზეო, იმ კვირას, ალბათ, მოვმჯობინდები და გაგცემთ პასუხსო. ეს ისეთი თემაა, რომელიც ერთი კვირის წინაც უნდა გცოდნოდათ-მეთქი, უშუალოდ თქვენს ადმინისტრაციას ეხება და თან პრემიები და სახელფასო დანამატები ახალ წლამდე გაიწერა და დიდ თანხებზეა საუბარი ისევ-მეთქი... ამის შემდეგ აშკარად გაღიზიანდა და თუ როგორ წარიმართა დიალოგი, ამას უცვლელად გთავაზობთ.

– ბატონო კობა, გასაგებია, რომ ცუდად ხართ, მაგრამ ეს მოხდა ახალ წლამდე ხო, თქვენ ხელმძღვანელი პირი ბრძანდებით და უნდა განგვიმარტოთ...

– რა მოხდა, გოგონა, ერთი მითხარით?! სხვაზე მეტი ჩვენ არ გაგვიცია, ანუ გურიის გუბერნია კიდე სხვა არის ხო და სამეგრელოსი სხვა, ბიუჯეტებიც სხვადასხვა აქვთ ხო? ანუ თანხის სიდიდით რომ შევადაროთ, რა, ვერ გავიგე, რატომ გვაქვს ჩვენ სხვაზე მეტი, არაფერი არ გაგვიცია სხვაზე მეტი, რომ იცოდეთ, ჩვენ გვაქვს მიზერული ხელფასები, ჩვენ პრემიებს არ გავცემთ საერთოდ, სახელფასო დანამატებს კი, იმიტომ რომ 600 და 700 ლარზე ვერ იმუშავებს თანამშრომელი ხო?

– კი მაგრამ, როცა ქვეყანაში, ფაქტობრივად, შიმშილობს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ქვეყანა, რომელიც, პირდაპირი მნიშვნელობით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, უხერხული არ არის ამხელა პრემიებს და სახელფასო დანამატებს ადმინისტრაციული ორგანო საკუთარ თავს რომ ახარჯავს? მეტსაც გეტყვით, თქვენმა ადმინისტრაციამ, ამ მონაცემების მიხედვით, ყველანაირი რეკორდი მოხსნა...

– არანაირი ციფრები არ არის, გოგონა, თქვენ შეისწავლეთ ეს საკითხი? არ გაქვთ ეს შესწავლილი! დიახ, არ გაქვთ შესწავლილი!

– მაშინ თქვენ დამიკონკრეტეთ, რა და როგორ...

– მე რა დაგიკონკრეტოთ, გითხარით, რომ შეუძლოდ ვარ, დაუკავშირდით ჩვენს პრესსამსახურს და იქ გეტყვიან ზუსტ მონაცემებს, ჩემი კომენტარი რა, მე გეუბნებით, რომ ჩვენთან არის დაბალი ხელფასები და მოტივაცია რომ ჰქონდეთ თანამშრომლებს, ამიტომ იწერება სახელფასო დანამატები... მეტი არაფერი, ისიც ასპროცენტიანი დანამატი არ არის, ხან 60-პროცენტიანი, ხან 50. თქვენ პროექტების მიხედვით ნახეთ, აბა, რომელ ადგილზე ვართ, დიახ, მოწინავე პოზიციაზე ვართ, დიახ, ბოლო ორ წელიწადში 400 მილიონის ინვესტიცია განხორციელდა, 397 მილიონის პროექტი განხორციელდა, რა ვიცი, კიდევ ბევრი რამ გაკეთდა, ახლა ვერ გელაპარაკებით, ზუსტ მონაცემებს პრესსამსახურს დაუკავშირდით და იქ გეტყვიან...

და გამითიშა.

„კვირის ქრონიკა“ ისევ შეეცადა ბატონი გუბერნატორისგან ამ საკითხზე განმარტების მოპოვებას, მაგრამ ისევ უშედეგოდ. მისმა პრესსამსახურმა, გუბერნატორი ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებსო, ნოუ ქომენთო.... ჰოდა, ბატონო გუბერნატორო და პირველო მოადგილევ, თუ ამდენი ინვესტიცია განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთში, რატომ არ გინდათ ღიად ისაუბროთ და ლოგიკური ახსნა დაუდოთ საფუძვლად ამ თქვენ მიერ დაღვრილ ოფლს? თუ ასეა, შეგერგოთ, მაგრამ სადაა ეს ამდენმილიონიანი პროექტი და მათ მიერ მიღებული სიკეთეები? რატომ არ შეეტყო მოსახლეობას? აააა, ვერ ვხედავთ, ალბათ... ცოტა ფრთხილად იყავით, უკან არ დაგაყრევინონ, ხალხის მიერ წვალებით შევსებული ადგილობრივი ბიუჯეტის ფულები...

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# „კვირიკაშვილამდე ნორმალურ ადამიანებს არ პატიჟებდნენ, შიშის ფაქტორი იყო“

## გია კორკოტაშვილი: „მე პირადად და ჩემზე უფრო მაგარი ქართველები დავანგრევთ ყველაფერს! ფუი, იმ კაცს, ვინც სახლში დაჯდება და გარეთ არ გამოვა!“

### რას ამბობს ატეხილ სკანდალზე „შავრაზმელი ჩუნგა-ჩანგა კორკოტა“?



**გია კორკოტაშვილი: „ეს ყველაფერი დღევანდელი ხელისუფლების ბრალია, „ოცნება“ ხედავს (თუ ვერ ხედავს, უარესი), რომ მისი რეიტინგი დაეცა და ამით „ნაცასკოლკებს“ იმის საშუალებას აძლევს, რევანშზე იფიქრონ. ერთი, თუ მართლები არიან, დამირეკონ და მითხრან: ძმაო, ჩვენ გეები ვართ, გეებს ნუ აგინებო!“**



**გიორგი მშვენიერაძე: „დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ჩემთვის პატივსაცემი ადამიანები რომ ამდგარიყვნენ და გამოსულიყვნენ პრემიერისგან კორკოტას გამო, მეორედ პრემიერი ორჯერ დაფიქრდებოდა, სანამ მაგ რუსოფილ, შავრაზმელ ჩუნგაჩანგას მიიწვევდა“**







ამ დღეებში პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, შეხვედრაზე საუბარი იყო სასამართლო რეფორმაზე, პროკურატურის რეფორმაზე და ასევე, იმაზე, როგორ უნდა შევურიგდეთ „ნაცბანდას“ წინასაარჩევნო პერიოდში... დიდი ამბები და აურზაური მოჰყვა ამ შეხვედრაზე „ქართული მისიის“ ხელმძღვანელის, გია კორკოტაშვილის დასწრებას. არასამთავრობოების წარმომადგენლებს ეს არ ესიამოვნათ, კვირიკაშვილმა ამ „ჩუნგა-ჩანგა“ კორკოტაშვილის გვერდით დაჯდომა როგორ გვაკადრაო? თუმცა იქ არაფერი უთქვამთ და შეხვედრიდან გამოსულებმა დაიწყეს სოციალურ ქსელებში ბლატაობა, თუ პრემიერი ასეთ რამეს კიდევ გაიმეორებს, სხდომას პროტესტის ნიშნად დავტოვებთო. მაგალითად, ერთ-ერთი არასამთავრობოს („დემოკრატიული ინიციატივა“) ხელმძღვანელი, გიორგი მშვენიერაძე (ნეტა ვინმემ თუ იცის, ვინ არის და ვის დაჰკარგვია?) ასეთ რამეს წერს:

„გუშინ გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა პრემიერთან, რომელსაც ჩემთვის პატივსაცემი ადამიანებიც ესწრებოდნენ. ესწრებოდა კორკოტაც. თემა – ადამიანის უფლებები. მეგობრებო, რამდენი ანტიდისკრიმინაციული კანონიც არ უნდა მივიღოთ, რამდენი ანგარიშიც არ უნდა დავწეროთ ადამიანის უფლებებზე, რამდენი განცხადებაც არ უნდა გავავრცელოთ, რამდენი გრანტიც არ უნდა ავითვისოთ და ა.შ. მანამ, სანამ ადამიანის უფლებათა დამცველის სტატუსით, შავრაზმელ ქსენოფობებს ვისვამთ გვერდზე, ჩვენი წუხილები, უბრალოდ, როყიო სიტყვებად დარჩება. მე დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ჩემთვის პატივსაცემი ადამიანები რომ ამდგარიყვნენ და გამოსულიყვნენ პრემიერისგან კორკოტას გამო, მეორედ პრემიერი ორჯერ დაფიქრდებოდა, სანამ მაგ რუსოფილ, შავრაზმელ ჩუნგაჩანგას მიიწვევდა. თანმიმდევრულობა და პრინციპულობა მნიშვნელოვანი თვისებებია. სხვა დროს, პრემიერი არასამთავრობოებს რომ მიიწვევს შეხვედრაზე, კარგი იქნება კორკოტასთან ან კორკოტებთან ერთად თუ არ დავჯდებით. უბრალოდ უნდა ავდგეთ და წამოვიდეთ. და ზოგადად, საქართველოს მთავრობა ძაან ტეხავს ადამიანის უფლებებზე სასაუბროდ რომ ქსენოფობებს და ჰომოფობებს ეპატიჟებით“.

**აქ, წესით, ღმერთმა უნდა გაიცინოს... შეიძლება ამ ადამიანს ყველაფერი დააბრალო, მაგრამ მას არც ვაზაგაშვილი მოუკლავს, არც გირგვლიანი და არც რობაქიძე. მე პირადად ძალიან მაინტერესებს, რომელიმე არასამთავრობოს წარმომადგენელმა თუ გაბედა და შეხვედრის დროს ერთი წარბი მაინც ასწია პროტესტის ნიშნად? ამაზე „ქრონიკას“ თავად გია კორკოტაშვილი ესაუბრება:**

– არა, პირიქით, მაგარი თბილი დამოკიდებულება იყო... გულის სიღრმეში ვინ რას ფიქრობდა, არ ვიცი, რა... მაგრამ ბევრი ადამიანი, ვისთანაც საერთოდ არ მქონია ურთიერთობა, მომეჩვენა, რომ სიმპათიით იყო განწყობილი. ყველა თავის საქმეზე იყო მოსული, ყველას უნდოდა, პრემიერისთვის თავისი სათქმელი ეთქვა. თვითონ ლაპარაკობენ ჰომოფობიასა და ქსენოფობიაზე, ადამიანების დაყოფა კრიტერიუმების მიხედვით, მისაღებია? მომისმინე... მანდ სხვა რამეშია საქმე, რა: აქამდე ამ სფეროში იყო არასწორი პოლიტიკა, „ნაცმოძრაობამ“ დანერგა ასე, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია აუცილებლად უნდა იყოს ან „ელგებეტე“, ან კიდევ „ელგებეტეს“ დამცველი თუ რაღაცა, მაგათ სხვანაირი თვალსაწიერი არ გააჩნიათ. თუ ჰომოფობი ხარ, არ შეიძლება, რომ არასამთავრობო გქონდეს. მე, გენაცვალე, ჩემი შეხედულებები და ჩემი ცხოვრების წესი მაქვს. შეიძლება ვიღაცისთვის ჰომოფობი ვარ, ვიღაცისთვის კიდევ ჩვეულებრივი ადამიანი. უბედურება ისაა, რომ კვირიკაშვილამდე ნორმალურ ადამიანებს არ პატიჟებდნენ, შიშის ფაქტორი იყო, ემანდ დასავლეთმა არ დაინახოსო. საქართველოს მოსახლეობის 95 პროცენტი თვლის, რომ ასეთი გაუკუღმართებული ცხოვრების წესი მისთვის არ არის მისაღები. მე არ ვარ მომხრე, ყველაფერი ძალადობრივად განხორციელდეს, მაგრამ, თუ არ რცხვენიათ, რომ თავიანთი მდგომარეობა დააფიქსირონ, მაშინ მეც შემიძლია ვთქვა, რომ წინააღმდეგი ვარ და არ მომწონს მათი ცხოვრების წესი. ვერ გავიგე, რა, არა მაქვს უფლება, ჩემი აზრი გამოვხატო?

**— ვინმე თუ შეგეხმიანათ პირადად, ან დაგირეკათ და გითხრათ, ძმაო, შენ არასწორ მისამართზე მოხვდიო?**

– არა, სოციალურ ქსელებში ატეხეს ერთი ამბავი. ეგენი ვინ არიან, ყველამ კარგად იცის, გააქტიურდნენ „ნაცმოძრაობის“ „ასკოლკები“, შეტევაზე გადმოვიდნენ. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ეს ყველაფერი დღევანდელი ხელისუფლების ბრალია, „ოცნება“ ხედავს (თუ ვერ ხედავს, უარესი), რომ მისი რეიტინგი დაეცა და ამით „ნაცასკოლკებს“ იმის საშუალებას აძლევს, რევანშზე იფიქრონ. ერთი, თუ მართლები არიან, დამირეკონ და მითხრან: ძმაო, ჩვენ გეები ვართ, გეებს ნუ აგინებო! მაგათ თავიანთი გზა აქვთ, რაც უნდათ, ის აკეთონ, მაგრამ მე ვერ შევურიგდები იმას, რომ რეკლამები აკეთონ და მოწამლონ ბავშვები! ვიღაცებმა დაწერეს, კორკოტა „ჩუნგა-ჩანგაა“, შავრაზმელიაო, სიმართლე გითხრათ, მაგათთვის არ მცალია, მართლა წერონ და იკითხონ.

**— თამარ ჩერგოლეიშვილმაც „შეგამკოთ“, ეგ „ჩუნგა-ჩანგააო“.**

– ეგენი გულზე გასკდნენ, რა... გაიხნენ, როგორ გაბედა, რომ კვირიკაშვილმა შეხვედრაზე მეც მიმიწვია? ეგენი იყვნენ არასამთავრობოები მიშას დროს, ისევ ესენი არიან დღესაც, ესენი ჭამენ გრანტებს ყველა ხელისუფლების დროს და იქით მაინტერესებს ახლა, რატომ უნდა დავჯდე მაგათ გვერდით? ამაზე გაგიჟდნენ, ამიტომ იძახიან, ჩვენ უნდა ავმდგარიყავით და შეხვედრა დაგვეტოვებინაო. მაშინ ეგენი რომ მოვლენ, ჩვენ ავდგებით და დავტოვებთ პროტესტის ნიშნად. თავი რომ მოაქვთ, გავიდეთ ქუჩაში და ვნახოთ, ვინ უფრო მეტად პოპულარულია. ამიხსნან, მაგათი ან სიტყვა რა ღირს, ან თავად რა ფასი აქვთ? მაგათი ცხოვრება რად ღირს?! ეს ადამიანები ყველას აგინებენ, ახლა პატრიარქს ლანძღავენ და მე რომ მლანძღონ, რა გასაკვირია? მადლობა, ამ სიაში რომ მომახვედრეს და ღმერთმა დამიფაროს, შემაქონ!

**— ახლა თურმე ბრძოლა იწყება, ერთსქესიანთა ქორწინება უნდა დავაკანონოთო, ამაზე რას იტყვით?**

– ამაზე მხოლოდ ერთს ვიტყვი: მე პირადად და ჩემზე უფრო მაგარი ქართველები დავანგრევთ ყველაფერს და ამას არ დავუშვებთ. ეს იქნება უზნეობის აპოგეა, რაც საქართველოში არ უნდა მოხდეს. ფუი, იმ კაცს, ვინც სახლში დაჯდება და გარეთ არ გამოვა!

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# გიორგი კვირიკაშვილი: „ყველანი ციხეში!!!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა სამთავრობო სხდომაზე იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს მიმართა, რომ ფიზიკური შეურაცხყოფის გამო სასჯელი არაადეკვატურია, მსუბუქია და იქნებ გადახედოთ და გაამკაცროთო. კვირიკაშვილის ეს იდეა გარდაბანში, არჩევნების დროს ატეხილმა შეხლა-შემოხლამ გამოიწვია. პრემიერის ამ ნათქვამს კაცი გაატარებდა, მაგრამ მის ინიფეხს გაიქნევს, ყველა ციხეში უნდა გაგზავნოს?

**„ალია“ გიორგი კვირიკაშვილის იდეად გაჟღერებული ამ მეტად სახიფათო ინიციატივის შესახებ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო გელა, რაკიღა პრემიერმა განაცხადა, რომ კარგი იქნება, ფიზიკურ შეურაცხყოფაზე სასჯელი გამკაცრდესო, გამოდის, რომ ის მიიჩნევს, რომ ამჟამად სასჯელი მსუბუქი და ლმობიერია. თქვენ როგორც უფლებადამცველი, იზიარებთ მის ამ პოზიციას?**

– ეტყობა, პრემიერმა კარგად არ იცის და რასაც ეგ თავისუფლების აღკვეთას. თუ საქმე გვაქვს მხოლოდ ცემასთან დაზიანების გარეშე, მაშინ არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, მხოლოდ გამოსასწორებელ სამუშაოებს ითვალისწინებს.

**— თუ სერიოზული დაზიანებაა და არა მსუბუქი, როგორ ისჯება ეს დანაშაული?**

– თუ არის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, 118-ე მუხლით ისჯება და 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუ მძიმე შედეგი დადგა, ვთქვათ, სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებამ, ესეც შეიძლება, მაშინ 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. 117- მუხლით კი, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება 3-დან 6 წლამდე ციხეს ითვალისწინებს. თუ სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუ დაკავშირებულია მძევლად ხელში ჩაგდებასთან, ან სხვა დანაშაულის დაფარვისთვის მოხდა ეს ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება, 5-დან 8 წლამდე ციხეს ითვალისწინებს. თუ სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, 8-დან 13 წლამდეა სასჯელი. თუ განსაკუთრებული სისასტიკით არის ჩადენილი, 8-დან 13 წლამდეა. 10-დან 14 წლამდეც არის, თუ ვთქვათ, განსაკუთრებული სისასტიკით ან ორი და მეტი პირის მიერ არის ჩადენილი დანაშაული და ამან გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

**— ბატონო გელა, რაც თქვენ ბრძანეთ, ამის მიხედვით დავასკვენი, რომ კანონმდებლობაში ეს ყველაფერი გაწერილია, ფიზიკური შეურაცხყოფა და მისგან გამოწვეული შედეგები, უმკაცრესად ისჯება და ვერ გავიგე, რაღა უნდა პრემიერ-მინისტრს?**

– მე როგორც გავიგე, პრემიერმა გარდაბნის არჩევნებთან დაკავშირებით გააკეთა ეს განცხადება, ვითომ პრევენციის მიზნით გაამკაცრონ ფიზიკურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სასჯელი. აშკარაა, პრემიერი არ შეეკითხა იურისტებს, არ ჩაეძია იურიდიულ ნორმებს და ზერელედ გამოთქვა თავისი აზრი.

**— პრემიერ-მინისტრის განცხადება, ჩვენი რეალობიდან, პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, იმპერატიული ხასიათისაა და მას დაუყოვნებლივ აღასრულებენ ხოლმე. ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ გიორგი კვირიკაშვილის ამ წინდაუხედავი განცხადების შემდეგ, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ადმინისტრაციულ სასჯელს სისხლის სამართლოს კატეგორიაში გადაიყვანს და თუ ვიღაცამ ვიღაცას პერანგის საყელო შემოახია, ეგრევე ციხეში უკრავენ თავს?**

– ამის გაკეთება იქნება შეუსაბამობა, მე უკვე განგიმარტეთ და კონკრეტული მაგალითებიც მოვიყვანე, რომ გამკაცრება უნდა? ყველაფერი გამკაცრებულია ისედაც.

**— ისე, ერთი კვალიფიციური იურიდიული მრჩეველი არ აწყენდა გიორგი კვირიკაშვილს.**

– კვალიფიციური იურისტების ნაკლებობა საქართველოში ნამდვილად არ არის.

**— საქართველოში კი არ არის, მაგრამ სახელმწიფო კანცელარიაში და პრემიერ-მინისტრის გარემოცვაში ეტყობა, არის. კანონმდებლობაში ყველაფერი რიგზეა და კაცი ითხოვს, ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გაამკაცრეთ სასჯელიო. სისხლის სამართლის კოდექსი, მგონი, საერთოდ ხელში არ სჭერია ჩვენს პრემიერს.**

– არ ვიცი, სისხლის სამართლის კოდექსი დეტალურად იცის თუ არა პრემიერმა, მაგრამ ერთი მინდა ვთქვა: მისი ეს განცხადება მართლა რეალობასთან შეუსაბამოა, სს კოდექსში ყველაფერი რიგზეა, ყველა კონკრეტული დანაშაული, ფაქტებით ჩამოგითვალეთ. კონკრეტული სასჯელით და სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია კონკრეტული დანაშაულისთვის კონკრეტული სასჯელი, ფიზიკური შეურაცხყოფა ისჯება ძალიან მკაცრად და კარგი იქნებოდა, თუ პრემიერი ამ განცხადების გაკეთების წინ, გაივლიდა იურისტებთან კონსულტაციას, თუნდაც იუსტიციის მინისტრთან. წესით, თეა წულუკიანი მას ეტყოდა, რომ მისი მოთხოვნა არაადეკვატური და არამართლზომიერია. კანონმდებლობაში ყველაფერია ჩადებული. რასაც პრემიერი ითხოვს და მართლა ვერ გავიგე, რისი ძალიან მკაცრადაც ისჯება და რა უნდა ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, მართლა ვერ გავიგე. ისე, ერთი კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია რომ გაევლო პრემიერს, ვიდრე ამას განაცხადებდა, ურიგო არ იქნებოდა ნამდვილად.

აშკარაა, პრემიერ-მინისტრმა მეტად როყიო და გაუთვლელი განცხადება გააკეთა. შესაძლოა, მისი ეს განცხადება გაგვეტარებინა და მასზე აქცენტი არც გაგვეკეთებინა, მაგრამ წარსულის მძიმე გამოცდილებამ გვაიძულა, პრემიერის ამ განცხადებისთვის საკმაოდ სერიოზული მნიშვნელობა მიგვენიჭებინა. თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავარი პროკურორის, ირაკლი ოქრუაშვილის ინიციატივებმა გაავსეს ციხეები პატიმრებით. ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსიდან ირაკლი ოქრიაშვილმა, დაახლოებით, 200-მდე მუხლი გადაიტანა სისხლის სამართლის კოდექსში. შესაბამისად, ამ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე სასჯელი გამკაცრდა, რაზეც ადრე ფულადი ჯარიმა ან უფრო მსუბუქი სასჯელი იყო, ამის შემდეგ, ანალოგიურ დანაშაულზე, პირდაპირ ციხეში ისტუმრებდნენ ხალხს და გადაივსო ეს ციხეები ამ ხალხით. თუ იუსტიციის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილის ამ აბსურდულ განცხადებას საქმედ აქცევს, მაშინ გამოდის, რომ კაცს რომ თავში წამორტყა, ეგრევე ციხეში გაგამგზავრებენ. ეს კი, წარმოიდგინეთ, „ნაცებსაც“ კი არ გაუკეთებიათ, თანამედროვეობის ყველაზე დიდ ჯალათს, ირაკლი ოქრუაშვილსაც კი არ მოსვლა აზრად.

ციატივაში სერიოზული საფრთხე დევს. უბრალო ჩხუბისთვის აქამდე ადამიანები ადმინისტრაციული სასჯელით, შესაბამისად, ფულადი ჯარიმით ისჯებოდნენ. თუ თეა წულუკიანმა პრემიერის განცხადება საქმედ აქცია, მაშინ, შესაძლოა, ერთი სილის გაწვნისთვის ან პანღურის ამორტყმისთვის ადამიანები ციხეში აღმოჩნდნენ. მათი რაოდენობა კი ძალიან ბევრი იქნება. გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ საპარლამენტო არჩევნები კარს მოგვადგა და სხვას თავი დავანებოთ, პოლიტიკური მოტივის გამო, ანალოგიური შეხლა-შემოხლა კვლავაც ბევრი იქნება და რა უნდა პრემიერს? ვინც ხელს და მსუბუქ სასჯელს ეძახის, გათვალისწინებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობით. ეს არის წვრილმანი ხულიგნობა, 166-ე მუხლი და ითვალისწინებს ჯარიმას 100 ლარის ოდენობით. ეს არ არის ფიზიკური შეურაცხყოფა, ეს არის წვრილმანი ხულიგნობა, რომელზეც ხშირად აპელირებენ ხოლმე. თუ პრემიერი გულისხმობს ფიზიკურ დაზიანებას, აქ არის სხვადასხვა მუხლები, შესაბამისად, სხვადასხვა და ადეკვატური სასჯელი და ეს სისხლის სამართლის კოდექსშია შეტანილი. მაგალითად, 120-ე მუხლი, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ითვალისწინებს 1 წლამდე



> **თუ თეა წულუკიანმა პრემიერის განცხადება საქმედ აქცია, მაშინ, შესაძლოა, ერთი სილის გაწვნისთვის ან პანღურის ამორტყმისთვის ადამიანები ციხეში აღმოჩნდნენ**



> **კაცს რომ თავში წამორტყა, ეგრევე ციხეში გაგამგზავრებენ**





> **რასაც კვირიკაშვილი აკეთებს, ეს „ნაცებსაც“ კი არ გაუკეთებიათ! ეს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჯალათს, ირაკლი ოქრუაშვილსაც კი არ მოსვლია აზრად!**

> **თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავარი პროკურორის, ირაკლი ოქრუაშვილის ინიციატივებმა გაავსეს ციხეები პატიმრებით. ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსიდან ირაკლი ოქრიაშვილმა, დაახლოებით, 200-მდე მუხლი გადაიტანა სისხლის სამართლის კოდექსში. შესაბამისად, ამ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე სასჯელი გამკაცრდა, რაზეც ადრე ფულადი ჯარიმა ან უფრო მსუბუქი სასჯელი იყო, ამის შემდეგ, ანალოგიურ დანაშაულზე, პირდაპირ ციხეში ისტუმრებდნენ ხალხს და გადაივსო ეს ციხეები ხალხით**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# პარლამენტის მიერ 2015 წელს მიღებული კრეტინული კანონები




კიდევ ერთი წერილი 2015 წელს მიღებული კანონების შესახებ, რომელზეც ბევრი არაფერი გსმენიათ, თუმცა ხშირად მსჯელობთ ხოლმე სოციალურ ქსელებში, მეზობლებსა და ნაცნობ-მეგობრებში. მაგალითად, იცით თუ არა თქვენ, რომ 2015 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საჯარო სამსახურის შესახებ? შეიძლება გაგიგონიათ, მაგრამ დეტალებში ნამდვილად არ გეცოდინებათ. ესე იგი, როგორც ჩვენი ძვირფასი კანონმდებლები გვეუბნებიან, ამ კანონის მიზანია: „უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა“. დიახ, კეთილსინდისიერებაზეო, დამსახურებაზეო, მიუკერძოებლობაზეო და არა ნეპოტიზმზეო, ნაცნობ-მეგობრებზეო, სიდედრებზე და მამიდაშვილებზეო. ისე, რომ იცოდეთ, ეს კანონი ადგენს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, საჯარო მოხელის დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობებს, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს. კეთილი და პატიოსანი, ეს კანონი რაღაცით მაგონებს ხან კონსტიტუციას, ხან კიდევ ადამიანის უფლებების დეკლარაციას: „ყველა საჯარო მოსამსახურე თანასწორია კანონის წინაშე. დაუშვებელია კანონიერი ინტერესების შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად“. აჰა, მეტი რაღა გინდათ, ხალხო? გარდა ანტიდისკრიმინაციული კანონისა, აქაც ჩაუწერიათ, რომ სექსუალური ორიენტაცია ხელშეუხებელია, ვერ გავიგე, ერთსქესიანებმა მაინცდამაინც ქორწინების სახლში უნდა მოაწეროთ ხელი და ქუჩაში მაყრებთან ერთად ირბინოთ? ამავე კანონის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს უფლება არ აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული (პოლიტიკური) მიზნების ან ინტერესებისთვის. საჯარო მოსამსახურეს არ აქვს უფლება, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას, მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში. აბა, დამაცადეთ... თუკი ეგრეა, მაშინ რატომ დარბოდნენ მინისტრი გიგლა აგულაშვილი და მინისტრი თინიკო ხიდაშელი საგარეჯოში, რატომ ეწეოდნენ აგიტაცია-პროპაგანდას და რატომ გადაისროლეს საჯარისო დანაყოფები კახეთში? ესე იგი, ყველა საჯარო მოსამსახურე თანასწორია კანონის წინაშე, არა? ისემც რა გითხარით! ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ორივე მინისტრს ჯერ თანამდებობებს დაატოვებინებდნენ, შემდეგ კი საგარეჯოში გაამწესებდნენ დასუფთავების სამსახურში, როგორც იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, სილვიო ბერლუსკონი გაამწესეს.

მუხლი 18 – „სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულების პრინციპის დაცვის ხელშესაწყობად საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები“. იიფ, გენაცვალეთ ფორმულირებაში... ესე იგი, მოხელის სოციალური დაცვის გარანტია განისაზღვრება სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულების პრინციპის დაცვის ხელშესაწყობადო... პრემიები, სარგოები და დანამატები ხალხის ერთგულების ხელშესაწყობად განისაზღვრებაო. კი, მაგრამ სად არის დაფიქსირებული ხალხის ერთგულების კრიტერიუმები? როგორ უნდა გავზომოთ, რამდენად ერთგულია ესა თუ ის მოხელე? ვინ და როგორ აფასებს ერთგულებას? აქაც გვაქვს სიახლე, ამ ყველაფერს ადგენს და განსაზღვრავს საჯარო სამსახურის საბჭო, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო. საბჭო შედგება 11 წევრისგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 4 წლით. გარდა ამისა, ყველა საჯარო დაწესებულებაში იქმნება ადამიანური რესურსების მართვის ერთეული, რომელსაც ევალება დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა და დაგეგმვა, ადამიანური რესურსების მართვა და ადმინისტრირება. ადრე ყველა საჯარო სამსახურში იყო კადრების განყოფილება, რომელსაც ჰყავდა გამგე. ვინაიდან „გამგე“ საბჭოთა გადმონაშთად ითვლება, ახლა დაარქვეს ადამიანური რესურსების მართვის ერთეული.

ალბათ, არც იმის შესახებ იცით, როგორ კლასიფიცირდება ადამიანი, როცა საჯარო სამსახურში იწყებს მუშაობას. 25-ე მუხლის თანახმად, მოხელის თითოეული თანამდებობა შეესაბამება თითო კარიერულ საფეხურს და ნაწილდება შემდეგ იერარქიულ რანგებში:

ა) პირველი რანგი – მაღალი მმართველობითი დონე; ბ) მეორე რანგი – საშუალო მმართველობითი დონე; გ) მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე; დ) მეოთხე რანგი – უმცროსი სპეციალისტის დონე. მეოთხე რანგი წარმოადგენს ყველაზე დაბალ, ხოლო პირველი – ყველაზე მაღალს. 26-ე მუხლის თანახმად, მოხელეს ენიჭება კლასი შეფასების შედეგებისა და სამსახურის სტაჟის მიხედვით. კლასების სრული ოდენობა შეადგენს 12-ს. ადამიანს მინიჭებული კლასი უნარჩუნდება მუდმივად და დაუშვებელია ჩამორთმევა. აქ ისე არ არის, როგორც ავტომობილის მოწმობის ჩამორთმევის დროს, როცა 100 ქულა ჯარიმების მიხედვით მცირდება. მოგცეს კლასი? მორჩა, მას მხოლოდ მიქელ-გაბრიელი თუ ჩამოგართმევთ. მეტიც, მოხელეს, რომელსაც მიენიჭა კლასი, მიეცემა თანამდებობრივი სარგოს დანამატი. აი, ხალხო, როდესაც ირაკლი შიხიაშვილი იძახის, ჩემი პრემია ნაკურთხი იყო და რომ არ ამეღო, ღმერთი გამიწყრებოდაო, ის თითქმის მართალია, პრემიები და დანამატები მართლაც ნაკურთხია, ოღონდ კანონის მიერ. ეს კიდევ არაფერი, სეირი შემდეგ მუხლებში უნდა ნახოთ: „სხვა საჯარო დაწესებულებაში ან იმავე საჯარო დაწესებულებაში სხვა თანამდებობაზე გადასვლისას მოხელეს უნარჩუნდება საკლასო დანამატი. საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის, ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფრო დაბალ რანგში გადაყვანის შემთხვევაში მოხელეს უნარჩუნდება საკლასო დანამატი“. ესე იგი, მთავარია, ერთხელ მიიღო ე.წ. კლასი, ამის შემდეგ როგორც არ უნდა დაგაქვეითონ, რომელ საჯარო სამსახურშიც არ უნდა წახვიდე, საკლასო დანამატი გარანტირებული გაქვს. ერთადერთი, ზარალში მაშინ ხარ, თუ სამსახურიდან გაგიშვეს, ან რეზერვში ჩაგრიცხეს. ვინ შეიძლება გახდეს საჯარო მოხელე? 27-ე მუხლის თანახმად: მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ფლობს სახელმწიფო ენას; ბ) მიაღწია 18 წლის ასაკს; გ) ფლობს ამ კანონით დადგენილ საჯარო მოხელის სერტიფიკატს. აი, ეს მუხლი კარგად დაიმახსოვრეთ, ამოჭერით და იმ დაწესებულებაში თუ მოხვდებით, სადაც ინგლისურ ენას ითხოვენ, თვალებზე ააფარეთ, ჩვენს ქვეყანაში საჯარო სამსახურში მუშაობის დასაწყებად საკმარისია სახელმწიფო ენის, ანუ ქართული ენის ცოდნა. ვინ არ შეიძლება გახდეს საჯარო მოხელე? თუ ადამიანი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის; საჯარო სამსახურიდან განთავისუფლებულია დისციპლინური გადაცდომისათვის და დისციპლინური გადაცდომის გამო გათავისუფლებიდან არ არის გასული 1 წელი; პირმა სამსახურში მიღებისას არ წარმოადგინა ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ან წარმოდგენილი ცნობით დასტურდება მის მიერ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტი. ისე, რაღა დაგიმალოთ და ამ ცნობის ყიდვა ისე შეიძლება, როგორც დაგიბარებიათ. ამიტომაც დადის ბევრ საჯარო მოხელეზე ჭორები, რომ ისინი „იჩხირავენ“, ან კიდევ ცუდ კვამლს ყნოსავენ.

შემდეგი საინტერესო საკითხი: დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ საჯარო სამსახურებში დებენ 3-თვიან, უკეთეს შემთხვევაში 6-თვიან ხელშეკრულებებს და შემდეგ თანამშრომლებს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. არადა, კანონის მიხედვით, პირი მოხელის თანამდებობაზე ინიშნება განუსაზღვრელი ვადით, ოღონდ, რა თქმა უნდა, კონკურსის წესით. ერთიც დაიმახსოვრეთ, იმ დაწესებულების ხელმძღვანელი, სადაც კონკურსი ტარდება, არ შეიძლება იყოს კომისიის თავმჯდომარე. სხვათა შორის, ეს არც დაწესებულებების ხელმძღვანელებმა იციან (ან ფეხებზე ჰკიდიათ) და კონკურსებზე ყარამან ყანთელებივით წამოსხდებიან ხოლმე. ამას წინებზე ერთი კონკურსანტი ჩიოდა, ფინანსთა სამინისტროში „სივი“ შევიტანე, მონაწილეობა მივიღე, მუშაობის დაწყება მინდოდა, მაგრამ ნოდარ ხადურმა უკან გამომაბრუნა, შენ რეკომენდატორი არ გყავსო. სხვათა შორის, „რეკომენდატორის“ თემა ცალკეა გასარჩევი: დღეს საჯარო სამსახურში არ მიგიღებენ, თუკი არ მიიტან შესაბამის სფეროში უკვე დასაქმებული სამი მაღალი თანამდებობის პირის, ანუ ავტორიტეტის მიერ გაცემულ დახასიათებას. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ესეც ყველაფერი საბჭოთა გადმონაშთი მგონია. მაგალითად, კომუნისტები თავიანთ პარტიაში ან რაიმე თანამდებობაზე არ მიგიღებდნენ, თუ არ გექნებოდა მსგავსი დახასიათება, დღევანდელი გაგებით – რეკომენდაცია. ახლა არის ერთი ამბავი, გადარეკვა-გადმორეკვა, ნაცნობმეგობრების ძებნა, შუამავლებზე ჩალიჩი, შეიძლება ჩემი ხათრით რეკომენდაცია მაღალჩინოსანმა დაუწეროს ისეთ ვინმეს, რომელსაც საერთოდ არ იცნობს. როდესაც ხადურზე მითხრეს, ასე და ასე გამოგვაპანღურაო, პირველ რიგში კითხვა დაგვისვა, რეკომენდატორები თუ გყავთო, მე ვუთხარი, რეკომენდატორად გელა ზედელაშვილი დაგესახელებინათ, უკეთესად გამოგაპანღურებდათ-მეთქი. რას ჰგავს ახლა ეს? არადა, ამ დროს კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს მსგავს რამეს, კონკურსანტის შეფასება ხორციელდება შემდეგი ფორმების გამოყენებით: ა) წერითი ან ზეპირი დავალება; ბ) გასაუბრება. თუმცა „პირველი ღამის“ უფლება საბოლოოდ მაინც დაწესებულების ხელმძღვანელს ეძლევა – კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე ინიშნება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. ჰო, კანონში ისიც წერია, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაავიწყდეთ თანამდებობაზე დასანიშნი პირის სახელი და გვარი. ასევე, იმ დაწესებულების დასახელება, რომელშიც პირი თანამდებობაზე ინიშნება. რაც მთავარია, თავიდანვე უნდა დაფიქსირდეს თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი და საკლასო დანამატი.

დაბოლოს, ნამდვილი ცირკი... მუხლი 44. მოხელის ფიცი: 1. მოხელის სამოხელეო-სამართლებრივი ურთიერთობები იწყება ფიცის დადების მომენტიდან. 2. პირი, რომელიც დანიშნულ იქნა მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე, უფლებამოსილ თანამდებობის პირს წარუდგენს შემდეგი შინაარსის ფიცს: „შეგნებული მაქვს რა საჯარო სამსახურში ჩემზე დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა, ვაცხადებ, ერთგულად ვემსახურო ხალხსა და სახელმწიფოს, დავიცვა კონსტიტუცია, კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები, პატივი ვცე საჯარო ინტერესებს, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად აღვასრულო ჩემი მოვალეობანი“.

მაპატიეთ... ახლა წარმოიდგინე, როგორ იბარებენ ფიცს ნოდარ ხადური, დავით ნარმანია, ირაკლი შიხიაშვილი და სხვები. დაახლოებით ასეთი სურათია: მოხელევ, ერთი ნაბიჯით წინ, „სმირნააა“! მოხელე იწყებს, ხადური „ჩესტით“ დგას, ღიპი უფრო შესამჩნევად გამობერვია. ფიცის მიღების შემდეგ ფეხს ფეხზე არტყამს და ყვირის – მოხელევ, თავისუფლააად! მე კი ერთი მაკვარანცხული კითხვა არ მასვენებს – ნეტა ჯოკია ბოდოკიას თუ ჰქონდა ფიცი დადებული? რა ვიცი, რა ვიცი!

# მამაპაპისეული მიწა, შესაძლოა, სახელმწიფომ წაგართვათ!

## „სახელმწიფო ამბობს, რომ მიწები, რომელიც არავის სახელზე არ არის რეგისტრირებული, არის ჩემიო და უკანონოდ ითვისებს!!!“

## რა განმარტებას აკეთებს საჯარო რეესტრი?

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



ჯერ კიდევ დეკემბერში, საქართველოს პარლამენტმა მთავრობის ინიციატივა, დაჩქარებული ტემპით გაეტანათ პარლამენტის სხდომაზე ინიციატივა მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ცვლილების შესახებ, არ გაიზიარა. ამიტომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომლის ერთ-ერთი მუხლი არარეგისტრირებული მიწის სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლას ითვალისწინებდა, ჯერ არ განუხილავს პარლამენტს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები პარლამენტს არც განუხილავს და შესაბამისად, არც მიუღია, როგორც ჩანს, რეგიონებში მიწების სახელმწიფო მფლობელობაში გადაცემის პროცესი დაიწყო. როგორც „ქრონიკასთან“ საუბარში პოლიტიკური ცენტრის „გირჩის“ დამფუძნებელი იაგო ხვიჩია ამბობს, მარტვილის რაიონში სახელმწიფომ უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობის მიწა დაირეგისტრირა:

„დაიწყეს რაღაც გაურკვეველი პროექტი, რომელსაც დაარქვეს ინვენტარიზაცია, სახელმწიფო ამბობს, რომ მიწები, რომელიც არავის სახელზე არ არის რეგისტრირებული, არის ჩემიო. თან, როგორც ჩანს, ამას ყველაფერს აკეთებენ მხოლოდ გუგლ მაპ-ით. ანუ გუგლში შედიან, ორთოფოტოებს ნახულობენ, რომელიც არის ძველი, შეიძლება იყოს 5-10 წლის წინანდელი და მეორე საკითხია, რომ ორთოფოტოები ძირითადად ზამთარშია გადაღებული, ზაფხულში არავინ არ იღებს ორთოფოტოს და მესამე, ორთოფოტოები ხშირად ცუდი ხარისხისაა და იქ არ ჩანს ნაკვეთზე რა ხეა, ველურია, რომელსაც არავინ არ უვლის თუ ხეა, რომელიც ნარგავია. ვისაც სოფელთან აქტიური შეხება ჰქონია, იცის, რომ ერთი ხეც არაა, ვინმეს საკუთრება რომ არ იყოს და სოფელში ეს ყველამ იცის. ამ ტრადიციულ მიდგომას საერთოდ არ ითვალისწინებს სახელმწიფო და პირდაპირ ამბობს, რომ ჩემია მიწის ნაკვეთი. ფაქტია, რომ გვყავს კონკრეტული დაზარალებულები, ერთი და ორი ადამიანი არა და საბოლოო ჯამში, ეს შეეხება სოფელში მცხოვრები მოსახლეობის 50%-ს. თუ იმ მასშტაბით გააგრძელეს, როგორც დაიწყო. მაგალითად, მარტვილში არც ერთი სოფელი არაა დარჩენილი, საიდანაც არ წაუღიათ მიწის ნაკვეთები. რაც გადავამოწმე, ყველაზე მცირე იყო 70-80 ჰექტარი ერთ სოფელში, სხვა სოფელში – 235ჰა. და ა.შ. მარტვილში სულ დაახლოებით 1000-დან 2000 ჰექტარზეა საუბარი. არადა, კანონი არ შეცვლილა ჯერ და გაუგებარია, რის საფუძველზე აკეთებენ ამას. ახლა რა სქემითაც აკეთებენ ამ ყველაფერს, მსგავსი პროექტი შევიდა პარლამენტში, რაც იყო სრული ბოდვა, მაგრამ უკან დაუბრუნა პარლამენტმა, უმრავლესობაც კი მიხვდა, რომ არ ვარგოდა. ეტყობა, ყველა გიჟი არ არის ჯერ კიდევ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კანონი არაა, ეს პროექტი მაინც დაიწყეს ეკონომიკის სამინისტროში. ჯერ უნდა მორჩეს მოქალაქეების მიწების რეგისტრაცია და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება წაიღოს სახელმწიფომ მიწები. დღევანდელი სტატისტიკა კი ასეთია, მაქსიმუმ 30% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არის მხოლოდ რეგისტრირებული სულ, დანარჩენი 70% არავის სახელზე არ არის რეგისტრირებული. რაც არ უნდა ვადები დაუწესო, გლეხი საფრთხეს მაინც არ გააცნობიერებს, რადგან რეალურად თავის მიწის ნაკვეთზე თოფით დადგება და არავის არ შეუშვებს. ანუ ახლა საფრთხე რეალური არაა გლეხისთვის, იმიტომ რომ აღსრულებაში ეპარება ეჭვი, და თუ არ აღასრულებ, რისთვის იწყებ მაშინ. მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფომ შეუქმნა მოქალაქეებს საფრთხე, რომ ისინი დიდ ინვესტირებას ვერ გააკეთებენ ამ მიწის ნაკვეთებზე, ვერ მოაქცევენ სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად და ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს გადაეცა საკუთრებაში ვინც რასაც ფლობს ტრადიციულად, დაიწყო გაუგებარი პროცესი. საერთოდ, ტრადიციული მესაკუთრეობა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არ იყო, წინა საუკუნეებში არავის ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულებები და ა.შ. ამიტომ უნდა ვაღიაროთ ტრადიციული მესაკუთრეობა. ევროპის ქვეყნებმა ეს პროცესი დაახლოებით მე-18 საუკუნეში გაიარეს, ჩვენთან მიწის რეფორმა არ ჩატარებულა და თუ ახლაც სახელმწიფო დადგება და მიისაკუთრებს ამ მიწებს, რომლის მენეჯმენტსაც რეალურად ვერ გააკეთებს, ამით დაზარალდება კვლავ კერძო პირი. და სახელმწიფოს პასუხი, რომ ერთი წლის ვადაში დაურეგისტრირებს საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში (რაც წერია ამ ცვლილებების კანონპროექტში), არარეალურია. კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ დანაწილებული მიწების საკუთრების დამადასტურებელი საბუთი თითქმის არავის აქვს, რა უნდა წარადგინონ, არსებობს საკომლო სიებიც, მაგრამ პრობლემა ისაა რომ არ იქნება დანაწილება სრულად, თუ თქვენ გაქვთ ერთი ჰექტარი, სიაში შეიძლება ეწეროს 0,5 ან 0,7 მაგრამ როგორ უნდა წაიღოს რეალურად, გაგიყოფენ ერთ ნაკვეთს? თუ რას იზამენ? ამიტომ ასეთ აბსურდულ ინვენტარიზაციას, სჯობს მიიღონ ის რეალობა, რომელიც ადგილზე არსებობს და რომელიც შექმნა სოფლის მოსახლეობამ. ტრადიციულ მფლობელობაზე რომ ვსაუბრობ, არ მინდა ვინმეს ეგონოს, ზვიად ძიძიგურის ენაზე ვსაუბრობ, მაგრამ ტრადიციული მფლობელობა არის ძალიან ლიბერალური ღირებულება, ყველა ნორმალურ ქვეყანაში, ამერიკაშიც ასე მოხდა ჯერ კიდევ ლინკოლნის დროს და მიდგომა, რომ თუ დოკუმენტი არ გაქვს, შენი როგორაა, არაა ამ შემთხვევაში გამართლებული, სახელმწიფოს აძლევენ გამოძრომის საშუალებას ამ ლოგიკით. დოკუმენტი მთელ რიგ მიწებზე არასოდეს გაუცია სახელმწიფოს და როგორ შეიძლება მე მქონდეს? ანუ ის, რომ დოკუმენტი არ მაქვს, სახელმწიფოს პრობლემაა და არა ჩემი, გაუცემელ დოკუმენტს რომ გთხოვენ, არის აბსურდი. ადგილებში, რომელიც კომპაქტურადაა დასახლებული, მხოლოდ იქაა დარეგისტრირებული მიწები, თორემ მთელ რიგ რაიონებში 10%-მდე თუ აქვთ რეგისტრაცია მიწებზე“.











რა სახის მიწების რეგისტრაციას ახორციელებს სახელმწიფო, როგორ უნდა მოიპოვოს საკუთრების დოკუმენტი უსაბუთო მიწაზე მოქალაქემ, ამის გარკვევა საჯარო რეესტრში შევეცადე. როგორც საინფორმაციო ცხელ ხაზზე მიითხრეს, სახელმწიფო უსამართლოდ არავის არაფერს წაართმევს(!) და მესაკუთრის საბუთის წარდგენის შემთხვევაში, სახელმწიფოზე დარეგისტრირებული მიწა უპრობლემოდ დაუბრუნდება მფლობელს.

**— მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს საბუთი, საუბარია მიწებზე რომელიც კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ დაინაწილა მოსახლეობამ, ამ შემთხვევაში რა ხდება? როგორ ვიქცევით?**

– ცენტრალური არქივიდან უნდა გამოითხოვოთ დოკუმენტაცია კომლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, საკომლო ჩანაწერები არის დაცული, შესაბამისად, მიიღებთ ამ ინფორმაციას, თუ კომლში ირიცხება არამარტო გარდაცვლილი, არამედ ცოცხლები, ისინი დაირეგისტრირებენ და თუ მხოლოდ გარდაცვლილი ირიცხება კომლში, მაშინ სამკვიდროს გახსნით ნოტარიუსთან და სამკვიდრო მოწმობით დაირეგისტრირებთ.

**— ძალიან რთული პროცედურაა, რასაც გლეხი ვერ გააკეთებს... რაც შეეხება მარტვილსა და რამდენიმე რაიონს, როგორც ჩანს, უკვე დაიწყო პროცესი და სახელმწიფო ირეგისტრირებს გარკვეული სახის მიწებს, რა მიწებზეა კონკრეტულად საუბარი?**

– რეფორმის პერიოდში თუ არ არის გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა, ასეთი მიწები შეიძლება დაირეგისტრიროს სახელმწიფომ, მაგრამ თუკი ერთი წლის განმავლობაში წარადგენთ საკუთრების უფლების დამადასტურებელ ნებისმიერ დოკუმენტს, მაშინ ქონებას ჩვეულებრივ დაირეგისტრირებთ.

**— და თუ ერთი წლის ვადაში ვერ მოხერხდა საბუთების შეგროვება? მაშინ რა ხდება, სახელმწიფოს რჩება მიწა?**

– ნუ ახლა ეს ჯერ კანონად არ ქცეულა, ეს არის პროექტი, რომელიც განხილვის სტადიაშია.

**— თუ ჯერ მხოლოდ პროექტია, მაშინ რატომ დაიწყო რეგისტრაცია სახელმწიფომ?**

– მე შემიძლია ამ საკითხთან დაკავშირებით, გაგაცნოთ ის ინფორმაცია, რასაც ჩვენ ვფლობთ: აზომვა დაიწყო მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელზეც 1992-1993 წლებში სახელმწიფოს მიერ გაცემული არ იყო საკუთრების უფლება. მხოლოდ ამ მიწებზეა საუბარი. თუ რეესტრში დაცული მონაცემებით დგინდება, რომ კონკრეტულ არეალში შეიძლება გაცემული ყოფილიყო კერძო საკუთრებაში მიწა, სახელმწიფო საკუთრების უფლება არ რეგისტრირდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება სახელმწიფომ დაირეგისტრიროს გარკვეულ რაიონებში და უკვე შემოდის მონაცემები ამაზე, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ის მიწებია, რომელზეც საკუთრების უფლების მოწმობა გაცემული არ იყო.

**— და არც საკომლო სიებში არ იყო?**

– დიახ, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი აღმოჩნდა რომ რაიმე გაიპარა და სახელმწიფოზე დარეგისტრირდა, შეუძლია, წარმოადგინოს საბუთების დამდგენი დოკუმენტი და დაირეგისტრირებს ჩვეულებრივ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ამ ქვეყანაში საზოგადოება ორ ბანაკადაა გაყოფილი – მორალისტებად და ორალისტებად. მორალისტები ამბობენ, რომ ორალისტები გაფუჭებული ხალხია, მათთვის ბოზობა, ჩათლახობა და ნარკომანობა ჩვეულებრივი ამბავია, მეტიც, ისინი თავიანთ გახრწნილობას „სვეცკობის“ საბურველში ხვევენ და ვითომ ევროპელობას აწვებიან. ორალისტებს მიაჩნიათ, რომ ყველას თავისი ცხოვრება აქვს, საკუთარ სხეულს ვინ რას უზამს, არავის ეკითხება. მეტიც, ისინი ყოველთვის სხვას დასცინიან, აკრიტიკებენ, მაგრამ როცა საქმე მათ ეხებათ, მაშინვე ახსენდებათ ქრისტეს სიტყვები: „ნუ განიკითხავ“! თუმცა, საბოლოო ჯამში, მორალისტებსაც და ორალისტებსაც ერთი „იდეოლოგია“ აერთიანებთ – „განიკითხე და თავზეც დააფსი, არ არის პრობლემა, ოღონდ ჩვენ არავინ შეგვეხოს“. ამ ორივე „სექტას“ თავისებური წარმოდგენები აქვს ყველა საკითხზე და ბოლოს მაყურებელი მაინც მიდის ასეთ დასკვნამდე (ავტორი კოტე ყუბანეიშვილი):

**„გაწყდა ჩემი თაობა**
**შეყუჟული ბინებში,**
**სუფევს უსუფთაობა**
**მათ საცოდავ ტვინებში.**
**ძმობას დაემშვიდობნენ**
**ჭირის ვეღარ გამძლებნი,**
**ერთმანეთს არ ინდობენ,**
**აგინებენ და-ძმები.**
**ხდება ზურგთა შექცევა,**
**ამან ის თქვა, იმან — ეს,**
**ყურადღება ექცევა**
**ათასნაირ წვრილმანებს.**
**ვეღარც მზეს და ვერც მთვარეს**
**ვერ ხატავენ, ვერ წერენ,**
**ახლობლები ერთმანეთს**
**ისე გადაემტერნენ“.**

სანამ მორალისტები და ორალისტები ერთმანეთს კბილებით ძიძგნიან, ქვეყანა გაჭირვების ჭაობში გმინავს. არის მოჩვენებითი შეხვედრები, ღიმილი, ზურგზე ხელების წამოტყაპუნება, მერე კბილთა ღრჭენა, ქილიკი, ფურთხი... ასე იყო, ასეა და, ალბათ, ასე იქნება, ხშირად ამბობენ, ჩვენ უკვე მოჯადოებულ წრეზე დავდივართო. მოჯადოებულ წრეზე კი არა, მგონი, საერთოდ გადავედით რელსებიდან და ბოლოს იქამდეც მივედით, რომ ჩვენი საყრდენი, ანუ ფინანსური „გარანტიც“ კი მორალურ-ორალურ ამბიციებს ვანაცვალეთ (ავტორი ლადო გოგოლაძე):

**„მაშინ, როდესაც გავჩნდი,**
**გარეთ ყოფილა დარი,**
**მამას კუპონი ერქვა,**
**მე კი დამარქვეს ლარი.**
**მინდოდა, ჩემს ქვეყანაში**
**მარტოს მემღერა სოლო,**
**ალბათ, პატრონი არ მყავს,**
**რადგან მომეღო ბოლო.**
**მივიწევ ქვევით-ქვევით,**
**ვნატრობ ბავშვობას, წარსულს,**
**მე ვემსგავსები მამას —**
**კუპონს უდროოდ წასულს.**
**ჯიბე ჯიბობდა ერთ დროს,**
**თუ ჩემით იყო სავსე,**
**გამაგებინე, ნოდარ,**
**რატომ გამწირე ასე,**
**რად დამაყენე ეს დღე,**

**რატომ დავეშვი ყირა?!**
**რომ აღარ ფიქრობთ ჩემზე**
**მანეთი ვარ, თუ ლირა?**
**სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნას**
**მივუკაკუნე ნელა,**
**დოლარი როგორ ბრწყინავს,**
**ჩემთან კი როგორ ბნელა.**
**ვინც ვერ მოაბით თავი**
**ჩემს დახმარებას, შველას,**
**ფრთხილად იყავით აწი,**
**გადაგიყოლებთ ყველას“!**

მორალი: 2016 წლის 24 იანვრიდან გორში ფეხით მოსიარულეებისთვის მოძრაობის წესები გამკაცრდა. საგზაო მოძრაობის შეფერხებისა და საავარიო სიტუაციების შექმნის მიზეზით პატრულმა რამდენიმე ათეული მოქალაქე უკვე დაჯარიმა. გორის ცენტრალურ ქუჩაზე (სტალინისა და ჭავჭავაძის გადაკვეთაზე) პატრულის ეკიპაჟის წევრები მოქალაქეებს აფრთხილებენ, რომ ქუჩა არ გადაკვეთონ.

მორალი: დღეის ამას იქით... „რავა დალაყუნობ გორელივით შუა ქუჩაში“, დასჯადი გახდა თვით გორში. არის თუ არა ეს ადამიანის უფლებების დარღვევა? რა თქმა უნდა, არის. ორალისტების თქმით, სხეული ადამიანის საკუთრებაა და რასაც უნდა, იმას უზამს, რა შუაშია აქ სტალინის ან ჭავჭავაძის ქუჩა? ისე, ძალიან საინტერესოა, გორში სტალინისა და ჭავჭავაძის ქუჩები ერთმანეთს კვეთს. ესეც დასტურია იმისა, რომ ჩვენში მორალი და ორალი ერთმანეთშია აღრეული. ჰოდა, თანამედროვეობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მწერალი, ერეკლე დეისაძე ისე შეუწუხებია ამ ამბავს, პირდაპირ ბიძინა ივანიშვილს მიმართავს ლექსად:

**„ბატონო ბიძინა,**
**ასეთ რთულ ვითარებაში,**
**წინასაარჩევნოდ გვინდა,**
**რომ საგანელიძე**
**დასავლეთს ვაჩვენოთ.**
**არ ვიცი, მინარეთთან**
**დაკავშირებით თუ მოისმინეთ**
**წულუკიანის განცხადება,**
**ამ განცხადების მერე ჩვენი**
**დასავლურობა კიდევ**
**გაცხადდება?**
**მე მაინტერესებს,**
**ამ საკითხზე რას ფიქრობს**
**ბატონი ხუხაშვილი,**
**ეს ის შემთხვევაა, როცა**
**ადამიანს იცნობთ მოხარშული.**
**პარალელურად უფლებადამცველის**
**სტატუსს ატარებს**
**გიორგი გაბედავა,**
**ეს რომ ამინისტიის დამსახურებაა,**
**არ უნდა ჭირდებოდეს დიდი დავა.**
**ეკა ბესელიაც ნეპოტიზმში**
**ამხილეს დუმბაძესავით,**
**რეაგირებას ისევ ელოდება**
**ხალხი ყ...სავით.**
**პარალელურად ბევრ სატოპკეს**
**აძლევთ ოპოზიციას,**
**რომლებმაც დემოკრატიის**
**ძალა ხუთიანზე იციან,**
**საეჭვოდ ძლიერდება ნინო**
**ბურჯანაძის პარტიაც,**
**ნინოს უკან რომ რუსეთი და გია**
**ბურჯანაძე დგას, ესეც ფაქტია.**
**ციხეში გარდაცვლილ პატიმრებსაც**
**ცემის სუნი აქვთ.**
**სამართლიანობის აღდგენას**
**მკვდრებიც ითხოვენ და, ალბათ,**
**ერთი სული აქვთ.**
**უპასუხისმგებლობაა ასეთ ვითარებაში**
**წასვლა პოლიტიკიდან,**
**პასუხისმგებლობა თუ აიღეთ,**
**კეთილი ინებეთ,**
**ტრაკზე მოაჯინოთ ბარე ორი,**
**თორემ გინებით საქმე არ კეთდება,**
**თქვენ ვარსკვლავივით ჯერ**
**კიდევ კიაფობთ და არ იფიქროთ,**
**შვლის ნუკრის სათქმელს**
**ქანთარია ნუკრი გიამბობთ“.**

ბიჯოს... მართალია, დეისაძე მართლწერის გაგნებაში არ არის, მის გონებაში მორალურ-ორალური სენტენციები აღრეულია, მაგრამ ხან ისეთს გაარტყამს, მოგეწონება...სავით. მოკლედ, ამ ფრონტზე დიდი ომია: აგერ, პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი ამტკიცებს, ამხანაგმა სტალინმა 20 ათასი წიგნი წაიკითხა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მე უფრო განათლებული გახლავართო. ბერძენიშვილს მორალისტები უტევენ, ეს კაცი ტყუის, 20 ათასი წიგნის წაკითხვას, სულ მცირე, 54 წელი მაინც დასჭირდება, თუ დღეში 1 წიგნს მაინც წავიკითხავთო. მეტიც, ეს ძალიან მარტივი არითმეტიკა ყოფილა: სტალინმა იცოცხლა 75 წელი, თუ ამ რიცხვს გავამრავლებთ 365-ზე, არის 27 375 დღე, თუ დაუშვებთ იმას, რომ სტალინმა 20 ათასი წიგნი წაიკითხა, გამოდის, დღეში საშუალოდ 1,4 წიგნს კითხულობდა, რაც დაუჯერებელია. ცნობისთვის, თურმე ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში საშუალოდ კითხულობს 500 წიგნს. მეორე მორალისტი ამტკიცებს, სტალინი დედამიწის ლამის ნახევარს აკონტროლებდა და 20 ათასი წიგნის წაკითხვა გაუჭირდებოდაო? ორალისტი ბრაზობს: აი, წიგნებს ასე სწრაფად რომ კითხულობდნენ მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი, ამიტომ გვაქვს კარგად საქმეო. მეტიც, სტალინი იყო ეშმაკის მარჯვენა ჩლიქი, ხოლო მარცხენა – ჰიტლერიო. მოკლედ, ამ ქვეყანაში საზოგადოება ორ ბანაკადაა გაყოფილი, დანარჩენებმა რა ვქნათ, რა?!



ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

**ლარი: „...ჯიბე ჯიბობდა ერთ დროს,**
**თუ ჩემით იყო სავსე,**
**გამაგებინე, ნოდარ,**
**რატომ გამწირე ასე“**




**„მაშინ, როდესაც გავჩნდი,**
**გარეთ ყოფილა დარი,**
**მამას კუპონი ერქვა,**
**მე კი დამარქვეს ლარი.**
**მინდოდა, ჩემს ქვეყანაში**
**მარტოს მემღერა სოლო,**
**ალბათ, პატრონი არ მყავს,**
**რადგან მომეღო ბოლო...“**



ლარს დედა აღარ ჰყავს!





ორი ლეიტენანტი ქუჩაში მიდის. უცბად ულამაზესსაჯდომიანი გოგონა დაინახეს. გაასწრეს, სახეზე უნდოდათ შეხედვა. შედეგით იმედგაცრუებულებმა გოგონას მიაძახეს:

– გოგონი, სახეც ისეთივე ლამაზი რომ გქონდეთ, როგორც საჯდომი, ძალიან ბევრს გაკოცებდით!

– ეგ არაფერი, იქ მაკოცეთ, რაც უფრო მეტად მოგეწონათ!!!

*****

– აბრამ, გადაწყვეტილება ვერაფრით მივიღე და იქნებ დამეხმარო – ერთ ნათესავს ქორწილი აქვს, მეორეს – დაკრძალვა. რომელზე წავიდეთ?

– დაკრძალვაზე!

– რატომ?

– იმიტომ, რომ იქაც იგივე ამბავია, ოღონდ საჩუქრის მიტანა არ მოგვიწევს.

*****



პატიმარი ცოლს წერილს წერს:

– ძალიან დიდი მადლობა ფუნთუშაში ქლიბის ჩადებისთვის... ახლა მე მთელ საკანში ყველაზე მოვლილი ფრჩხილები მაქვს!..

*****

საბავშვო ბაღიდან კოტემ სახლში სხვისი მანქანა მიიტანა. მამა ეკითხება:

– საიდან ეს მანქანა?

– ა, ესა? ჯუბიკოს გავუცვალე.

– ჯუბიკომ მანქანა მოგცა, შენ რა მიეცი?

– მუშტი ცხვირში...

*****

– შვილო, მე და დედიკოს შენთვის საჩუქარი გვაქვს – შემოდგომაზე ძმა გეყოლება!

– ოოო, ისევ უშვებენ იმ დებილს ციხიდან, არა?!

*****



მუზეუმში ერთმანეთს ორი გეი შეხვდა. ერთი მეორეს:

– იცი, ძვირფასო, ამბობენ, რომ ლეონარდო და ვინჩის მონა ლიზა სინამდვილეში მამაკაცია.

– მართლა? მეც ვუყურებ და ვფიქრობ: თითქოს ქალია, არადა, როგორ მიღიმის...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

# 1–7 თებერვლის ჰოროსკოპი

### *ვერძი 21.03-21.04*

**სიყვარული –** შესანიშნავი მომენტი გაქვთ ინიციატივის გამოსავლენად, ცვლილებების განსახორციელებლად. მიმდინარე კვირა საუკეთესო პერიოდია ახალი ურთიერთობებისთვის, პირად ცხოვრებაში სერიოზული ნაბიჯების გადადგმის, გადაწყვეტილებების მიღების კუთხით. მამაკაცი ვერძები თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცები არიან: შეუძლიათ, გაიმარჯვონ, გაათავისუფლონ, დაიპყრონ და მოხიბლონ, ხოლო ქალი ვერძები: ყველასთვის სასურველები.

**სამსახური –** მნიშვნელოვანია, რომ გულხელდაკრეფილი არ გაჩერდეთ. თქვენი მცდელობა, მოსინჯოთ ძალები ახალ სფეროებში, წარმატების მომტანი იქნება.

**სასიკეთო დღეები:** 4, 5 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 1 თებერვალი.

### *კურო 22.04-21.05*

**სიყვარული –** თვის პირველი კვირა ტიპური კუროსთვის სასიყვარულო ფრონტზე იძულებითი შეზღუდვებისა და აქტიურობის დამუხრუჭების პერიოდად იქცევა. რეალობის დამალული მხარეები ხილულზე მეტად დაგაფრთხობთ. თუკი ზედმეტ აქტიურობას გამოავლენთ, შესაძლოა, პირადი ცხოვრება უნებურად გამოამზეუროთ, რაც დადებით შედეგს, რა თქმა უნდა, არ მოგიტანთ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ შესაძლოა, საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობა აგირიოთ.

**სამსახური –** გეგმების განხორციელებისთვის საუკეთესო მომენტი სულ მალე დაგიდგებათ.

**სასიკეთო დღეები:** 6 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 1 თებერვალი.

### *ტყუპები 22.05-21.06*

**სიყვარული –** ნიშნის ტიპურ წარმომადგენლებს მიმდინარე კვირა საკმაოდ დატვირთული და ვნებიანი ექნებათ. საუკეთესო დროა ნაცნობობისთვის, არაიძულებითი ურთიერთობისთვის, მეგობრებთან შეხვედრებისთვის. სიახლისა და შეგრძნებების სიმძაფრის სურვილი გაუჩნდებათ უკვე დაწყვილებულ ტყუპებს. თუ გეგმავთ, რომ ურთიერთობა ძირფესვიანად უნდა შევცვალოთ, სწორედ ამის დრო დადგა.

**სამსახური –** ფორტუნა თქვენს მხარესაა – იმოქმედეთ!..

**სასიკეთო დღეები:** 1, 6 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 4 თებერვალი.

### *კირჩხიბი 22.06-22.07*

**სიყვარული –** თქვენს გრძნობებს გამოცდა ელის. შესაძლოა, გულიც გატკინონ. სამაგიეროდ, მიმდინარე კვირაში კარიერული წინსვლისა და პროფესიონალური დონის საკითხებს გადაწყვეტთ. შედეგად, სიყვარულისთვის და პირადი ცხოვრებისთვის დრო თითქმის აღარ დაგრჩებათ. შესაძლოა, ურთიერთობა დაგეძაბოთ მეუღლესთან, თუ, რა თქმა უნდა, შერიგებისკენ პირველ ნაბიჯებს თქვენ არ გადადგამთ.

**სამსახური –** შემოსავალი გექნებათ, თუმცა დიდად მაინც ვერაფერს იგრძნობთ – მთელ ფულს ვალების გასტუმრებაზე ან რაიმეს შეძენაზე დახარჯავთ.

**სასიკეთო დღეები:** 1, 2 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 6 თებერვალი.

### *ლომი 23.07-22.08*

**სიყვარული –** თვის დასაწყისში თვალწარმტაცი და სასურველი



იქნებით. გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი, საწინააღმდეგო სქესისგან ზედმეტ ყურადღებასაც კი იგრძნობთ. მიმდინარე კვირა შესანიშნავ შესაძლებლობებს გთავაზობთ ნაცნობობისა და დროის რომანტიკულად გატარების კუთხით. არ არის გამორიცხული, გაემგზავროთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. უნდა იყოთ ძალიან გულუხვი და გალანტური. ფორტუნა თქვენს მხარეზეა.

**სამსახური –** შეეცადეთ, უცხოელ პარტნიორებთან დაახლოების შანსი მაქსიმალურად გამოიყენოთ.

**სასიკეთო დღეები:** 4, 5 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 თებერვალი.

### *ქალწული 23.08-22.09*

**სიყვარული –** კვირა ექსტრემალურია ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით მაინც პირადი ცხოვრება. ახალი სიყვარულის ძიებისთვის ეს პერიოდი საკმაოდ სახიფათოა. მოუფრთხილდით საკუთარ თავს და ნუ დაიწყებთ ურთიერთობების გარკვევას უცნობ ადამიანებთან. დიდი ალბათობით, ფინანსური დანახარჯებიც გექნებათ, რაც საწინააღმდეგო სქესთან მიმართებაში არცთუ კარგ შედეგებს გამოიღებს. ნუ მოახდენთ პარტნიორის პროვოცირებას – არ არის გამორიცხული, საშინელ აგრესიას გადააწყდეთ.

**სამსახური –** მიენდეთ ინტუიციას და საქმიანი პარტნიორების წესიერებას, არ წააგებთ.

**სასიკეთო დღეები:** 2, 3 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 5 თებერვალი.

### *სასწორი 23.09-22.10*

**სიყვარული –** სასწორის ტიპური წარმომადგენლები არცთუ შესაშურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან – ურთიერთობებში მათ პრობლემები გაუჩნდებათ. და ეს ეხება ნებისმიერ პარტნიორულ ურთიერთობას – როგორც საქმიანს, ისე პირადულს. უმჯობესი იქნება, თუ არსებულ წინააღმდეგობებს კიდევ უფრო არ გაამძაფრებთ. ჰარმონიისა და სიყვარულის ძიება სასურველ შედეგს, სამწუხაროდ, არ მოგცემთ. კვირის ბოლოს განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ.

**სამსახური –** არ მოაწეროთ ხელი არანაირ მნიშვნელოვან დოკუმენტს.

**სასიკეთო დღეები:** 4, 5 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 31 თებერვალი.

### *მორიელი 23.10-21.11*

**სიყვარული –** ყოველდღიურ ოჯახურ რუტინას, მოვალეობებს თავს ვერ დააღწევთ. შეეცადეთ, გაერკვიოთ გრძნობებში და არ აჰყვეთ რთულად კონტროლირებად ნერვულ მღელვარებას. არ არის გამორიცხული, რომ ყველაფერი მობეზრებული გაქვთ, მაგრამ სიტუაცია გაიძულებთ, მოითმინოთ და მოერგოთ ყველაფერს. ამ ყველაფრის მიუხედავად, ყურებს ნუ ჩამოყრით, რადგან სულ მალე ყველაფერი დალაგდება და ძველი გამოცდილება საუკეთესო შედეგამდე მიგიყვანთ.

**სამსახური –** დროა, ხელმძღვანელობას დაწინაურებაზე დაელაპარაკოთ.

**სასიკეთო დღეები:** 6 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 1 თებერვალი.

### *მშვილდოსანი 22.11-21.12*

**სიყვარული –** მიმდინარე კვირა შემოქმედებითი ძიებისა და სასიყვარულო თავგადასავლების პერიოდია. გარშემომყოფებს შთააგონებთ, იქნებით ინიციატივიანი. მშვილდოსნებისთვის, რომელთაც შემოქმედებასთან ან შოუბიზნესთან აქვთ საქმე, კვირა შესაძლოა, ნამდვილი აღმაფრენა-წინსვლის პერიოდად ექცეს. რაც მთავარია, დადგა დრო, გიყვარდეთ და უყვარდეთ. ნუ დამალავთ გრძნობებს, იყავით გულღია და გახსნილი. კვირის ბოლოს ცოტა მოდუნდით.

**სამსახური –** კოლეგებში ავტორიტეტს საგრძნობლად გაიზრდით.

**სასიკეთო დღეები:** 1, 5, 7 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 4 თებერვალი.

### *თხის რქა 22.12-19.01*

**სიყვარული –** მოგიწევთ, ეს კვირა მთლიანად სახლსა და ოჯახს მიუძღვნათ. პირად ფრონტზე აქტიურობისთვის კვირის პირველი დღეები გამოუსადეგარია. კვირის ბოლოს კი საკუთარ თავს შემოქმედებითად გამოავლენთ, თან ძალიან დიდი წარმატებით. თუ გადაწყვეტთ, რომ ინტერესის ობიექტთან ხანგრძლივ ურთიერთობას გააბამთ, არ ინანებთ.

**სამსახური –** ახალი პროექტების წამოწყებისთვის პერიოდი საკმაოდ დიდ შანსებს გაძლევთ.

**სასიკეთო დღეები:** 1, 2, 3 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 6 თებერვალი.

### *მერწყული 20.01-18.02*

**სიყვარული –** მიმდინარე კვირა მერწყულს მშვენიერ შესაძლებლობებს უმზადებს, თუკი ის ერთ ადგილზე არ გაჩერდება. აქტიურობა და სიმარტივე – საწინააღმდეგო სქესთან თქვენი წარმატების გარანტია. კვირის პირველი დღეები შესანიშნავი დროა საქმიანი მოგზაურობისთვის, ახალი კონტაქტების მოძიებისთვის, დაუძალებელი ურთიერთობებისთვის.

**სამსახური –** წარმატებას მხოლოდ კოლექტივის ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმა მოგიტანთ.

**სასიკეთო დღეები:** 4, 5 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 3 თებერვალი.

### *თევზები 19.02-20.03*

**სიყვარული –** ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულებს შეუძლიათ მიმდინარე კვირა ყველა პირადი საკითხის მოსაგვარებლად გამოიყენონ. შესანიშნავი დროა მნიშვნელოვანი შენაძენების გაკეთებისთვის.

და თუკი ყველაფერს ჭკვიანურად გაუძლვებით, წარმოუდგენლად მშვენიერ სიტუაციაში აღმოჩნდებით. რაც მთავარია, გვერდში დგომა და თანაგრძნობა პარტნიორისგან გარანტირებული გაქვთ.

**სამსახური –** სერიოზული ფინანსური საკითხების მოგვარებისთვის ზედგამოჭრილი დროა.

**სასიკეთო დღეები:** 1, 2, 6 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 5 თებერვალი.

ანომალია



მაია იასეშვილი
599 94-64-58



**როგორც ეზოთერიკოსები განმარტავენ, ადამიანის ცხოვრების გზას მათთვის წინასწარ განსაზღვრული ბედისწერა განსაზღვრავს. ჩვენი დღევანდელი რუბრიკის სტუმარი ბიოენერგეტიკოსი, პარაფსიქოლოგი ლატავრა ათუნაშვილი გვიმხელს საიდუმლო ცოდნის მარტივ მეთოდებს, რომელიც ბედის სადავეებს წარმატებისა და ბედნიერების მიღწევისკენ წაიყვანს.**

# „როგორც სატელევიზიო არხები, ასე შეგიძლია შენი ცხოვრება შეცვალო, თუ ეს იცი“

– მე არ ვიზიარებ აზრს, რომ ადამიანის ბედისწერა წინასწარ არის განსაზღვრული, ნებისმიერი ადამიანის ბედი წინასწარ რომ იყოს განსაზღვრული, მაშინ მას აღარ ექნებოდა მესიისგან მონიჭებული თავისუფალი არჩევანი, რითაც ადამიანი გამოირჩევა სხვა სულიერი არსებებისგან. ადამიანი არის



**„თუ ადამიანმა გააცნობიერა, მის ცხოვრებაში რა რატომ ხდება, ყველაფერი სასიკეთოდ იცვლება“**

მრავალგანზომილებიანი არსება, რომელიც ცხოვრობს მრავალგანზომილებიან სივრცეში. ჩემი სათქმელი წარმოსადგენად რომ გავამარტივო, შემდეგ მაგალითს მოვიშველიებ: სატელევიზიო სივრცეში ხომ უამრავი არხია, ამა თუ იმ არხზე სხვადასხვა პროგრამები ერთსა და იმავე დროს გადმოიცემა, ადამიანს შეუძლია თავისი სურვილისამებრ აირჩიოს პროგრამა, რაც მას აინტერესებს, რაც მის განწყობას, ინტელექტსა და ემოციურ ფონს შეესაბამება. ადამიანი, რომელიც იზიარებს აზრს, რომ მისი ბედისწერა განსაზღვრულია, იზღუდება ჩარჩოებში და მხოლოდ ერთი ვარიანტით შემოიფარგლება მისი თვალსაწიერი, ცხოვრობს იმ ცხოვრებით, რასაც ყოველდღიურობა სთავაზობს ბედისწერის სახელით, მიჰყვება ცხოვრების დინებას, რადგან დაივიწყა, რომ თვითონაც შემოქმედია. ადამიანს, დროის ნებისმიერ მომენტში შეუძლია, თავისი ცხოვრების ერთი „არხი“ შეცვალოს მეორეთი, მესამეთი, მეოთხეთი და ა.შ. მათ შესაბამისად შეუძლია, უიღბლობიდან იღბლიან პერიოდში გადაინაცვლოს, წარუმატებლობიდან – წარმატებაში, მარტოობიდან სიყვარულში, მოსიყვარულე ადამიანთა გარემოცვაში. წარმოიდგინეთ, რომ ყველა ადამიანის საინფორმაციო ველი წარმოადგენს კომპიუტერის დისკს, რომელზეც წერია ინფორმაცია, რაც იმ ადამიანს ეხება და რაც შესაძლებელია, იყოს მომავალში. რა მოხდება ხვალ და ზეგ, ადამიანთა უმრავლესობამ არ იცის, უიშვიათეს ფენომენთა გარდა. ცხოვრება მონიტორია. რაც წერია დისკში, ის აისახება მონიტორზე, თუ გინდა ცხოვრება შეცვალო და მონიტორში შენთვის სასურველი კადრები ნახო, დისკში უნდა ჩაწერო სასურველი ინფორმაცია. მიუღებელი უნდა წაიშალოს, რაც აბსოლუტურად ყველა ადამიანს შეუძლია.

**— როგორ დავეხმაროთ იმ ადამიანებს, ვისაც სურვილი გაუჩნდებათ, უიღბლობა წაშალონ და მის ადგილას ის ჩაწერონ, რაც მათთვის სასურველი და საოცნებოა?**

– საბედნიეროდ, ის ნიჭი და ცოდნა მაქვს უფლის წყალობით, ვიპოვო ადამიანის საინფორმაციო ველში ყველა დესტრუქციული ინფორმაცია და წავშალო, მის ნაცვლად ჩავწერო ის პროგრამა, თუ გნებავთ მიზანი და სურვილები, რაც კონკრეტულ ადამიანს კონკრეტულ შემთხვევაში სჭირდება სრულყოფილებისა და ბედნიერებისთვის. ჩემი პაციენტები ხუმრობენ, რომ მათ ცხოვრებაში ვცვლი დავირუსებულ ვინდოუსს.



**„ჩემი პაციენტები ხუმრობენ, რომ მათ ცხოვრებაში ვცვლი „დავირუსებულ ვინდოუსს“**

**— ზემოხსენებული მეთოდით და „განახლებული ვინდოუსებით“ შესაძლებელია ცხოვრებისეული ცვლილებები?**

– ავადმყოფობაც ჩვეულებრივი პროგრამაა და მისი წაშლაც ისევე შეიძლება, როგორც სხვა ნეგატიური პროგრამების. მაგალითად, ჯადოს, გათვალვის, შურის, შიშისა და ა.შ. ყველა ადამიანში არსებობს თვითგანკურნების სისტემა, ჩემთან მოსულ ადამიანებს, პირველ რიგში, ვუაქტიურებ ამ სისტემას და ვასწავლი იმას, რომ არანაირი განსაცდელისა და პრობლემების დროს არ იყვნენ სხვებზე მიჯაჭვული და დამოკიდებული, მათ თვითონ შეუძლიათ, ენერგეტიკული გარსის, აურის აღდგენა, გასუფთავება და დაცვა. გარდა ამისა, ხდება დაფარული რეზერვების მიჩქმალული ნიჭის აქტივაციაც, ადამიანებს ვეხმარები საკუთარი პოტენციალის გამოვლენაში. ადამიანები, რომლებიც არ არიან რეალიზებული და ბოლომდე არ იციან თავიანთი შესაძლებლობების შესახებ, ხშირად ვარდებიან სასოწარკვეთილებასა და დეპრესიაში. ჩემთან დახმარებისთვის მოსულთა უმრავლესობა შრომისუნარიანობის დაქვეითებას უჩივის. დეპრესიის გამომწვევი მიზეზი უპირველესად გახლავთ არარეალიზებული შემოქმედებითი ენერგია. როცა ამ დაუხარჯავ ენერგიას ვაძლევ თვითგამოხატვის საშუალებას, ადამიანი დეპრესიისგან თავისუფლდება. ამისთვის არსებობს პრაქტიკული სავარჯიშოები, რომელიც უმარტივესად სრულდება და არაჩვეულებრივი შედეგებით გამოირჩევა. ამ სავარჯიშოებში ძალიან გვეხმარება ვიზუალიზაცია. როგორც კი ადამიანის ცნობიერებიდან იშლება შიშისა და კომპლექსების პროგრამა, მაშინვე ჩნდება სასიამოვნო სიურპრიზები. სამყაროსა და შესაბამისად, ჩვენს ცხოვრებას მართავს ორი ძალა – შიში და სიყვარული, როგორც თეთრი და შავი. სიყვარული მოდის ღმერთისგან, შიში – ბოროტისგან. ჩვენი გარკვეული ქმედებები ზოგი შიშის გამო სრულდება, ზოგი სიყვარულით. რომ არა შიშის გრძნობა, უფრო ბევრი დანაშაულის წინაშე ვიდგებოდით ადამიანები, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ შიშის გრძნობა თრგუნავს ადამიანის თავისუფლებას, სიკეთეს. ნებისმიერი შეუცნობელი ფაქტი და მოვლენა ადამიანში შიშს იწვევს, რაც მას თვალს უხვევს ჭეშმარიტების აღქმაში. ჩემთან მოსული ადამიანები ამა თუ იმ წნეხიდან და დეპრესიიდან მაშინვე თავისუფლდებიან, როგორც კი ვშლი შიშის პროგრამას თავის გამომწვევიან მიზეზებიანად. ადამიანი სწორედ იმას იზიდავს, რისიც ეშინია, ამიტომაც, პირველ რიგში, საჭიროა ამ ნეგატიური პროგრამის წაშლა, განულება. ყველა ადამიანს გვაქვს ერთი საერთო თვისება და პროგრამათა შესრულების მყარი გარანტია. პირველი სრულდება ის, რაზეც მობილიზებულია ჩვენი ყურადღება და ის, რის მიმართაც გვაქვს მადლიერება. სამყაროსა და შესაბამისად, ჩვენს ცხოვრებას მართავს ორი მდგომარეობა – მადლიერება და უმადურობა. უმადურმა ადამიანმა რაც არ უნდა გააკეთოს, მაინც ვერაფერს მიაღწევს. ადამიანებს ვუხსნი და ვეუბნები, რა არის მათი უიღბლობისა და წარუმატებლობის მიზეზი და როცა თვითონვე ჩასწვდება შეცდომებს, რამაც ესა თუ ის პრობლემა წარმოშვა, მაშინვე იშლება საინფორმაციო პროგრამაში უმადურობის შეგრძნება და წარმატებებიც არ აყოვნებს. მოკლედ, თუ ადამიანმა გააცნობიერა, მის ცხოვრებაში რა რატომ ხდება, ყველაფერი სასიკეთოდ იცვლება. ხშირად ადამიანები მომმართავენ დარწმუნებულები, რომ მათი შურთ, ვიღაცამ გათვალა, ვიღაცამ ჯადო გაუკეთა, ნაკლებად იდანაშაულებს ვინმე თავს საკუთარ ბედისწერაში. ზოგჯერ მათი ნაფიქრალი სიმართლეს შეესაბამება, თუმცა ადამიანთა უმრავლესობა თვითონ ითარსავს თავს საკუთარი აზროვნებით, თავისი დამოკიდებულებით. თუნდაც როცა სარკეში ჩაიხედავს და გამოხატავს უკმაყოფილებას საკუთარი გარეგნობის მიმართ. სხვებისგან გამოწვეული ზემოქმედების მოხსნა გაცილებით მარტივია, ვიდრე საკუთარი პერსონისადმი ზიანის მიყენება შიშით, უიმედობით, წუწუნით, ბედთან სამდურავით და ა.შ. გრავიტაციის კანონის თანახმად, მსგავსი მსგავსს იზიდავს. თუ გამუდმებით მხოლოდ ცუდზე ვფიქრობთ, ასევე იფიქრებენ ჩვენზე გარშემომყოფნი, ასე გვექცევა სამყარო ნებისმიერი გამოვლინებით. ბავშვობიდან გვასწავლიან, რომ ცხოვრება ბრძოლაა, ტანჯვაა, ამიტომაც მთელი ცხოვრების მანძილზე ძალისხმევითა და ბრძოლით მივიწევთ წინ. თუ ადამიანმა ცხოვრების მიმართ შეცვალა დამოკიდებულება და თავის ქვეცნობიერ და ცნობიერ სამყაროს დააჯერა, რომ ცხოვრება სიხარულის, სიყვარულისა და ბედნიერებისთვის შეიქმნა, ასე წარიმართება მისი ცხოვრებაც. ამიტომაც გირჩევთ, ნუ დაიჯერებთ, რომ მკაცრი და ულმობელია თქვენი ბედისწერა. საერთოდ, თუ თქვენი დღევანდელი დღე არ მოგწონთ, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, ბედნიერი იქნებით თუ უიღბლო.

**„თუ თქვენი დღევანდელი დღე არ მოგწონთ, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, ბედნიერი იქნებით თუ უიღბლო“**





**— არცთუ იშვიათად ბედის ნებიერ და იღბლიან ადამიანებს თავს ატყდებათ უბედურება. ამაზე რას იტყვით?**

– თუ უბედურ შემთხვევასა და გარკვეულ საფრთხეს განვიხილავთ, როგორც განვითარების პოტენციალს, მაშინ ყველა ნეგატიური ცვლილება ცხოვრებაში საჭიროა, პრობლემები ადამიანებს აფხიზლებს. თუ ყველაფერი რიგზე აქვთ, მათი ინტელექტუალური და სულიერი განვითარება ჩერდება, ადამიანს დაბრკოლებები აიძულებს, განვითარდეს და გაიზარდოს და გადავიდეს ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე. ხშირად რაც ცუდი და უსიამოვნო გვგონია, ხდება სტიმული უკეთესი ყოფიერების, ნამდვილი წარმატებების, ზოგჯერ ჭირს ცუდისა და კარგის გარჩევა, მაგრამ დგება მომენტი, როცა მოვიშველიებთ ხალხურ გამონათქვამს – შარი ხეირად მექცაო...



# ზურა პირველი: „ცა — მიშა, ხმელეთ — ბიძინა, საქართველომ დაიძინა!“

**„ჩემი მოვალეობაა, სცენაზე გამოვიდე და ვითამაშო და არავის არ აინტერესებს, მე კულისებში რას განვიცდი, მცივა თუ მშია, ხომ ასეა? ჰოდა, მთავრობაც, ასევე, უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას“**









**„უნდა შევწყვიტოთ ჩვენი უბედურებების სხვებზე გადაბრალება... უნდა შეწყდეს მთავრობის სიყვარული და სიძულვილი... და უნდა დავინახოთ ყველაფერი ისე, როგორც არის და არა ისე, როგორც ჩვენი „კერპი“ გვკარნახობს“**




ლაურა აბრამია
591 97-67-09


„ცა – მიშა, ხმელეთ – ბიძინა, საქართველომ დაიძინა!
რა ნაღვლიანად ანათებს, შენი მზე შენი მთვარეო,
შენ რად დაგდის ცრემლები, შენ კი შემოგევლები, ჩემო სამშობლო მხარეო.... უკვე დავკარგე იმედი, ჩვენი ტვინის და კალმისა,
მზის და ვარდების ნაცვლად იქცა ჩემი სამშობლო პოლიტიკის და ლანძღვისა. შენ გენაცვალეს ნაცვლად დღეს, ისმის სულ დედის გინება, ასე ამბობს ქართველი, თუ რუსეთს დავუჩოქებთ, საქართველო გაბრწყინდება. ცა – მიშა, ხმელეთ – ბიძინა, საქართველომ დაიძინა!“

**ასე ეხმაურება ჩვენი რუბრიკის სტუმარი მსახიობი ზურა პირველი საქართველოში არსებულ ვითარებას. ცხოვრობს პოლონეთში ქალაქ შჩენინში, აქვს უკვე საკუთარი თეატრი, სადაც აქტიურად დგამს სპექტაკლებს, ასევე იღებს ვიდეოებს და ინტერნეტსივრცეში ათავსებს... ამბობს, რომ, როცა საქართველოდან წავიდა მისი ახალგაზრდობა თბილისში დარჩა, პოლონეთში დასაბერებლად ვარ წამოსულიო... ჩემთვის საქართველოდან წამოსვლა რეალური ცხოვრების დაკარგვა იყოო...**

– თეატრალური დავამთავრე 1985 წელს და განაწილებით (ჩემდა საბედნიეროდ) მოვხვდი მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში (მაშინ არავის სახელობის არ იყო ეს თეატრი). 9 წელი ვიმუშავე და მერე, როდესაც ქართული თეატრისთვის ტრადიციული ამბები დატრიალდა – ანუ როდესაც შალვა გაწერელია გამოაგდეს, მასთან ერთად დავტოვე თეატრი. შემდეგ რამდენიმე წელი ვთამაშობდი მიწვევებით თბილისის სხვადასხვა თეატრებში, ვმუშაობდი ბატონი შალვას ასისტენტად თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, შემდეგ გავლოთდი, დავავადდი ალკოჰოლიზმით და 2005 წელს წამოვედი პოლონეთში... ჩემთვის ჩემი პროფესია გატაცებაც იყო და პროფესიაც – მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან საჭმლის ფული არ მქონდა (იყო პერიოდები, რომ მე არ ვჭამდი და ძაღლს ვაჭმევდი ჩემს საჭმელს), ბედნიერი ვარ, რომ ეს პროფესია ავირჩიე – მიყვარს და ვტკბები ჩემი პროფესიით. სცენა ერთადერთი ადგილია, სადაც ზუსტად ვიცი, რა მინდა (უფრო სწორად, რა უნდა ჩემს გმირს), ცხოვრებაში კი, უმეტესად მე თვითონ არ ვიცი, რა მინდა...

**— ჰობი რა გაქვთ?**

– ვხატავდი ხოლმე, მაგრამ არ მიყვარს ხატვა. აქ, პოლონეთში 3 პერსონალური გამოფენა მქონდა, მაგრამ, რადგან არ მიყვარს, ამიტომ ჰობს ვერ დავარქმევ... ეს ჩემი პერსონაჟები და ვიდეოები, ალბათ, უფრო გატაცებაა, ვიდრე პროფესია – ვერთობი მეც და ვცდილობ, სხვებიც გავართო. პროფესია უფრო ვალდებულებასთანაა დაკავშირებული, სამსახურთან, ამ ვიდეოების კეთების კი არავითარი ვალდებულება არ მაქვს... უფრო სწორად, იურიდიული ვალდებულება არ მაქვს, თორემ ადამიანურად უფრო დიდი და სასიამოვნო ვალდებულება მაქვს მათ წინაშე, ვისაც უყვარს ეს პერსონაჟები, ელოდებიან და მწერენ, რომ ცხოვრებას უხალისებს – ეს დიდი ბედნიერებაა, თუ შეგიძლია, უცნობ ადამიანებს ცხოვრება გაუხალისო.

**— როგორც ვიცი, ბევრს მოგზაურობთ, ანუ თქვენი გატაცება მოგზაურობაცაა? კიდევ?**

– მოგზაურობა ნამდვილად ძალიან მიყვარს. კიდევ? რა ვიცი, ჩემს პროფესიას (მით უმეტეს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც ჩემი თეატრი მაქვს) იმდენი დრო მიაქვს, რომ არც მრჩება დრო სხვა არაფრისთვის... პირადი ცხოვრება თითქმის არ მაქვს – ავუკრძალე ჩემს თავს სიყვარული. ვიცი, სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ ნამდვილად ასეა. რომელიღაც სიმღერაში დავწერე კიდეც, რომ სიყვარული სხვებს ამაღლებს, მე კი პირიქით – მანადგურებს. ამიტომ გავურბივარ. ჯერჯერობით ვახერხებ და რამდენ ხანს გავქაჩავ, ვნახოთ...

რაზე საუბარიც არ მინდა, ისაა, რომ იმ ქვეყნად ძალიან ბევრი ადამიანი დამიგროვდა, ვის გარეშეც ცხოვრება მიჭირს.

**— ვიცი, რომ უსაშველოდ გენატრებათ აქაურობა და აქტიურად გულშემატკივრობთ ყველა მოვლენას, რაც აქ ხდება, ობიექტური ხართ შეფასებისას, მე ასე ვფიქრობ, ყველაფერს შესაფერის სახელს არქმევთ...**

– დიახ, აქტიურად ვმონაწილეობ, რაც საქართველოში ხდება. ამიტომ დავსახლდი „ფეისბუკში“ – „ფეისბუკი“ ჩემთვის საქართველოა.

რაც შეეხება სახელების დარქმევას, არ მიყვარს თვალთმაქცობა... დიდად არც შიში არ მახასიათებს და ამიტომ თითქმის ყოველთვის ვამბობდი და ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ.

**— როგორც ვიცი, შეძლებისდაგვარად ხშირად ჩამოდიხართ ხოლმე თბილისში, აქ უამრავი ახლობელი გყავთ, ალბათ...**

– ჩამოვდივარ ხოლმე... წელიწადში ერთხელ... ხან ორ წელიწადში ერთხელ... ეს მხოლოდ ფინანსურ მხარეზეა დამოკიდებული. თბილისში ჩამოსვლა ყოველთვის მოკლე სიზმარივითაა... მაგრამ გამოღვიძება რომ ძალიან ტრაგიკული არ იყოს, ის მეხმარება, რომ ამასობაში ძალიან შემიყვარდა პოლონეთი და ჩემი შჩენინი... და დაბრუნებაც მიხარია ხოლმე... მიყვარს ჩემი მოწაფეები და ისინიც ისევე მელოდებიან ხოლმე, როგორც თბილისში ჩემი მეგობრები, ჩემი ძმა და ჩემი ძმის ოჯახის წევრები...

**— პოლონეთში როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?**

– ვიღვიძებ ჩემს „სამფლობელოში“. ჩემი ოთახი ჩემი სამფლობელოა – იზოლირებული რეალობისგან: ბუდა თავისი შადრევნით, პატარა ჩანჩქერი, ნიღბები, მცენარეები, ლომები, პირამიდები, დრაკონი, ტინკერ ბელი... და ეს ყველაფერი ძალიან პატარა ოთახში... ერთხელ ვთქვი კიდეც, ჩემი ოთახი ისეთი პატარაა, სანთელს რომ დაანთებ, ცხება.

მერე, დილის პორცია საქართველო (ანუ „ფეისბუკი“). სახლიდან ყოველთვის რეპეტიციამდე რამდენიმე საათით ადრე გავდივარ და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

ა) ვერ ვიტან დაგვიანებას;

ბ) ყოველთვის რომელიმე მოწაფე მოდის ადრე რეპეტიციაზე და აუცილებლად უნდა დავხვდე თეატრში;

გ) მიყვარს ქუჩაში ჭამა: ჰოთდოგი, ჰამბურგერი, კოკა-კოლა და ა.შ. მოკლედ ყველაფერი ის, რაც არასასარგებლოა.

რეპეტიციას რომ ვატარებ, არასოდეს არ ვგეგმავ... თავისით მიდის ყოველთვის. რეპეტიციის შემდეგ გვიანობამდე რჩებიან ხოლმე. როცა ყველა წავა, ვკეტავ თეატრს და მოვდივარ სახლში. ისეთ დღეებში, როცა სპექტაკლია, რომელშიც მე არ ვთამაშობ, თითქმის იგივე მეორდება, ოღონდ სცენას ვამზადებ, რეკვიზიტს და კოსტიუმებს ვამოწმებ. როცა მე თვითონ ვთამაშობ, იმ დღეს, ისევ ყველაფერი იგივეა, ოღონდ უფრო ნერვიული და ემოციური... და სახლში ყოველთვის ბევრად გვიან ვბრუნდები – მიყვარს მარტო ყოფნა თეატრში სპექტაკლის მერე.

**— დასაწყისში გამიმხილეთ, რომ ალკოჰოლდამოკიდებული იყავით და დაამარცხეთ... თქვენი რეცეპტი მაინტერესებს.**

– მე მგონი, ყველაზე მნიშვნელოვანი დამხმარე აღმოჩნდა ჩემთვის ის, რომ შემრცხვა. გადამარჩინეს და-ძმამ, მეგობრებმა, შესანიშნავმა ექიმებმა, მაგრამ, მე მგონი, ბოლო წერტილი დასვა თავმოყვარეობამ.

ჩემი რეკომენდაციაც ასეთია: ნუ მოიქცევი ისე, რომ შენი თავის შეგრცხვეს! ყველაზე დიდი საგანძური ადამიანისთვის, ჩემი აზრით, არის სუფთა სინდისი და ღირსება!

**— ძალიან კრიტიკული ხართ მთავრობების მიმართ, ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ და რა არ მოგწონთ?**

– დიახ, კრიტიკული ვარ და მე მგონი, ეს ჯანსაღი დამოკიდებულებაა მთავრობის მიმართ. მიმაჩნია, რომ არაა ნორმალური მთავრობის სიყვარული ან სიძულვილი. კრიტიკული ვარ და მოვითხოვ მათგან, რომ შეასრულონ მათი მოვალეობა! ჩემი მოვალეობაა, სცენაზე გამოვიდე და ვითამაშო და არავის არ აინტერესებს, მე კულისებში რას განვიცდი, მცივა თუ მშია, ხომ ასეა? ჰოდა, მთავრობაც ასევე უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას – დაიცვას ამ ქვეყნის მოქალაქეები და შეუქმნას ნორმალური, XXI საუკუნისთვის შესაფერისი საცხოვრებელი პირობები! მხოლოდ თავის მომხრეებზე კი არ იზრუნოს, არამედ მთელ საქართველოზე!

**— როგორ ფიქრობთ, გვეშველება რამე?**

– რა თქმა უნდა, გვეშველება, მაგრამ სხვამ კი არ უნდა გვიშველოს, ჩვენ თვითონ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს. მე მგონი, უნდა შევწყვიტოთ სხვებთან (ევროპასთან, რუსეთთან, ამერიკასთან) ჩვენი თავის შედარება: საქართველო ძალიან თვითმყოფადი ქვეყანაა, ძალიან განსხვავებული და ამიტომ, ჩემი აზრით, სხვების მაგალითები ჩვენ არ გვერგება... უნდა შევწყვიტოთ ჩვენი უბედურებების სხვებზე გადაბრალება... უნდა შეწყდეს მთავრობის სიყვარული და სიძულვილი... და უნდა დავინახოთ ყველაფერი ისე, როგორც არის და არა ისე, როგორც ჩვენი „კერპი“ გვკარნახობს...

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# რა უთხრა მკითხავმა რატი დურგლიშვილს?

მაია იასეშვილი
599 94-64-58



**ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი, მომღერალი რატი დურგლიშვილი:**

— **რატი, როგორ ფიქრობ, ადამიანი საკუთარ ბედს თვითონ ქმნის, თუ ყველაფერი მისგან დამოუკიდებლად იგეგმება და სრულდება?**

– ყველაფერი, რაც ადამიანის ცხოვრებაში ხდება, მასზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ მიმაჩნია, რომ ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ მომავალს, უფალმა სრული თავისუფლება მოგვცა, რათა ჩვენი ცხოვრება ვმართოთ, ვიაზროვნოთ, ვიფიქროთ, უნდა შევძლოთ გადაფასება, თეთრის შავისგან გარჩევა, მივხვდეთ, რა არის კარგი. არც სიკეთე და არც ბოროტება შეუფასებელი არ რჩება. თითოეული განსაცდელი და დაბრკოლება, რასაც ბედისწერით ვხსნით, ჩვენი გამოცდაა, თუ სწორად ვიცხოვრებთ, მაშინ სასიამოვნო სიურპრიზებს მოგვიწყობს განგება. შეცდომა პირობითი ცნებაა, რასაც თვითონ ადამიანი უშვებს და არამც და არამც ბედისწერა არ აიძულებს. ადამიანს ყველაფერი გააზრებული აქვს, რას და რატომ აკეთებს. ცუდია, როცა ადამიანი თავის დაუდევრობასა და წარუმატებლობას ბედისწერას აბრალებს, ამიტომ ვთვლი, რომ ძალიან მაღალი მაჩვენებლებით ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ არის. თუმცა როგორც აღვნიშნე, არის გარემოებები, რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ გამოსავლის პოვნა ყოველთვის შესაძლებელია და უარესის უკეთესად ჩანაცვლების პერსპექტივასაც ყოველთვის გვაძლევს უფალი და გარემოებები.

— **რას იტყვით, ხართ თუ არა ბედის ნებიერი?**

– უიღბლობას ნამდვილად არ ვუჩივი, ზოგადად, უმადურობა არ მჩვევია, ადამიანი ღვთისგან ბოძებულს უნდა დასჯერდეს და თვითონ იბრძოლოს ღვთისგან მოცემულის დაცვაზე, განვითარებაზე, გაფრთხილებაზე. ჩემთვის ბედის საჩუქარია ჩემი მშობლები, მაგრამ ჩემი ცხოვრება სათუთად ვაშენე, ყველაფერს ვაკონტროლებ, ვფრთხილობ, ნასვამი არასდროს ვჯდები საჭესთან, სხვას რომ პრობლემები არ შევუქმნა. ერთ დღეს სწრაფად მივდიოდი, ყურადღებით არ ვიყავი და მანქანას შევასკდი, ღვთის მადლით უვნებელი გადავრჩი. ამ დროს სიკვდილს თვალებში ჩავხედე და ამ დღეს სასწაულთა ქრონიკაში განვიხილავ. მადლობელი ვარ ღმერთისა და იღბლის, რომელმაც გადამარჩინა, მაგრამ, როცა რაიმე ცუდი ხდება ჩემს ცხოვრებაში, ყველაფერში საკუთარ თავს ვადანაშაულებ.

**„იერუსალიმში წასვლამდე ერთი კვირით ადრე თითქმის ყოველდღე ვხედავდი შავებში ჩაცმულ ადამიანებს, რომლებიც ტაშს მიკრავდნენ, გამუდმებით მესიზმრებოდა შავი მანქანა“**

— **კიდევ რა ფაქტის გახსენებას განიხილავთ სასწაულთა ქრონიკაში?**

– ყველაზე დიდი საოცრება, უფლის საფლავთან იერუსალიმში მოხვედრა, წმინდა მიწაზე წასვლა და მაცხოვრის საფლავზე მოლოცვა, ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. ყველა მომლოცველს ერთი განცდა აქვს მაცხოვრის საფლავთან, როცა ეხები, ვეღარ დგები, თითქოს მიწებებული ხარ და ყველა მომლოცველს მოსდის ცრემლები, ვინც ხელით ეხება და ადგომას ადვილად ვერ ახერხებს. მეორედ საოცარი შეგრძნება სვეტიცხოველში დამეუფლა, ამ წმინდა ადგილას თუ დიდი რწმენით შეხვალ და რამდენიმე წუთით განცალკევდები, დაინახავ, რამდენი ანგელოზი დადის, იგრძნობ მათ არსებობას. მე მქონდა შეგრძნება ანგელოზთა ხილვისა. ერთ საინტერესო ამბავსაც გიამბობთ: მეორე კლასში ვიყავით, როცა მასწავლებელმა დაგვავალა, დაგვეწერა, როგორ ვხედავდით საკუთარ მომავალს. მე დავწერე, რომ მინდოდა, მეცხვარე გავმხდარიყავი. რა თქმა უნდა, ბავშვებმა დამცინეს, ისე დამცინეს, რომ გულში დიდხანს დამრჩა წყენა. შემდეგ უკვე, წლების მერე სახლში ვიპოვე წიგნი, სადაც ეწერა ტესტი, რომლის მიხედვითაც გაარკვევდი, ვინ იყავი წინა ცხოვრებაში. ამ ტესტის შევსებამ გამიტაცა და აღმოვაჩინე, რომ მეშვიდედ ვიყავი მოსული დედამიწაზე...



— **გამოდის, რომ რატი დურგლიშვილს სჯერა რეინკარნაციის შესაძლებლობისა.**

– ამ წიგნში ეწერა, რომ ადამიანი თორმეტჯერ მოდის დედამიწაზე, შეიძლება შემდეგ ცხოვრებაში ძაღლი, ხე ან ბალახი იყო. ცხოვრება ჯოჯოხეთია, ვწვალობთ, ვშრომობთ, გვტკივა, ამით გამოცდას გავდივართ, რათა შემდეგ სხვა განზომილებაში გადავინაცვლოთ და კუთვნილი ადგილი დავიმკვიდროთ იმის მიხედვით, როგორ ჩავაბარეთ გამოცდები.



**„საოცარი შეგრძნება სვეტიცხოველში დამეუფლა, ამ წმინდა ადგილას თუ დიდი რწმენით შეხვალ და რამდენიმე წუთით განცალკევდები, დაინახავ, რამდენი ანგელოზი დადის, იგრძნობ მათ არსებობას. მე მქონდა შეგრძნება ანგელოზთა ხილვისა“**



— **მომავლის წინასწარმეტყველების რაიმე ფორმისთვის თუ მიგიმართავთ?**

– ორჯერ ვიყავი მკითხავთან და ორჯერვე მეგობრებმა თითქმის ძალით წამიყვანეს, მათი წყენინება არ მინდოდა და გავყევი. თუმცა, ალბათ, მეც მაინტერესებდა იმის გაგება, როგორ წარიმართებოდა ჩემი მომავალი, მაგრამ სკეპტიკურად ვუყურებ მკითხავებს. ერთი ის ვიცი, რომ კარგი ფსიქოლოგები არიან და პრაქტიკიდან გამომდინარე, კარგად ხედავენ ადამიანის სუსტ მხარეებს, ისიც იციან, რა გაგახარებს. რა თქმა უნდა, რაც მითხრა, არაფერი ამხდენია, მაგრამ მეორედ ისევ მომიწია წასვლა მეგობრებთან ერთად. მკითხავმა მითხრა, ჩვენი ნაკლებად გჯერა და არ მაძლევ საინფორმაციო ველში შესვლის ნებასო. ეს იყო და ეს, ამ სფეროს წარმომადგენლებს აღარ ვსტუმრებივარ, არანაირი წინასწარმეტყველება არ მაინტერესებს, რადგან ბედისთვის მაქვს მინდობილი.

**„ამ დროს სიკვდილს თვალებში ჩავხედე და ამ დღეს სასწაულთა ქრონიკაში განვიხილავ. მადლობელი ვარ ღმერთისა და იღბლის, რომელმაც გადამარჩინა“**

— **სიზმრებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

– სიზმარი ყოველთვის სწრაფად მიცხადდება, იერუსალიმში წასვლამდე ერთი კვირით ადრე თითქმის ყოველდღე ვხედავდი შავებში ჩაცმულ ადამიანებს, რომლებიც ტაშს მიკრავდნენ, გამუდმებით მესიზმრებოდა შავი მანქანა, შინაგანად ვხვდებოდი, სულ მალე რაღაც სასიკეთო ცვლილებები მოხდებოდა, მდგომარეობა უკეთესობით შეიცვლებოდა. შეიძლება ის მიხაროდა, რომ საკუთარ შესაძლებლობებში თავს გამოვცდიდი. ამ სიზმრებმა ისე დამაინტერესა, რომ სიზმრების ახსნის წიგნები მომაძებნინა. აღმოჩნდა, რომ შავი სწრაფს ნიშნავს, ხოლო ტაში – წარმატებას. მართლაც დიდი წარმატება და ბედნიერება მოჰყვა ამ სიზმარს. ცუდი სიზმრებიც მინახავს, რასაც უსიამოვნო ამბები მოჰყოლია, თუმცა ყველაფერ ნეგატიურზე ნაკლებად ვაკეთებ აქცენტს და ასეთი სიზმრების აცხადებას არ ველოდები, რაც მთავარია, შიშს არ იწვევს და როგორც გითხარით, უფალს ბოლომდე ვენდობი.

— **ცრურწმენებზე რას იტყვით, მიიჩნევთ თავს ცრუმორწმუნედ?**

– იყო დრო, როცა რაღაც ცრურწმენებს ვითვალისწინებდი, რაღაც პერიოდში კიბის საფეხურებსაც ვითვლიდი და თუ 9-ზე მეტი იყო, ცუდად ვხსნიდი. სახლიდან მარჯვენა ფეხით უნდა გამოვსულიყავი. მერე, როცა წლები გავიდა, ქრისტიანობის რწმენა გამიმყარდა და ცრუმორწმუნეობამაც თავისი ძალა და მნიშვნელობა დაკარგა ჩემს ცნობიერებაში.



– გითქვამს ცოლისთვის ოდესმე, რას ფიქრობ მასზე?

– კი, როგორ არა! გინდა, გაჩვენო ჭრილობა მკერდის არეში?

*****

მომხიბვლელი ქერა გოგონა ექიმთან მივიდა:

– ექიმო, სერიოზული პრობლემა მაქვს – რაც არ უნდა მოხდეს, 5 წუთში აბსოლუტურად ყველაფერი მავიწყდება.

– გასაგებია... ახლა ადექით, გაშიშვლდით, დაწექით და მეც მოვალ...

*****



– რატომ სუქდებიან ცოლიანი მამაკაცები?

– იმიტომ, რომ უცოლო ბრუნდება საღამოს სახლში, შეიხედება მაცივარში, ხედავს, რაც იქ ხვდება და გამწარებული დასაწოლად მიდის... ცოლიანი კი ბრუნდება საღამოს სახლში, შეიხედება საბნის ქვეშ, ხედავს, რაც იქ ხვდება და გამწარებული მიდის მაცივართან!..

*****

ცოლის ფრაზის შემდეგ: „აუ, ახლა კაი შემწვარ მარილიან მარწყვს შევჭამდი“, 12 შვილის მამამ გონება დაკარგა...

*****

კოტე სახედალურჯებული იღვიძებს, აშკარად გემოზეა ნაბეგვი. შეეშინდა, ვერ გაიხსენა, რა შეემთხვა და მამას ჰკითხა:

– რა მჭირს, ვინ მცემა?

– აბა, როგორ გითხრა, შვილო... გახეული მთვრალი მოხვედი და ხმა არ ამომიღია. არც მაშინ გაგეცი ხმა, როცა დედა მაგინე. არც იმაზე გითხარი არაფერი, დედაშენს რომ მისდექი და იმას აგინე. მაგრამ როცა ოთახის შუაგულში მოისაქმე, სანთელი ჩაარჭვე და გამოაცხადე: „ეს ზღარბი ჩვენთან იცხოვრებსო!“, თავი ველარ შევიკავე...

*****



სამხედრო კათედრის ლექტორი:

– ტანკი დაახლოებით 80 კილომეტრ/საათის სიჩქარეს ავითარებს, რის შემდეგაც მისი დამორჩილება თითქმის შეუძლებელია...

– როგორ თუ შეუძლებელი? – შეშინებული ეკითხება კურსანტი.

– საშიში არაფერია – თქვენ ხომ ტანკში ხართ!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***

***დავით ახობაძის ნახატი***

## აფრიკელ მოსწავლეებს ქალიშვილობის შენარჩუნების სანაცვლოდ სტიპენდიას სთავაზობენ



სამხრეთ აფრიკაში, კვაზულუ-ნატალის პროვინციის რაიონ უტხუკელაში, მერი დადუ მაზიბუკო 16 წლის ქალიშვილ გოგონებს კიდევ 3 წლით ქალიშვილობის შენარჩუნების სანაცვლოდ სტიპენდიას შეჰპირდა. გოგონები გინეკოლოგის შემოწმებას სისტემატურად გაივლიან.

„ასეთი ფორმით ჩვენ მადლიერებას გამოვხატავთ იმ გოგონებისადმი, რომლებიც სწავლის დამთავრებამდე სექსისგან თავს შეიკავებენ“, – თქვა მაზიბუკომ.

მერის თქმით, გოგონებს, რომელთაც სტიპენდიის მიღება სურთ, ხელი უნდა მოაწერონ საბუთებს იმის დასადასტურებლად, რომ თანახმა არიან, პერიოდულად ექიმის შემოწმება გაიარონ.

ხალხის ის ნაწილი, რომელიც ინიციატივას მხარს უჭერს, აცხადებს, რომ ასეთი ხერხით ტრადიციული ღირებულებები შენარჩუნდება და გოგონების სექსუალური განათლების ახალი ეტაპი დაიწყება. თავშეკავება გოგონებს დაეხმარება, აივ-ინფექცია და შიდსი თავიდან აიცილონ.

„ჩვენ ვემხრობით მერის ინიციატივას, მაგრამ სტიპენდიის გაცემას ვერ დავეთანხმებით. ეს იქნება ფეხმძიმეების, უდანაშაულო ქალებისა და თუნდაც მამაკაცების დისკრიმინაცია“, – განაცხადა გენდერული საკითხების კომისიის წარმომადგენელმა.

სამხრეთ აფრიკაში გოგონების ქალიშვილობის შემოწმების პრაქტიკის მოწინააღმდეგე აქტივისტები მერის ინიციატივას სექსისტურსა და აგრესიულს უწოდებენ.

*lenta.ru*

## რა შემთხვევაში ღალატობენ ზოდიაქოს ნიშნები საყვარელ ადამიანს



– **ვერძი** – თუ გაიგებენ, რომ მასაც უღალატეს.

– **კურო** – თუ უყურადღებობა იგრძნეს.

– **ტყუპები** – მხოლოდ დიდი ფულისა და საჩუქრების სანაცვლოდ.

– **კირჩხიბი** – თუ თქვენთან სექსში თავს კომფორტულად ვერ გრძნობენ.

– **ლომი** – თუ მიხვდნენ, რომ მასზე ძლიერი ხართ.

– **ქალწული** – არასოდეს, ამას მხოლოდ ძალადობით ან უკიდურეს შემთხვევაში აკეთებენ.

– **სასწორი** – თუ თქვენზე ლამაზ სიტყვებს ეტყვიან და უფრო მეტად მოეფერებიან.

– **მორიელი** – სამაგიეროს გადახდის მიზნით.

– **მშვილდოსანი** – თუ თქვენ გვერდით მოიწყინეს.

– **თხის რქა** – ძალიან გაუჭირდებათ, მაგრამ თუ მიხვდნენ, რომ აღარ გიყვართ.

– **მერწყული** – მისი მოხიბვლა ადვილად შეიძლება ძვირად ღირებული საჩუქრებით და ღალატამდე ერთი ნაბიჯი რჩება.

– **თევზები** – დეპრესიის დროს და ამას ისევ თქვენ დაგაბრალებენ.

*etanews.ge*

## მეცნიერებმა დაადგინეს, რატომ არ გამოდიან უცხოპლანეტელები კავშირზე



რეჟისორებისთვის უცხოპლანეტელების თემა მეტად საინტერესო და მიმზიდველია, ამიტომ მათზე ფილმებს გაუთავებლად იღებენ. ექსპერტები კი ამტკიცებენ, რომ სხვა პლანეტებზე ძალიან პრიმიტიული ცხოვრების ფორმაა. ასე რომ, უცხოპლანეტელებს დედამიწელებთან დაკავშირება უბრალოდ, არ შეუძლიათ.

თურმე ნუ იტყვით და უცხოპლანეტელების ცხოვრების პირობები იმდენად არასტაბილურია, რომ ჩამოყალიბებას ვერ ასწრებს.

როგორც მეცნიერები ამბობენ, ადამიანი მილიარდწლიანი ევოლუციის შედეგად გაჩნდა და ეს უნიკალური მოვლენაა. სხვა პლანეტაზე სიცოცხლის არსებობის დასადასტურებლად კი, ადამიანები მხოლოდ პრიმიტიული ორგანიზმების ნარჩენებს უნდა ელოდნენ.

*myjane.ru*

## ბრიტანელმა დიასახლისმა შემთხვევით მომგებიანი ბილეთი გარეცხა




როგორც გურულები იტყვიან – ბედი უნდა ყორფელს. აბა, რა ვარსკვლავზე გაჩენილი უნდა იყო, რომ 33 მილიონი ფუნტი სტერლინგის მომგები ბილეთი ჯინსის ჯიბეში გედოს და ჯინსთან ერთად მიარეცხ-მიაცრიცო?!

ბრიტანეთის ქალაქ ვუსტერში მცხოვრები 33 წლის ქალი ამბობს, რომ მისმა ბილეთმა ზემოხსენებული თანხა მოიგო. გარეცხილ-გასტერილებული ბილეთზე მომგებიანი ციფრები და გამოშვების წელი შენარჩუნებულია, მაგრამ წაშლილია თვე და რიცხვი.

ქალმა იმ კიოსკს მიაკითხა, სადაც ბილეთი შეიძინა, ბილეთების გამყიდველმა კი, ბილეთის ლატარიის კომპანიისთვის გადაგზავნა ურჩია. ლატარიის კომპანიამ დაადასტურა, რომ მომგებიანი ბილეთი ვისტერში იყო შეძენილი, თუმცა გადასცემენ თუ არა უიღბლო მოთამაშეს მოგებულ თანხას, ეს ამბავი ივლისში გაირკვევა.

*lenta.ru*

## პრეზერვატივების სავაჭრო ავტომატმა გერმანელის სიცოცხლე შეიწირა



ღირსეულად სიცოცხლე თუ ვერა, სიკვდილი მაინც უნდა შეძლო ადამიანმა. აბა, პრეზერვატივის აპარატი რომ შეგიწირავს, ის სიკვდილია?

გერმანიის ქალაქ შოპინგენში კი მამაკაცი სწორედ პრეზერვატივის სავაჭრო ავტომატის აფეთქებისგან დაშავდა და გარდაიცვალა.

სამმა თანამზრახველმა გადაწყვიტა, რომ პრეზერვატივებიანი სავაჭრო ავტომატი აეფეთქებინათ და ზედმეტი ჩხირკედელაობის გარეშე ჩაეჯიბათ აპარატში დაგროვებული ფული. ასეც მოიქცნენ, მაგრამ ერთ-ერთმა ვერ მოასწრო მანქანაში ჩაჯდომა და აპარატის რკინის ნამსხვრევი თავში მოხვდა.

თანამზრახველებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს და ექიმს უთხრეს, რომ კიბეზე დაგორდა და ეს უზარმაზარი, ღრმა ჭრილობაც მაშინ მიიღო. გამოცდილი ექიმი ჭრილობის უცნაურობამ დააეჭვა და პოლიცია გამოიძახა.

დაკითხვაზე კაცებმა აღიარეს, რომ აპარატის გაქურდვა უნდოდათ, მაგრამ ასეთ ფატალურ შედეგზე არც უფიქრიათ. მესამე მეგობარი ჭრილობისგან გარდაიცვალა, ცოცხლად დარჩენილი ორი კი დაიჭირეს.

*etotupo.ru*

## ბრიტანელი ვალდებულია, სექსუალური აქტის წინ პოლიცია გამოიძახოს



არ ჩაგვაყენებ შენი სექსუალური ცხოვრების საქმის კურსში და გისოსებს მიღმა 5-წლიანს დაგიბაბანებთო – დაემუქრა დამნაშავეს ბრიტანეთის სასამართლო.

საჯარო სექსისთვის განწირული მამაკაცი გაუპატიურებაშია ბრალდებული. სასჯელად კი სასამართლომ ასეთი რამ მოუფიქრა – მამაკაცი ვალდებულია, აცნობოს ყველა ქალის შესახებ, რომელთანაც ღამეს გაატარებს.

დამნაშავემ პაემნის დანიშვნიდან არაუგვიანეს 24 საათისა პოლიციას უნდა გაუგზავნოს იმ ქალის მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი), რომელსაც უნდა შეხვდეს.

ამავე წლის მაისში კიდევ ერთი სხდომა გაიმართება, სადაც შესაძლებელია, სასამართლოს ამჟამინდელი გადაწყვეტილება კიდევ ორი წლით გახანგრძლივდეს.

*anekdot-dnya.ru*

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური სენსაციური ამბები...

## სექსის დროს გარშემოც მიმოიხედეთ! — რატომ მოაჭრეს ახალგაზრდა ბიჭს ხელი?



უბედური შემთხვევა ბაქოში, ნასიმინის რაიონში მოხდა.

რაიონის პოლიციის განცხადებით, აზერბაიჯანის დედაქალაქში მცხოვრები 21 წლის ფაგან ფარაზლიევი და მისი შეყვარებული 20 წლის გოგონა, განმარტოებისთვის ელექტროტრანსფორმატორის ჯიხურში შეძვრნენ. ბიჭმა გაუფრთხილებლობის შედეგად, ხელი სადენს მოჰკიდა, რის შემდეგაც დენმა დაარტყა. შემთხვევის დროს ბიჭს მეორე ხელი გოგონაზე ჰქონდა მოკიდებული, ამიტომ ელექტროენერგია მასზეც გადავიდა. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ბიჭიც და გოგონაც ელექტროენერგიის ძალამ ჯიხურის გარეთ გადმოყარა.

მიყენებული დამწვრობითა და ტრავმებით, ახალგაზრდები საავადმყოფოში გადაიყვანეს. სხეულის დაზიანება ძლიერი აღმოჩნდა და ექიმებს ახალგაზრდა ბიჭისთვის ხელის ამპუტაცია დასჭირდათ. მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო. წინასწარი ინფორმაციით, არსებობს 3 ვერსია, თუ რატომ დასჭირდათ ახალგაზრდებს ელექტროჯიხურში განმარტოება. სასიყვარულო პაემანის გარდა, ცნობისმოყვარეობისა და ხულიგნობის ვერსიებიც განიხილება.

***plus.kvira.ge***

## ჩინეთში რესტორნები სანელებლად ოპიუმს იყენებდნენ



ხერხი სჯობია, ღონესაო თქვეს ჩინეთში და ოპიუმის სანელებლად გასაღება დაიწყეს. კაცმა რომ თქვას, სპეციალური ლაბორატორიული აღჭურვილობის გარეშე კეტჩუპ ჩილისა და სანელებლებში გარეულ ოპიუმს ვერც აღმოაჩენ და რატომ არ უნდა ეხმარათ ნარკოტიკული თრობის მოყვარულ ჩინელებს ეს ხერხი, გაუგებარია.

ოღონდ ესაა, მთლად უნაცროდაც არ გამოუვიდათ კოვზის გამოყენება, პოლიციამ გაიგო ოპიუმის არალეგალური გავრცელების შესახებ და ამ მიზეზით 35 რესტორანი ერთმანეთის მიყოლებით დახურა.

როგორც ჩანს, პოლიციას ოპიუმის გავრცელებაზე უკვე დიდი ხანია აქვს ეჭვი. მაგალითად, 2014 წელს მაკარონის გამყიდველი ნარკოტესტის გავლის შემდეგ დააკავეს. 2012 წელს ნინსიას პროვინციაში 7 რესტორანი სწორედ ამ მიზეზით დაიკეტა. 2004 წელს კი ნარკოტიკის ჭარბმა სიყვარულმა გუიჩჟოუს 215 რესტორანი შეიწირა.

მიუხედავად გამკაცრებული კონტროლისა, დასავლეთ ჩინეთში 1 კილოგრამი ოპიუმის დაახლოებით 60 დოლარად შეძენა მაინც მარტივადაა შესაძლებელი.

***anekdot-dnya.ru***

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური სენსაციური სენსაციური ამბები...

## ამ პატარამ მხედველობის 75 პროცენტი სწორედ იმ სათამაშოს გამო დაკარგა, რომელიც თითქმის ყველა ოჯახში მოიპოვება



უამრავ ოჯახში მოიპოვება ლაზერული მიმათითებელი. როგორც წესი, უფროსები ამ მოწყობილობისადმი დიდ სიფრთხილეს არ იჩენენ და ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას ინახავენ. ბავშვებისთვის კი, ის ერთ-ერთი საყვარელი გასართობია.

ამ სათამაშოს მწარმოებელი ქვეყანა ძირითადად ჩინეთია. მსგავს პროდუქტებს ყველანაირი ნორმის დარღვევით ამზადებენ, რის გამოც მათი ბავშვის სათამაშოს სახით გამოყენება აკრძალულია.

7 წლის ბიჭუნას, რომელმაც ლაზერი თვალებში სულ რამდენიმე წამით მიინათა, მხედველობა 75 პროცენტით დაუქვეითდა. თავდაპირველად არანაირი ტკივილი არ ჰქონია. ექიმს მხოლოდ მას შემდეგ მიმართეს, რაც ბიჭმა მხედველობასთან დაკავშირებით ჩივილი დაიწყო.

ექიმებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ მხედველობის დაქვეითება თვალის მაკულის დაზიანებამ გამოიწვია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობის აღდგენის ერთადერთი გზა მიკროქირურგიაა.

მშობლებო, გამოიჩინეთ სიფრთხილე და ბავშვებს ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთებით გართობის უფლებას ნუ მისცემთ.

***fpaparazzi.com***

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური

## მომღერალი ვალერია გარდაიცვალა?



რუსი მომღერლის ვალერიას გარდაცვალების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას მომღერლის ახლობლები „სრულ სისულელეს“ უწოდებენ.

უკრაინულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ რუსი მომღერალი, ვალერია გარდაიცვალა.

ჟურნალისტებმა დაწერეს, რომ პოპულარული მომღერალი და მისი მეუღლე, სმოლენსკთან ავტოავარიაში მოყვნენ. ასევე, მედია წერდა, რომ საჭესთან მისი მეუღლე და პროდიუსერი იოსიფ პრიგოჟინი იჯდა.

აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, მომღერლის ახლობლებმა ინფორმაციის გადამოწმება დაიწყეს.

როგორ ვალერიას ერთ-ერთი მეგობარი სოციალურ ქსელში წერს, ინფორმაცია ვალერიას გარდაცვალების შესახებ „სისულელეა“.

***info9.ge***

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური სენსაციური სენსაციური ამბები...

## ამერიკის ციხიდან საშიში დამნაშავე — მეორე „ჰანიბალ ლექტერი“ გაიქცა



ამერიკაში, კალიფორნიის შტატში, სანტა-ანეს ციხიდან გაქცევა საშიშმა დამნაშავემ, ჰუსეინ ნაიერმა დაგეგმა.

ოლქის გენერალური პროკურორის მოადგილის ორანჯ ჰიზერ ბრაუნის განცხადებით, გასულ პარასკევს ციხიდან სამი მსჯავრდადებული გაიქცა. მისი თქმით, მათ შორის მეორე „ჰანიბალ ლექტერად“ ცნობილი ჰუსეინ ნაიერია.

დამნაშავე, რომელიც მაღალჩინოსანმა „კრავთა დუმილიდან“ ენტონი ჰოპკინსის პერსონაჟს შეადარა, ირანში დაიბადა. ჰუსეინს ჩადენილი აქვს სისხლიანი და სასტიკი დანაშაულების სერია. მათ შორის, 2012 წელს, ნარკოდილერი გაიტაცა, რომელიც სასტიკად აწამა.

ნაიერი იმავე წელს აშშ-ში დააკავეს, როცა ის ესპანეთში გაფრენას ცდილობდა.

მიმდინარე წლის 22 იანვარს, ჰუსეინ ნაიერი ორ მსჯავრდადებულთან ერთად ციხიდან გაიქცა. გაქცეულების შესახებ ინფორმაციისთვის კალიფორნიის შტატის ხელისუფლებამ ჯილდოდ 50 000 აშშ დოლარი დააწესა.

პროკურორის განცხადებით, ციხის ხელმძღვანელობამ შეცდომა დაუშვა, როდესაც საშიში დამნაშავე არა სპეციალურ, არამედ ჩვეულებრივი რეჟიმის საკანში მოათავსა.

***info9.ge***

სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური ამბები... სენსაციური

## ფოტოგრაფმა ევროპელ ბიზნესმენს 1 მილიონ ევროდ კარტოფილის ფოტო მიჰყიდა



ფოტოგრაფმა, რომელიც ცნობილია ისეთი ვარსკვლავების პორტრეტების გადაღებით, როგორებიც არიან ჯონი დეპი, იოკო ონო და ბობ გელდოფი, კარტოფილის ფოტო 1 მილიონ ევროდ გაყიდა.

46 წლის კევინ ებოშმა დაადასტურა, რომ ჩვეულებრივი კარტოფილის ამობეჭდილი ფოტო ევროპელმა ბიზნესმენმა იყიდა. ფოტოგრაფმა ირლანდიური კარტოფილი 2010 წელს, შავ ფონზე, სინათლის ერთი სხივის ქვეშ, ციფრული კამერით გადაიღო.

როგორც ებოშმა თქვა, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მისი ფოტო კედლიდან იყიდეს, – „ჩვენ ორი ჭიქა ღვინო დავლიეთ და მან თქვა – მართლა ძალიან მომწონს ეს. კიდევ ორი ჭიქის შემდეგ კი თქვა, – მე მართლა მინდა ის“.

***news.ge***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



– ჩემი და სულ გადაირია – ბიჭივით გამოეწყო და ჯარში წავიდა!

– რა სისულელეა?! მერე აბანოში ხომ ყველა დაინახავს და ვიღაც უეჭველი დააბეზღებს!

– რას ამბობ, ვინ დააბეზღებს...

*****

ქალი:

– ძვირფასო, მინდა, შენთან ერთად ვიცხოვრო დიდხანს და ბედნიერად!

მამაკაცი:

– საყვარელო, შენ თუ ბედნიერად იცხოვრებ, მე დიდხანს ნამდვილად ვერ გავქაჩავ!..

*****



– ოფიციანტო, რას აკეთებს ეს ორი ბუზი ჩემს წვნიანში?!

ოფიციანტმა სათვალე გაიკეთა, დახედა წვნიანს, უყურა, უყურა და:

– ეს წამპლები სულ თავს გავიდნენ – მგონი, სექსით არიან დაკავებულები!..

*****

ფრაზა: „სად ფსამ, შე დამპალო, ამ წუთას მოვწმინდე!!!“ დამლაგებელმა ჟუჟუნამ, რომელიც 25 წელია, აეროპორტში მუშაობს, 70 ენაზე იცის...

*****

ქმარი ცოლს:

– ძვირფასო, როგორი ყავა გინდა?

– როგორი და ძალიან მაგარი, ოღონდ მსუბუქი, უხეში და თან მსუბუქი, რომელიც მთელ ჩემს შინაგან არსებას თავდაყირა დააყენებს, გამიღებს ცდუნების სამყაროსა და შეუკავებელი გრძნობების კარებს, თავბრუს დამახვევს და ახალ შეგრძნებებს გამიჩენს...

– შენა და იქნებ, უბრალოდ, არაყი ჩაგერტყა?!

*****

– ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი განწყობას ამაღლებს...

– ჰმ! ეტყობა, მაგათ არაყი არ გაუსინჯავთ...

*****



ქმარი ცოლს:

– ჩემო ლამაზო, მეტყვი ხოლმე, როცა ორგაზმი გექნება?

– ჰო, მაგრამ საყვარელო, ყოველ ჯერზე სად გირეკო ხოლმე სამსახურში?..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



კლუბი „მერწყული“ თანადგომას უცხადებს კლუბის ვიცე-პრეზიდენტს კობა კვეტენაძეს ძმისშვილის, პატარა **ზუკა კვეტენაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული გასაქირავებელი ვილები



ჭკვიანი ადამიანი, თუკი, რა თქმა უნდა, ფინანსურადაც ძლიერია, ფულს მხოლოდ გართობაში კი არ მიაფშვნის, უძრავ ქონებასაც შეიძენს, თუნდაც, ერთ სახლს მაინც.

ჰოდა, ვინც ჭკუა იხმარა და საკუთარი ქონება სოლიდური სახლებით შეავსო, ისეთ მოგებას ნახავს, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი.

შვებულებების სეზონის მოახლოებასთან ერთად, ტურისტებისთვის სხვადასხვა კომპანია განსაკუთრებულ წინადადებებს ამზადებს, ზოგი კი იმაზე ზრუნავს, წინასწარ იყოს ცნობილი, სად შეიძლება ყველაზე ძვირად ღირებული ვილის დაქირავება და შვებულების ფუფუნებაში გატარება.

ამ მიზნით ერთგვარი რეიტინგი საერთაშორისო კომპანია „ევანსის“ ექსპერტებმა შეადგინეს და გაარკვიეს, რა ფასები აქვთ მსოფლიოს პოპულარულ კურორტებზე ფეშენებელურ ვილებს.

პირველი ადგილი წილად ხვდა ვილას საფრანგეთში, რომლის ქირაობა თვის მანძილზე 360 ათასი ევრო ღირს. ვილა ზღვისპირა ალპებში, კაპ ფერას რაიონში მდებარეობს. მასში გამოყოფილია 2 უძვირფასესი საძინებელი. უზარმაზარი აუზი, ჩოგბურთის კორტები და მოკლედ, რა გინდა სული და გული.

მეორე პოზიციაზეა ვილა ფორტ-დეი მარმიში (იტალია), რომლის თვიური ქირა 210 ათასი ევროა. სახლში 6 საძინებელია, 6 სააბაზანო, დიდი სამზარეულო, სასადილო. აქვს აუზი და 0,4 ჰექტარზე გაშენებული ულამაზესი ბაღი.

რეიტინგის მესამე საფეხური საბერძნეთში, კერძოდ კი კუნძულ მიკონოსზე აგებულმა ვილამ დაიკავა თვიური გადასახადით 150 ათასი ევრო. სახლს აქვს 6 საძინებელი, 6 სააბაზანო, აუზი და ასე შემდეგ.

137 ათასი ევროთი მეოთხე ადგილი იბიცას (ესპანეთი) ვილამ დაიკავა, მეხუთეზეა 45-ათასიანი რეზიდენცია ჩერნოგორიაში.

ყველაზე „იაფად“ ვილის დაქირავება კვიპროსზე შეიძლება – 16,3 ათასი ევრო.

მოკლედ, ვინც გაქაჩავს, ასეთი თანხები გადაიხადოს დასვენებისთვის, ამ ზაფხულს ისე დაისვენებს, არასოდეს დაავიწყდება... რა მაგარია ცხოვრება, როცა კარგად ცხოვრების საშუალება არსებობს, არა?..

***top.rbc.ru***

## მეცნიერებმა, მარსზე ფეხბურთის თამაში შეიძლებაო



ისეთი უცნაურობები ხდება ფეხბურთის მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, შეიძლება ვინმემ იფიქროს, აშკარად უცხოპლანეტელების ხელი თუ ურევიაო... ჰო, სწორედ უცხოპლანეტელების, რომელთაც მინიმუმ მხოლოდ მარსზე მაინც ექნებათ ბურთი გაგორებული.

ბრიტანელი მეცნიერების მტკიცებით, მარსზე ყველანაირი პირობა არსებობს იმისთვის, რომ იქ საფეხბურთო მატჩი პრობლემების გარეშე წარიმართოს.

ერთი კია, ლესტერის უნივერსიტეტის თანამშრომლები აკონკრეტებენ, რომ მარსზე ბურთის გაგორებისთვის წესების შეცვლა იქნება აუცილებელი.

ასე მაგალითად, წითელ პლანეტაზე ბურთი ოთხჯერ შორს გაფრინდება, ვიდრე დედამიწაზე, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. ასევე, არ გამოვა ჩახვეული ბურთის დარტყმა.

მოკლედ, ჯერ მარსზე ფეხი არ დაუდგამთ ადამიანებს და იქ უკვე წესებშეცვლილი ფეხბურთის დამკვიდრებაზე ფიქრობენ.

ისე, სადაც ფეხბურთი, იქაც წრეში ბურთი. მით უმეტეს, რომ ბურთი უფრო შორს გაფრინდებაო...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***ura-inform.com***

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**
**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**
577 435 553
„კვირის ქრონიკის“ რედაქტორი **მანანა გიორგაძე**

## გასუქების მიზეზი შესაძლოა, ანტიბიოტიკების ბოროტად გამოყენებაც გახდეს



ანტიბიოტიკების დიდი რაოდენობით გამოყენებას, შესაძლოა, მოჰყვეს არა მხოლოდ „სუპერბაქტერიის“ გაჩენა, რომელიც ნებისმიერ პრეპარატს ამარცხებს, არამედ კუჭის მიკროფლორის განადგურებაც და ბავშვებში ზედმეტი წონის დაგროვებაც.

მარტინ ბლეიზერი ნიუ-იორკის უნივერსიტეტიდან მიიჩნევს, რომ ანტიბიოტიკების მუდმივი გამოყენება საბავშვო ინფექციების დასამარცხებლად ძალიან ცუდ უკუჩვენებას იძლევა, რომელიც პატარებს დააზარალებს.

ბლეიზერის თქმით, სწორედ ანტიბიოტიკი გახდა იმის მიზეზი, რომ პრაქტიკულად, აღარც ერთი ადამიანის კუჭში აღარ ბინადრობს ბაქტერია „ჰელიცობაქტერ პულორი“, რომელიც XX საუკუნის დასაწყისამდე პრაქტიკულად, ყველა ადამიანის კუჭში მოიძებნებოდა და არაერთ სასარგებლო ფუნქციას ასრულებდა. მათ შორის, წონის კონტროლზეც იყო პასუხისმგებელი. დღეისთვის აღნიშნული ბაქტერია დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 6 პროცენტსღა აქვს შემორჩენილი.

***mydieta.ucoz.com***

## სუნთქვის გაგრილება კბილის პასტის გამოყენების გარეშეც შეიძლება?



ფასდაუდებელ დახმარებას პირად ჰიგიენაში ოხრახუში, რეჰანი, ქინძი, ილი, კამა და პიტნის ჩაი აღმოგიჩენთ.

სპეციალისტების განმარტებით, კამაში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ქლოროფილი, ნივთიერება, რომელიც უსიამოვნო სუნის ყველაზე მძლავრი ლიკვიდატორია. შეიძლება მცენარის როგორც დალეჭვა, ისე მისგან ნაყენის დამზადება და პირში გამოვლება.

ილის შემთხვევაში, სპეციალისტები ამბობენ, რომ საქმე გვაქვს ევკალიპტის ზეთის შემცველობასთან, რომელიც ძლიერი ანტისეპტიკია და შეუძლია არა მხოლოდ აუტანელი სუნის გაქრობა, არამედ ბაქტერიების განადგურებაც კი.

ასევე, საკმაოდ ძლიერი ანტისეპტიკია პიტნის ჩაიც და მას ყველა ზემონახსენები თვისების გარდა, დამატებით ისიც შეუძლია, რომ უმკლავდება ნადების გაჩენას, აფერხებს კბილების შლის პროცესს და ღრძილების ანთების განვითარებასაც.

ცხადია, მცენარეების ეს შესანიშნავი თვისებები მაინც კბილების საგულდაგულოდ წმენდის შემდეგ უნდა გამოიყენოთ, რადგან ჯაგრისის გამოყენებას სპეციალისტები მაინც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

***dr20.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ქ ი ლ ი კ ა




– ექიმო, სად მივდივართ?
– მორგში!
– ესე იგი, ჯერ არ მოვმკვდარვარ?
– ჯერ არც მივსულვართ!..

*****

ქმარი სამსახურიდან სახეალეწილი დაბრუნდა, ტანსაცმელი ძლივს გამოიცვალა, დაჯდა სამზარეულოში და ვახშმის უმადოდ კიკნა დაიწყო. ცოლმა გადაწყვიტა, ახალი ამბავი დაძინებამდე ეცნობებინა და ქმარი გაეხარებინა:
– ძვირფასო! ფეხმძიმედ ვარ!!!
– როგორ, შენც?!?!?!

*****



სტომატოლოგის კაბინეტიდან გამოსვლის წინ დედა 5 წლის შვილს ეკითხება:
– აბა, რა უნდა უთხრა ბიძიას?
ბავშვი ტირილით:
– შე დამპალო!!!

*****

– რაიმე ნაკლი გაქვს?
– კი – გადაჭარბებული პირდაპირობა!
– ვფიქრობ, პირიქით, ეგ ნაკლი კი არა, ღირსებაა.
– აი, სულ ფეხებზე მკიდია, რას ფიქრობ!!!

*****

მასწავლებელი მოსწავლეებს:
– კოტე, აბა, აუღლე „ხმას ვაძლევ“.
– მე ხმას ვაძლევ, შენ ხმას აძლევ, ის ხმას აძლევს, ჩვენ ხმას ვაძლევთ, თქვენ ხმას აძლევთ.
– კოტე, და „ისინი“?
– ისინი კი სხედან და ფეხებზე ვკიდივართ!..

*****

– თქვენი იყო ის ვირთხა, ჩემს ეზოში რომ შემოვარდა?
– რა ვირთხა, კაცო, ძაღლია ჩემი, უიშვიათესი ჯიშის – ჯუჯა ტაქსა!
– რა ვიცი, ჩემმა კატამ კი სიამოვნებით შეჭამა და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატები*

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
» 211359457
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „კვირის ქრონიკაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2298-0016
UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.15